სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

LEPL GORI STATE UNIVERSITY

სამეცნიერო კვლევების ჟურნალი

JOURNAL OF SCIENTIFIC RESEARCHES

ტომი IV, №2

Volume IV, No 2

2023

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „სამეცნიერო კვლევების ჟურნალი“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2020 წლის 16 დეკემბერს ჩატარებულ მეცამეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - განათლებისა და მეცნიერების ინოვაციური განვითარება: მიმართულებები, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“ სექციებზე - „მათემატიკა და ინფორმატიკა“, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“, „ბიზნესი და ეკონომიკა“, „სოციალური მეცნიერებები და სამართალი“ წარმოდგენილი ნაშრომები.

In the current issue of LEPL – Gori State University Scientific Journal “Journal of Scientific Researches” are published the works, that were presented at the sections – “Mathematics and Informatics”, “Natural Sciences”, “Business and Economics”, “Social Sciences and Law” at the The Thirteenth International Scientific Conference “Innovative Development of Education and Science: Directions, Challenges and Perspectives for Development”, held by Gori State University on December 16, 2020.

სარედაქციო კოლეგია:

- **გიორგი სოსიაშვილი** - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველო);
- **ვიანორ ახალაია** (საქართველო);
- **გიზო გოგიჩაიშვილი** (საქართველო);
- **გიორგი გოგიჩაძე** (საქართველო);
- **იან მალიცკი** (პოლონეთი);
- **თეიმურაზ მთიბელაშვილი** (საქართველო);
- **დიმიტრი ნადირაშვილი** (საქართველო);
- **იურგიტა რაუდელიუნიენე** (ლიტვა);
- **ზვიად როგავა** (საქართველო);
- **მანანა რუსიეშვილი** (საქართველო);
- **სოსო სიგუა** (საქართველო);
- **იანის სტრადინში** (ლატვია);
- **ომარ ფურთუხია** (საქართველო);
- **ჰარუნ ჩიმქე** (თურქეთი);
- **ჯემალ ძაგანია** (საქართველო);
- **ქეთევან ჭკუასელი** (საქართველო);
- **მიხეილ ჯიბუტი** (საქართველო).

ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყაზიშვილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

EDITORIAL BOARD:

- **Giorgi Sosiashvili** - Chairman of the Editorial Board (Georgia);
- **Vianor Akhalaia** (Georgia);
- **Gizo Gogichaishvili** (Georgia);
- **Giorgi Gogichadze** (Georgia);
- **Jan Malicki** (Poland);
- **Teimuraz Mtibelashvili** (Georgia);
- **Dimitri Nadirashvili** (Georgia);
- **Jurgita Raudeliuniene** (Lithuania);
- **Zviad Rogava** (Georgia);
- **Manana Rusieshvili** (Georgia);
- **Soso Sigua** (Georgia);
- **Janis Stradinsh** (Latvia);
- **Omar Purtukhia** (Georgia);
- **Harun Chimke** (Turkey);
- **Jemal Dzagania** (Georgia);
- **Ketevan Chkuaseli** (Georgia);
- **Mikheil Jibuti** (Georgia).

TECHNICAL EDITOR:
Giorgi Kazishvili, Gori State University

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად დაირღვა საავტორო ან სხვა უფლება, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

The author is liable for the accuracy of the published article. His views may not coincide with the ideas of editorial board.

Editorial Board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. In case the author`s or other rights are violated after the publication of the article, the editorial board is authorized to remove the published article from the database.

ISSN 2587-4683

შ ი ნ ა ა რ ს ი

მათემატიკა და ინფორმატიკა

ლელა ალექსიძე, ლაურა ელიაური, ზურაბ ზერაკიძე - *სტატისტიკური სტრუქტურების ძალდებული შეფასებების და ძალდებული კრიტერიუმების შესახებ* – 6
ზურაბ ზერაკიძე, სოსო ცოტნიაშვილი - *სტატისტიკური სტრუქტურებისა და განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურების შესახებ* – 9
თამარ ნასყიდაშვილი - *ექსპერტული სისტემის ფორმირების და ფუნქციონირების ძირითადი ასპექტების შესახებ* – 12

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ლალი აზმაიფარაშვილი - *აღდგენითი საშუალებების გამოყენება სპორტში* – 15
გია ედიშერაშვილი - *შიდა ქართლის მობუდარი ფრინველების რეპროდუქციული პერიოდის ფენოლოგია და თავისებურებანი* – 16
გელა თუხარელი, მაია კაროიანი, ნინო კარიჭაშვილი, ევგენია ლომსაძე - *საკვერცხის იშვიათი მუცინური გიგანტური კისტომა* – 20
თინათინ იოსებიძე, მარინე ქურიძე, მარიამ უბირია - *მწარე აბზინდა, როგორც სამკურნალო მცენარე და მისი კულტივირების ტექნოლოგია შიდა ქართლში* – 22
გიორგი მძინარაშვილი - *ფიზიკური ვარჯიშების ბიომექანიკის შინაარსი სპორტში* – 25
ნელი პაპუკაშვილი - *უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა ხტომადობის გაუმჯობესების საშუალებები* – 28
მამია ტუღუში, ვლადიმერ იაშვილი, ალექსანდრე იაშვილი - *მთის კლიმატი და სპორტულ წვრთნაზე მისი ზემოქმედების თავისებურებანი* – 34
მარიამ უბირია - *სკოლის მოსწავლეების ფიზიკური განვითარების დინამიკა* (რუსულ ენაზე) – 39

ბიზნესი და ეკონომიკა

მაია აზმაიფარაშვილი - *ტურიზმის მდგრადი აღდგენისთვის - UNWTO პრიორიტეტები* – 41
ხათუნა ბებნაძე - *კადრების დენადობის განსაზღვრის ორგანიზაცია* – 47
დავით ბიძინაშვილი - *პანდემიით (COVID-19) გამოწვეული პრობლემები და საგარეო ვალის ზრდის ტენდენციები საქართველოში* – 51
გიული გიგუაშვილი, თამარ მაკასარაშვილი - *ონლაინ სწავლების გამოწვევები საქართველოში COVID-19-ის პირობებში* – 57
ნინო ლიპარტელიანი - *რომის კლუბი - მსოფლიო განვითარების განსხვავებული გზა* – 62
ნანა ნადირაძე - *საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი ტენდენციები* – 67
ნინო ორჯონიკიძე, მანანა ჯაფიაშვილი - *ინვესტიციები ქართული ზეთისხილის წარმოებაში* – 73
ლალი ოსაძე, სოფიო ცეცხლაძე - *ტურიზმის მარკეტინგის როლი პანდემიის პირობებში* – 78
მაკა სოსანიძე, ლეილა მამულაშვილი - *ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოებასთან ურთიერთობის კონტექსტში* – 82
თამაზ ქობულაშვილი, გია ედიშერაშვილი - *ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში (კასპის მუნიციპალიტეტი)* – 85
დავით ჭიოტაშვილი, ხალიანა ჩიტაძე - *კოვიდ პანდემია და ტურიზმი საქართველოში* – 88
თეა ხორგუაშვილი, ნათია ხორგუაშვილი, ლია ნადირაძე - *დონორების ფინანსური ჩართულობა და კოორდინაცია საქართველოში კოვიდ 19-ის პირობებში* – 93

სოციალური მეცნიერებები და სამართალი

ნუგზარ აბრამიშვილი - *ლოგიკური პოზიტივიზმი და ტრადიციული ფილოსოფია* – 98
კლარა ელჩიბეგაშვილი - *ადამიანის პრობლემა ფილოსოფიაში* – 102
ანა იმნაძე - *კომუნიკაციის იდეებიდან კომუნიკაციის თეორიამდე* – 106
მალხაზ ლომსაძე - *უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედ საერთაშორისო და სამამულო კანონმდებლობაში* – 109
ნიკოლოზ მიდოდაშვილი - *დემოკრატია და XXI საუკუნის გამოწვევები* – 117
ნანული (ნანა) ცხვედაძე, ქეთევან ლომსაძე - *მოსწავლის შიში და განწყობის სტრუქტურის კომპონენტები: ემპირიული კვლევა და შედეგები* – 120

C O N T E N T S

Mathematics and Informatics

Lela Aleksidze, **Laura Eliauri, Zurab Zerakidze** - *On Consistent Estimators and Consistent Criteria of Statistical Structures* – 6
Zurab Zerakidze, **Soso Tsotniashvili** - *About Statistical Structures and Generalized Statistical Structures* – 9
Tamar Naskidashvili - *About Key Aspects of Expert System Forming and Functioning* – 12

Natural Sciences

Lali Azmaiparashvili - *Use of Restoratives in Sports* – 15
Gia Edisherashvili - *Phenology and Peculiarities of the Reproductive Period of Shida Kartli Nesting Birds* – 16
Gela Tukhareli, **Maia Karoyani**, **Nino Karichashvili**, **Evgenia Lomsadze** - *The Rarest Gigantic Mucin Cystoma of Ovary* – 20
Tinatin Iosebidze, **Marine Kuridze**, **Mariam Ubiria** - *Artemisia Absinthium L as a Medicinal Plant and its Cultivation Technology in Shida Kartli* – 22
Giorgi Mdzinarashvili - *Content of Physical Exercise Biomechanics in Sport* – 25
Nelly Papukashvili - *Gymnastics in Class of Physical Education at Junior Age* – 28
Mamia Tughushi, **Vladimer Iashvili**, **Aleksandre Iashvili** - *Peculiarities of Mountain Climate and its Impact on Sports Training* – 34
Mariam Ubiria - *Dynamics of Physical Development of Schoolchildren* (in Russian) – 39

Business and Economics

Maia Azmaiparashvili - *For Sustainable Tourism Recovery - UNWTO Priorities* – 41
Khatuna Bebnadze - *Organization for Determining the Flow of Personnel* – 47
Davit Bidzinashvili - *Problems Caused by The Pandemic (Covid-19) and Trends in Foreign Debt Growth in Georgia* – 51
Giuli Giguashvili, **Tamar Makasarashvili** - *Challenges of Online Learning in Georgia Under Covid-19* – 57
Nino Liparteliani - *Rome Club - A Different Way of World Development* – 62
Nana Nadiradze - *The Main Trends of Georgia's Foreign Trade* – 67
Nino Orjonikidze, **Manana Japiashvili** - *Investments in the Production of Georgian Oil Fruits* – 73
Lali Osadze, **Sophio Tsetskhladze** - *The Role of Tourism Marketing in Pandemic Conditions* – 78
Maka Sosanidze, Leila Mamulashvili - *Social Responsibility of Business in The Context of PR* – 82
Tamaz Kobulashvili, **Gia Edisherashvili** - *Ecotourism Development Perspectives in Shida Kartli (Kaspi Municipality)* – 85
Davit Tchiotashvili, **Khaliana Chitadze** - *Covid Pandemic and Tourism in Georgia* – 88
Tea Khorguashvili, **Natia Khorguashvili**, **Lia Nadiradze** - *Donor Financial Involvement and Coordination in Georgia Under Covid 19* – 93

Social Sciences and Law

Nugzar Abramishvili - *Logical Positivism and Traditional Philosophy* – 98
Klara Elchibegashvili - *The Human Problem in Philosophy* – 102
Ana Imnadze - *From Communication Ideas to Communication Theory* – 106
Malkhaz Lomsadze - *Presumption of Innocence in International and National Legislation* – 109
Nikoloz Midodashvili - *Democracy and the Challenges of The XXI Century* – 117
Nanuli (Nana) Tskhvedadze, **Ketevan Lomsadze** - *A Student's Fear and Mood Structure Components: Empirical Research and Outcomes* – 120

ლელა ალექსიძე, ლაურა ელიაური, ზურაბ ზერაკიძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატისტიკური სტრუქტურების ძალდებული შეფასებების და ძალდებული კრიტერიუმების შესახებ

საკვანძო სიტყვები: სტატისტიკური სტრუქტურა, ძალდებული შეფასება, ძალდებული კრიტერიუმი, განცალებადი სტრუქტურა, ჰიპოთეზა.

შემოვიტანოთ შემდეგი განსაზღვრებები (Zerakidze & Mumladze, 2015; Aleksidze & Zerakidze, 2015; Zerakidze & Eliauri, 2015)

განსაზღვრება 1. სტატისტიკური სტრუქტურა ეწოდება შემდეგ ობიექტს $\{E, S, \mu_i, i \in I\}$ სადაც (E, S) ზომადი სივრცეა, ხოლო $\{\mu_i, i \in I\}$ არის (E, S) ზომად სივრცეზე განსაზღვრული ალბათურ ზომათა ოჯახი.

განსაზღვრება 2. $\{E, S, \mu_i, i \in I\}$ სტატისტიკურ სტრუქტურას ეწოდება ორთოგონალური (სინგულარული), თუ ყოველი $i \neq j$ μ_i ორთოგონალურია μ_j.

განსაზღვრება 3. $\{E, S, \mu_i, i \in I\}$ სტატისტიკურ სტრუქტურას ეწოდება სუსტად განცალებადი, თუ არსებობს S-ზომადი $(A_i, i \in I)$ სიმრავლეები ისეთები, რომ

$$\mu_i(A_j) = \begin{cases} 1, & \text{თუ } i = j \\ 0, & \text{თუ } i \neq j \end{cases}.$$

განსაზღვრება 4. $\{E, S, \mu_i, i \in I\}$ სტატისტიკურ სტრუქტურას ეწოდება ძლიერად განცალებადი, თუ არსებობს დიზუნქტური S-ზომადი $(A_i, i \in I)$ სიმრავლეები, ისეთები, რომ, $\mu_i(A_i) = 1 \; \forall i \in I$.

მაგალითი 1. ვთქვათ $E = [0,1] \times [0,1]$, S ბორელის σ-ალგებრაა E-დან. განვიხილოთ S-ზომადი სიმრავლეები

$$X_i = \{0 \le x \le 1, \; y = i, \; i \in [0,1]\}.$$

და l_i იყოს ლებეგის წრფივი ზომები X_i-ზე $\forall i \in [0,1]$, მაშინ $\{[0,1] \times [0,1], S, l_i, i \in [0,1]\}$ ძლიერად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურაა.

მაგალითი 2. ვთქვათ $E = [0,1] \times [0,1] \times [0,1]$, S ბორელის σ-ალგებრაა E-დან. განვიხილოთ S-ზომადი სიმრავლეები $X_i = \begin{cases} 0 \le x \le 1, \; 0 \le y \le 1, \; z = 1, \; i \in [0,1]; \\ x = i - 2, \; 0 \le y \le 1, \; 0 \le z \le 1, \; i \in [2,3]; \\ 0 \le x \le 1, \; y = i - 4, \; 0 \le z \le 1, \; i \in [4,5] \end{cases}$

და l_i იყოს ლებეგის ბრტყელი ზომები X_i-ზე, მაშინ $\{[0,1] \times [0,1] \times [0,1], S, l_i, i \in [0,1] \cup [2,3] \cup [4,5]\}$ სუსტად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურაა, რომელიც ძლიერად განცალებადი არაა.

მაგალითი 3. ვთქვათ $E = [0,1] \times [0,1]$, S-ბორელის σ-ალგებრაა E-დან. განვიხილოთ S-ზომადი სიმრავლეები $X_i = \begin{cases} 0 \le x \le 1, \quad y = i, \; i \in (0,1] \\ 0 \le x \le 1, \; 0 \le y \le 1, \; i = 0 \end{cases}$

ხოლო l_i $i \in (0,1]$იყოს ლებეგის წრფივი ზომები X_i-ზე, $i \in (0,1]$, ხოლო l_0 იყოს ლებეგის ბრტყელი ზომა $[0,1]\times[0,1]$ -ზე, მაშინ $\{[0,1]\times[0,1], S, l_i, i \in [0,1]\}$ ორთოგონალური სტატისტიკური სტრუქტურაა, რომელიც არც სუსტად განცალებადია და არც ძლიერად განცალებადი.

ვთქვათ, I არის პარამეტრთა სიმრავლე, ხოლო L(I) არის მინიმალური σ-ალგებრა წარმოქმნილი ყველა ერთელემენტიანი სიმრავლეებით I-დან.

განსაზღვრება 5. ჩვენ ვიტყვით, რომ $\{E, S, \mu_i, i \in I\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს უცნობი პარამეტრების ძალდებულ შეფასებებს, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი ასახვა

$$T : (E, S) \to (\mathrm{I}, L(\mathrm{I}))$$

რომ

$$\mu_i(\{x : x \in E,\ T(x) = i\}) = 1\ \forall i \in I.$$

შენიშვნა 1. ცნობილია, რომ (Zerakidze & Mumladze, 2015) თუ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს უცნობთა პარამეტრების ძალდებულ შეფასებებს, მაშინ ასეთი სტატისტიკური სტრუქტურა ძლიერად განცალებადია და პირიქით ყოველი ძლიერად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურისათვის არ არსებობს უცნობთა პარამეტრების ძალდებული შეფასებები.

პარამეტრების I სიმრავლეების მაგივრად ავიღოთ ჰიპოთეზათა H სიმრავლე, B(H) აღვნიშნოთ მინიმალური σ-ალგებრა წარმოქმნილი ყველა $h \in \mathrm{H}$ ერთელემენტიანი ჰიპოთეზების სიმრავლეებით.

განსაზღვრება 6. ყოველ ზომად δ

$$\delta : (E, S) \to (\mathrm{H}, \mathrm{B}(\mathrm{H}))$$

ასახვას ეწოდება ჰიპოთეზათა შემოწმების კრიტერიუმი.

განსაზღვრება 7. ჩვენ ვიტყვით, რომ $\{E, S, \mu_h, h \in H\}$ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმს, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი ასახვა

$$\delta : (E, S) \to (\mathrm{H}, \mathrm{B}(\mathrm{H}))$$

რომ

$$\mu_h\{x : x \in E,\ \delta(x) = h\} = 1,\ \forall h \in \mathrm{H}.$$

შენიშვნა 2. ადვილი დასამტკიცებელია შემდეგი: (Aleksidze & Zerakidze, 2015; Zerakidze & Eliauri, 2015) თუ $\{E, S, \mu_h, h \in H\}$ უშვებს ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმს, მაშინ ასეთი სტატისტიკური სტრუქტურა ძლიერად განცალებადია. ზოგადად შებრუნებული დებულება ყოველთვის სამართლიანი არაა.

განვიხილოთ სტატისტიკური სტრუქტურები $\{E, S, \mu_{i_k}, k \in N\}$ და $\{E, S, \mu_{h_k}, k \in N\}$, $N = \{1, 2, \ldots, n, \ldots\}$.

თეორემა

თუ $\{E, S, \mu_{i_k}, k \in N\}, \{E, S, \mu_{h_k}, k \in N\}$, $N = \{1, 2, \ldots, n, \ldots\}$ ასეთი სტატისტიკური სტრუქტურები ან ორთოგინალურია, ან სუსტად განცალებადი, ან ძლიერად განცალებადი, მაშინ $\{E, S, \mu_{i_k}, k \in N\}$ ამ სტატისტიკური სტრუქტურისთვის არსებობს პარამეტრების ძალდებული შეფასებები, ხოლო $\{E, S, \mu_{h_k}, k \in N\}$ ამ სტატისტიკური სტრუქტურებისთვის არსებობს ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმები.

დამტკიცება. თეორემა დავამტკიცოთ ორთოგონალური სტატისტიკური სტრუქტურებისთვის, რადგან ცნობილია, რომ (Aleksidze & Zerakidze, 2015) ყოველი ძლიერად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურა სუსტად განცალებადია და ყოველი სუსტად განცალებადი სტატისტიკური სტრუქტურა ორთოგონალურია. რადგან $\{E, S, \mu_{i_k}, k \in N\}$, $N = \{1, 2, \ldots, n, \ldots\}$ სტატისტიკური სტრუქტურა ორთოგონალურია არსებობს ისეთი S-ზომადი $\{X_{i_{k_1}, i_{k_2}}\}$ სიმრავლეები, რომ $\mu_{i_{k_2}}(X_{i_{k_1}, i_{k_2}}) = 0$ და $\mu_{i_{k1}}(E - X_{i_{k_1}, i_{k_2}}) = 0$.

განვიხილოთ შემდეგი სიმრავლეები:

$$X_{i_{k1}} = \bigcup_{i_{k_2} \neq i_{k_1}} (E - X_{i_{k_1}, i_{k_2}}),$$

მაშინ $\mu_{i_{k1}}\left(X_{i_{k_1}}\right)=0$ და $\mu_{i_{k1}}\left(E-X_{i_{k_1}}\right)=1$. მეორე მხრივ, ყოველი $i_{k_2}\neq i_{k_1}$ $\mu_{i_{k_2}}\left(E-X_{i_{k_1}}\right)=0$. ე.ი. $\{E,S,\mu_i,i\in N\}$ სტატისტიკური სტრუქტურა სუსტად განცალებადია ე.ი. არსებობს ისეთი S-ზომადი $\{X_i,i\in N\}$ სიმრავლეები, რომ

$$\mu_i\left(X_j\right)=\begin{cases}1, & \text{თუ } i=j\\ 0, & \text{თუ } i\neq j\end{cases}.$$

განვიხილოთ შემდეგი სიმრავლეები:

$$\overline{X_i}=X_i-X_i\cap\left(\bigcup_{k\neq i}X_k\right)$$

ცხადია, რომ $\{\overline{X_i},i\in N\}$ S-ზომადი სიმრავლეებია და ეს სიმრავლეები დიზუნქტურია. ე.ი. $\overline{X_i}\cap\overline{X_j}=\varnothing,\quad\forall i\neq j$ და $\mu_i\left(\overline{X_i}\right)=1,\quad\forall i\in N$.

განვიხილოთ ასახვა $\delta:(E,S)\to(\mathrm{I},\mathrm{B}(\mathrm{I}))$ შემდეგი სახით.

$\delta(x)=i,$ თუ $x\in\overline{X_i}$,

მაშინ ცხადია, რომ δ ზომადი ასახვაა $(E,S)\to(\mathrm{I},\mathrm{B}(\mathrm{I}))$-ზე და

$$\{x:x\in E,\ \delta(x)=i\}=\{\overline{X_i}\},$$

$$\mu_i(x:\delta(x)=i)=1,\quad\forall i\in N.$$

ზუსტად ამავე გზით მტკიცდება, რომ თუ $\{E,S,\mu_{h_k},k\in N\}$, $N=\{1,2,\ldots,n,\ldots\}$ სტატისტიკური სტრუქტურა ორთოგონალურია, მაშინ ეს სტრუქტურა უშვებს ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმებს.

ბიბლიოგრაფია:

Aleksidze, L., & Zerakidze, Z. (2015). The consistent Criteria for Gaussian Homogeneus Isotropic Statistical Structures. *Report of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics*, *29.*

Zerakidze, Z., & Eliauri, L. (2015). The Consistent Criteria of Hypotheses for Gaussian Stationary Processes. *Report of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics*, *29.*

Zerakidze, Z., & Mumladze, M. (2015). *Statistical Structure and consistent critetis for checking hypolheges.* Saarbrucken: Deutshland-Lambert Academic Publishing.

Lela Aleksidze*, *Laura Eliauri*, *Zurab Zerakidze

Gori State University;

ON CONSISTENT ESTIMATORS AND CONSISTENT CRITERIA OF STATISTICAL STRUCTURES

RESUME

In the paper, we define consistent estimators and consistent criteria for statistical structures, we prove conditions for the existence of the consistent estimators and consistent criteria of hypotheses for statistical structures.

Keywords: Statistical structure, Consistent estimator, Consistent Criteria, Separable structure, Hypothesis.

ზურაბ ზერაკიძე, სოსო ცოტნიაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატისტიკური სტრუქტურებისა და განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურების შესახებ

საკვანძო სიტყვები: სტატისტიკური სტრუქტურები, სუსტად განცალებადი, ძლიერად განცალებადი, ძალდებული შეფასებები.

შემოვიტანოთ შემდეგი განსაზღვრებები (იხ. Zerakidze, 1986a; Zerakidze, 1986b)

განსაზღვრება 1. სტატისტიკური სტრუქტურა ეწოდება შემდეგ ობიექტს {E,S, μ_i, i∈I}, სადაც (E,S) ზოგადი სივრცეა, ხოლო {μ_i, i∈I} არის (E,S) ზოგად სივრცეზე განსაზღვრული ალბათურ ზომათა ოჯახი.

განსაზღვრება 2. განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურა ეწოდება შემდეგ ობიექტს {E,S, l_i, i∈I}, სადაც (E,S) ზომადი სივრცეა, ხოლო (l_i, i∈I} არის (E,S) ზომად სივრცეზე განსაზღვრული σ-სასრული ზომათა ოჯახი.

განსაზღვრება 3. {E,S, μ_i, i∈I} და {E,S, l_i, i∈I}, ეწოდებათ ორთოგონალური სტატისტიკური სტრუქტურა (ორთოგონალური განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურა) თუ ყოველი i≠j μ_i ორთოგონალურია μ_j (l_i ორთოგონალურია l_j ყოველი i≠j)

განსაზღვრება 4. ვამბობთ, რომ M= {E,S, μ_i, i∈I}, სტატისტიკური სტრუქტურა ექვემდებარება N= {E,S, μ_i, i∈I}, N={E,S, P_i, j∈I}, სტატისტიკურ სტრუქტურას, თუ არსებობს ისეთი $\rho_k \geq 0$ არაუარყოფითი ნამდვილი რიცხვები, რომ ყოველი μ_i აბსოლუტურად უწყვეტია $\sum_{k=1}^{\infty} p_k \rho_k$

ცნობილია შემდეგი თეორემა (იხ.[2]) ყოველი სტატისტიკური სტრუქტურა ან ექვემდებარება ორთოგონალურ სტატისტიკურ სტრუქტურას, ან ეკვივალენტურია თავის თავის.

განვიხილოთ განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურა {E,S, l_i, i∈I}, რადგან ყოველი l_i არის σ-სასრული ზომა, ამიტომ არსებობს ისეთი წყვილ-წყვილად თანაუკვეთი სიმრავლეები, { E_i, i∈I} , რომ $E = \bigcup_{k=1}^{\infty} E_k$ და $l_i(E_k) < +\infty$

განვიხილოთ ისეთი $\rho_k \geq 0$ ნამდვილი რიცხვები, რომ

$\mu(A) = \sum \rho_k l_i(A \cap E_k)$ იყოს კრებადი და μ(E)=1, მაშინ ცხადია, რომ μ ალბათური ზომაა და ეს ზომა ექვივალენტურია l_i σ-სასრული ზომისა. ამ შედეგის გამოყენებით განზოგადებული სტატისტიკური სტრუქტურების შესწავლა ბევრ შემთხვევაში დაიყვანება დაქვემდებარებული სტატისტიკური სტრუქტურის შესწავლამდე.

შენიშვნა 1. განზოგადოებული სტატისტიკური სტრუქტურების შესწავლის დროს l_i ზომების ზემოდან უწყვეტობის დადგენის შემთხვევაში იყენებენ შემდეგ განსაზღვრებას:

განსაზღვრება 5. l_i σ-სასრულ ზომას ეწოდება ზემოდან უწყვეტი A∈S სიმრავლეზე, თუ S ზომადი ნებისმიერი კლებადი სიმრავლეთა მიმდევრობისა.

$A_1 \supset A_2 \supset \ldots \supset A_n \supset \ldots$

რომლისთვისაც $\lim_{n\to\infty} E_n = A$,სრულდება $\lim_{n\to\infty} l_i(A_n) = l_i \lim_{n\to\infty}(A_n)$

შენიშვნა 2. ასეთი განსაზღვრება 5 გამოდგება სასრული ზომებისთვის, ხოლო σ-სასრული ზომებისთვის არ გამოდგება. მართლაც, განვიხილოთ

მაგალითი 1. ცნობილია ასეთი თეორემა: თუ (E,S) ზომად სივრცეზე განსაზღვრული გვაქვს სასრული ზომა, ანუ $\mu(E) < \infty$, მაშინ ყოველი ასეთი ზომა უწყვეტია ზემოდან, რადგანაც ყოველი სასრული ზომა ეკვივალენტურია ალბათური ზომისა, ამიტომ ყოველი ალბათური ზომაც უწყვეტია ზემოდან. ეს თეორემა სამართლიანი არ რჩება, თუ ზემოდან უწყვეტობის განსაზღვრაში σ-სასრული μ ზომისთვის არ მოვითხოვთ სიმრავლეთა მიმდევრობის $A_1 \supset A_2 \supset \ldots \supset A_n \supset \ldots$ წევრთა შორის ერთ-ერთისათვის მაინც $\mu(A_n) < +\infty$, პირობის შესრულებას.

მოვიყვანოთ მაგალითი: ვთქვათ μ არის მთვლელი ზომა N={1,2,...,...} ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეში, ანუ

$$\mu(A) = \begin{cases} card(A), \text{ თუ } A \text{ სასრული სიმრავლეა} \\ \infty, \text{ თუ } A \text{ უსასრულო სიმრავლეა} \end{cases}$$

ცხადია, E-ს როლში არის E={1,2,..., ...}. ცხადია, რომ μ(E)=∞ მაგრამ, E={1}U{2}U....U{n}U... და μ არის σ-სასრული ზომა. განვიხილოთ A_n={n,n+1,.....} n∈N

ცხადია, A_n კლებადი მიმდევრობაა $A_1 \supset A_2 \supset \ldots \supset A_n \supset \ldots$ და $\lim_{n\to\infty} A_n = \emptyset$. ერთი მხრივ გვაქვს $\mu(\lim_{n\to\infty} A_n) = \mu(\emptyset) = 0$, ხოლო მეორე მხრივ გვაქვს, რომ $\lim_{n\to\infty} \mu(A_n) = \infty$ ამიტომ, როცა μ σ-სასრული ზომაა ზემოდან უწყვეტობის შემდეგი განსაზღვრა არის სწორი.

განსაზღვრება 6. μ - σ-სასრულ ზომას ეწოდება ზემოდან უწყვეტი A∈S სიმრავლეზე, თუ ყოველი კლებადი $A_1 \supset A_2 \supset \ldots \supset A_n \supset \ldots$ მიმდევრობისთვის $(\forall A_n)$, რომლის ზღვარი არის A და რომლის ერთი წევრი მაინც აკმაყოფილებს $\mu(A_n) < \infty$. პირობას, სრულდება ტოლობა:

$$\mu(\lim_{n\to\infty} A_n) = \mu(A) = \lim_{n\to\infty} \mu(A_n) > \sigma$$

შენიშვნა 3. ცნობილია (იხ.[1]), რომ თუ სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს უცნობი პარამეტრების ძალდებულ შეფასებას, მაშინ ასეთი სტატისტიკური სტრუქტურა ძლიერად განცალებადია, მაგრამ შებრუნებული დებულება ზოგადად სამართლიანი არაა. ჩვენი მიზანია განვიხილოთ ისეთი სტატისტიკური სტრუქტურების ქვესიმრავლე, რომლისთვისაც სამართლიანია შებრუნებული დებულება. ვთქვათ, გვაქვს {E,S, μ_i, i∈I}, სტატისტიკური სტრუქტურა. განვიხილოთ ყოველი ფიქსირებული μ_i ალბათურ ზომის ზომა $\overline{\mu_i}$ და ამ $\overline{\mu_i}$ გარე ზომის ლებეგის აზრით ზომადი სიმრავლეები აღვნიშნოთ $\bar{S}$. ზოგადად $\overline{\mu_i}$ განსაზღვრულია $\forall A \subset 2^E$-თვის. ჩვენ თუ განვიხილავთ $\overline{\mu_i}$ მარტო ამ $\bar{S}$ σ-ალგებრაზე, მაშინ $\overline{\mu_i}$ გარე ზომა იქნება ზომა $\bar{S}$-ზე და ის არის μ_i.-ს გაგრძელება. აგრეთვე, ცნობილია, რომ $\overline{\mu_i}$ არის სრული ზომა, ანუ თუ $\overline{\mu}(B) = 0$, მაშინ $\forall A \subset B\ \overline{\mu_i}(A) = 0$ ე.ი $\overline{\mu_i}$არის სრული ზომა და ის μ_i.ზომის გაგრძელებაა. აღვნიშნოთ dom (μ_i) -ით σ-ალგებრა ყველა $\overline{\mu_i}$-ზომადი E ქვესიმრავლეებისა და ვთქვათ:

$$S_1 = \bigcap_{i\in I} dom(\mu_i)$$

განსაზღვრება 7. $\{E, S_1, \overline{\mu_i}, i \in I\}$ სტრუქტურას ეწოდება ძლიერად განცალებადი, თუ არსებობს ისეთი S_1 ზომადი სიმრავლეები { Z_i,i∈I}, რომ სრულდება შემდეგი ტოლობები:

1. $\overline{\mu_i}(z_i) = 1\ \forall i \in I$; 2. $z_i \cap z_j = \emptyset\ \forall i \neq j$ 3. $\bigcup_{i\in J} z_i = E$

განსაზღვრება 8. ჩვენ ვამბობთ, რომ ორთოგონალური სტატისტიკური სტრუქტურა $\{E, S_1, \overline{\mu_i}, i \in I\}$ უშვებს უცნობი პარამეტრების ძალდებულ შეფასებას, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი

δ: (E, S_1) →(I,B(I)) ასახვა, რომ

$$\overline{\mu_i}(\{x: x\epsilon E, \delta(x) = i\} = 1, \forall i \in I,$$

სადაც I არის პარამეტრთა სიმრავლე, ხოლო B(I) არის მინიმალური σ-ალგებრა წარმოქმნილი ყველა ერთელემენტიანი სიმრავლეებით I-დან.

თეორემა

თუ $\{E, S_1, \overline{\mu_i}, i \in I\}$ სტატისტიკური სტრუქტურა ძლიერად განცალებადია, მაშინ ასეთი სტატისტიკური სტრუქტურა უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებას.

დამტკიცება

რადგან სტატისტიკური სტრუქტურა $\{E, S_1, \overline{\mu_i}, i \in I\}$ ძლიერად განცალებადია, მაშინ არსებობს S_1-ზომადი სიმრავლეები {Z_i,i∈I} ისეთები, რომ

1. $\overline{\mu_i}(z_i) = 1\ \forall i \in I$; 2. $z_i \cap z_j = \emptyset\ \forall i \neq j$ 3. $\bigcup_{i\in J} z_i = E$

ყოველი x∈E განვსაზღვროთ ასახვა δ(x)=i, თუ x∈Z_i

ვთქვათ, Y∈B(I), მაშინ $\{x: \delta(x)\epsilon Y\} = \bigcup_{i\epsilon Y} Z_i$

უნდა ვაჩვენოთ, რომ $\{x: \delta(x)\epsilon Y\}\epsilon\ dom(\mu_i)\ \forall i\epsilon I$

თუ i_0 ϵY, მაშინ$\{x: \delta(x)\epsilon Y\} = \bigcup_{i\epsilon I} Z_i = Z_{i_0} \cup Z_i, i\epsilon Y - \{i_0\}$

ცხადია, რომ $Z_{i_0}\epsilon S_1 = \bigcap_{i\epsilon I} dom\overline{\mu_i} \subseteq (dom\overline{\mu_{i_0}})$, მეორე მხრივ

$$\bigcup_{i\epsilon Y-\{i_0\}} Z_i \subseteq (E - Z_{i_0})\}$$

აქედან გამომდინარეობს, რომ $\overline{\mu_{i_0}}(\bigcup_{i\epsilon Y-\{i_0\}} Z_i = 0\}$,

ე.ი

$$\bigcup_{i\epsilon Y-\{i_0\}} Z_i \epsilon\, dom(\overline{\mu_{i_0}})$$

რადგან $dom(\mu_{i_0})$ σ- ალგებრაა, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ

$$\{x: \delta(x)\epsilon Y\} = Z_{i_0} \cup (\bigcup_{i\epsilon Y-\{i_0\}} Z_i)\epsilon\, dom(\overline{\mu_{i_0}})$$

ვთქვათ, $i_0 \overline{\epsilon} Y$, მაშინ

$$\{x: \delta(x)\epsilon Y\} = \bigcup_{i\epsilon Y} Z_i \subseteq (E - Z_{i_0})$$

აქედან გამომდინარებს $\overline{\mu_{i_0}}\{x: \delta(x)\epsilon Y\} = 0$ ე.ი.

$\{x: \delta(x)\epsilon Y\}\epsilon\, dom(\overline{\mu_{i_0}})$,თუ Yϵ B(I), , $\forall i_0 \in I$ ე.ი. $\{x: \delta(x)\epsilon Y\}\epsilon \bigcap_{i\epsilon I} dom\overline{\mu_i} = S_1$

ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ასახვა δ: (E, S_1) →(I,B(I)) არის ზომადი და

$$\overline{\mu_i}(\{x: \delta(x) = i\} = (\overline{\mu_i}(Z_i) = 1, \forall i \in I$$

ამით თეორემა დამტკიცებულია.

ბიბლიოგრაფია:

Zerakidze, Z. (1986)a. Construction of statistical structures. *Theory of probability and application, XV* (3), 573-578.

Zerakidze, Z. (1986)b. On consistent estimates for families of probability measures. *5th Japan-USSR symposium on probability theory and mathematics statistics*, (pp. 62-63). Kyoto.

Zurab Zerakidze, Soso Tsotniashvili

Gori State University

ABOUT STATISTICAL STRUCTURES AND GENERALIZED STATISTICAL STRUCTURES

RESUME

In, the papers, we define statistical structures, generalization statistical structures. We prove conditions for the existence of the consistent estimates for strongly separate statistical structures.

Keywords: Statistical structures, Weakly separate, Strongly separate, Consistent estimates.

თამარ ნასყიდაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტული სისტემის ფორმირების და ფუნქციონირების ძირითადი ასპექტების შესახებ

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, საექსპერტო სისტემა, ცოდნის ბაზა, ლოგიკური დასკვნების მატრიცა, მეტაცოდნა, მუშა მეხსიერება, პროდუქტიული სისტემა.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების და მიღწევების სფეროში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სამეცნიერო მიმართულებამ, რომელიც „ხელოვნური ინტელექტი"-ს სახელითაა ცნობილი. ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება ინტელექტუალური ამოცანების გადაწყვეტა კომპიუტერული ტექნოლოგიებით, კერძოდ ხელოვნური ინტელექტის სისტემა წარმოადგენს ტექნიკური და პროგრამული საშუალებების ერთობლიობას - მოდელს, რომლის დანიშნულებაა გადაწყვიტოს არაფორმალიზებადი და ფორმალიზებადი ამოცანები მაშინ, როცა მათი გადაწყვეტის ალგორითმი წინასწარ არაა ცნობილი. უფრო ზუსტად, ასეთი სისტემების ძირითად დანიშნულებად და მახასიათებლად მიიჩნევა მონაცემების დამუშავებიდან ცოდნის დამუშავებაზე გადასვლა შემდეგი კომპონენტებით: ა) ბუნებრივი ენის გამოყენება (ორი ძირითადი მიმართულება: კითხვა-პასუხის სისტემა და მანქანური თარგმნის სისტემა); ბ) სახეთა გარჩევა (ეს სისტემა ეფუძნება მხედველობით-ხედვის და სმენით სისტემებს); გ) თეორემა და დამტკიცება; დ) თამაშთა მოდელები; ე) რობოტიკა; ვ) ექსპერტული სისტემები (მასში გაერთიანებულია ცოდნათა დიდი მოცულობა და წარმოადგენენ ადამიანი-ექსპერტისთვის ერთგვარ დამხმარე მანქანურ მოდელს); ზ) ცოდნათა ინჟინერია. გამოცდილებით დასტურდება, რომ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ისეთი ექსპერტული სისტემები (ე.ს), რომლებიც პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტისათვის ემყარებიან ცოდნის ბაზებში ჩაწერილ კონკრეტული დარგის სპეციალისტთა გამოცდილებას. ექსპერტული სისტემა ახორციელებს არაფორმალიზებული ცოდნის ბაზის ანალიზს, იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას და ირგებს ე.წ. ექსპერტის როლს. ცოდნაზე დაფუძნებული სისტემები წარმოადგენენ პროგრამული უზრუნველყოფის სისტემებს, რომელთა სტრუქტურული ელემენტებია ცოდნის ბაზა და დასკვნების მექანიზმი, ეს სისტემები კი უპირველეს ყოვლისა ექსპერტული სისტემებია, რომლებიც გადაამუშავებენ ცოდნის ტიპის ინტელექტუალურ ინფორმაციას და წარმოადგენენ პირველ ნაბიჯებს ხელოვნური ინტელექტის მიღწევათა პრაქტიკაში დასანერგად; აქედან გამომდინარე, ექსპერტული სისტემა არის ინტელექტუალური პროგრამა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა გააკეთოს სფეროს ცოდნათა ბაზაზე დაყრდნობით კონკრეტული საგნობრივი ლოგიკური დასკვნები და უზრუნველყოს სპეციფიკური ამოცანების გადაწყვეტა. ექსპერტული სისტემის სტრუქტურირების პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი აუცილებელი ელემენტების ფორმირება:

1. ცოდნის ბაზა, რომლის დანიშნულებაა კონკრეტული დარგის ან სფეროს ცოდნათა დაგროვება, შენახვა და მართვა;
2. ლოგიკური დასკვნების მატრიცა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ბაზაში მოთავსებული ცოდნის და საწყისი მონაცემების საფუძველზე სათანადო ლოგიკური დასკვნების გაკეთებას;
3. რჩევებისა და განმარტებების მოდელი, რომელიც მომხმარებელთან დასკვნების მიწოდებასთან ერთად ახდენს კომენტირებას მომხმარებლისათვის გასაგებ ენაზე;
4. ინფორმაციის მიწოდების მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ბაზის მოდიფიცირებას და შევსებას ექსპერტის მიერ - საჭიროების შემთხვევაში;
5. მომხმარებლის ინტერფეისი, რომელიც ამყარებს მომხმარებლის და ექსპერტის საჭირო მოდულებთან კავშირებს.

კონკრეტულ ექსპერტულ სისტემაში ინფორმაციის დამუშავებისას თითოეული ამ ელემენტის ფუნქცია შეიძლება იყოს გაძლიერებული. კერძოდ, გამოყენებული ცოდნის წარმოდგენის ენა უნდა განვიხილოთ, როგორც ექსპერტული სისტემის დამუშავების ენა, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებს, წარმოადგენენ ექსპერტული სისტემების დასამუშავებელ ინსტრუმენტებს. ხელოვნური ინტელექტისა და ცოდნის ინჟინერიის თვალსაზრისით აუცილებელია ცოდნის დაკავშირება ლოგიკურ დასკვნებთან. ამიტომ შეიძლება ჩამოყალიბდეს ცოდნის განსაზღვრება, რომელიც უკავშირდება ფორმალიზებულ ინფორმაციას, რომელსაც იყენებენ ლოგიკური დასკვნების გაკეთების პროცესში. თუ ცოდნას განვიხილავთ რაიმე სფეროში ამოცანათა გადაწყვეტის თვალსაზრისით, იგი შეიძლება დავყოთ ორ კატეგორიად: ფაქტებად და ევრისტიკებად.

პირველ კატეგორიაში უნდა ვიგულისხმოთ ცნობილი ფაქტები ანუ ტექსტური ცოდნა, რომელთა მოძიება შესაძლებელია სპეციალურ ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში. ევრისტიკული ცოდნა კი დაფუძნებულია ადამიანი-ექსპერტის გამოცდილებაზე, რომელიც მას დაუგროვდა გარკვეული დროის განმავლობაში. სწორედ ამ ცოდნას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა ექსპერტული სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლებისათვის. მეორე მხრივ, ცოდნა შეიძლება დავყოთ ფაქტებად (ფაქტიური ცოდნა), წესებად (გადაწყვეტილების მიღების ცოდნა) და ცოდნათა თვისებებზე დაფუძნებულ **მეტაცოდნად**, რომელიც მიუთითებს ცოდნათა გამოყენების შესაძლებლობებზე. თუ კი პრობლემური სფეროს შესახებ ცოდნას დავარქმევთ წარდგინების ცოდნის ნულოვან დონეს, მაშინ წარდგინების პირველი დონე მოიცავს მეტაცოდნას, ანუ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ არის სისტემის შიდა სამყაროში წარმოდგენილი ნულოვანი დონის ცოდნა. პირველი დონე მოიცავს ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორი საშუალებები გამოიყენება ნულოვანი დონის ცოდნის წარდგენისათვის. პირველი დონის ცოდნა სისტემის მიერ ცოდნის მიღების და ქმედების ახსნისას ასრულებს მნიშვნელოვან როლს გადაწყვეტილების მიღების (პრობლემის გადაჭრის) პროცესში. იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი დონის ცოდნა არ ეყრდნობა ნულოვანი დონის ცოდნას, პირველი დონის ცოდნა დამოუკიდებელი პრობლემატური სფეროდან განიხილება . წარმდგენი დონეების რაოდენობა შესაძლებელია იყოს ორზე მეტი. წარდგენის მეორე დონე მოიცავს ინფორმაციას პირველი დონის ცოდნის შესახებ, ანუ პირველი დონის ძირითადი ცნებების წარდგენის ცოდნის შესახებ. ცალკეული ცოდნა, წარდგენის დონეზე უზრუნველყოფს სისტემის მოქმედების გაფართოებას. დეტალიზებული დონეების გამოყოფა იძლევა საშუალებას დეტალურად განიხილებოდეს ცოდნა სხვადასხვა ხარისხში და ამ დონეების რაოდენობა ხშირად განისაზღვრება გადასაჭრელი პრობლემის სპეციფიურობიდან, ცოდნის მოცულობით და წარდგენის მეთოდით. როგორც წესი, გამოიყოფა დეტალურობის არანაკლებ სამი დონე, რომლებიც ასახავენ ცოდნის ორგანიზაციის შესაბამის საერთო, ლოგიკურ და ფიზიკურ დონეს. დეტალურობის რამდენიმე დონის შემოტანა უზრუნველყოფს სისტემის მოქნილობის დამატებით ხარისხს, რადგან იძლევა საშუალებას აწარმოოს ცვლილებები სხვა დონეებისაგან დამოუკიდებლად - ერთ დონეზე. დეტალურობის ერთ დონეზე ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს ამავე დონეზე დამატებითი ცვლილებები, რაც თურმე აუცილებელია მონაცემთა სტრუქტურის და პროგრამების ურთიერთშეთანხმების უზრუნველყოფისათვის. მაგრამ, სხვადასხვაგვარი დონეების არსებობა ხელს უშლის ერთი დონიდან სხვა დონეებზე ცვლილებების განხორციელებას.

რაც შეეხება ცოდნის ორგანიზაციას მუშა სისტემაში, მნიშვნელოვანია მისი ფუნქციური დატვირთვა - ექსპერტულ სისტემის მუშა მეხსიერების დანიშნულებაა მონაცემთა შენახვა. მუშა მეხსიერებაში მონაცემები შესაძლებელია იყოს ერთგვაროვანი ან მონაცემთა ტიპების მიხედვით დაიყოს დონეებად. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, მუშა მეხსიერების თითოეულ დონეზე შეინახება შესაბამისი ტიპის მონაცემები. დონეების დაყოფა ართულებს ექსპერტული სისტემის სტრუქტურას, მაგრამ უზრუნველყოფს სისტემის ეფექტურობას. მაგალითად, შესაძლებელია გამოიყოს სამოქმედო გეგმის დონე, დღის წესრიგი (წესების სიის დალაგება-დახარისხება, რომელიც მზადყოფნაშია შესრულებისთვის) და საგნობრივი ცოდნის მონაცემთა დონე (გადაწყვეტილების მიღების დონე). თანამედროვე ექსპერტულ სისტემებში მუშა მეხსიერებაში მონაცემები, განიხილება როგორც იზოლირებული, ასევე დაკავშირებული მონაცემები. პირველ შემთხვევაში მუშა მეხსიერება შედგება მრავალი მარტივი ელემენტისაგან, ხოლო მეორე შემთხვევაში - ერთი ან რამდენიმე (მუშა მეხსიერების რამდენიმე დონის შემთხვევაში) რთული ელემენტისგან (ობიექტისგან). ამავდროულად, რთული ელემენტი შეესაბამება მრავალ მარტივ, ერთიან „ობიექტად“ გაერთიანებულ ელემენტებს. თეორიულად ორივე მიდგომა უზრუნველყოფს სრულფასოვნებას, მაგრამ რთულ საგნობრივ სფეროებში იზოლირებული ელემენტების გამოყენებას მივყავართ ეფექტიანობის კარგვისკენ.



პროდუქტიული სისტემის კონფიგურაცია

მუშა მეხსიერებაში მონაცემები ყველაზე მარტივ შემთხვევაშიც კი, არიან მუდმივები (კონსტანტა) და/ან ცვლადები. ამასთან ცვლადები შესაძლებელია განიხილებოდნენ, როგორც ზოგიერთი ობიექტის მახასიათებლები, ხოლო მუდმივები - როგორც შესაბამისი მახასიათებლების მნიშვნელობები. თუ მუშა მეხსიერებაში მოითხოვება რამდენიმე სხვადასხვა ობიექტის ანალიზი, რომლებიც აღწერენ მიმდინარე პრობლემურ სიტუაციას, მაშინ აუცილებელია მიეთითოს თუ რომელ ობიექტთანაა კავშირში განხილული მახასიათებლები. ამ ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდი არის ის, რომ კონკრეტულად, აშკარად მიეთითოს, თუ რომელ ობიექტს ეკუთვნის მახასიათებელი.

თუ მუშა მეხსიერების მონაცემები შედგება რთული ელემენტებისაგან, მაშინ ცალკეულ ობიექტებს შორის კავშირი უნდა მიეთითოს ნათლად, მაგალითად: „განსაზღვრე სემანტიკური ურთიერთობები“, ამასთან, ყველა ობიექტს შესაძლებელია გააჩნდეს საკუთარი შიგა სტრუქტურა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მუშა მეხსიერებაში მონაცემთა ძებნის დაჩქარებისა და შესაბამისობის დადგენისთვის შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არა მარტო ლოგიკური, არამედ აცოსიატიური ობიექტებიც.

ამგვარად, ექსპერტულმა სისტემამ, იმისათვის რომ შეძლოს კონკრეტული ამოცანის ამონახსნის ძებნის პროცესის მართვა, ჰქონდეს უნარი შეიძინოს ახალი ცოდნა და ახსნას საკუთარი ქმედებები, მას უნდა შეეძლოს გამოიყენოს არა მარტო საკუთარი ცოდნა, არამედ უნდა ჰქონდეს მათი გაგების და გამოკვლევის უნარიც, ანუ ექსპერტულ სისტემას უნდა გააჩნდეს ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ არის წარდგენილი ცოდნა პრობლემური სფეროს შესახებ.

ბიბლიოგრაფია:

ფრანგიშვილი, ა., & სამხარაძე, რ. (2002). *ენერგოსისტემების მართვის ექსპერტული სისტემების აგების თეორია.* თბილისი: მეცნიერება.

Поспелов, Д. А. (1989). Экспертные системы:состояние и перспективы. *Сборник научных трудов.* Москва: Наука.

Самхарадзе, Р., Габарашвили, А., & Гачечиладзе, Л. (2004). Использование сетей Петри в продукционных системах. *Сборник докладов Международной научной конференции «Проблемы управления и энергетики», 8.* Тбилиси.

Уэно, Х., Кояма, Т., Окамото, Т., Мацуби, Б., & Исидзука, М. (1989). *Представление и использование знаний.* Москва-Токио: Мир.

Tamar Naskidashvili

Gori State University

ABOUT KEY ASPECTS OF EXPERT SYSTEM FORMING AND FUNCTIONING

RESUME

The expert system analyzes the non-formalized knowledge base, makes a specific decision and builds a so-called The Role of the Expert. Knowledge-based systems are software systems, the structural elements of which are the knowledge base and the mechanism of conclusions, and above all, these systems are expert systems that process knowledge-type intellectual information and are the first steps to put artificial intelligence into practice. An expert system is an intelligent program that has the ability to make logical subjective conclusions based on the knowledge base of the field and provide solutions to specific tasks. The paper also discusses the formation of the main element of the expert system - databases and the formation of working memory based on it. It should also have the ability to understand and investigate them, i.e. the expert system must have knowledge of how knowledge is presented about the problem area.

Keywords: Artificial intellect, Expert system, Base of knowledge, Matrix of logical inference, Metaknowledge, Worker memory, Productive system.

ლალი აზმაიფარაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აღდგენითი საშუალებების გამოყენება სპორტში

საკვანძო სიტყვები: აღდგენითი საშუალებები, ფიზიკური დატვირთვა, სპორტი, გამძლეობა.

ვარჯიშისა და შეჯიბრის შემდეგ სპორტსმენის ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას და შესაბამისად სპორტული მუშაობისუნარიანობის აღდგენას, ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის მომზადების საქმეში.

ფიზიკური დატვირთვა ხასიათდება იმით, რომ ის იწვევს ორგანიზმში ფუნქციურ და სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც საფუძვლად უდევს დაქანცვის (დაღლის) პროცესის განვითარებას.

დაქანცვა კანონზომიერი ფიზიოლოგიური პროცესია, რომელიც შეიძლება ხასიათდებოდეს დაღლით, ნივთიერებათა ცვლისა და ძირითადი ფიზიოლოგიური პროცესების დარღვევით, ფიზიკურ დატვირთვაზე რეაქციის შეცვლით (გაუარესებით) ენერგიული მარაგის შემცირებით და საერთო სპეციალური შრომისუნარიანობის დაქვეითებით.

აღსანიშნავია, ისიც რომ დაქანცვის შედეგად ორგანიზმში ვითარდება ე.წ. კვალის პროცესები, რაც შემდეგში ხელს უწყობენ უფრო მაღალი შრომისუნარიანობისა და ადაპტაციის განვითარებას, ამიტომ დაქანცვამდე (დაღლამდე) ორგანიზმის მიყვანა დადებით გავლენას ახდენს როგორც ცალკეულ ფიზიოლოგიურ ორგანოთა სისტემაზე, ისე მთლიანად მთელ ორგანიზმზე მისი ფუნქციური მდგომარეობის სრულყოფის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ დაქანცვის ხარისხი არ უნდა ჭარბობდეს შესრულებულ მუშაობას.

დაქანცვის შემდეგ ორგანიზმში იწყება აღდგენითი პროცესების განვითარება, რომლის დროსაც ადგილი აქვს საწყის მდგომარეობამდე (ან მასთან მიახლოებით) ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობისა და შრომისუნარიანობის აღდგენას.

ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, აღდგენითი პროცესების ნორმალურად (ფიზიოლოგიურად) წარმართვა, რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, კერძოდ: შესრულებულ მუშაობაზე, სპორტსმენის მდგომარეობაზე, გარემო პირობებზე და განსაკუთრებით წვრთნის რეჟიმზე.

არჩევენ ადრეულ აღდგენას (როდესაც მოხდება ჟანგბადზე დავალიანების აღდგენა) და მოგვიანებით აღდგენას (როდესაც დამთავრდება ენერგეტიკული პროცესებისა და ფიზიოლოგიური სისტემების ფუნქციური მდგომარეობის და მუშაობისუნარიანობის აღდგენა). აღსანიშნავია ამ დროს ჰეტეროქრონიზმის გათვალისწინება, რომლის დროსაც არა ერთნაირად ხდება ზემოაღნიშნული მაჩვენებლების აღდგენითი პროცესი.

აღდგენითი პროცესების ოპტიმიზაციის მთავარ გზას მიეკუთვნება: რაციონალური წვრთნა და დასვენების რეჟიმი, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ჰიგიენის დაცვა და გადაწვრთნის თავიდან აცილება.

სპორტულ პრაქტიკაში გამოიყენება აღდგენითი საშუალებების შემდეგი კლასიფიკაცია: პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და სამედიცინო. პედაგოგიურ აღდგენით საშუალებებს მიეკუთვნება წვრთნისა და დასვენების რეჟიმის ოპტიმიზაცია, რომლის დროსაც უნდა ხდებოდეს ფიზიკური დატვირთვისა და დასვენების პროცესის რეგულირება. აღდგენითი პროცესების პედაგოგიური საშუალებებით შესაძლებელია ფიზიკური დატვირთვების სწორედ განაწილება და შესაბამისი ფიზიკური ვარჯიშებით (მაგალითად, კროსებით, სუნთქვითი ვარჯიშითა და სხვა) აღდგენითი პროცესების დაჩქარება.

ფსიქოლოგიური აღდგენითი საშუალებები ხელს უწყობენ ნერვული ფსიქოლოგიური დაძაბულობის მოხსნას და შესაბამისად აღდგენითი პროცესების დაჩქარებას. ამ მიზნით გამოიყენება ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საშუალებები, რომლის დროსაც წამყვანი მნიშვნელობა აქვს მწვრთნელის მიერ სპორტსმენისათვის მორალური კლიმატის შექმნას და დადებითი ფსიქოლოგიური ზემოქმედებით

მისი ფსიქოლოგიური სტატუსის გაუმჯობესებას. სპორტსმენის ფსიქოლოგიური მდგომარეობის რეგულირება ჰიპნოზის საშუალებითაც შეიძლება და სხვ.

სამედიცინო საშუალებით სპორტული მუშაობისუნარიანობა გულისხმობს ისეთ ღონისძიებების (პროცედურების) ჩატარებას, რომლის დროსაც ადგილი აქვს ორგანიზმის იმუნობიოლოგიური ძალების აღდგენა-მობილიზაციას, ფერმენტული ცვლის მოწესრიგებას, სტრესული სიტუაციების მოხსნას, დოპინგის მიღების თავიდან აცილებას, ფარმაკოლოგიური და ფიზიკური ფაქტორებით აღდგენითი მკურნალობის ჩატარებას და სხვ. ამ ყველა ღონისძიებების გატარება აუცილებლად ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ხორციელდებოდეს.

აღდგენითი საშუალებების გამოყენება სპორტში ძირითადად კომპლექსური წესით წარმოებს. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სპეციალური შრომისუნარიანობის, ისე ფიზიოლოგიურ ორგანოთა სისტემების ფუნქციონირების საკითხი. სპორტის ის სახეობები, რომლებიც უპირატესად ავითარებენ ფიზიკურ თვისებას - გამძლეობას, აღდგენითი საშუალებები ძირითადად მოქმედებენ გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემებზე (კარდიო-რესპირატორულ სისტემაზე). იქ, სადაც სპორტული წვრთნა უპირატესად ავითარებს სისწრაფესა და ძალას, აღდგენითმა ღონისძიებებმა უნდა იმოქმედონ ნერვ-კუნთოვან სისტემაზე, ხოლო რთულ ტექნიკურ სპორტის სახეობებში მოვარჯიშე სპორტსმენთან შრომისუნარიანობის აღდგენითი საშუალებები ცენტრალურ ნერვულ სისტემასა და ანალიზატორებზე ახდენენ ზეგავლენას.

ბიბლიოგრაფია:
სვანიშვილი, რ., & კახაბრიშვილი, ზ. (2010). *სპორტული მედიცინა და კინეზოთერაპია.* თბილისი.

Lali Azmaiparashvili
Gori State University

USE OF RESTORATIVES IN SPORTS
RESUME

There is the following classification of rehabilitation types in the sports practice: pedagogical, psychological and medical, during which the regulation of physical workload and relaxation must be observed.

Keywords: Restoratives, Physical load, Sports, Endurance.

გია ედიშერაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შიდა ქართლის მობუდარი ფრინველების რეპროდუქციული პერიოდის ფენოლოგია და თავისებურებანი

საკვანძო სიტყვები: შიდა ქართლი, მობუდარი ფრინველები, რეპროდუქციული პერიოდის ფენოლოგია.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და შემცირების მიზნით, სამუშაოთა წარმოების დაწყებამდე აუცილებელია განხორციელდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ). გზშ გულისხმობს გარემოს

ყველა კომპონენტის (ნიადაგი, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო და ა.შ.) შესწავლას პროექტის არეალში, მათზე ზემოქმედების ხასიათის და მასშტაბების განსაზღვრას და შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებას. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე შემარბილებელ ღონისძიებად შეიძლება მიჩნეულ იქნას პროექტში ცვლილებების შეტანა, მისი ადგილმდებარეობის ან საზღვრების შეცვლა, განხორციელების ვადების კორექტირება და მრავალი სხვა არაქმედების (ნულოვანი ანუ პროექტის განხორციელებაზე უარის თქმა) ვარიანტის ჩათვლით. კერძოდ, ფაუნაზე ზეგავლენის შერბილებისა და აცილების თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო პროცესი არ დაემთხვეს ცხოველთა გამრავლების პერიოდს, ვინაიდან ისინი ამ დროს განსაკუთრებულად მგრძნობიარე და ხშირად დაუცველნი არიან ნებისმიერი შეშფოთების მიმართ. პროექტის არეალში არსებული ფაუნის სახეობრივი შემადგენლობის დადგენა და მათ სასიცოცხლო ციკლში რეპროდუქციული პერიოდის ცალკეული ეტაპების ცოდნა დროში, აუცილებელი წინაპირობაა ნეგატიური ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად ან შესარბილებლად. ბოლო წლებში საქართველოში და, კერძოდ, შიდა ქართლშიც მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ბუნებრივ კომპლექსებზე, მათ შორის ფაუნაზე. 1979 წლიდან შიდა ქართლის ორნითოფაუნის შესწავლის პროცესში, სხვა საკითხებთან ერთად, შეგროვდა ფაქტობრივი მასალა აქ გავრცელებული ფრინველების გამრავლების პერიოდის ფენოლოგიის და რეპროდუქციული პერიოდის თავისებურებების შესახებ, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგიონში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში.

ცნობილია, რომ სახეობის ბიოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე და კონკრეტული ეკოლოგიური პირობების ზეგავლენით რეპროდუქციულ პერიოდში ფრინველებს შეიძლება ჰქონდეთ გამრავლების ერთი, ორი და მეტი ციკლი. რეპროდუქციულ ციკლში გამოჰყოფენ ექვს ფაზას. ორი - ბუდის მშენებლობა და ინტერვალი მის დამთავრებასა და კვერცხდებას შორის, მოსამზადებელი პერიოდია. სამი - კვერცხდება, ინკუბირება და ბუდეში მყოფი ბარტყების გამოკვება - საკუთრივ ბუდობის პერიოდი და ერთიც - ბუდობის შემდგომი პერიოდი (Ковшарь, 1981). ცალკეული ფაზებისა და რეპროდუქციული ციკლის ჯამური ხანგრძლივობა და ასევე განსხვავება დროში ცალკეულ ციკლებს შორის მთლიანად გამრავლების სეზონში შეიძლება მნიშვნელოვნად მერყეობდეს. ეს ცვლილებები სპეციფიკურია ცალკეული სახეობებისათვის სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებში. აქვთ თავისი თავისებურებები და სავარაუდოდ ადაპტიურ ხასიათს ატარებენ (Ковшарь, 1981). ერთი და იგივე ადგილშიც რეპროდუქციული პერიოდის ცალკეული ციკლებისა და ფაზების ფენოლოგია კონკრეტული წლის მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. ქვემოთ (ცხრილი 1) მოცემულია შიდა ქართლში მობუდარი ფრინველების რეპროდუქციული პერიოდის ფენოლოგია და თავისებურებები.

ცხრილი 1. შიდა ქართლის მობუდარი ფრინველების რეპროდუქციული პერიოდის ფენოლოგია და თავისებურებები.

№	სახეობა	კვერცხდების დაწყების ვადები	ინკუბაციის ვადები (დღეები)	ბარტყების ბუდეში ყოფნის ვადები (დღეები)	ბარტყების გამოკვება ბუდის მიტოვების შემდეგ (დღეები)	ციკლების რაოდენობა	ბარტყების დაფრენის ბოლო თარიღი
1	2	3	4	5	6	7	8
1.	*Coturnix coturnix)*	22.04 – 14.07(n=23)	17-19	1-2 ს	4-5	2-3?	20.08
2.	*Neophron percnopterus*	23.03 – 11.04 (n=6)	41 - 44	70 - 90	-	1	10.08
3.	*Buteo buteo*	08.04 – 26.04 (n=7)	29-31	40 - 45	26 - 32	1	14.07
4.	*Accipiter nisus*	10.04 – 03.05 (n=4)	32 - 33	28 - 34	12 - 17	1	09.07
5.	*Accipiter gentilis*	16.04 (n=1)	38	40	35	1	02.07
6.	*Falco tinnunculus*	26.04 – 03.06 (n=12)	29 - 31	31 - 32	15 - 20	1	02.08
7.	*Falco subbuteo*	22.05(n=1)	28	29	32	1	03.08
8.	*Actitis hypoleucos*	28.04 – 16.06 (n=11)	21 - 22	1	10 - 15	1	22.07

9.	*Columba oenas*	06.04 – 23.05 (n=3)	17	26	4	2	10.07
11.	*Columba palumbus*	10.05 – 27.05 (n=9)	17 - 18	21 - 22	2 - 3	1 - 2	07.07
12.	*Streptopelia turtur*	08.05 – 26.06 (n=12)	13 - 14	19 - 23	2 - 3	2	30.07
13.	*Asio otus*	18.04 – 06.05 (n=16)	27 - 28	22 - 2	25 - 30	1	27.06
14.	*Strix aluco*	23.03 (n=1)	30	31 - 33	16 - 18	1	26.05
15.	*Athene noctua*	16.04 – 19.04 (n=2)	28	28 - 30	15 - 17	1	-
16.	*Otus scops*	12. 05 – 23.05 (n=5)	24 - 25	21 - 25	10 - 15	1	-
17.	*Apus apus*	12.05 – 22.05 (n=8)	16 - 18	30 - 40	-	1	17.07
18.	*Upupa epops*	04.05 – 28.06 (n=14)	16 - 18	22 - 24	10 - 13	1 - 2	10.08
19.	*Dryocopus martius*	13.05 – 19.05 (n=2)	13 = 14	28 - 30	-	1	-
20.	*Picus viridis*	02.04 (n=1)	16	19	22	1	-
21.	*Dendrocopos major*	26.04 – 14.05 (n=6)	12 - 13	20 - 24	26 - 30	1	23.06
22.	*Alauda arvensis*	14.04 – 16.06 (n=21)	13 - 14	8 - 10	6 - 8	2	09.07
23.	*Riparia riparia*	18.05 – 26.06 (n=34)	13 - 15	18 - 19	5 - 7	1 – 2?	06.08
24.	*Hirundo rustica*	08.05 – 02.06 (n=19)	14	19 - 21	6 - 8	2 – 3	04.08
25.	*Delichon urbicum*	10.05 – 28.06 (n=26)	14 - 16	23 - 25	10 - 20	2	14.08
26.	*Anthus spinoletta*	26.05 – 18.07 (n=16)	14	12 - 14	5 - 6	2	16.08
27.	*Anthus trivialis*	13.05 – 06.07 (n=7)	12 - 13	12 - 13	7 - 9	2	05.08
28.	*Motacilla alba*	12.04 – 23.07 (n=15)	12 - 14	12 - 13	6 - 7	2 – 3?	20.08
29.	*Motacilla cinerea*	16.04 – 20.07 (n=9)	14	13 - 15	6 - 7	2	15.08
30.	*Cinclus cinclus*	10.04 – 12.06 (n=8)	15 - 17	20 - 23	12 - 15	2	24.07
31.	*Prunella modularis*	09.05 – 26.07 (n=18)	12 - 13	12 - 13	7 - 8	1 - 2	25.08
32.	*Erithacus rubecula*	11.04 – 08.07 (n=26)	13 - 15	13 - 16	12 - 14	1 - 2	05.08
33.	*Luscinia megarhynchos*	08.05 – 20.05 (n=20)	12 - 14	11 - 13	15 - 18	1	14.06
34.	*Phoenicurus phoenicurus*	20.04 – 24.06 (n=29)	13 - 15	13 - 15	5 - 7	1 - 2	22.07
35.	*Ph. ochrurus*	05.05 – 02.07 (n=22)	13 - 14	14 - 16	8 - 10	1 - 2	03.08
36.	*Oenanthe oenanthe*	12.05 – 28.06 (n=16)	13 - 14	13 - 16	5 - 6	1 - 2	19.07
37.	*Saxicola rubetra*	13. 05 – 03.06 (n=7)	12 - 13	12 - 13	16 - 20	1	28.06
38.	*Saxicola torquata*	08.05 – 09.06 (n=23)	13 - 14	12 - 13	10 - 12	1 - 2	04.08
39.	*Turdus philomelos*	14.04 – 18.07 (n=17)	12 -13	13 - 15	6 - 7	2	13.08
40.	*T. viscivorus*	13.04 – 26.06 (n=14)	13 - 14	14 - 16	10 - 12	2	29.07
41.	*T. merula*	08.04 – 10.08 (n=39)	13 - 14	12 - 15	5 - 7	2 - 3	31.08
42.	*Sylvia nisoria*	10.05 – 18.06 (n=11)	12 - 14	10 - 12	13 - 16	1	14.07
43.	*S. atricapilla*	02.05 – 10.07 (n=30)	12 - 13	10 - 11	8 - 10	2	07.08
44.	*S. communis*	29.04 – 15.06 (n=21)	11 - 13	11 – 13	10 - 12	1 - 2	06.07
45.	*S. curruca*	16.05 – 04.07 (n=16)	11 - 12	10 - 12	18 - 20	1 - 2	25.07
46.	*Acrocephalus palustris*	18.05 – 20.06 (n=9)	11 - 13	12 - 13	15 - 18	1	21.07
47.	*Phylloscopus collybita*	04.05 – 18.07 (n=36)	13 - 14	14 - 15	6 - 8	1 - 2	02.08
48.	*Ph. lorenzii*	28.05 – 21.06 (n=12)	14 - 15	14 - 16	8 - 10	1	04.07
49.	*Ph. nitidus*	18.05 – 15.07 (n=17)	13 - 14	14 - 15	-	1 - 2	12.08
50.	*Regulus regulus*	10.05 – 01.06 (n=2)	15	13 - 15	12 - 15	1	02.07
51.	*Troglodytes*	21.4 – 08.07 (n=13)	14 - 16	11 - 14	7 - 8	2	04.08

	troglodytes						
52.	*Muscicapa striata*	27.04 – 13.06 (n=6)	12 - 14	11 - 14	18 -20	1 – 2?	10.07
53.	*Ficedula parva*	29.05 – 27.06 (n=2)	12 - 13	12 - 13	12 - 13	1 – 2?	23.07
54.	*Parus major*	28.03 – 26.06 (n=67)	13 - 14	15 - 20	7 - 10	2	28.07
55.	*Parus ater*	07.04 – 08.07 (n=29)	13 - 14	16 - 19	5 - 7	1 - 2	12.08
56.	*Parus caeruleus*	12.04 – 12.06 (n=19)	12 - 14	16 - 18	6 - 9	2	15.07
57.	*Aegithalos caudatus*	11.04 – 02.06 (n=10)	12 - 13	16 - 18	10 - 15	1 - 2	06.07
58.	*Remiz pendulinus*	10.05 – 06.06 (n=6)	13 - 14	16 - 19	6 - 8	1	08.07
59.	*Sitta europea*	18.04 – 02.06 (n=12)	14 - 16	20 - 22	-	1 - 2	07.07
60.	*Certhia familiaris*	23.04 – 18.06 (n=8)	13 - 15	17 - 19	5 - 7	1 - 2	20.07
61.	*Lanius collurio*	05.05 – 09.06 (n=28)	14 - 16	14 - 18	15 - 20	1	10.07
62.	*Pica pica*	12.04 – 26.05 (n=47)	17 - 18	21 - 24	20 - 25	1	03.07
63.	*Garrulus glandarius*	14.04 – 08.06 (n=14)	16 - 17	19 - 20	20 - 25	1 – 2?	15.07
64.	*Corvus cornix*	26.03 – 11.05 (n=27)	18 - 19	28 - 33	35 - 40	1	15.08
65.	*Corvus corax*	16.03 – 20.04 (n=4)	19 - 21	38 - 42	30 - 40	1	22.06
66.	*Passer domesticus*	18.03 – 16.08 (n=39)	11 - 13	10 - 12	8 - 10	3 – 4?	10.08
67.	*Passer montanus*	27.03 – 03.09 (n=22)	11 - 12	12 - 18	10 - 12	3 – 4?	29.09
68.	*Petronia petronia*	08.05 – 19.07 (n=7)	10 - 12	12 - 15	8 - 10	2	13.08
69.	*Fringilla coelebs*	09.04 – 02.07 (n=16)	12 - 14	13 - 14	6 - 8	2	30.07
70.	*Carduelis cannabina*	13.05 – 19.06 (n=5)	13 - 14	13 - 15	6 - 8	1 – 2?	18.07
71.	*C. carduelis*	30.04 – 09.08 (n=53)	12 - 13	13 - 15	6 - 8	2 - 3	11.09
72.	*C. chlors*	07.04 – 22.06 (n=31)	13 - 14	13 - 14	6 - 8	2	20.07
73.	*C. spinus*	16.05 – 23.05 (n=2)	13 - 14	14 - 15	5 - 6	1 – 2?	15.07
74.	*Pyrrhula pyrrhula*	10.05 – 21.06 (n=6)	13 - 14	12 - 13	6 - 8	2	27.07
75.	*Coccothraustes coccothraustes*	12.05 – 24.05 (n=3)	13 - 14	13 - 14	5 - 7	1	20.06
76.	*Carpodacus erythrinus*	30.05 – 05.07 (n=18)	13 - 14	12 - 15	-	1	02.08
77.	*Emberiza hortulana*	16.05 – 10.06 (n=9)	11 - 12	12 - 13	8 - 10	1 - 2	12.07
78.	*E. melanocephala*	12.05 – 14.07 (n=12)	14	13 - 14	6 - 8	2	11.08
79.	*E. cia*	07.05 – 18.07 (n=13)	13 - 14	12 - 13	8 - 10	2	20.08
80.	*Miliaria calandra*	12.04 – 06.06 (n=23)	12 - 14	10 - 12	7 - 9	2	02.07

ბიბლიოგრაფია:

Ковшарь, А. Ф. (1981). *Особенности размножения птиц в субвысокогорье.* Алма-Ата.

Gia Edisherashvili
Gori State University

PHENOLOGY AND PECULIARITIES OF THE REPRODUCTIVE PERIOD OF SHIDA KARTLI NESTING BIRDS

RESUME

The phenology and peculiarities of the breeding period of 80 species of birds nesting in Shida Kartli are discussed: laying and incubation dates, number of breeding cycles, etc. Sh. This data can be used in the process of environmental impact assessment of planned infrastructure projects in the region.

Keywords: Shida Kartli, Nesting birds, Phenology of the reproductive period.

გელა თუხარელი, მაია კაროიანი,
ნინო კარიჭაშვილი, ევგენია ლომსაძე
შპს „იმედი და მარიამი“-ს სამედიცინო ცენტრი

საკვერცხის იშვიათი მუცინური გიგანტური კისტომა

საკვანძო სიტყვები: სიმსივნე, კისტომა, საკვერცხე, გიგანტური, მუცინური.

საკვერცხის კისტა კეთილთვისებიანი წარმონაქმნია, რომელსაც თხევადი ან ნახევრად- თხევადი შიგთავსი აქვს. იგი ქალის ორგანიზმში ჰორმონალური დარღვევის შედეგად წარმოიქმნება. ასევე შესაძლებელია ნორმალური მენსტრუაციული ციკლის პირობებშიც გაჩნდეს (Тухарели, Лалетин, & Даценко, 1990, стр. 177-178).

საკვერცხის სიმსივნეები ქალის სასქესო ორგანოების სიმსივნეთა შორის მეორე ადგილს იკავებს და 6-8% შეადგენს. მათ შორის კეთილთვისებიანი სიმსივნეები 75-80%, ხოლო ავთვისებიანი ფორმები 20-25 %-ში გვხვდება. კისტა ძირითადად რეპროდუქციულ ასაკში (15-დან 44-მდე) მყოფ ქალებს უვითარდებათ (Гилязутдинова & Михаилов, 2002, стр. 9-88). ამიტომ საკვერცხის სიმსივნეების ადრეულ დიაგნოსტიკას და მკურნალობას უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა.

ფუნქციონალური კისტები: ფოლიკულური კისტა და ყვითელი სხეულის კისტა თვითონ გაიწოვება და მკურნალობას არ საჭიროებს. პათოლოგიურ კისტებს კი მიეკუთვნება: დერმოიდული კისტა, ენდომეტრიოდული კისტა, საკვერცხის კისტომები. კისტომების ორ ფორმას არჩევენ: სეროზულსა და მუცინურს. თუმცა ლიტერატურაში ზოგჯერ ფსევდომუცინურის სახელით გვხვდება. იგი სიმსივნის შიგთავსში ფსევდომუცინის არსებობასთან არის დაკავშირებული, რომელიც მუცინისგან განსხვავებით, ძმარმჟავის ზემოქმედებით არ ილექება.

მუცინური კისტომა უფრო იშვიათია. იგი მრავალკამერიანია, განაკვეთზე ფუტკრის ფიჭას წააგავს. კამერები სხვადასხვა ზომისაა შვილეული და შვილიშვილეული ღრუებით. კამერებში სხვადასხვა შეფერილობის თხიერი შიგთავსია. იგი საკვერცხის ყველაზე დიდი სიმსივნეა, შეიძლება იყოს გიგანტური. ასეთი სიმსივნეების 5% კიბოში გადადის. არსებობს შუალედური ფორმა, მოსაზღვრე მუცინური სიმსივნე (გიგინეიშვილი, 1976, გვ. 291-299).

საკვერცხის კისტა მუცლის ქვედა არეში ტკივილს, სწორ ნაწლავსა და შარდის ბუშტზე ზეწოლას, მუცლის შებერილობას, სიმძიმის შეგრძნებას, მუცლის ზომაში მომატებას, არარეგულარულ მენსტრუაციულ ციკლს იწვევს. მისი დიაგნოსტიკა ადვილია ულტრასონოგრაფიული მეთოდით, რითაც ცისტის ფორმას, ზომას, მდებარეობასა და შემადგენლობას ვადგენთ.

ლაპაროსკოპია დიაგნოსტიკისა და ამავდროულად მკურნალობის მეთოდს წარმოადგენს. შესაბამისად მკურნალობის ორი მეთოდი არსებობს: ლაპაროსკოპიული და ლაპაროტომიული ანუ უსისხლო და ღია წესით (Hart & Norris, 1973, pp. 1031-1045).

ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში საკვერცხის მოსაზღვრე მუცინური კისტომის სრული აღწერილობა ვერ ვნახეთ. ამიტომ ჩვენი კლინიკური დაკვირვება ამ მხრივ ინტერესს იმსახურებს.

მოგვყავს ამონაწერი სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათიდან: ავადმყოფი ნ.თ., 31 წლის, შპს „იმედი და მარიამი“-ს გინეკოლოგიურ განყოფილებაში 21.02.2020 წ. შემოვიდა ჩივილებით მუცლის ზრდაზე და ყრუ ტკივილზე მუცლის ქვედა ნაწილში. მენსტრუაციული ციკლის დარღვევას არ აღნიშნავდა. ანამნეზიდან ირკვევა, რომ ავადაა დაახლოებით 9 წელია, რაც დაეწყო მუცლის ზრდა. ბოლო 2 თვეა მუცელი მკვეთრად გაეზარდა ზომებში და ყრუ ტკივილები დაეწყო, რის გამოც მიმართა ექიმს.

ობიექტურად: მუცელი გადიდებულია მოცულობაში. ბოქვენის ძვლიდან ეპიგასტრიუმამდე ოვალური ფორმის სიმსივნური წარმონაქმნი ისინჯება (სურ. 1). ულტრაბგერით გამოკვლევაზე მცირე მენჯის ღრუში ისახება 8000-8500 მლ-მდე სითხოვანი შიგთავსის მქონე ჩანართი, კისტომა. მცირე მენჯის მრტ კვლევით მუცლის ღრუში გიგანტური ზომის კისტოზური წარმონაქმნი აღინიშნება, ზომით 35,0 X 32,0 X 20,0 სმ. კისტის სანათურში სხვა შვილობილი კისტები. სისხლის ანალიზში უმნიშვნელო ანემია - ჰემოგლობინი 100 გ/ლ და მომატებული ედს-ი 40 მმ/ს აღინიშნება. ოპერაციის დროს აღმოჩნდა, რომ სიმსივნე მარჯვენა საკვერცხიდანაა. გიგანტური წარმონაქმნიდან 15 ლიტრი მუქი ყავისფერი ბლანტი სითხე ამოიქაჩა. შემდეგ მისი ამოკვეთა მოხდა და შესრულდა საშვილოსნოს ექსტიპაცია დანამატებთან ერთად (სურ. 2).

სურ. № 1. ავადმყოფი ოპერაციამდე

კისტომა განაკვეთზე მრავლობითი კისტოზური შვილობილი ჩანართებითაა. მათში ბლანტი ზოგან თეთრი, ზოგან ყავისფერი შიგთავსია. წარმონაქმნის საერთო წონა 25 კგ შეადგენს. პათომორფოლოგიური გამოკვლევით სიმსივნური წარმონაქმნი საკვერცხის მუცინურ მოსაზღვრე სიმსივნეს წარმოადგენს.



სურ. № 2. მაკროპრეპარატი, ამოკვეთილი კისტომა

ოპერაციის შემდგომი პერიოდი გართულებების გარეშე მიმდინარეობდა. ავადმყოფი სტაციონარიდან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში გაეწერა. ჭრილობა პირველადი დაჭიმულობით შეხორცდა (სურ. 3).

სურ. № 3. ავადმყოფი ოპერაციის შემდეგ

ამრიგად, ჩვენი კლინიკური შემთხვევის აღმოჩენის ღირებულებას წარმოადგენს საკვერცხის იშვიათი მუცინური კისტომის გიგანტური ზომა და წონა. ასევე მისი ტენდენცია მალიგნიზაციისაკენ. აქედან გამომდინარე, ვაყალიბებთ დ ა ს კ ვ ნ ე ბ ს :

1) რეპროდუქციული ასაკის ქალებმა ყოველწლიურად პროფილაქტიკური ულტრასონოგრაფიული კვლევა უნდა ჩაიტარონ.

2) დიაგნოსტირებული მუცინური კისტომის დროული ამოკვეთა უნდა ჩატარდეს, რათა არ მოხდეს მისი მალიგნიზაცია.

3) საჭიროა მოსახლეობის ინფორმირების სრულყოფა როგორც საკვერცხის კისტომების, ასევე ზოგადად სიმსივნის პრევენციის მიზნით.

ბიბლიოგრაფია:

გიგინეიშვილი, მ. (1976). *გინეკოლოგია.* თბილისი.

Hart, W., & Norris, H. (1973). *Borderline and malignant mucinous tumors of the ovary*. Histologic criteria and clinical behavior Cancer. 31(5), 1031-1045.

Гилязутдинова, З. Ш., & Михаилов, М. К. (2002). *Онкогинекология.* Москва: МЕДпресс-информ.

Тухарели, Г. И., Лалетин, В. Г., & Даценко, А. И. (1990). *Опухоли яичников при раке молочной железы.* Опухоли яичников. Иркутск.

Gela Tukhareli, Maia Karoyani, Nino Karichashvili, Evgenia Lomsadze
Medical Center of "Hope and Mariam" Ltd.

THE RAREST GIGANTIC MUCIN CYSTOMA OF OVARY

RESUME

It is the most impressive and valuable the size of the rare gigantic mucin ovarian cystoma of ovare which we have investigated during apperating on our clinical case. It is 35,0 x 32,0 x 20,0 sm and 25 kg is itis weight. Also it most be mention that this case is chainging to malignant transformation.

Investigating of this situation has found out mucian cancer next to is.

1)Women in reproductive age should made ultrasonic examinationsin in each year.

2) Mucinic cystoma should be removed in time, to avoid malignizacion.

3) It is important to inform population to avoid increasing cancers.

Keywords: Cancer, Cystoma, The ovary, Giant, Mucinic.

თინათინ იოსებიძე, მარინე ქურიძე, მარიამი უბირია
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მწარე აბზინდა, როგორც სამკურნალო მცენარე და მისი კულტივირების ტექნოლოგია შიდა ქართლში

საკვანძო სიტყვები: სამკურნალო მცენარე, მწარე აბზინდა, კულტივირების ტექნოლოგია, ბიოეკოლოგია.

საქართველო მიეკუთვნება ზომიერი კლიმატის ქვეყანას, რომელიც გამორჩეულია მცენარეთა სახეობების დიდი მრავალფეროვნებით. თანამედროვე ეტაპზე, როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც ძალზე გაზრდილია ინტერესი და მოთხოვნილება სამკურნალო მცენარეებზე. დღეისათვის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეთა დაზარალების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, ველურად მოზარდი სამკურნალო მცენარეების არაგეგმიური დამზადება, საშიშროებას უქმნის მათ გადაშენებას და იმისათვის, რომ საქართველოში შენარჩუნებული იქნეს სამკურნალო მცენარეთა მრავალფეროვნება, უნდა შეწყდეს მათი არაგეგმიური დამზადება, ხოლო სამკურნალო მცენარეებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელია განხორციელდეს მათი კულტურაში შემოტანითა და მოყვანით. (გუგავა & იოსებიძე, 2003, გვ. 5) დღეისათვის ცნობილი სამკურნალო მცენარეთა მოყვანა კულტურის სახით ეპიზოდურ ხასიათს ატარებს, ამიტომ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი გაფართოება, რაც ხელს შეუწყობს ბაზარზე სამკურნალო მცენარეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ბუნებაში მცენარეთა მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

აღნიშნული პრობლემის დაძლევის მიზნით, შიდა ქართლში ჩატარდა ექსპერიმენტული ხასიათის სამუშაოები. შესწავლილ იქნა სამკურნალო მცენარეთა მოყვანის ტექნოლოგიები, ფენოლოგიური ფაზები, მცენარეთა აღების, გამოშრობისა და შენახვის წესები.

ქვემოთ მოგვყავს სამკურნალო მცენარე - მწარე აბზინდას კვლევის შედეგები.

ექსპერიმენტის მიზანი იყო შეგვესწავლა სამკურნალო მცენარის მწარე აბზინდას ბიოეკოლოგია, მისი გაკულტივირებისათვის საჭირო ტექნოლოგიები. ცდები ტარდებოდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე, სოფელ თორტიზაში.

მწარე აბზინდას უძველესი დროიდან იყენებდნენ სამკურნალოდ და არა მხოლოდ სამკურნალოდ - ჭრილობების მოსაშუშებლად, ჩირქოვანი პროცესების დროს, ციებ–ცხელების სამკურნალოდ. მისგან ამზადებდნენ ქსოვილების საღებავს. აბზინდის ნახარშებსა და ნაყენს ასხამდნენ მცენარეებს მავნებლების მოსაშორებლად. სახლში მას ჩრჩილის საწინააღმდეგოდ იყენებდნენ, ასევე აბზინდით მკურნალობდნენ შინაურ პირუტყვსა და ცხოველებს. აბზინდის კვამლი გამოიყენებოდა, როგორც მადეზინფიცირებელი საშუალება ქოლერისა და სხვა ინფექციური დაავადებების დროს. ამ მცენარის კვამლს ატარებდნენ ავადმყოფების განთავსების ადგილებში ეპიდემიების დროს. ინგლისის სასამართლო დარბაზებში ათავსებდნენ აბზინდას, რომ „ციხის ციებ-ცხელება“ არ გავრცელებულიყო. აბზინდა სხდომებზე მყოფ ადამიანებს რწყილებისა და ტილებისგან თავდაცვაშიც ეხმარებოდა. ცნობილია, რომ საწამლავების დიდი მცოდნე, საფრანგეთის დედოფალი მარია მედიჩი აბზინდას შხამიანი გველის ნაკბენის საწინააღმდეგოდ იყენებდა. არსებობს ლეგენდა, რომ ძველ რომში მწარე აბზინდა ქალღმერთ არტემიდას საჩუქარი იყო. სწორედ ამიტომ უწოდეს მას Artemisia absintium L. მიიჩნევდნენ, რომ მწარე აბზინდა მეომრებს აძლევდა ძალას, ხსნიდა დაღლილობას ლაშქრობების დროს, კუნთების ტკივილს, იცავდა მათ მოწამვლისგან, მეომრები უშიშარნი ხდებოდნენ (სპუტნიკი-საქართველო, 2019).

მწარე აბზინდა არის მადის აღმძვრელი საშუალება, აუმჯობესებს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას, აყუჩებს ტკივილს, აღადგენს სისხლს (ჩაგელიშვილი & გოგორიშვილი, 2019). გარეგანად გამოიყენება, როგორც ანტისეპტიკური საშუალება, ართრიტების, ართროზის, ოსტეოქონდროზის, ხერხემლის თიაქრის, ნაღრძობის დროს. შინაგანად იღებენ საჭმლის მონელების ფუნქციის დარღვევებისას, დიარეის დროს გასტრიტისას შემცირებული მჟავიანობით, კუჭის ტკივილისას, მეტეორიზმის დროს, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებებისას, როგორც ნაღვლ და შარდმდენი საშუალება, კუჭქვეშა ჯირკვლის ცუდი მუშაობისას, ანემიის დროს, დეპრესიისას, უძილობისას, ეპილეფსიისას, არასაკმარისი და არარეგულარული მენსტრუაციის დროს, კონიუნქტივიტის სწრაფი მკურნალობისთვის, ზღვის ავადმყოფობისას, ჭიების დასაყრელად.

მწარე აბზინდა (Artemisia absinthium L) – რთულყვავილოვანთა ოჯახის ბალახოვანი მცენარეა. (სურ. 1) იგი მრავალწლოვანი 2 მ-მდე სიმაღლის მცენარეა, ნაცრისფერ–ქეჩისებრი შებუსვით, ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ფირფიტა ფართო კვერცხისებრი ფორმის, ორმაგ–სამმაგად ფრთისებრგანკვეთილი ლანცეტა ფორმის სეგმენტებად. ზედა ფოთლები მჯდომარეა. კალათები პატარა ზომისაა, ნახევრადსფეროსებრი, შეკრებილია გრძელ საგველასებრ ყვავილედებად და ცალმხრივ მტევნებადაა დაკიდებული მოკლე საყვავილე ღერძზე. საბურველის გარეთა ფოთოლაკები ხაზური ფორმისაა, შიგნითა – ელიფსური ან უკუკვერცხისებური. ყველა მათგანი შებუსვილი და ფართო თეთრი სიფრიფანა არშიითაა შემოვლებული. ყვავილსაფარი მოფენილია ბეწვებით, ყვავილები კი შიშველია, ნაყოფი ძალიან წვრილი (1 მმ-დე სიგრძის) მორუხო, წაგრძელებული თესლია.

მცენარე მწარე აბზინდა
სურათი 1

მწარე აბზინდა იზრდება რიყეზე, გზის პირებზე, დასახლებულ ადგილებში, ნაგავსაყრელ ადგილებში, ნასვენ მიწებში, საქართველოში გვხვება თუშ–ფშავ–ხევსურეთში, ჯავახეთში, თრიალეთში, მესხეთში, აფხაზეთში, სვანეთში, სამეგრელოში, თითქმის მთელ საქართველოში, მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში. აბზინდას მრავალი სახეობა არსებობს, რომელთა ქიმიური შემადგენლობა, გარეგნობა განსხვავებულია და ასევე განსხვავებულია მათი სამკურნალო თვისებებიც. ყველაზე გავრცელებული სამკურნალო სახეობაა მწარე აბზინდა, რომელიც მრავალ ქვეყანაში გვხვდება. იგი მცირე რაოდენობით შეიცავს შხამიან ნივთიერებებს, ამიტომ მისი მიღება დიდი რაოდენობითა და დიდი ხნის განმავლობაში არ შეიძლება (Скляревский & Губанов, 1993, стр. 29).

მწარე აბზინდას გამოყენებას სამკურნალო მიზნებისთვის მისი ბიოქიმიური შემადგენლობა განაპირობებს. სამკურნალოდ გამოიყენება აბზინდის ბალახი, ფოთოლი და ფესვი, რომლებიც შეიცავენ დიდი რაოდენობით ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. მცენარე მდიდარია მთრიმლავი, ფისოვანი ნივთიერებებით, ფიტონციდებით, საპონინებით, ალკალოდებით, კუმარინებით, ვიტამინებით A, C, PP, B ჯგუფის ვიტამინებით, მაკრო და მიკროელემენტებით (კალციუმი, ნატრიუმი, მაგნიუმი, ფოსფორი, რკინა, თუთია, სპილენძი, მანგანუმი), ასევე გლიკოზიდებით, ეთერზეთებით და სხვ. (გოგიჩაიშვილი & გუგავა, 1998, გვ. 118)

მწარე აბზინდის მიღება შინაგანი მოხმარებისთვის დიდი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, რადგან მასში შემავალი შხამიანი ნივთიერებები, შეიძლება ორგანიზმში დაგროვდეს და ადამიანი მოიწამლოს. მკურნალობის კურსის ჩატარება არ შეიძლებ ერთ თვეზე მეტხანს. კურსებს შორის კი შესვენება 1–2 თვე უნდა იყოს. აბზინდის მიღება არ შეიძლება კუჭის წყლულის, ინდივიდუალური აუტანლობის, ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს, სისხლდენისას, თირკმელების უკმარისობისას, ღვიძლის მძიმე დაავადებებისას.

მწარე აბზინდას გაკულტივირების მიზნით ცდები წარმოებდა შიდა ქართლის (გორის რაიონ სოფელ თორტიზაში) ტერიტორიაზე. მწარე აბზინდა მრავლდება როგორც უსქესო (ბუჩქის დაყოფით), ასევე სქესობრივი (თესლით) გამრავლების გზით. თესვა ხორციელდება მარტის დასაწყისში როგორც ღია, ასევე დახურულ გრუნტში პატარა ყუთებში, ჩათესვის სიღრმე 2-3 სმ. აპრილიდან კი შესაძლებელია მისი ღია გრუნტში გადარგვა. მანძილი მწკრივებს შორის 50-70 სმ, ხოლო მცენარეთა შორის 30-40 სმ. ერთ ჰექტარზე 35000-60000 მცენარე ირგვება.

მწარე აბზინდას თესლის ლაბორატორიული ანალიზი

ცხრილი №1

მცენარე მწარე აბზინდა					
გაღივების უნარის ანალიზისათვის საშუალო ნიმუშის წონა გრამებში	გაღივებისათვის საჭირო ტემპერატურა C^0	განათების პირობები (სიბნელე, სინათლე)	განსაზღვრის ვადა (დღე-ღამე)		% იდენტურობა
			გაღივების ენერგიის	გაღივების უნარის	
30	20	სიბ. სინ.	4	10	91

მწარე აბზინდა ყვავილობს ივლის-აგვისტოში. თესლი ძალიან წვრილია, 1000 მარცვლის წონა 0,8 გრამია. თესლის აღება ხდება სექტემბრის ბოლოს. 100 კვ.მ-ზე მიიღება 2-4 კგ-მდე გ თესლი. გამშრალი ფოთლის მასა 5-7 ტონას ჰა-ზე. მას არ გაჩნია მოთხოვნა წინამორბედი კულტურისადმი. დარგვის პირველ წელს რეკომენდირებულია ნაკელის დიდი რაოდენობით შეტანა, ხოლო განაყოფიერება მეორე წელს ხდება არაორგანული სასუქებით 70 კგ/ჰა აზოტი, ფოსფორი 100კგ /ჰა, კალიუმის მარილი 140 კგ/ჰა.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მწარე აბზინდას გაკულტივირება არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, მისი გაღვივებისათვის საჭირო ტემპერატურა 20 გრადუსია, ლაბორატორიული აღმოცენება 91 %-ია. ჩათესვის სიღრმე 2-3 სმ და ითესება როგორც ღია, ასე დახურულ გრუნტში. ნიადაგს არ უყენებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს და სარეველა მცენარეებთან ბრძოლა მხოლოდ მექანიკური გზით უნდა მოხდეს.

ბიბლიოგრაფია:

გოგიჩაიშვილი, ლ., & გუგავა, ე. (რედ.). (1998). *სამკურნალო მცენარეების მოყვანა.* თბილისი: კუნა გეორგიკა.

გუგავა, ე., & იოსებიძე, თ. (2003). *ზოგიერთი სამკურნალო მცენარეების მოყვანა.* თბილისი: კუნა გეორგიკა.

მწარე აბზინდა – სამკურნალო თვისებები. (2019). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://sputnik-georgia.com/nature/20191028/246863652/mware-abzinda-Artemisia-absinthium.html

ჩაგელიშვილი, ს., & გოგორიშვილი, მ. (2019). *აბზინდა (სიმჭლის ბალახი) სამკურნალო მცენარე, რეცეპტები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://agrokavkaz.ge/samkurnalo-mcenareebi/abzinda-simtchlis-balakhi-samkurnalo-mtsenare-retseptebi.html

Скляревский, Л. Я., & Губанов, И. А. (1993). *Лекарственные растения в быту.* Москва.

Tinatin Iosebidze, Marine Kuridze, Mariami Ubiria

Gori State University

ARTEMISIA ABSINTHIUM L AS A MEDICINAL PLANT AND ITS CULTIVATION TECHNOLOGY IN SHIDA KARTLI

RESUME

Experimental works on the medicinal plant Artemisia absinthium L were carried out in Shida Kartli. Cultivation technology, phenological phases, rules of plant harvesting, drying and storage were studied.

Artemisia absinthium L is propagated by both asexual (bush division) and sexual (seed) ways. Sowing is carried out in early March, both in open and closed ground in small boxes, sowing depth of 2-3 cm. From April it is possible to transplant it into the open ground. The distance between the rows is 50-70 cm, and the distance between the plants is 30-40 cm. 35000-60000 plants are planted per hectare.

Seeds of Artemisia absinthium L are very thin, weighing 0.8 grams per 1000 grains. Seeds are sown in late September. Up to 2-4 kg of seeds are obtained per 100 sq.m.

Keywords: Medicinal plant, Artemisia absinthium L, Cultivation technology, Bioecology.

გიორგი მძინარაშვილი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფიზიკური ვარჯიშების ბიომექანიკის შინაარსი სპორტში

საკვანძო სიტყვები: სპორტი, ბიომექანიკა, ტექნიკა, ფიზიკური, ვარჯიში.

ფიზიკური აღზრდა და მისი გაგრძელება - სპორტი ეს არის რთული მრავალწლიანი შრომატევადი პროცესი, რომელიც საჭიროებს რაციონალური და ეფექტური მეთოდებისა და მეთოდიკების გამოყენებას. იზრდება ადამიანის (სპორტსმენის) ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები და პოტენციალი, ეს ნათლად ჩანს თანამედროვე სპორტული პაექრობებიდან გამომდინარე და ამ პაექრობებში შედეგებისა და რეკორდების მიხედვით.

ვითარდება მეცნიერებები, მატულობს სამეცნიერო კვლევები და ამ შრომებში მიღებული დადებითი შედეგები. ჩვენ კარგად ვიცით სპორტი. ეს არ არის მარტო პრაქტიკა - ეს არის თეორია და მეთოდიკა, რომელშიც წარმოდგენილი გვაქვს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინა როგორიც არის:

პედაგოგიკა, დიდაქტიკა, ფიზიკური ვარჯიშების ბიომექანიკა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორია და მეთოდიკა, ანატომია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა, სპორტის მეტროლოგია, სამკურნალო ფიზკულტურა, ფსიქოლოგია, სპორტის მენეჯმენტი და ა.შ.

სამწუხაროდ ის დიდი მიღწევები, რაც არის მოპოვებული სპორტის მეცნიერებაში, არ არის გამოყენებული უშუალოდ პრაქტიკაში. ეს ფაქტი შეიძლება ავხსნათ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზით. ბევრი ადამიანი სპორტში ჩამორჩება თანამედროვე ტენდენციებს და მოთხოვნებს, რომელიც არსებობს ამ სფეროში, მას პრაქტიკულად არ აინტერესებს და არც უნდა ცვლილებების მოხდენა.

ჩვენი თემის აქტუალობა დასტურდება იმით, თუ რამდენად სწრაფად და ეფექტურად არის შესაძლებელი პატარა შედეგის მიღწევა მაინც, სპორტში მეცნიერების ჩართვით როგორც სასწავლო-საწვრთნო პროცესში, ასევე შეჯიბრზე.

ჩვენი აზრით, მეტი ყურადღება უნდა გავამახვილოთ, თუ არის ამის საშუალება და შესაბამისი პირობები, სასწავლო სამეცნიერო დისციპლინაზე - ვარჯიშების ბიომექანიკაზე.

ბიომექანიკა - თეატრალური ტერმინია, წარმოადგინა ვ. ე. მიერხოლდმა - ვარჯიშის სისტემის აღწერისათვის, რომელიც მიზანმიმართული იყო მსახიობის სხეულის ფიზიკური მზადყოფნისათვის გარკვეული სამსახიობო დავალების შესასრულებლად.

ადამიანის ბიომექანიკა არის გამოყენებითი მეცნიერების შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეისწავლის სტატისტიკას და ადამიანის მოძრაობას. ბიომექანიკური კვლევები მოიცავს ცოცხალი მატერიის ორგანიზაციის სხვადასხვა დონეებს. როგორც წესი ყველაზე ხშირად კვლევის ობიექტია ცხოველებისა და ადამიანის მოძრაობები. ცოცხალ სისტემაში მექანიკური მოძრაობა წარმოისახება, როგორც: ა). მთლიანი ბიო - სისტემის გარე სამყაროსთან შესაბამისობაში (საყრდენთან, ფიზიკურ სხეულებთან); ბ). თვითონ ბიო - სისტემის დეფორმაცია, ე.ი. გადაადგილება ნაწილებისა ერთმანეთთან შესაბამისობაში.

ადამიანის ბიომექანიკა კომპლექსური მეცნიერებაა, რომელიც მოითხოვს მრავალი მეცნიერების საფუძვლიან ცოდნას. ეს მეცნიერებებია: მექანიკა, მათემატიკა, ფუნქციონალური ანატომია და ფიზიოლოგია, ასაკობრივი ანატომია და ფიზიოლოგია, პედაგოგიკა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორია და მეთოდიკა.

ადამიანის სხეულის ნაწილების მოძრაობა თავის მხრივ წარმოდგენილია როგორც გადაადგილება დროსა და სივრცეში, რომელიც სრულდება ბევრ სახსარში ერთდროულად და თანამიმდევრულად. სახსრებში მოძრაობები თავისი ფორმითა და ხასიათით ძალიან მრავალფეროვანნი არიან. ეს გამოწვეულია ამ პროცესში ბევრი ძალის არსებობით. ყველა მოძრაობა გაერთიანებულია, როგორც წესი, მთლიან ორგანიზებულ მოქმედებებში და მათი მართვა სრულდება კუნთების მეშვეობით. ადამიანის მიერ შესრულებული მოძრაობების სირთულის არსებობიდან გამომდინარე ბიომექანიკაში იკვლევენ მათ მექანიკურ და ბიოლოგიურ მიზეზებს და აუცილებლად მათ მჭიდრო კავშირში. ასრულებს რა ადამიანი უმეტეს შემთხვევაში გააზრებულ მოქმედებებს, მას აინტერესებს, როგორ არის შესაძლებელი მიზნის მიღწევა და უკეთესი შედეგის ჩვენება, რამდენად კარგად და ადვილად შესაძლებელია რაიმე მოქმედების შესრულება გარკვეულ პირობებში (სიტუაციაში). იმისთვის, რომ მოძრაობის შედეგი კარგი იყოს და მისი მიღწევა ადვილი, ადამიანი შეგნებულად და გააზრებულად ითვალისწინებს პირობებს, რომელ პირობებშიც უნდა შესრულდეს მოძრაობა. გარდა ამისა ადამიანი სწავლობს იმას, თუ როგორ შეასრულოს მოძრაობა მეტად სრულყოფილად მაქსიმალურად რაციონალური და ეფექტური პირობების შექმნითა და დაცვით - ამას ითვალისწინებს ადამიანის ბიომექანიკა. ამრიგად, ადამიანის ბიომექანიკა შეისწავლის როგორი ხერხებისა და პირობების გათვალისწინება არის აუცილებელი მოძრაობებისა და მოქმედებების უკეთ ასათვისებლად.

მოძრაობის შესწავლის საერთო ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უნდა მოხდეს ძალების ეფექტური გამოყენება დასახული მიზნის მისაღწევად. მოძრაობის სწავლების პროცესი საბოლოო ჯამში მიზანმიმართულია იმისკენ, რომ უფრო ხარისხიანად მოხდეს ილეთების შესწავლა. სანამ შეუდგებით ილეთების შესწავლის საუკეთესო ხერხებს, აუცილებელია სპორტის სპეციალისტმა, მწვრთნელმა სპორტსმენებთან ერთად მოახდინოს ანალიზი და სინთეზი მათ მიერ გავლილი და შესწავლილი ილეთებისა.

სპორტის ბიომექანიკაში ადამიანის მოძრაობის შესწავლის ძირითადი ამოცანაა არსებული მიზნის ეფექტური მიღწევისათვის მაქსიმალური ძალის გამოყენება. საბოლოო ჯამში სპორტის ბიომექანიკაში მოძრაობის შესწავლა მიმართულია იმაზე, რომ ვიპოვოთ სამოძრაო მოქმედებების სრულყოფილი ხერხები და შევასწავლოთ ისინი საუკეთესო ფორმით, ამიტომ ამ დისციპლინას აქვს გამოკვეთილი მიმართულება.

სპორტული აქტივობის შესრულების პროცესში სამუშაო ეფექტი იზომება იმით, თუ როგორ გამოიყენება დახარჯული ენერგია. სპორტის სპეციალისტისთვის ნაცნობი უნდა იყოს უარყოფითი ძალების არსებობის შესახებ, რომლებიც ცუდ სამუშაოს ასრულებს ილეთების სწავლებისა და სრულყოფის პროცესში და რომლებიც ამავდროულად ცუდად მოქმედებენ დადებით და სასარგებლო ძალების ეფექტურობაზე.

სპორტში სასწავლო-საწვრთნო პროცესის წარმართვის დროს არსებული მსგავსი დამოკიდებულება გვაძლევს იმის საშუალებას, რის შედეგადაც შესაძლებელია ავამაღლოთ ილეთების შესრულებისა და გამოყენების ეფექტურობა და ამით გავზარდოთ სასწავლო-საწვრთნო პროცესის ეფექტი.

სპორტის ბიომექანიკის ძირითადი ამოცანიდან გამომდინარეობს ამ საგნის კერძო ამოცანები: 1). სპორტსმენის სხეულის ე.ი. აღნაგობის შესწავლა, მისი თვისებები და სამოქმედო ფუნქციები; 2). რაციონალური სპორტული ტექნიკის დადგენა, შესწავლა, დამუშავება და სრულყოფა სასწავლო პროცესის ეფექტური წარმართვისათვის; 3). სპორტსმენის ტექნიკური სრულყოფა, რა თქმა უნდა, ეს ხდება შესაძლებელი სპორტსმენის სხვა მომზადების მხარეების გათვალისწინებით და მათი წესებისა და კანონების დაცვით.

ბიომექანიკა, როგორც ექსპერიმენტული მეცნიერება გვთავაზობს მოძრაობის შესწავლის პროცესის რეალიზაცია მოხდეს მიღებული წლების მანძილზე გამოცდილების გათვალისწინებით. თანამედროვე დანადგარებისა და ხელსაწყოების მეშვეობით შესაძლებელია რაოდენობრივი დახასიათებების რეგისტრაცია, რომელიც გვაძლევს საშუალებას განვასხვავოთ მოძრაობები და შევადაროთ ერთმანეთს. სისტემური ანალიზის არსი მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც ხდება დახასიათებების შესწავლა-დამუშავება, აუცილებელია გონებაში დავყოთ მოძრაობის სისტემა ნაწილებად და ამით დავადგინოთ მისი შემადგენლობა.

ბიბლიოგრაფია:

ბიომექანიკა - მეთოდური მითითებები ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტთა სტუდენტებისათვის. (1982). თბილისი: განათლება.

მოისწრაფიშვილი, კ. (2019). *ბიომექანიკის მოკლე კურსი.*

Донской, Д. Д., & Зайцева, Л. С. (1978). *Биомеханика, Методические указания для студентов факультетов заочного обучения институтов физической культуры.* Москва: ФиС.

Донской, Д. Д., & Зациорский, В. М. (1979). *Биомеханика.* Москва: ФиС.

Назаров, В. Т. (1986). *Биомеханическая стимуляция: явь и надежды.* Минск: Полымя.

Giorgi Mdzinarashvili

Gori State University

CONTENT OF PHYSICAL EXERCISE BIOMECHANICS IN SPORT

RESUME

Usage of biomechanisms play an important role during physical training for a person who follows sports (Athletes, trainers and other specialists in the field).

There is a big number of success stories in the field made by not only the world but professionals in our country as well.

In order to raise the efficacy of studying/training processes, it is important to use the experience, recommendation and advice of our leading specialists. It is primary to have suitable and up to date technical and electrical tools in order to reach the goals.

***Keywords*:** Sport, Biomechanics, Technology, Physical, Training.

ნელი პაპუკაშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა ხტომადობის გაუმჯობესების საშუალებები

საკვანძო სიტყვები: უმცროსი სასკოლო ასაკი, აკრობატული ხტომები, თამაშობითი მეთოდი, იმიტაციის ვარჯიშები, უმცროსთა აკრობატიკა.

აკრობატული ხტომების ზოგადი დახასიათება.

აკრობატულ ვარჯიშებში თავმოყრილია ფიზიკურ თვისებებზე ზემოქმედების თითქმის სრული კომპლექსი: ისინი ავითარებენ წონასწორობის შეგრძნებას, სივრცეში ორიენტაციას, კოორდინაციას, სისწრაფეს, სიმარჯვეს და გამძლეობას. ისინი იწვევენ ნებელობითი თვისებების აღზრდას; ასევე სრულყოფენ გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემებს. (ალთუნაშვილი, 1981)

ხტომების ემოციურობა, ვარჯიშების შესრულების შედარებით უსაფრთხოება, არეკნისთვის აკრობატული იარაღის დრეკადუნარიანობა, ამავე დროს ფრენის დიდი სიმაღლის მიღწევა, რაც არსებითად აადვილებს ტრიალების შესრულებას, გვარწმუნებს იმაში, რომ აკრობატული ხტომები არის მოვარჯიშეთა სპეციალური მომზადების და კერძოდ, მათ მიერ რთული მოძრაობებისა და ტრიალების დაუფლების თითქმის ერთადერთი საშუალება. აკრობატული ხტომები არის სწრაფი მოქმედება, რაც გრძელდება სულ რამდენიმე წამს, სხვადასხვა სხეულის მიერ მოძრაობის ფორმის შესრულებით. (Данилов, 1978)

თავისი დანიშნულებით და შინაარსით აკრობატული ვარჯიშები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

- ვარჯიშები, რომლებიც უზრუნველყოფენ უჩვეულო გარემო პირობებში (ტრიალები ფრენის ფაზაში) მოძრაობითი მოქმედებების შესრულებას;
- ვარჯიშები, რომლებიც ხელს უწყობენ სპეციალური ფიზიკური თვისებებისა და უნარების გამომუშავებას და მოძრაობითი ნაერთების (რთული ბრუნებისა და ტრიალების) დაუფლებას.

მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ გარდა სპეციალური მომზადებისა აკრობატული ხტომები სპორტსმენში ავითარებენ აკრობატისათვის საჭირო მახასიათებლებს:

- გამბედაობის და გულადობის აღზრდას;
- ფრენის ფაზაში უსაყრდენო მდგომარეობაში ყოფნის პირობებში სივრცეში ორიენტირების უნარის განვითარებას;
- ფრენის ფაზაში განსაზღვრული პოზის (გამართული ტანი, კეცი, დაჯგუფება და ა.შ.) შენარჩუნების უნარის ფორმირებას;
- სხეულის ფლობის უნარის სრულყოფასა და ფრენის პირობებში მეწყვილის (ან მეწყვილეების) მიმართ ორიენტირებული პოზის მდგრადობის შენარჩუნებას;
- სხვადასხვა ბრუნის შესრულების გაადვილებას ფრენის ხანგრძლივობის ზრდის ხარჯზე.

ყოველივე ეს შესაძლებელია მიღებული იქნეს არცთუ დიდი მოცულობის დატვირთვის (ხტომების) საშუალებით: ხტომები გამართული ტანით, ბრუნით, დაჯგუფებით, კეცა-გაშლით და ა.შ.

აკრობატიკაში ხტომების მოძრაობით მოქმედებებს ასწავლიან სხვადასხვა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტით. ძირითადში ეს ამოცანებია:

1) მოძრაობის შესრულების საწყისი ბაზის უზრუნველყოფა, ე.ი. სამოძრაო აპარატის ძირითად რგოლებში შედარებით მარტივი მოძრაობების მართვა. ამით იქმნება საწყისი პირობები და სწავლება რთული მოძრაობითი მოქმედებების ფორმირების თვალსაზრისით;

2) ისეთი მოქმედებების სწავლება, რაც შემდგომში გამოყენებული იქნება „მიმყვან“ ვარჯიშებად, ან როგორც ცალკეული ფიზიკური თვისებების განვითარებაზე ზემოქმედების საშუალებად;

3) ძირითადი მოძრაობითი მოქმედებების შესრულებისათვის საჭირო შემძლეობისა და სათანადო ჩვევების ჩამოყალიბება და მათი შემდგომი სრულყოფა.

მოძრაობითი უნარ-ჩვევები ვითარდება უშუალოდ ილეთებისა და კომბინაციების შესრულებისას. მათი ჩამოყალიბება ექვემდებარება გარკვეულ ბუნებრივ კანონზომიერებებს, ცოდნა კი საშუალებას იძლევა შეგნებულად და ეფექტურად წარვმართოთ სწავლების პროცესი. (პაპუკაშვილი, ბერიანიძე, & ლეშკაშელი, 2007)

სასწავლო პროგრამა ისე უნდა იყოს აგებული, რომ იგი შეიცავდეს როგორც ჩვეულებრივ ხტომებს, ასევე მათგან შექმნილ კომბინაციებსა და კავშირებს. შესასწავლი მოძრაობები უნდა შეირჩეს მოვარჯიშის სპორტული მომზადების დონის გათვალისწინებით. მასში სარისკო ელემენტები ნაკლებად უნდა იყოს შეტანილი.

ზოგადად სასწავლო მასალის შერჩევისა და სწორად შესრულების გზების დადგენის შემდეგ ძირითად ამოცანას წარმოადგენს მათი შესწავლის თანმიმდევრობის დადგენა, რომლის დროსაც გათვალიწინებული უნდა იქნას ხტომების სტრუქტურის საფუძვლები და შესაბამისი სირთულეები. (ძაგანია, 1998)

აკრობატული ხტომები, როგორც ადამიანის სხვა მოძრაობები, სრულდება კუნთების შეკუმშვის მეშვეობით. სხეულის მდგომარეობის (ბჯენით ან ფრენის მდგომარეობა) მიხედვით კუნთების შეკუმშვის შედეგად შეიძლება წარმოიშვას გარეგანი და შინაგანი ძალები. სპორტსმენის მოძრაობები სწორედ ამ ძალების ურთიერთზემოქმედების შედეგია. (Курысь, 1985)

შინაგანი ძალა - ეს ის ძალაა, რომელიც მოქმედებს სხეულის შიგნით. იგი სხეულის ნაწილებსა და წერტილებს შორის ურთიერთზემოქმედების ძალაა. იმ შემთხვევაში, როდესაც აკრობატი იმყოფება უბჯენო მდგომარეობაში, კუნთური შეკუმშვა მჟღავნდება მხოლოდ შინაგანი ძალებით. ამ შემთხვევაში ერთადერთი გარეგანი ძალა, რომელიც აკრობატზე მოქმედებს, არის სიმძიმის ძალა, რომლის ოდენობაც და მიმართულებაც არ არის დამოკიდებული კუნთურ შეკუმშვაზე.

იმ შემთხვევაში, თუ სხეულს აქვს საბჯენი, მაშინ კუნთების შეკუმშვის შედეგად წარმოიშობა როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ძალები. სწორედ გარეგანი ძალები განსაზღვრავენ მოძრაობის ტრაექტორიასა და სხეულის პირველდაწყებით ბრუნვას.

აკრობატული ხტომების სწავლების ეტაპები. აკრობატული ხტომების მოძრაობითი მოქმედებების სწავლების პროცესის აგებაში შეიძლება გამოვყოთ შედარებით დასრულებული სახის სამი ეტაპი: პირველი, ეს არის მოძრაობის დასწავლის პირველდაწყებითი ეტაპი. ამ ეტაპზე მიზნადაა დასახული მოძრაობითი მოქმედებების ტექნიკის ძირითადი საფუძვლების შესწავლა, მისი თუნდაც „უხეში“ ფორმით შესრულების უნარის ჩამოყალიბება. აკრობატული ხტომების მოძრაობითი მოქმედებების შესწავლა, როგორც წესი, იწყება ხტომების შესრულების რაციონალური ხერხების შესახებ წარმოდგენისა და განწყობის შექმნით. იმისათვის, რომ გაადვილდეს რთული ხტომითი მოძრაობების შესრულების პირველი ცდები, მას ამარტივებენ დანაწევრების გზით (დანაწევრებული სწავლების მეთოდი). (მატვეევი & ნოვიკოვი, 1979), ან ცალკეული რგოლების გამოყოფით; იყენებენ დამატებით იარაღებს (ლონჟა, ხელის ქამარი, ბატუტი, პარალონის ორმო და ა.შ.), ეხმარებიან ფიზიკურად (დაზღვევა-დახმარების მეთოდი), (კახიძე, 2002; სანებლიძე, 1992). თუ შესრულების ცდები შედეგიანი გამოდგა, შეიძლება დამთავრდეს სწავლების პირველი ეტაპი.

აკრობატიკაში მოძრაობათა შესწავლის საწყის ეტაპს, განსაკუთრებით უმცროს სასკოლო ასაკში, ახასიათებს წინასწარ მიცემული ნიმუშისაგან მნიშვნელოვანი გადახრები. შეძლებისამებრ აუცილებელია ამ უხეში შეცდომების აცილება. სწავლების პირველ ეტაპზე მოძრაობითი აქტის უხეში შეცდომების გამომწვევი ძირითადი მიზეზები შეიძლება იყოს: არასაკმარისი ფიზიკური მომზადება (რაც უმცროს სასკოლო ასაკში ადვილად მოსალოდნელია), შიში, მოძრაობის შესრულების არასრულფასოვანი გაგება, დაღლა, ჩვევის უარყოფით გადატანა და ა.შ. (პაპუკაშვილი, ბერიანიძე, & ლეშკაშელი, 2007)

მეორე ეტაპზე, რომელსაც გაღრმავებული სწავლების ეტაპს უწოდებენ, სწავლების მიზანია ხტომების ტექნიკის პირველდაწყებითი „უხეში“ შესრულების დახვეწა შედარებით სრულყოფილ დონემდე. თუ სწავლების პირველ ეტაპზე ძირითადად ხდებოდა ტექნიკის ელემენტების დაუფლება, მეორე ეტაპზე ხორციელდება მისი დეტალიზებული ათვისება.

მესამე ეტაპი - განმარტებისა და შემდგომი გაღრმავებული სწავლების ეტაპია. ამ ეტაპზე სწავლების ამოცანაა მოძრაობითი მოქმედების სრულყოფილად დაუფლების უზრუნველყოფა მისი პრაქტიკული გამოყენების პირობებში, რისთვისაც საჭიროა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები:

- ხტომების ტექნიკის ჩვევად ქცევა;
- მოქმედების ტექნიკის დიაპაზონის გაფართოება, მისი განსხვავებულ პირობებში შესრულებით;
- საჭიროების შემთხვევაში ხტომების ტექნიკის გადაკეთების უზრუნველყოფა და მისი შემდგომი სრულყოფა.

მესამე ეტაპზე უნდა განმტკიცდეს ჩამოყალიბებული დინამიკური სტერეოტიპი, რაც ჩვევის საფუძველია და მასთან ერთად უნდა გაიზარდოს მისი მობილური მზაობა, რაც განსაზღვრავს გარეშე პირობების სხვადასხვა ცვლილებებისადმი ხტომების შეგუების შესაძლებლობას.

თუ სწავლების წინა ეტაპებზე უპირატესად ფასდებოდა ხტომების სტრუქტურის ათვისების დონე, შემდგომ მისი რეალურ პირობებში გამოყენებისას წამყვანი ხდება ხტომების ყველა თავისებურებების მთლიანობაში შეფასება.

აკრობატული ხტომების შესრულების ტექნიკის საერთო საფუძვლები. აკრობატული ხტომების სწავლებისას პირობითად გამოყოფენ სამ ფაზას - მოსამზადებელი, ძირითადი და დამამთავრებელი.

მოსამზადებელი მოქმედებები აკრობატს ძირითადი მოძრაობის სრულყოფილად შესრულების საშუალებას აძლევს. ამ ფაზაში ხდება საწყისი მდგომარეობის შერჩევა-შესრულება. საწყისი მდგომარეობა შეიძლება იყოს სტატიკური ან დინამიკური. სტატიკურია, როდესაც ადგილიდან სრულდება ხტომი და ამისთვის ის ასრულებს ბუქნს და მკლავების აქნევას სასურველ მდგომარეობამდე. (Курысь, 1985; Коркин, 1981)

ძირითადი მოქმედებები ის მოძრაობებია, რომლებიც შეადგენენ თითოეული ილეთის ტექნიკურ საფუძველს. ძირითად მოქმედებები მოიცავენ სამ ფაზას: არეკნს, ბრუნვას (გადაბრუნებას, ტრიალს) და დახტომისთვის მზადებას.

დამამთავრებელი მოქმედება იწყება ფრენის მდგომარეობის გავლის შემდეგ და მთავრდება დახტომით. საბჯენზე (ბილიკზე, ფიცარნაგზე) შეხების მომენტში იწყება დამამთავრებელი ფაზის საპასუხისმგებლო მოქმედება - ამორტიზაციის ფაზა, რის დროსაც ფეხები იხრება მუხლის სახსარში. ქვედა კიდურების გამშლელი კუნთები აწარმოებენ დამთმობი ხასიათის მუშაობას, რომელიც განაპირობებს მსუბუქ და ურყევ დახტომს.

აკრობატული ხტომების შესრულებისას მოძრაობის რაოდენობის შენარჩუნების კანონის არსი მდგომარეობს შემდეგში: არეკნის დროს აკრობატი თავისი სხეულის ზოგიერთ ნაწილებს ანიჭებს დამატებით მოძრაობის შესაძლებლობას, რომლის შედეგადაც სპორტსმენი ანტაგონისტურ კუნთებს კუმშავს, რაც განაპირობებს ამ ნაწილების სიჩქარის დამუხრუჭებას და შესაბამისად სხვა ნაწილების სიჩქარის გაზრდას; მაგალითად, მრავალ სამეცნიერო ლიტერატურულ წყაროზე დაყრდნობით ცნობილია, რომ ასეთი მოძრაობა არის მკლავების ზეაქნევით არეკნი. (მნათობიშვილი & ტუღუში, 2013)

„ხტომებში მკლავების სწორი ზეაქნევი განაპირობებს სხეულის სიმძიმის საერთო ცენტრის 20-25%-ით მაღლა აწევას“ (Семенов, 1975, стр. 14)

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე აკრობატების მხტომელობის აღზრდის პროცესში ქვედა კიდურების ძალისა და სისწრაფის განვითარებასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ზეტანისა და მკლავების კუნთთა ძალისა და სისწრაფის ჰარმონიულ განვითარებას, ბილიკის დრეკადი თვისებების უნარიანად გამოყენების ჩვევის აღზრდას და რბენის სისწრაფის განვითარებას.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა შესაბამისი აკრობატული ხტომების ტექნიკის საფუძვლები. უმცროსი ასაკის ბავშვთა მოძრაობითი თვისებების განვითარება წარმოადგენს მათი ფიზიკური სრულყოფის ერთ-ერთ წამყვან მხარეს. მოძრაობითი თვისებების განვითარების დონეზეა დამოკიდებული მოძრაობითი შემოქმედების ეფექტურობა, მოძრაობის ახალი ფორმების ათვისების უნარი და შესაბამისად სპორტულ-ტექნიკური ზრდა.

ფიზიკური თვისებების აღზრდის პროცესში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოზარდი ორგანიზმის მორფოლოგიური თავისებურებები და ფუნქციონალური შესაძლებლობანი. (მატვეევი & ნოვიკოვი, 1979; კახიძე, 2002)

უმცროს სასკოლო ასაკში დაჭიმულობაზე ვარჯიშები გამოყენებული უნდა იქნეს დიდი სიფრთხილით. მათმა ჭარბმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს კუნთებისა და მყესების დაგრძელება და შესაბამისად სახსრების შესუსტება. განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ ზეტანისათვის ვარჯიშების გამოყენებისას, რათა არ იქნეს მიღებული ხერხემლის სვეტის გამრუდებანი. (ზიმკინი, 1982)

ცალკეულ კუნთთა ჯგუფებისათვის დაჭიმულობაზე და ძალაზე ვარჯიშებს შორის გარკვეული შესაბამისობა უნდა არსებობდეს. მენჯის ძვლების შეერთებათა სისუსტის გამო უნდა მოვერიდოთ ისეთ ვარჯიშებს, რომლებიც იწვევენ მათ მკვეთრ შერყევას (დახტომი ქუსლებზე, მაგარ ზედაპირზე, მაღალი სიმაღლიდან ჩამოხტომი და სხვ.).

უმცროს სასკოლო ასაკში თავს იჩენს და ვითარდება ლოგიკურად დაკავშირებული მასალის ათვისების უნარი, საგრძნობლად იზრდება ათვისებისა და დახსომების სისწრაფე. ამ აკასის ბავშვთა აზროვნება ხასიათდება კონკრეტულობით, მათთვის დამახასიათებელია ხატოვანი აზროვნება. ამ თავისებურებებიდან გამომდინარე საერთოდ და კერძოდ, მხტომელობის განმავითარებელი ვარჯიშებიც შესაძლებლობის ფარგლებში მიმზაძველობით ხასიათს უნდა ატარებდნენ, ვარჯიშთა ჩვენება კი იდეალური უნდა იყოს. (დვალი, 2006; ყოლბაია, 2003)

დღევანდელი სპორტული აკრობატიკა ბავშვებისა და ახალგაზრდების კუთვნილება გახდა. რესპუბლიკისა და საერთაშორისო სპორტულ არენაზე გამარჯვებულის კვარცხლბეკზე უმეტესწილად უმცროსი ასაკის გოგონებსა და ჭაბუკებს ვხედავთ. ეს ფაქტი და თანამედროვე ლიტერატურაში მოცემული მასალებიც იმაზე მეტყველებენ, რომ ფიზიკური თვისებების მიზანდასახულ განვითარებას უნდა შევუდგეთ ადრეულ ბავშვობის ასაკში.

ჩვენი ნაშრომის პრაქტიკულ ნაწილში მოცემულ ვარჯიშთა დაყოფა პირობითია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ასეთ დაყოფა უფრო ხელსაყრელია მხტომელობის, როგორც კომპლექსური სწრაფ-ძალოვანი ფიზიკური თვისების განვითარებისათვის ვარჯიშთა შერჩევის დროს. პრაქტიკულ ნაწილში მოცემული მიმბაძველობითი ვარჯიშები ფორმის, ხასიათის და სახიერების თვალსაზრისით მრავალრიცხოვანია, ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა მათგან მხოლოდ ძირითადი.

სპორტსმენის ზედა და ქვედა კიდურების განმავითარებელი ვარჯიშები

ვარჯიშები ქვედა კიდურების სწრაფძალოვანი თვისების განვითარებისათვის.

ქვედა კიდურების და ასევე მთლიანი ტანის ვარჯიშების ბაზად შესანიშნავ გზამკვლევებს წარმოადგენენ ს. გ. თედეევის შრომები. საერთოგანმავითარებელ ვარჯიშთა კომპლექსი (თედეევი, 1962) და ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშთა სანიმუშო კომპლექსები IV კლასისათვის. (თედეევი, 1970)

1. ცალ ან ორივე ფეხის ცერებზე აწევა და დაშვება (აწევა სწრაფძალოვანი მოძრაობით);
2. იგივე, რაც №1 მაქსიმალურად სწრაფ ტემპში (ტარდება შეჯიბრების სახით, რაოდენობაზე 5-10 წამის განმავლობაში);
3. იგივე, რაც №1-2 ფეხის ცერების შემაღლებულ საყრდენებზე დაბჯენით (ტანვარჯიშული კედლის მანაზე და სხვა). ამ შემთხვევაში სხეულის „მკვრივი“ სისტემის შექმნის მიზნით, ზეტანი ბოგიდან არეკნის პროცესში სტრუქტურულად მსგავს პოზიციაში;
4. გამართული ფეხების ცერებზე წახტომები (ცალ ან ორივე ფეხზე);
5. გამართული ფეხების ცერებზე წახტომები მაქსიმალურად სწრაფ ტემპში (ტარდება შეჯიბრების სახით, რაოდენობაზე 5-10 წამის განმავლობაში);
6. ტანვარჯიშული კედლის მანაზე ხელებზე დაბჯენით ფეხის ცერებზე წახტომები (ცალ ან ორივე ფეხზე);

ვარჯიშები მკლავების ზეაქნევის შესასწავლად და მოძრაობის სისწრაფის განსავითარებლად

ე.ი. იანკელევიჩის (Янкелевич, 1956) და თ. სანებლიძის (სანებლიძე, 1992) სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით შევადგინეთ ქვემოთ მოცემული ვარჯიშთა კომპლექსი, მათი საშუალებით შესაძლებელია მრავალი სხვა კომპლექსების შედგენა.

1. ძირითად დგომიდან ზეაქნევით ზემკლავი (სრულდება მაქსიმალური სისწრაფით და მოძრაობის მკვეთრი დამუხრუჭებით ზემკლავში);
2. იგივე, წინმკლავიდან;
3. ვიწრო ფეხშლით დგომში უკუმკლავიდან ფეხის ცერებზე აწევა, ოდნავ წინზნექები, თავის ოდნავ წინ დახრა, ქვერკალებით ზეწინმკლავი ;
4. იგივე, რაც №3 წახტომითა და ნახევრად ბუქნში ფეხის ცერებზე დახტომით (განმკლავი და გარეზემკლავი);
5. ტანვარჯიშულ კედლის ზედა მანაზე დამაგრებული რეზინის ამორტიზატორის დაჭიმვა (ქვემკლავის, ქვეწინმკლავის მდგომარეობამდე) და მაქსიმალური სისწრაფით მკლავების ზეაქნევი (ზემკლავის მდგომარეობაში მოძრაობის მკვეთრი დამხრუჭებით).

ვარჯიშები სხეულის „მკვრივი“ სისტემის შექმნის უნარიანობის განვითარებისათვის

1. ტანვარჯიშულ კედელთან დგომბჯენიდან მიხტომით ბჯენი(ყოვნა);
2. იატაკზე ზემკლავით პირქვე წოლითი მდგომარეობიდან მწვრთნელის დახმარებით ხელყირა, სწორი ხაზის გაუტეხავად, და პირიქით, (ამ შემთხვევაში ტანმოვარჯიშე კუნთების დაძაბვით ქმნის სხეულის „მკვრივი“ სისტემას. მწვრთნელს კი, ძალის მიყენებით იგი გადაყავს ხელყირაში, და პირიქით);
3. იგივე, შემაღლებულ საყრდენზე ხელების დაბჯენით (საშუალო სიმაღლის დვირი და სხვ.);
4. ტანვარჯიშული კედლის ქვედა მანაზე ტაცით ბეჭყირიდან, გამართული ტანით ზურგზე წოლით მდგომარეობაში გადასვლა (სრულდება ნელა, ძალისმიერად ქუსლების იატაკზე შეუხებლად);

ვარჯიშები ბილიკის და ფიცარნაგის დრეკადი თვისებების უნარიანად გამოყენების განვითარებისათვის

1. ბილიკზე ფეხის ცერებზე ტყუპფეხწახტომები;
2. იგივე, რაც №1, მკლავების ზეაქნევით;
3. იატაკზე დგომიდან ცალი ფეხის არეკნით და მეორის გაქნევით ბილიკზე დახტომი და ტემპში ახტომი (დახტომი სრულდება ფეხის ცერებზე, დაშვების გარეშე);
4. იგივე, რაც №3, ახტომი მკლავების ზეაქნევით;
5. იგივე, რაც N3, 3-4 ნაბიჯის გამორბენით (შემდგომ ნაბიჯები თანდათანობით მომატებული უნდა იქნეს).

ვარჯიშები რბენის ტექნიკის შესწავლისა და სისწრაფის განვითარებისათვის

1. ტანვარჯიშული კედლის მანაზე ტაცით ნახევარწლობჯენიდან (ტანი 450 კუთხით) ფეხის ცერების იატაკიდან მოუწყვეტლივ სირბილის იმიტაცია (დასაწყისში იგი ტარდება ნელ ტემპში ათვისების შემდეგ იგი სასურველია ჩატარდეს მაქსიმალური სისწრაფით. ეს ვარჯიში ხელს უწყობს აგრეთვე სხეულის „მკვრივი“ სისტემის შექმნის უნარიანობის გამომუშავებას);

2. იგივე მდგომარეობიდან მუხლების მაღლა აწევით სირბილი (დასაწყისში იგი ტარდება ნელ ტემპში, ათვისების შემდეგ იგი სასურველია ჩატარდეს მაქსიმალური სისწრაფით);

3. ადგილზე სირბილში მკლავების მოძრაობის იმიტაცია (დასაწყისში იგი ტარდება ნელ ტემპში, ათვისების შემდეგ ტარდება მაქსიმალური სისწრაფით);

4. მუხლების მაღლა აწევით ადგილზე სირბილი (ტარდება მაქსიმალური სისწრაფით);

მიმბაძველობითი ვარჯიშები - წახტომები

თ. სანებლიძეს წყაროზე დაყრდნობით შესაძლებელია ამ ვარჯიშების ნაირსახობის შედგენა (სანებლიძე, 1992).

I - ვარჯიში - ,,სკუპ-სკუპი''.

ს.მ. - ფეხშლით დგომი, დოინჯი

1-4. ოთხი წინ წახტომი.

5-8. ოთხი უკან წახტომი.

II - ვარჯიში -„როგორც ბურთები''

ს.მ. - დოინჯი.

ტყუპფეხწახტომები ადგილზე.

III - ვარჯიში - ,,დიდი და პატარა ბურთი''

ს.მ. - დოინჯი

1-4 ოთხი მაღალი ტყუპფეხწახტომი.

5-8. ოთხი დაბალი ტყუპფეხწახტომი.

IV - ვარჯიში „როგორც ციკნები“

ს.მ. - დოინჯი

თითოეულ თვლაზე წინ მოხრილი ფეხებით შენაცვლებით წახტომები.

თამაშობითი ვარჯიშები ხტომებში

უმცროს სასკოლო ასაკში ფიზიკური თვისებების და სხვა სპეციალური ფიზიკური თვისებების განვითარებაში და კერძოდ, ამ შემთხვევაში წარმატებით მუშაობს მოძრავი თამაშები. (ძაგანია, ქობალია, ლეჟავა, & უთურგაიძე, 2011; ძაგანია, 1998)

I - ვარჯიში - „ანკესი“

მოთამაშენი დგანან წრეზე პირისახით ცენტრისაკენ, წრეში დგას გამძღოლი, რომელსაც თოკი უკავია, თოკს ბოლოში გამობმული აქვს ნაჭრის ბურთი, გამძღოლი ტრიალებს და ამოძრავებს გაჭიმულ თოკს ისე, რომ იგი წრეში მდგომ მოთამაშეებს ფეხებში ედება. მოთამაშენი შეხტომით ცდილობენ, რომ თოკი ფეხში არ გამოედოთ; ვისაც თოკი ფეხში მოედება, იგი დგება გამძღოლად, გამძღოლი კი მის ადგილზე.

II - ვარჯიში - „კურდღელი ბოსტანში“

მოედანზე დახაზულია ორი წრე - ერთ დიდი, მეორე მცირე. მცირე წრეში დგას „დარაჯი“, ხოლო დიდი წრე წარმოადგენს ბოსტანს. ბავშვები - „კურდღლები“ ტყუპფეხებზე ხტებიან ბოსტანში.

მასწავლებლის ნიშანზე „დარაჯი“ ცდილობს „კურდღლების“ დაჭერას ბოსტანში. ის „კურდღელი“, რომელსაც დაიჭერს „დარაჯი“, ხდება დარაჯად, „დარაჯი“ - კი „კურდღლად“.

III - ვარჯიში - „ბაყაყები და ყანჩა“

ნიშანზე მომეცადინეები იწყებენ წახტომებს სხვადასხვა მიმართულებით ბაყაყებისადმი მიბაძვით, მასწავლებლის დაძახებისთანავე „ყანჩა მოდის“ (მიეცემა პირველ ნიშნიდან 10-15 წამის შემდეგ), ერთ-ერთი მოწაფეთაგანი (ხელმძღვანელისაგან წინასწარ დანიშნული) მიდის „ბაყაყებთან“ და ის ბაყაყი, რომელიც შეირხევა, მიჰყავს საუზმედ (მიჰყავს ხელჩაკიდებული განზე). „ყანჩას“ წასვლის შემდეგ იძლევა მესამე ნიშანი. „ბაყაყები“ ისევ იწყებენ ხტუნვას 10-15 წამს. შემდეგ მეოთხე ნიშანზე ხელახლა გამოჩნდება ბაყაყებზე „მონადირე“ ყანჩა და ა.შ.

IV - ვარჯიში - „ბეღურები“

ნიშანზე მომეცადინეები იწყებენ წახტომებს (ტყუპ ან ცალ ფეხზე) სხვადასხვა მიმართულებით ბეღურებისადმი მიბაძვით. მასწავლებლის დაძახებისთანავე „კატა მოდის“ (მიეცემა პირველ ნიშნიდან

10-15 წამის შემდეგ) მოთამაშეები სწრაფად იკავებენ თავთავიანთ ადგილებს და „იყინებიან“ ყოველგვარი მოძრაობის შეწყვეტით. მოთამაშეები, რომლებიც ბოლოს დაიკავებენ თავიანთ ადგილებს ანდა ვერ შესძლებენ „გაყინვას“, წაგებული არიან.

V - ვარჯიში - „მარცხენა მარჯვენა“

მომეცადინეები დგანან მწკვრივში ან წრეზე პირისახით ცენტრისკენ, წინ გამოდგმული მარცხენა ან მარჯვენა ფეხზე, რომელიც იატაკს ეხება ქუსლით; ხელმძღვანელის თვლის ქვეშ იწყებენ ადგილზე წახტომებს მორიგეობით, ხან მარცხენა, ხან მარჯვენა ფეხზე. 10-15 წამის შემდეგ ხელმძღვანელი ბოლო თვლის მაგიერ წარმოთქვამს: „მარცხენა“ ან „მარჯვენა“, მაშინ ყველანი წყვეტენ წახტომებს. მეორე ნიშნის შემდეგ არ შეიძლება ფეხების მდგომარეობის ცვლა, წაგებულნი არიან ის მოთამაშენი, რომლებმაც გამოიტანეს არა ის ფეხი, რომელიც ხელმძღვანელმა წარმოთქვა.

თამაშობითი ვარჯიშები რბენაში

I - ვარჯიში - „ოთხეულები“

პირველ ნიშანზე - ოთხეულებად შეერთება ხელების ჩაკიდებით და გაფანტვა მოედანზე სხვადასხვა მიმართულებით; მეორე ნიშანზე, რომელიც მიეცემა დაახლოებით 15-20 წამის შემდეგ - მორბენა უკან ადრინდელი ადგილების დასაკავებლად. ის ოთხეული, რომლის ერთ-ერთი მოთამაშე ბოლოს დაიკავებს ადგილს, წაგებულია.

II - ვარჯიში - „სწრაფად ადგილზე“

ნიშანზე - მწყობრში მდგომ მოთამაშეთა გაფანტვა მოედანზე; მეორე ნიშანზე - მწყობრში ადრინდელი ადგილების დაკავება. ის, ვინც ბოლოს დაიკავებს თავის ადგილს, წაგებულია.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული მიმზაძველობითი ვარჯიშები ჩატარებული უნდა იქნეს საწვრთნო მეცადინეობის მოსამზადებელი ნაწილის ბოლოს, როგორც სისხლისა და სუნთქვის ორგანოთა ფუნქციების გამაძლიერებელი ვარჯიშები. მათი ჩატარება შეიძლება აგრეთვე საწვრთნო მეცადინეობის ძირითადი ნაწილის ბოლოს, რბენის სისწრაფისა და მხტომელობის განვითარების მიზნით. ძირითადი ნაწილის ბოლოს მიზანშეწონილია ჩატარდეს ამანათრბენები - წახტომებით და რბენით.

მოცემულობის სიმცირიდან გამომდინარე ვერ შევძელით ყველა ვარჯიშის აღწერა, თუმცა შევეცადეთ მოგვეტანა ის ვექტორი, რის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება მუშაობა უმცროს სასკოლო ასაკში ხტომადობის თვისებების განვითარების თვალსაზრისით.

ბიბლიოგრაფია:

ალთუნაშვილი, ვ. (1981). *აკრობატული ვარჯიშები.* თბილისი: საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რესპუბ. ცენტრი.

დვალი, გ. (2006). *სპორტის ფსიქოლოგიური საფუძვლები.* თბილისი.

ზიმკინი, ნ. (რედ.). (1982). *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფიზიოლოგიური საფუძვლები.* თბილისი: განათლება.

თედეევი, ს. (1962). *საერთო განმავითარებელ ვარჯიშთა კრებული.* თბილისი.

თედეევი, ს. (რედ.). (1970). *ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშთა სანიმუშო კომპლექსები IV კლასისათვის.* თბილისი.

თედეევი, ს. გ. (1967). *უმცროსი ასაკის აკრობატების მხტომელობის განმავითარებელი ვარჯიშები.* საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ხელნაწერის ფონდი.

კახიძე, გ. (2002). *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მატვეევი, ლ. პ., & ნოვიკოვი, ა. დ. (რედ.). (1979). *ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა.* თბილისი: განათლება.

მნათობიშვილი, მ., & ტუღუში, მ. (2013). *აკრობატული ხტომები.* თბილისი.

პაპუკაშვილი, ნ., ბერიანიძე, ნ., & ლეშკაშელი, მ. (2007). *ბატუტზე ხტომები.* თბილისი: მწიგნობარი.

სანებლიძე, თ. (1992). *ტანვარჯიში* (ხმა წიგნ. 1). თბილისი: განათლება.

სვანიშვილი, რ. ა. (1964). *ფიზიკური ვარჯიში და ასაკი.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

სვანიშვილი, რ., & კახაბრიშვილი, ზ. (2010). *სპორტული მედიცინა და კინეზოთერაპია.* თბილისი.

ყოლბაია, მ. (2003). *სპორტის ფსიქოლოგია.* თბილისი: ცის ნამი.

ძაგანია, ჯ. (1998). *სპორტულ თამაშებში მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადების სპორტულ-პედაგოგიური საფუძვლები.* თბილისი.

ძაგანია, ჯ., ქობალია, ქ., ლეჟავა, ნ., & უთურგაიძე, მ. (2011). *სპორტი: 1-6 კლასები: გზამკვლევი მასწავლებლებისთვის.* თბილისი.
Данилов, К. Ю. (1978). *Прыжки на батуте.* Москва: Физкультура и спорт.
Коркин, В. П. (1981). *Спортивная акробатика.* Москва: Физкультура и спорт.
Курысь, В. (1985). *Акробатические прыжки.* Москва: Физкультура и спорт .
Семенов, Л. (1975). *Опорные прыжки мужчин.* Москва: Физкультура и спорт.
Янкелевич, Е. И. (1956). *Осанка и плоскостопие.* Москва: Медгиз.

Nelly Papukashvili
Georgian State University of Physical Education and Sport

GYMNASTICS IN CLASS OF PHYSICAL EDUCATION AT JUNIOR AGE

RESUME

At junior ages (6-10 years) occurs intensive development of body and accomplishment of coordination. Skeleton is developing intensively, but bones are not formed completely yet. Thick muscles are developing intensively and because of this, children at this age can do complex activities much easily, than the smaller ones, which need great accuracy. At this age excitable processes predominate self-control processes, that's why there is much more excitability. Children are strongly movable, but they get tired easily. Tiredness in increasing after similar activities. Particularly , after activities that need great accuracy, concentration of attention and effort. So, we have to avoid using that kind of exercises.

Teaching and educational process effects juniors' feelings and clearly define them. Pupils get new duties at school. All results of their behavior are appreciated, which cause pleasure and unpleasantness in them. A teacher of physical education has to approach nearly to appreciate all their exercises and activities. Juniors are emotional, they react all pressure. Their emotions are caused by all novelty, unexpected, happy, interesting things. Monotonous, boring classes age their cognitive interest slower, cause negative emotions and finally, negative attitude to studding.

Keywords: Junior school age, Gymnastic jump, Playful method, Imitation exercises, Junior acrobatics.

მამია ტუღუში
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ვლადიმერ იაშვილი
ქ. თბილისის ჭიდაობის ფედერაცია
ალექსანდრე იაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მთის კლიმატი და სპორტულ წვრთნაზე მისი ზემოქმედების თავისებურებანი

საკვანძო სიტყვები: მთის კლიმატი, მთიანი პირობები, სპორტული ვარჯიშის აერობული და ანაერობული სისტემები, ჰიპოქსიური პირობები, ნაწილობრივი წნევა, ტემპერატურის ვარდნა.

თანამედროვე საზოგადოებაში სპორტი მეტად პოპულარული გახდა. ფართო მასშტაბის ოლიმპიური თამაშები და სპორტის სახეებში მომრავლებული მსოფლიო ჩემპიონატები სულ უფრო ზრდის სპორტისადმი ინტერესს. გარდა ამისა, სპორტი ხომ ახალგაზრდობის სიჯანსაღის საუკეთესო საშუალებაა. ყოველივე ამან გამოიწვია განსაკუთრებული ზრუნვა მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადებაზე. სპორტის უმეტეს სახეებში საწვრთნელი მეცადინეობები და სპორტული შეჯიბრებები უმეტესად მთიან პირობებში ტარდება. ამის გამო სპორტული მუშაობის უნარის და აქტიური დასვენების მიზნით ფართოდ არის გამოყენებული საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარება მთიან პირობებში.

სპორტულ პრაქტიკაში ხშირად სავალდებულო (აუცილებელი) ხდება ჰაერის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრა, რის ცოდნასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საწვრთნელი მეცადინეობებისა და სპორტული შეჯიბრებების დროს სპორტის ისეთ სახეებში, როგორიც არის საიალქნო, საპლანერო, საპარაშუტო და სხვ. სპორტის სახეები. ღია ცის ქვეშ ვარჯიშობის დროს ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული ჰაერის მოძრაობის სიჩქარის გავლენა სპორტსმენის ორგანიზმის სითბოს ცვლასა და ნევრო-ფსიქიურ მდგომარეობაზე.

როგორც ცნობილია ფიზიკური აღზრდის თეორია (ნაწილობრივ სპორტული წვრთნის საფუძვლები) განეკუთვნება პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემას. ამდენად, ბუნებრივია, რომ მისი მეცნიერული პრობლემები ემთხვევა მეცნიერულ დისციპლინათა დიდ კომპლექსს (მატვეევი & ნოვიკოვი, 1979) და პირველ რიგში - ბიოლოგიურ მეცნიერებებს. სპორტულ წვრთნაში აღზრდის საერთო მიზანი კონკრეტდება სპორტული საქმიანობის თავისებურებათა შესაბამისობაში და იძენს სპორტული მიღწევებისადმი უშუალო კავშირის მნიშვნელობას. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს კონკრეტული სპორტული შედეგების მიზანი საერთო და სოციალური პედაგოგიური პოზიციებიდან, ისინი საბოლოო თვითმიზნად მაინც ვერ იქცევიან. მათკენ მიმავალ გზას მუდამ უნდა თან სდევდეს უფრო არსებითი ნიშანი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მაღალი სპორტული მიღწევებით სპორტსმენს განუვითარდეს სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობანი, რათა სპორტული მოღვაწეობა გამოყენებულ იქნას პიროვნების ჰარმონიული (ყოველმხრივი) ფორმირების და საზოგადოებრივი აღზრდის ფაქტორად. თანამედროვე წარმოდგენების საფუძველზე კლიმატი განიხილება როგორც მოცემულ პუნქტში ამინდის განსხვავებული პირობები. გარდა ამინდის ტიპების მრავალფეროვნებისა, მათი კლასიფიკაციისა და მოდიფიკაციის, ასევე მეტეოროლოგიური მონაცემების მრავალრიცხოვან დამუშავებულ მასალაში, სასურველია ყურადღება გამახვილდეს ადამიანის ორგანიზმზე კლიმატური ფაქტორების ზემოქმედების ფიზიოლოგიურ კანონზომიერებებზე. კლიმატური ფაქტორების ორგანიზმზე ზემოქმედება განიხილება როგორც საერთო პრობლემის კავშირის ნაწილი და ადამიანის ორგანიზმის რეაქცია გარე სამყაროზე.

1968 წლის ოლიმპიურ თამაშებში ყოფილ საბჭოთა სპორტსმენთა წარუმატებელი გამოსვლები დაკავშირებული იყო მთიანი პირობებისა და საშუალო მთიანეთისადმი ადაპტაციის უგულო და არასერიოზულ დამოკიდებულობასთან. მოგვიანებით დაიწყეს თანამედროვე სპორტული ბაზის (წახკაძორი, სომხეთი) წესრიგში მოყვანა, შეიქმნა სამეცნიერო ცენტრები, მზადებაში ჩაერთო მეცნიერებათა აკადემია. დამუშავდა და ფორმირება გაუკეთდა შესაბამის პროგრამებს. ამ დარგში მოგვარდა **გდრ-**თან ურთიერთთანამშრომლობა, შეიძლება ითქვას, რომ საკითხი გამოსწორდა. მეტად მოკლე დროში დამუშავდა ე.წ. საჭირო და ნაკლებად ღირებული ცოდნათა სისტემა, პრაქტიკული გამოცდილების არქონამ უარყოფითად იმოქმედა სპორტსმენთა სპორტულ შედეგებზე. მსოფლიოს წამყვან მწვრთნელთა უმრავლესობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა გამძლეობის სახეებში მოვარჯიშეთა მომზადებას მთიან პირობებში, როგორც მაღალი კლასის სპორტსმენთა უპირობო ქმედებას. მაგალითად კანადელი ცნობილი მწვრთნელი სესილ კოლვინი (რიგი მნიშვნელოვანი შრომების ავტორი) მაღალი კლასის მოცურავეთა მომზადების მეთოდიკაში აღნიშნავდა, რომ ბევრი მათგანი იყენებდა ასეთ მომზადებას და მათი აღსაზრდელები მკვეთრად ზრდიდნენ საკუთარ შედეგებს ზღვის დონეზე ჩატარებულ შეჯიბრებებში. მოცურავეებთან მომუშავე (თითქმის ყველა) ამერიკელი მწვრთნელი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ საშუალო და გრძელ მანძილებზე მოცურავეთა მომზადებას და საწვრთნელ მეცადინეობებს, შეკრებებს რეგულარულად ატარებდა მთიან პირობებში.

ავტორთა გარკვეული ჯგუფი თვლის, რომ ფილტვების ვენტილიაციის მატებას საფუძვლად უდევს ორგანიზმის სწრაფვა შეინარჩუნოს ჟანგბადის მუდმივი გრადიენტი ალვეოლარულ ჰაერსა და სისხლში. ამასთან, არსებობს საკმაო მონაცემები იმის შესახებ, რომ საშუალო მთიანეთში საწვრთნელი მეცადინეობების პროცესში მიმდინარეობს მეტ-ნაკლები ადაპტაციით და სპორტსმენის მუშაობისუნარიანობის გარკვეული ფიზიკური ცვლილებებით ხასიათდება. საშუალო მთიან პირობებში საწვრთნელი მეცადინეობის დროს კლიმატური ფაქტორების ზეგავლენით იზრდება სპორტსმენის ფუნქციური შესაძლებლობები და იგი მუშაობის უნარიანობას ხანგრძლივად ინარჩუნებს. ადაპტაციის ფაზური ცვლილებები დამოკიდებულია სპორტსმენის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, მთის პირობებში ვარჯიშობის სტაჟზე, საწვრთნელი დატვირთვის მოცულობასა და კუნთური მოქმედების ხასიათზე.

მთიან პირობებში სპორტსმენთა მომზადებას აკვირდებოდა ამ დარგში, ფართო მასშტაბის მეცნიერთა დიდი ჯგუფი. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მაღალი კლასის სპორტსმენებზე ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა დაკვირვებებმა დაგვანახა, რომ ხელოვნურ ჰიპოქსიურ პირობებში ჩატარებული საწვრთნელი მეცადინეობები საშუალებას იძლევა დაჩქარდეს სპორტსმენის აკლიმატიზაციის პროცესი საშუალოდ 2-2,5 ჯერ. ის სპორტსმენები, მთაში გასვლის წინ 5-10 დღის განმავლობაში, მწვავე აკლიმატიზაციის ფაზაში 2-3 დღის განმავლობაში გამოიყენებენ ხელოვნურ ჰიპოქსიურ საწვრთნელ

მეცადინეობებს, ასეთი წინასწარი მომზადების გარეშე დიდი დატვირთვებით მთაში ვარჯიშობა შეიძლება დავიწყოთ მთაში წასვლიდან 5-7 დღის შემდეგ (ვილბერი - 2004 წელი). წინასწარი ჰიპოქსიური დატვირთვის მინიმალური ოდენობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორთა ზემოქმედებაზე (სპორტსმენის სპეციალიზაცია, მთის პირობებში მომზადების გამოცდილებაზე, წინა და შემდგომი საწვრთნელ ვარჯიშობათა ხასიათსა და სხვ. ეფექტი აღინიშნება იმ შემთხვევაში, როცა ხელოვნური ჰიპოქსიური ვარჯიშობა გამოიყენება 10-12 დღის განმავლობაში.

შეჯიბრებების სერიებში მონაწილეობის აუცილებლობის შემთხვევაში გაწვრთნილობის უნარიანობის შენარჩუნებას ხელს უწყობს პროგრამაში იმ სპორტული მიკროციკლების შეტანა, რომლებიც ჩატარდება ხელოვნური ჰიპოქსიის პირობებში. ასეთი სპორტული ღონისძიებების ჩატარება შესაძლებლობას იძლევა სპორტსმენმა შეინარჩუნოს მზაობა სტარტებისათვის.

მთაში მყოფსა და მის ორგანიზმზე შედარებით გამოკვეთილ ზემოქმედებას ახდენს ჟანგბადის პარციალური წნევა. სხვა ფაქტორების ზემოქმედება (დაბალი ტემპერატურა, ჰაერის სინესტის კლება, მზის მომატებული რადიაცია) ბევრად უფრო ნაკლებად არის გამოხატული.

1970 წლის დასაწყისში საწვრთნელი მეცადინეობების მთიან პირობებში ჩატარება შეტანილი იქნა მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადების საერთო სტრატეგიაში, ხოლო **გდრ**-მა სპორტის იმ სახეებში, რომლებიც უპირატესად იყო დაკავშირებული გამძლეობასთან, სპორტსმენთა მაღალი შედეგიანობა დაუკავშირა მთიან პირობებში ჩატარებულ საწვრთნელ პროცესს. ამის შემდეგ სპორტსმენები, რომლებიც სპეციალდებოდნენ სპორტის სხვადასხვა სახეებში, დაიწყეს 3-4 კვირიანი რეგულარული საწვრთნელი გასვლები, ძირითადად მათთვის ბულგარეთში ბელმეკენის სპეციალურად აგებულ სპორტულ ბაზაზე (2000 მ. სიმაღლეზე მდებარე - საშუალო მთიანეთი), ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნების მაღალმთიან სპორტულ ბაზებზე. მთიან პირობებში სპორტსმენთა მომზადებას აკვირდებოდა ამ დარგში, ფართო მასშტაბის მეცნიერთა დიდი ჯგუფი. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მაღალი კლასის სპორტსმენებზე ჩატარებულმა მრავალრიცხოვანმა დაკვირვებებმა დაგვანახა, რომ საკითხი მოგვარდა. მაგრამ მეხიკოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ მკვლევართა და პრაქტიკოს-მწვრთნელთა ყურადღება მთიანეთისადმი შესამჩნევად შენელდა (ექსპერიმენტალურ ნაშრომთა უმეტესობა შესრულდა 1960-1968 წლებში). ამ მდგომარეობას აღრმავებდა ისიც, რომ სპორტის პრაქტიკაში რიგ შემთხვევაში გვხვდება ფაქტები, როცა სპორტსმენები წარუმატებლად ასპარეზობდნენ დაბლობ ადგილებში ვარჯიშობის შემდეგ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ბ. ს. ფარფელი, ფ. პ. სუსლოვი და ნ. ა. ფუდინი (1971 წ.), ასეთი შედეგების შემდეგ ზოგიერთ ხელმძღვანელსა და მწვრთნელს ექმნება წარმოდგენა, რომ საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარება მთიანეთში არ არის სასარგებლო და მათთვის მიუღებელია მსგავსი რამ. ჯამში, აღნიშნული პრობლემისადმი, შეიქმნა გაორმაგებული დამოკიდებულება. აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტა შესაძლებელი იქნა დამატებითი ექსპერიმენტალური გამოკვლევებით, თეორიული მასალის განზოგადებით და სპორტის პრაქტიკოს მწვრთნელთა შორის დაგროვილი მასალის პროპაგანდით. სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ერთ-ერთი ეფექტური, სასურველი შედეგების მომცემი, ხელმისაწვდომი საშუალებაა საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარება მთიან პირობებში. ძნელია მოიძებნოს ისეთი სახელმწიფო და სადირექტივო დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებული არ იქნებოდა ადამიანის სპორტულ მომზადებასა და მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების საკითხებთან. სამწუხაროდ მრავალი მიზეზების გამო ეს ცოდნა და გამოცდილება არ იქნა სპეციალისტებისათვის ხელმისაწვდომი. ამდენად, ვაანალიზებთ რა მთის პირობებში სპორტსმენთა მომზადების დღეისათვის საჭირო მასალებს, ვფიქრობთ რომ ისინი ახდენენ 20-30 წლის წინანდელი მასალების დუბლირებას.

მთიან პირობებში ატმოსფეროს სიმკვრივე კლებულობს ბარომეტრიული წნევის ვარდნის შესაბამისად. მთაში სპორტსმენის მოკლევადიანი (რამდენიმე კვირა) ყოფნისას ალვეოლარული ჰაერის შემადგენლობა რამდენადმე განიცდის ცვლილებებს, რაც არ შეინიშნებოდა ნორმალურ ბარომეტრულ პირობებში. შედარებით მნიშვნელოვნად ითვლება ის, რომ შუამთიანეთში ხდება სუნთქვის რეგულაცია. სასუნთქი ცენტრის მგრძნობელობა CO_2-ის მიმართ მნიშვნელოვნად იზრდება, ამიტომ მთიან ადგილებში ალვეოლარული და არტერიალური ფონი არათუ კლებულობს, რიგ შემთხვევაში იზრდება კიდევაც.

მთაში ყოფნის პირველი 7-10 დღის განმავლობაში აღინიშნება მუშაობის უნარიანობის დაქვეითება, დაღლილობა, ძილის რეჟიმის დარღვევა, თავის ტკივილები. ამიტომ ინტენსივობა ბართან შედარებით 2-3-ჯერ ქვეითდება. შემდეგ (7-10 დღიდან უმჯობესდება მოვარჯიშის თვითშეგრძნება, შეინიშნება მუშაობის ამაღლება. მთიან პირობებში საადაპტაციო პროცეცისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, შედგენილ რაციონალურ სადღეღამისო რეჟიმს, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს დასვენებისათვის აუცილებელი პერიოდი, ასევე სხვადასხვა აღმდგენელი საშუალებების გამოყენება. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დღისა და ღამის ძილის ორგანიზებას.

ორგანიზმის გარემო პირობებთან ურთიერთკავშირის შესწავლას აქვს როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა. ადამიანის ნორმალური არსებობა შესაძლებელია მხოლოდ გარემო პირობების გათვალისწინებით. ამა თუ იმ მოდიფიკატორის შეცვლა ორგანიზმისათვის არ მიმდინარეობს უკვალოდ, შესაძლებელია გარკვეული ძვრების შეგრძნება. უფრო კი გარემოს აქვს კომპლექსური ხასიათი, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს მთის კლიმატის მაგალითზე. მთის კლიმატი ბარის კლიმატისაგან განსხვავდება ჰაერში ჟანგბადის სიმცირით, მზის რადიაციით, ჰაერში მომატებული იონიზაციით, ტემპერატურის დატენიანობის ცვალებადობით. აქ დასახელებული ფაქტორებიდან თითოეულს შეუძლია გამოიწვიოს გარკვეული ბიოლოგიური ეფექტი. როგორც ჩანს, ერთნაირ მთიან პირობებში ორგანიზმის საპასუხო რეაქციები, პირველ ყოვლისა, განპირობებულია აღნიშნული ფაქტორების თავისებურებებთან შეთავსებით და ორგანიზმის ფუნქციონალური მდგომარეობით.

ამ მეტად მნიშვნელოვან კომპლექსში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ჰიპოქსიას. ატმოსფერული ჰაერი წარმოადგენს გაზების მექანიკურ ნაზავს, აზოტი (78,08 %), ჟანგბადი (20,93 %), ნახშირორჟანგის გაზი (0,03 %) და სხვა გაზების მცირე რაოდენობა (არგონი, გელია, კრიპტონა, ამმიაკა და სხვ.) თანამედროვე წარმოდგენით ატმოსფეროს ჟანგბად-აზოტის შემადგენლობა მთელი მისი სისქით რჩება მუდმივი. გაზები, რომლებიც შედიან ატმოსფეროს შემადგენლობაში, დედამიწის მიზიდულობის ძალით ზემოქმედებენ ჰაერის ნაწილაკებზე (ატმოსფერული წნევა). ვარაუდობენ, რომ ატმოსფერული წნევა განისაზღვრება ჰაერის სვეტის სისქით. ხოლო ბარომეტრული წნევა კანონზომიერად დაიწევს. ურთიერთკავშირი ბარომეტრიულ წნევის სიმაღლეს შორის არის პირდაპირი, მაგრამ მათ შორის არაპროპორციული დამოკიდებულებაა.

ატმოსფეროს სიმკვრივე კლებულობს ბარომეტრიული წნევის ვარდნის შესატყვისად. სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებისათვის ამ მოვლენის მნიშვნელობა ძალზე დიდია, იმდენად, რამდენადაც მთაში სპორტსმენის მოკლევადიანი (რამდენიმე კვირა) ყოფნისას საჭიროა საკმაოდ მნიშვნელოვანი ენერგია.

დღის განმავლობაში მთაში სიმაღლის მიხედვით ტემპერატურის ვარდნა მკვეთრად შესამჩნევია, ვიდრე ღამით. ზოგჯერ ღამით მთიან ადგილმდებარეობაზე ტემპერატურის კლების ნაცვლად შეინიშნება მატება, რასაც „ტემპერატურული ინვერსია“ უწოდეს. მთაში საწვრთნელი დატვირთვის პრინციპი უნდა იყოს დატვირთვის თანდათანობითი მატება.

საკითხი მთიან პირობებში სპორტსმენის მომზადების ოპტიმალური სიმაღლის შესახებ, არ არის უმნიშვნელო. ჩატარებული მეცნიერული კვლევების უმეტესობა და ასევე სპორტის სხვადასხვა სახეებში მოვარჯიშე სპორტსმენთა გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი დაკავშირებულია 1700-2200 მ. სიმაღლეებთან. ასევე მნიშვნელოვანია მაღალმთიანეთის დონეებიც (2500-3000 მ. სიმაღლეები). რაც მთავარია, არსებობს გარკვეული რეზერვები დაბალმთიანეთის (1000-1500 მ. სიმაღლეები) ფართო გამოყენებით. სპეციალისტთა დიდი ნაწილი ვარაუდობს, რომ ოპტიმალური სიმაღლე, სადაც შესაძლებელია სპორტსმენთა მომზადება, არის 1500-2500 მ. სპორტსმენები, რომლებიც ადაპტირებულნი არიან 3000 და უფრო მეტ სიმაღლეებთან, მათთან საწვრთნელი მეცადინეობების ხანგრძლივი დროით გაგრძელებამ შეიძლება მიგვიყვანოს სპორტული ტექნიკის სერიოზულ დარღვევამდე.

ამ ბოლო წლებში სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება, საშუალომთიანეთი როგორც ეფექტური საშუალება, იგი აქტიურად არის პროპაგანდირებული და მივყავართ ცხოვრების პროცესთან (2000-2500 მ. სიმაღლეზე), ხოლო ვარჯიშობა 1000-1250 მ. სიმაღლეზე. (შტრაუ - გუნდერსენი, ლევინე - 1999 წ.; ლევინე, შტრაუ - გუნდერსენი - 2005 წ.; თიოლლიერი - 2005 წ.). მისი უპირატესობა ჩანს საშუალო მთიანეთში პრობლემათა მოცილებაში, საწვრთნელი დატვირთვის მოცულობის შეზღუდვასა და დაღლის განვითარებაში. ერთი მხრივ ეს კანონზომიერია, ხოლო მეორე მხრივ - იწვევს სერიოზულ შიშს ანაერობული და აერობული ადაპტაციის ლაქტატური სისტემის ენერგო უზრუნველყოფის მიზნით, რის გამოც ვარჯიშობები ტარდება მთაში. საფიქრალი არ არის ის, რომ საშუალო მთიანეთში მხოლოდ მთის ჰიპოქსიის მიზნით ცხოვრება და ვარჯიშობა მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებისათვის არ იქნება საკმაოდ ეფექტური (დ. ბომეტტი და ყ. ხოპკინსი (2009 წ.) მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე, რომ მომზადების ასეთი ფორმა შეიძლება იყოს ეფექტური საშუალო კვალიფიკაციის სპორტსმენებისათვის.

ვეყრდნობით რა ფიზიოლოგიური რეაქციებს მთიან პირობებში ყოფნისა და საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარების მექანიზმებს, გთავაზობთ შემდეგ კლასიფიკაციას:

1. **დაბალი მთიანეთი - 750 მ.-დან 1000მ-დე.** ამ მთიანი ზონისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მის ფარგლებში (ზღვის დონიდან შედარებით) ადამიანი არ განიცდის ჟანგბადის უკმარისობას;

2. **საშუალო მთიანეთი - 1000-დან 2500 -3000მ-დე.** ამ ზონისათვის დამახასიათებელია ის, რომ ჯანმრთელი ადამიანის მექანიზმში (მის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებით)

მოსვენებულ და ზომიერი მოღვაწეობისას არ წარმოჩნდება შემდგომი არსებითი და თანამიმდევრული ფუნქციონალური ცვლილებები. მაგრამ ამ ზონის ფარგლებში დაძაბულ კუნთურ მუშაობას თან ხვდება მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი ჟანგბადის შიმშილი და ორგანიზმის შესაბამისი ცვლილებები. საშუალო მთიანეთში სპორტსმენთა აკლიმატიზაცია ძირითადად ლიტერატურაში განიხილება, როგორც ადაპტაცია ჰიპოქსიისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო მთიანეთში სპორტსმენთა აკლიმატიზაცია ძირითად ლიტერატურაში განიხილება, როგორც ადაპტაცია ჰიპოქსიისადმი. მითითებული ლანდშაფტური ზონები შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული სპორტსმენთა მომზადების გარკვეულ ეტაპზე საწვრთნელი პროცესის ეფექტურობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანი საწვრთნელი და საშეჯიბრო დატვირთვების შემდეგ სპორტსმენთა შრომისმოყვარეობის სწრაფად აღსადგენად და აგრეთვე ჯანმრთელობის განმტკიცების, აქტიური დასვენების და რეაბილიტაციის საშუალებად გარკვეული გეოგრაფიულ ზონებში ყოფნის მიზნით. კონკრეტული ვადების შერჩევა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ადგილისადმი შესაძლო ამინდის პირობების გათვალისწინებით;

3. **მაღალი მთიანეთი - 2500 მ. უფრო მეტი სიმაღლე.** ამ მთიანი ზონისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში მოსვენებულ მდგომარეობაში შეინიშნება ფუნქციონალური ცვლილებების კომპლექსი, რაც გამოწვეულია ჟანგბადის უკმარისობით.

სპორტის სხვადასხვა სახეებში მოვარჯიშე სპორტსმენთა გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- ამ ბოლო წლებში სპეციალურ ლიტერატურაში მტკიცედ დაფუძნდა ჰიპოქსიური მომზადების ფორმა, რომლის დროსაც სპორტსმენი დღის უმეტეს ნაწილს (12-18 საათი) ატარებს ხელოვნური ჰიპოქსიის პირობებში (ჰიპოქსიური სახლები, ბინები, კარვები) შესაბამის სიმაღლეზე 2000-3000 მ., ხოლო ვარჯიშობენ ჩვეულებრივ პირობებში;
- დღის განმავლობაში მთაში სიმაღლის მიხედვით ტემპერატურის ვარდნა მკვეთრად შესამჩნევია, ვიდრე ღამით;
- ატმოსფეროს სიმკვრივე კლებულობს ბარომეტრიული წნევის ვარდნის შესატყვისად.

სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებისათვის ამ მოვლენის მნიშვნელობა ძალიან დიდია, იმდენად, რამდენადაც ჰაეროდინამიკური წინააღმდეგობის გადალახვისათვის იხარჯება საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალა;

- ცნობილია, რომ მთის კლიმატური პირობები მკვეთრად განსხვავდება ბარის კლიმატისაგან ტენიანობით, ტემპერატურის ცვალებადობით, ჰაერში ჟანგბადის ატმოსფერული და პარციალური წნევით, მზის მომატებული რადიაციით, ჰაერის მაღალი ირადიაციით.

ბიბლიოგრაფია:

ბიბილეიშვილი, ლ., & ტუღუში, მ. (2002). *სოციალური პედაგოგიკა.* თბილისი.

გაგუა, ვ. (1996). *პედაგოგიკა.* თბილისი.

გოგიჩაიშვილი, თ. (2001). *მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია.* თბილისი.

გოგოძე, გ. (2018). ჰიპოქსია. *საქ. მეცნ. აკადემიის სამედიცინო უნივერსიტ. ბავშვთა კარდ. ასოციაციის ერთიანი სამეც. კონფერენცია.*

ელაშვილი, ვ. (1989). *ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური პედაგოგიკა.* თბილისი: მეცნიერება.

კახიძე, გ. (2013). *ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა.* თბილისი.

მატვეევი, ლ. პ., & ნოვიკოვი, ა. დ. (რედ.). (1979). *ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა.* თბილისი: განათლება.

ნადირაშვილი, შ. (1975). *პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია.* თბილისი.

ნორაკიძე, ვ. (1989). *ზოგადი ფსიქოლოგია.* თბილისი: განათლება.

ყოლბაია, მ. (2003). *სპორტის ფსიქოლოგია.* თბილისი: ცის ნამი.

ხვედელიძე, კ. (2019). *სპორტული წვრთნის ფიზიოლოგიური საფუძვლები.* თბილისი.

Годик, М. А. (1980). *Контроль тренировочных и соревновательных нагрузок.* Москва.

Двали, Г. М. (1962). *Психология спортивного соревнования,* . Тбилиси.

Кретти, Б. Д. (1978). *Психология в современном спорте.* Москва.

Платонов, В. Н. (1986). *Подготовка квалифицированных спортсменов.* Киев.

Платонов, В. Н. (1988). *Адаптация в спорте.* Киев.

Mamia Tughushi
Georgian University of Physical Education and Sports
Vladimer Iashvili
Tbilisi Freestyle Wrestling Federation
Aleksandre Iashvili
Gori State University

PECULIARITIES OF MOUNTAIN CLIMATE AND ITS IMPACT ON SPORTS TRAINING

RESUME

The article discusses the peculiarities of Galen in the training process of athletes of different sports in the mountainous climate and ways how to maintain the achieved results for a long period of time.

The analysis of this problem is of special importance during the preparation of Georgian Olympians for the 2021 Tokyo Olympics.

Keywords: Mountain climate, Mountainous conditions, Aerobic and anaerobic systems of sports training, Hypoxic conditions, Partial pressure, Temperature drop.

Мариам Убирия
Грузинский государственный учебный университет
физического воспитания и спорта

ДИНАМИКА ФИЗИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ШКОЛЬНИКОВ

Ключевые слова: Антропометрические и физиометрические показатели, Школьники, Динамика развития.

Уровень физического развития растущего организма является важным критерием при комплексной оценке состояния здоровья детей и подростков. На физическое развитие школьников влияют наследственность, состояние окружающей среды, социально-экономические факторы, условия учебы и быта, питание, уровень двигательной активности. Изменения действия данных факторов на развитие человека, произошедшие во второй половине нашего столетия, привели к серьезным последствиям, и прежде всего к резкому возрастанию количества детей с аномалиями в физическом и психическом развитии.

В создавшихся условиях проблема охраны здоровья детей школьного возраста является важной задачей не только медицины, но и таких сфер, как образование и физическая культура.

Физическая культура представляет собой один из наиболее весомых факторов оздоровления подрастающего поколения. Согласно Концепции развития физической культуры и спорта в Грузии основной целью политики государства в области физической культуры и спорта является эффективное использование их возможностей в оздоровлении нации. Для достижения этой цели необходимы разработка и совершенствование уже имеющихся физкультурно-спортивных технологий.

Кроме того, в сохранении и укреплении здоровья школьников важную роль играет мониторинг их морфофункционального развития и физического здоровья, который позволяет решать такие важные задачи, как создание базы данных о различных компонентах здоровья, установление факторов, оказывающих на него негативное влияние, разработка, организация и реализация оздоровительных и профилактических мероприятий. Успешному проведению мониторинга морфофункционального развития и здоровья школьников будет способствовать использование современных компьютерных информационных технологий.

Осознавая важность изучения физического развития детей и подростков, мы провели широкомасштабные исследования физического развития школьников города Гори. При исследованиях использовалась общепринятая методика В. В. Бунак. Определялись следующие антропометрические показатели: а) соматометрические: длина и масса тела, окружность грудной клетки (ОГК); б) физиометрические: жизненная емкость легких (ЖЕЛ), сила мыщц кисти.

Выполненный нами анализ физического развития школьников за период последних десяти лет показал наличие устойчивой тенденции к снижению большинства исследуемых антропометрических показателей, за исключением окружности грудной клетки. Причем эта тенденция свойственна как школьникам, так и

школьницам. При этом, если такие показатели физического развития, как длина и масса тела, в период с 2009 по 2019 г. Изменяются незначительно (у мальчиков наблюдается снижение в среднем в пределах от 0,53 до 3,37%, у девочек – от 0,39 до 4,13%), а окружность грудной клетки немного увеличивается, то такие физиометрические показатели, как жизненная емкость легких и сила кисти, существенно (в большинстве случаев достоверно) снижаются: у школьников от 15,69 до 27,15%, у школьниц – от 15,59 до 24,65%.

Следует отметить, что в первый пятилетний период (с 2009 по 2013 г.) показатели физического развития претерпевают наиболее значительные изменения за счет снижения прежде всего физиометрических параметров. Так, величина жизненной емкости легких, характеризующая функцию внешнего дыхания, по сравнению с аналогичными результатами 2009 года значительно снизились: у школьников минимальное снижение данного показателя наблюдалось в 8 лет (11,42%), максимальное в 17 лет (20,9%); у школьниц минимальное снижение в 7 лет (7,29%), максимальное в 17 лет (19,42%). Причем у школьниц наблюдается нарастающее снижение данного показателя с возрастом.

Наряду со значительным снижением данных спирометрии вызывает тревогу динамика показателей мышечной силы, представляющей собой максимальное проявление произвольного усилия, которое может развить группа мышц при определенных условиях. При изучении сравнительных данных кистевой динамометрии, характеризующих силу мышц сгибателей правой кисти, было выявлено еще более резкое (по сравнению с жизненной емкостью легких) снижение силовых показателей. По каждому возрасту оно составило в среднем: у школьников 22,34%, у школьниц - 19,49%. Аналогичные данные были получены и при анализе силы мышц левой кисти: у школьников по каждому возрасту снижение в среднем на 21,7% , у школьниц - на 20,05%.

Средние показатели длины тела, отражающей темпы биологического созревания детей и пластических процессов, которые протекают в организме человека, по сравнению со всеми остальными рассматриваемыми показателями физического развития претерпели изменения в наименьшей степени. Так, наиболее заметное снижение данного показателя выявлено у юношей в 17 лет (на 3,7 см) и у девочек в возрасте 7 лет (на 1,1 см). По сравнению с показателями 2009 года в 2013 – 2014 годах у мальчиков и девочек 7 – 11 лет происходит незначительное снижение длины тела (у мальчиков – от 0,14 до 0,7 см, у девочек – от 0,36 до 1,1 см). Затем, в подростковом возрасте (с 12 до 14 лет) выявлено очень небольшое увеличение длины тела, не превышающее 1 см. В старшем школьном возрасте эта величина вновь уменьшается.

Такой показатель, как объем грудной клетки, каждый год оставался практически на одном уровне. Изменения в 2013 году весьма незначительны. У школьниц этот показатель в среднем вырос на 0,52% , а у школьников почти не изменился – прирост в среднем составил 0,03%.

Одним из наиболее важных показателей физического развития является масса тела. Сравнительный анализ обнаружил, что данный антропометрический показатель за последние годы имеет незначительную тенденцию к снижению как у школьников, так и у школьниц. В любом школьном возрасте вес снижался не более чем на 1 кг. В среднем снижение массы тела у школьниц составило 2,91% , у школьников 2,6%.

Анализ изменений физического развития за второе пятилетие (с 2014 по 2019 год) показал, что антропометрические данные школьников города Гори и Горийского района, как и в первом пятилетии, изменились незначительно. Так, резкое снижение темпов развития жизненной емкости легких, выявленное в период с 2009 г. по 2013г. как у мальчиков, так и у девочек, сменилось повышением. Заметное снижение показателей кистевой динамометрии, свойственное первым пяти годам анализируемого участка времени, приостановилось.

Таким образом, сравнительный анализ отдельных показателей физического развития школьников города Гори и Горийского района свидетельствует о том, что процесс акселерации, хорошо заметный в начале 21-го столетия, потом прекратился. Основные компоненты физического развития (длина и масса тела, ОГК) имеют тенденцию к незначительному снижению и стабилизации. Особую тревогу вызывает резкое ухудшение ЖЕЛ и силы кистей рук, что, на наш взгляд, во многом связано со снижением двигательной активности школьников, ухудшением качества школьного физического воспитания, интенсификацией учебного процесса и низким уровнем благосостояния населения города Гори, приведшим к снижению качества питания и медицинских услуг.

Библиография:

Абзалов, Р. А., & Зиятдинова, А. И. (1997). Экология физической культуры человека. *Теория и практика физической культуры*(7).

Агаджанян, Н. А., Тель, Л. З., Циркин, В. И., & Чеснокова, С. А. (1998). *Физиология человека.* Санкт-Петербург: Сотис.

Бальсевич, В. К. (2000). Онтокинезиология человека. *Теория и практика физической культуры*(3).

Безруких, М. М., & Фарбер, Д. А. (2000). *Физиология развития ребенка.* Москва.

Зиятдинова, А. И. (1999). Экология физической культуры человека. *Теория и практика физической культуры*(8).

Матвеев, Л. П. (1999). Категории «развитие», «адаптация» и «воспитание» в теории физической культуры и спорта. *Теория и практика физической культуры*(1).

Хрипкова, А. Г., Антропова, М. В., & Фарбер, Д. А. (1990). *Возрастная физиология и школьная гигиена.* Москва: Просвещение.

Mariam Ubiria
Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

DYNAMICS OF PHYSICAL DEVELOPMENT OF SCHOOLCHILDREN

RESUME

The author was carried out large - scale researches of physical development of pupils of Gori. The comparative analysis of separate parameters of physical development of pupils testifies that the process of acceleration, well appreciable in the middle of the current century, on a boundary of centuries has stopped. The basic parameters of physical development tend to insignificant the decrease and stabilization. The special alarm is caused with sharp decrease of some parameters, which, according to our opinion, in many respects is connected with the decrease of motor activity of pupils, deterioration of school physical educational process and a low standard of well – being of the population of Gori, which resulted to the decrease of quality of meals, deterioration of medical services.

Keywords: Anthropometric and physiometric indicators, Schoolchildren, Dynamics of development.

ბიზნესი და ეკონომიკა
Business and Economics

მაია აზმაიფარაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტურიზმის მდგრადი აღდგენისთვის - UNWTO პრიორიტეტები

საკვანძო სიტყვები: კრიზისი, Covid-19, მდგრადი, პრიორიტეტები, დეკლარაცია.

შესავალი

ტურიზმის სექტორი ერთ-ერთი იმ სექტორთაგანია, რომელმაც ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო COVID-19-სგან როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების კუთხით. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) შეფასებით, 2020 წელს საერთაშორისო ტურისტული მიმოსვლები შემცირდება 1-3%-ით, ნავარაუდევი 3-4%-იანი ზრდის ნაცვლად, რაც ნიშნავს საერთაშორისო ვიზიტორების დანახარჯებიდან მიღებული თანხების 30-50 მილიარდი აშშ დოლარით შემცირებას. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით 2020 წელს საერთაშორისო ტურისტული შემოსვლების რაოდენობა ერთი მილიარდით შემცირდა და -74%-იანი კლებით 1990 წელს დაფიქსირებულ რაოდენობას გაუტოლდა. ეკონომიკურ მაჩვენებლებში ეს არის შემოსავლის 1.3 ტრილიონი დოლარით შემცირება, გლობალური მშპ-ს დანაკარგი 2 ტრილიონი დოლარის მოცულობით, ასევე 100-120 მილიონი სამუშაო ადგილი არის რისკის ქვეშ.

ლიტერატურული მიმოხილვა

კოვიდ პანდემიის პირობებში გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სხვადასხვა გაიდლაინები, სტატისტიკური მონაცემები, პოლიტიკის დოკუმენტები, დეკლარაციები და სხვა მასალები, რომელიც ნაშრომზე მუშაობის დროს იქნა განხილული. ასევე, გავაანალიზეთ სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემები, რომელიც რეგულარულად აქვეყნებს თემატურ ანგარიშებს და ხელმისაწვდომია მათ საიტზე. განვიხილეთ „გალტ ენდ თაგარტის“ ანალიტიკოსების მიერ ტურიზმის სექტორის შეფასება.

მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა სისტემური მიდგომა, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. ანალიზის პროცესში ვიხელმძღვანელეთ თვისებრივი კვლევის მეთოდებით, რაც გულისხმობს ღია წყაროებში წარმოდგენილი ანალიტიკური მასალის დამუშავებას. ანალიზის პროცესში მოვახდინეთ ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა და კლასიფიკაცია, ასევე მათი სისტემატიზაცია და მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების იდენტიფიცირება.

შედეგები და დისკუსია

გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით ვირუსის გავრცელებამ 100 მილიონამდე სამუშაო ადგილი დააყენა რისკის ქვეშ, ასევე ბევრი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის არსებობა, რომელთა უდიდესი ნაწილი ტურიზმის სამუშაო ძალას წარმოადგენს. COVID-19 პანდემიამდე, ტურიზმი მსოფლიო მშპ-ს 10.4%-ს (9,2 ტრილიონი) შეადგენდა და შექმნილი ჰქონდა მსოფლიოს მასშტაბით სამუშაო ადგილების 10,6% (334 მილიონი). ნებისმიერი 10 ადამიანიდან ერთი სწორედ ტურიზმის სექტორშია დასაქმებული. მეტიც, საერთაშორისო ტურისტთა მიერ გაწეული ხარჯები 2019 წელს 1,7 ტრილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც მთლიანი ექსპორტის 6,8% და გლობალური მომსახურების ექსპორტის 27,4%-ია. უკანასკნელი მონაცემებით ანალოგიური მაჩვენებელი 644,5 მილიონამდეა დასული, რაც მთლიანი ექსპორტის 2,9%-ს და გლობალური მომსახურების ექსპორტის 12,9%-ს შეადგენს. ასევე შემცირებულია ტურიზმის წილი მსოფლიო მშპ-ში და 5,5% შეადგენს (World Tourism Organization, 2022).

UNWTO-ს უახლესი კვლევებით 2020 წელს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში საერთაშორისო ტურისტული შემოსვლების რაოდენობა ერთი მილიარდით შემცირდა და - 74%-იანი კლებით 1990 წელს დაფიქსირებულ რაოდენობას გაუტოლდა. ეს გადათარგმნილი ეკონომიკურ მაჩვენებლებში არის შემოსავლის 1.3 ტრილიონი დოლარით შემცირება, გლობალური მშპ-ს დანაკარგი 2 ტრილიონი დოლარის მოცულობით, ასევე 100-120 მილიონი სამუშაო ადგილი რისკის ქვეშ. საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობამ რეკორდულად მცირე რაოდენობა შეადგინა 1,747,110 (-81,3%), რითაც გაუტოლდა 2011 წლამდე არსებულ მონაცემს. შემოსავალმა უცხოელების მოგზაურობიდან საქართველოში შეადგინა 542 მილიონი დოლარი, კლება -83.4%. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), 2020).

„გალტ ენდ თაგარტის“ ანალიტიკოსების ამჟამინდელი პროგნოზებით საქართველოს ტურისტულ სექტორში 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა, ჯამში, დაახლოებით, 2.5 მილიარდ დოლარს დაკარგავს. როგორც ცნობილია შეიქმნა ე.წ. „ტურისტული ბუშტები“ - მსგავსი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ქვეყნები ერთმანეთთან ეტაპობრივად ხსნიან საზღვრებს. კვლევის „ტურიზმის გამოწვევები 2020 წლის II ნახევარში“ თანახმად საქართველოს ტურისტულ ბუშტში ქვეყანათა მხოლოდ მცირე რაოდენობა მოხვდება, რადგან საქართველოს ძირითადად მეზობელი ქვეყნების მოქალაქეები სტუმრობენ და იქ ახლა ეპიდსიტუაცია სახარბიელო არაა, კვლევის თანახმად, ამჟამინდელი „მწვანე ზონების“ ქვეყნების წილი ჯამურ ვიზიტორებში 2019 წლის II ნახევარში მხოლოდ 6%-ს შეადგენს. საზღვრების გახსნა შესაძლებელია საფრანგეთთან, დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასთან, ჩინეთთან და ა.შ. (დიაგრამა 1). 2020 წელს საერთაშორისო ვიზიტები საქართველოში წლიურად 65%-ით შემცირდება და დაახლოებით იგივე დონის შემოსავლების კლებაა მოსალოდნელი. ტურისტული ზონებიდან ყველაზე დიდი ზიანი აჭარას, მცხეთა-მთიანეთს და თბილისს მიადგება. მსოფლიოში ტურისტების რაოდენობა 58%-ით, საქართველოში კი, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 65%-ით შემცირდება, რაც ინდუსტრიისთვის რეკორდული ვარდნაა. 2021 წელს გაჯანსაღების ტემპი Covid-19-ის ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. ვიზიტორთა მოსალოდნელი კლების გამო სასტუმროები განახლებულ სტრატეგიას ამზადებენ, თუმცა გამოკითხვის მომენტში ფასების მკვეთრად შემცირებას არ გეგმავდნენ, ვიზიტორების რაოდენობა 2020 წელს შემცირდება 1.7 მილიონამდე - ეს მაჩვენებელიც, ძირითადად, წლის პირველი თვეების ხარჯზე იქნება მიღწეული, როცა საზღვრები გახსნილი იყო და ყველაფერი ნიშნავს 800 მილიონი დოლარის შემოსავალს, როცა გასულ წელს ტურიზმიდან შემოსავალი 3.3 მილიარდი დოლარი იყო“ (Galt & Taggart).

დიაგრამა 1.



როგორც არსებული კვლევები გვიჩვენებს, შიდა ტურიზმი მნიშვნელოვანია კრიზისის შესამსუბუქებლად, მაგრამ საქართველოში ადგილობრივი ტურისტების წილი სასტუმროებში მხოლოდ 26%-ია. შიდა ტურიზმს დაეხმარება ის ფაქტი, რომ ქართველების საზღვარგარეთ მოგზაურობა შეზღუდული იქნება. ქართველმა ტურისტებმა 2019 წელს საზღვარგარეთ 2.1 მლრდ ლარი დახარჯეს. კრიტიკულად მნიშვნელოვანია COVID-19-ის პანდემიის მიერ მიყენებული ზიანის შესამსუბუქებლად სახელმწიფოს დროული დახმარება და მოქნილი ანტიკრიზისული გეგმის შესრულება. ტურისტული სექტორისთვის გათვალისწინებული დახმარების პროგრამის ძირითად კომპონენტს საგადასახადო შეღავათების დაწესება და საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება წარმოადგენდს, სრული ბიუჯეტი 200 მლნ. ლარით განისაზღვრა, რომელიც არ ითვალისწინებს კოვიდ-სასტუმროებისათვის დამატებით გამოყოფილ რესურსს. სექტორისთვის ყველაზე პრობლემატური საბანკო ვალდებულებების მომსახურეაა. სექტორი სულ მცირე 1 წლის განმავლობაში საჭიროებს საგადასახადო და საბანკო ვალდებულებების შემსუბუქებას. მთავრობის მიერ ტურიზმის მხარდაჭერის პაკეტის ღონისძიებები სხვა ქვეყნების მსგავსია, თუმცა ერთი გამონაკლისია - საქართველოში არ მომხდარა შიდა ტურიზმის სტიმულირება, პოსტკრიზისულ პერიოდში მოსალოდნელია ტურისტების ეტაპობრივი დაბრუნება. პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს მეზობელ ქვეყნებზე, საიდანაც ვიზიტორების უმეტესობა საქართველოს საკუთარი ავტომობილით სტუმრობს. პანდემიამდე პერიოდში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი სწრაფად მზარდი სექტორი იყო, რომლის წილიც მშპ-ში 11.5%-ს შეადგენდა, ხოლო ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობა 150 ათას ადამიანს აჭარბებდა (2019 წლის მონაცემებით). შესაბამისად, ტურიზმის მხარდასაჭერად მთავრობის მიერ საგანგებოდ შემუშავდა მიზნობრივი ღონისძიებები, რომელთა მიზანია დაეხმაროს ინდუსტრიას კრიზისის გადალახვასა და აღდგენაში. კერძოდ: ტურიზმის ინდუსტრიის სუბიექტები 2020 წელს სრულად თავისუფლდებიან ქონების გადასახადისაგან, ხოლო საშემოსავლო გადასახადის გადავადება ხდება წლის ბოლომდე. ამ მიზნით, ქონების გადასახადისგან გათავისუფლებისთვის გამოყოფილია 45 მლნ. ლარი, ხოლო, ანტიკრიზისული გეგმის მე-2 ეტაპის ღონისძიებით გათვალისწინებული საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების და გადავადებისთვის - 90 მლნ. ლარი. მთავრობა 6 თვის განმავლობაში მოახდენს სესხის პროცენტის 80%-ის სუბსიდირებას 20 მილიონზე ნაკლები ბრუნვის მქონე სასტუმროებისთვის, რაც წარმოადგენს ქართული სასტუმრო ინდუსტრიის უდიდეს ნაწილს. აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 60 მლნ. ლარს და პროგრამით გათვალისწინებული მხარდაჭერა შეეხება 3 000 სასტუმროს. კვების ობიექტები ჩაერთვებიან საკრედიტო-საგარანტიო სქემაში, რითაც მათ საშუალება მიეცემათ მოაგვარონ ლიკვიდობასთან დაკავშირებული პრობლემები და დააფინანსონ ოპერაციული ხარჯები. ტურისტული კომპანიებისთვის მთავრობა მოახდენს საბანკო გარანტიის პროცენტის სუბსიდირებას 6 თვის განმავლობაში. ტურისტული კომპანიებისა და გიდების მხარდაჭერისთვის გამოყოფილია 5 მლნ ლარი. ჯამში, ზემოაღნიშნული ღონისძიებების ჯამური ბიუჯეტი 200 მლნ. ლარს შეადგენს. გარდა ამისა, უკვე განისაზღვრა ტურიზმის ინდუსტრიის ამოქმედების 3-ეტაპიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდება ინდუსტრიის მომზადება ახალ პირობებში ოპერირებისთვის (Galt & Taggart).

დღეს დიდი გამოწვევების წინაშე დგას ტურიზმის ინდუსტრია. რამდენი ხანი დასჭირდება კრიზისიდან აღდგენას, რთულია საუბარი, მაგრამ არის დადებითი დინამიკა, თუ დავეყრდნობით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას დაახლოებით 2023-2024 წელს მოხდება სრული აღდგენა. ანუ დაბრუნება ძველ 2019 ნიშნულზე. რეალურად თუ განვიხილავთ აღდგენის მაჩვენებლებს სხვა ქვეყნებში, აღდგენის ეტაპები შემდეგნაირად მიმდინარეობს: მეტ-ნაკლებად კარგად მიმდინარეობს აღდგენა თურქეთში - 46% და მექსიკაში - 56%. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, კლების მაჩვენებელი მაღალია: იტალია - 77%, აშშ -83%, ესპანეთი -91%, ჩინეთი -91%, გერმანია -92%, გაერთიანებული სამეფო -95%, ტაილანდი - 100%, თუმცა მეტი კოორდინირებაა საჭირო კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის, საჭიროა გამოიკვეთოს პრობლემები, რომელიც უდგას არა მხოლოდ პირდაპირ ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებს, არამედ მომიჯნავე სექტორებსაც. ვფიქრობთ, რომ მომავალი წლის ზაფხული ტურიზმისთვის იქნება შედარებით კარგი. ტურიზმს დიდი წვლილი შეჰქონდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში, შეიძლება ითქვას, ასევე, მცირე და საშუალო მეწარმეებს.

წლევანდელმა ზაფხულმა აჩვენა ქართველი ხალხის სოლიდარული მიდგომები, თუნდაც ის, რომ შიდა ტურისტები ახდენდნენ დაჯავშნას ტურისტული კომპანიების მომსახურებებით. ჩვენი ქვეყანა მთლიანად ტურისტულ პროდუქტს წარმოადგენს, ყველა ტიპის ასპექტით და შეიძლება ბევრ ქვეყანას შეშურდეს ასეთი რესურსები, პრიორიტეტი უნდა იყოს ყველა რეგიონის ტურ-პროდუქტი და არა მხოლოდ ზღვა და მთა. ქვეყანა რომელსაც გააჩნია პრიორიტეტები, უნდა იყოს ორიენტირებული შიდა ტურიზმზე, შიდა ტურიზმში მნიშვნელოვანია მარკეტინგული სტრატეგიები. მაქსიმალურად უნდა ხდებოდეს საზოგადოების კონსულტირება, თვითშეგნების ამაღლება. ტურიზმი ორიენტირებული უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვაზე, განსაკუთრებით დაცული უნდა იყოს უსაფრთხოება გადაადგილების დროს ქვეყნის შიგნით.

კორონავირუსის გავრცელებამ გლობალური დღის წესრიგი საგრძნობლად შეცვალა. აღსანიშნავია, ტურიზმის სექტორის მოულოდნელ მოვლენებთან ადაპტაციის უნარი, რომელიც დადებითი ტენდენციით ხასიათდება. ცალსახაა, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის როლი, რომელიც ტურიზმზე დამოკიდებულ ქვეყნებს სთავაზობს ფინანსურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას იმ ღონისძიებებისათვის, რაც ტურიზმის სექტორის სტაბილურობას ხელს შეუწყობს. UNWTO დაეხმარება ქვეყნებს საერთაშორისო განვითარებასა და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და კოორდინაციაში. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ცალკეულმა ტურისტულმა კომპანიებმა უზრუნველყონ მდგრადი პროფილი, რომელიც ადვილად მოახდენს ახალი გამოწვევების შედეგად წარმოქმნილი დაბრკოლებების გადალახვას. შესაბამისად არ არის გამორიცხული ტურისტულმა კომპანიებმა უფრო მგრძნობიარე გახადონ თავიანთი პროდუქტები.

საქართველოს UNWTO-სთან ურთიერთობის წარმატებული ისტორია აქვს. კოვიდ პანდემიის პირობებში გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს 112-ე სხდომას წარმატებით უმასპინძლა საქართველომ. შედეგად, გავხდით პირველი ქვეყანა მსოფლიოს მასშტაბით, რომელმაც ასეთი მაღალი რანგის ღონისძიებას პირისპირ დასწრების პრინციპით და უმაღლესი დონის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით უმასპინძლა. UNWTO-ის აღმასრულებელმა საბჭომ სხდომის ფარგლებში „თბილისის დეკლარაცია“ მიიღო. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ საჭიროა თანამშრომლობა ტურიზმის სექტორში მონაწილე მხარეების ეროვნულ, რეგიონულ, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე.

UNWTO-ის აღმასრულებელი საბჭო შეთანხმდა, რომ კრიზისი არის შესაძლებლობა ხელახლა გააზრებისთვის თუ როგორ არის დაკავშირებული ტურიზმი ჩვენს საზოგადოებებთან, ეკონომიკის სხვა სექტორებთან, ჩვენს ბუნებრივ და კულტურულ რესურსებსა და ეკოსისტემებთან. ასევე, ეს არის შესაძლებლობა, რომ გავზომოთ და ვმართოთ ის უკეთესად, რათა უზრუნველყოფილი იყოს სარგებლის სამართლიანი გადანაწილება. UNWTO-ის აღმასრულებელი საბჭო შეთანხმდა, რომ ტურიზმის მდგრადი აღდგენისთვის იმუშავებენ:

1. ადამიანებისთვის: სამუშაო ადგილების მდგრადობით, განსაკურებით ქალებისთვის, ახალგაზრდებისა და თვითდასაქმებულებისთვის. ასევე არაფორმალურად დასაქმებულებისათვის და მიკრო, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების მხარდაჭერით; საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებით სამოგზაურო პროცედურებთან დაკავშირებით, რათა არადისკრიმინაციული და უსაფრთხო მოგზაურობა იყოს წახალისებული. ერთიანი სამთავრობო მიდგომის წახალისებით ვერტიკალური კოორდინაციისა და ტურიზმის და სხვა სექტორების (ჯანდაცვის, ტრანსპორტის, საგარეო საქმეთა, ვაჭრობის, კულტურის) თანამშრომლობის გაძლიერებით. კერძო-საჯარო პარტნიორობის გაძლიერებით და მექანიზმებით, რომელიც მთლიან საზოგადოებას ჩართავს აღდგენის პროცესში. დასაქმებულების ჯანმრთელობისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვით ტურიზმის ინდუსტრიაში, სამუშაო სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფით და აღდგენის პროცესში ყველასათვის თანაბარი

შესაძლებლობების გარანტირებით. მოგზაურებში, დასაქმებულებსა და მასპინძელ საზოგადოებებში ნდობის აღდგენით გამჭვირვალე და ობიექტური ინფორმაციის უზრუნველყოფით, ასევე ჯანმრთელობის, ჰიგიენისა და უსაფრთხოების ადეკვატური პროტოკოლების განხორციელებით;

2. პლანეტისთვის: უფრო მეტად ეფექტურ რესურსებზე გადასვლით და ნახშირბადისგან თავისუფალი ტურიზმის სექტორზე გადასვლით მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით. ტურიზმის სექტორის ოპერირების შედეგად გამონაბოლქვის მონიტორინგით და დეკარბონიზაციის დაჩქარებით. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ტურიზმის მიმართულებით გარემოსდაცვითი საკითხების დაგეგმვის, მართვისა და მონიტორინგის პროცესში. ბიომრავალფეროვნების და კონსერვაციის მხარდაჭერით, ეროვნული და რეგიონული ტურიზმის წახალისებით, მათ შორის გასტრონომიული, სასოფლო, მთის, ბუნების, მემკვიდრეობის, სათავგადასავლო, საზღვაო და სანაპირო ტურიზმის, როგორც გამოცდილებების, რომელიც ადგილობრივ თემებს დამატებით ღირებულებას სძენს, იცავს გარემოს და ქმნის ადგილობრივ სარგებლებს.

3. კეთილდღეობისთვის: ტურიზმის, როგორც მომსახურებით ვაჭრობის განხილვით სოციო-ეკონომიკური აღდგენის გეგმების პრიორიტეტებს შორის, რათა შეიქმნას სამუშაო ადგილები. მეწარმეობისა და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციისთვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნით, განსაკუთრებული აქცენტით მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებზე, ასევე თვითდასაქმებულ და არაფორმალურად დასაქმებულებზე, რათა შენარჩუნებული იქნეს არსებული სამუშაო ადგილები და დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნის მხარდაჭერა მოხდეს.

4. ახალი უნარების: მათ შორის ციფრული უნარების განვითარებაში ინვესტირებით, არსებული და მომავალი პროფესიონალებისთვის ტურიზმის სექტორში. ტურიზმის ოპერირების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების მაქსიმიზაციით და ციფრული წიგნიერების გაუმჯობესებით. ტურისტულ საწარმოებსა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების ხელშეწყობით. სასოფლო ტურიზმის, როგორც სამუშაო ადგილების, სოციალური ჩართულობისა და რეგიონის განვითარების წყაროს, განვითარებითა და მდგრადობის ხელშეწყობით. ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებით. ეკონომიკური გავლენების გაზომვით და რეგულარული და დროული მონაცემების გენერირებით, რათა მხარდაჭერილ იქნეს მდგრადი გადაწყვეტილების მიღების პროცესი ტურიზმის სექტორში. მონაცემების, ინდიკატორებისა და სადაზვერვო სისტემების ჰარმონიზაციით და განვითარებით, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის, რათა უკეთ მოხდეს ტურიზმის მართვა და გაზომვა (World Tourism Organization).

საქართველოში ჩატარდა გაეროს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საინვესტიციო ფორუმი. UNWTO-ს საინვესტიციო ფორუმი (IF) წარმოადგენს ღია სტრატეგიულ მაღალი დონის პლატფორმას, რომელიც ფოკუსირებულია ინვესტიციების მოზიდვაზე, პოპულარიზაციაზე და ფასილიტაციაზე, რათა უზრუნველყოს პრაქტიკული ზომების მიღება, კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაღრმავება დაინტერესებულ მხარეებს შორის ინვესტიციების ხელშესაწყობად, როგორიცაა მასპინძელი და მშობლიური ქვეყნის მთავრობები, უცხოელი ინვესტორები და ადგილობრივი კორპორაციები, ასევე ინოვატორები ტურიზმის სექტორში უზრუნველყოს ტურიზმის შეტანა ეროვნულ პრიორიტეტებში, მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკური ზრდისა და ინტეგრაციისა და წინსვლის ხელშეწყობა-მდგრადობა.

ამრიგად, მსოფლიო პანდემიის ფონზე UNWTO-თან თანამშრომლობა, მაღალი დონის შეხვედრის მასპინძლობა, დადებითი ტენდენციები, კიდევ უფრო გაამყარებს საქართველოს პოზიციონირებას მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე ისეთ ქვეყნად, რომელსაც უსაფრთხოდ, ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით, აქვს შესაძლებლობა პოსტკოვიდურ პერიოდში განავითაროს ტურიზმის აღდგენის მომავალი ორიენტირები.

ბიბლიოგრაფია:

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა. (2020 წლის დეკემბერი). *პანდემიის პირობებში ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული გამოწვევები, სიტუაციის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის რეკომენდაციები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://eap-csf.ge/wp-content/uploads/2021/03/EAP-ტურიზმის-კვლევა-და-პოლიტიკის-დოკუმენტი.pdf

ბერძენიშვილი, მ. (2020 წლის 9 მაისი). *ქართული ტურიზმის მენეჯმენტის გამოწვევები და COVID-19.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://tourister.ge/ge/blog/georgian-tourism-management-challenges-and-covid-19/225

გელანტია, თ. (2020 წლის 21 ივნისი). *დაეხმარება თუ არა საქართველოს შიდა ტურიზმს საზღვარგარეთ შეზღუდული მოგზაურობა?* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://bm.ge/ka/article/daexmareba-tu-ara-saqartvelos-shida-turizms-sazgvargaret-shezguduli-mogzauroba-/58903

მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები. (2021 წლის მარტი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.mof.ge/images/File/2021-publikaciebi/02-04-2021/Outlook%20March%202021_GEO.pdf

მღებრიშვილი, ვ. (2020 წლის 19 ივნისი). *რამდენად მსგავსია ტურიზმის მხარდაჭერის პაკეტები საქართველოსა და სხვა ქვეყნებში - Galt&Taggart.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://bm.ge/ka/article/ramdenad-msgavsia-turizmis-mxardacheris-paketebi-saqartvelosa-da-sxva-qveynebshi---galtamptaggart/58865/

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (თ. გ.). *საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების ხედვა - „ეკონომიკა - 2030".* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://drive.google.com/file/d/1wk-pB0wTOFSQYU7c62wOeRY9W0UcATze/view

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (n.d.). *ყოველთვიური ვებინარი „კოვიდ 19 გავლენა ტურიზმზე: საქართველოს და მსოფლიო ტურიზმის ტენდენციები.".* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://gnta.ge/ge/ვებინარი-კოვიდ-19-გავლენა/

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2020). *საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2020.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.geostat.ge/ka

Galt & Taggart. (n.d.). *tourism 2020.* Retrieved from https://galtandtaggart.com/en/search?query=tourism%202020

Galt & Taggart. (n.d.). *საქართველოს საინვესტიციო ბანკი გალტ & თაგარტი.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.galtandtaggart.com/en

USAID. (2020). *პოლიტიკის დოკუმენტი: ტურიზმის სექტორი საქართველოში.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.pmcg-i.com/publications_file/eeff5fa053e6e522f.pdf

World Tourism Organization. (2022, 1 18). *Unwto Global Tourism Dashboard.* Retrieved from https://www.unwto.org/tourism-data/country-profile-inbound-tourism

World Tourism Organization. (n.d.). *Actions for a Sustainable Recovery of Tourism.* Retrieved from https://www.unwto.org/actions-for-a-sustainable-recovery-of-tourism

Maia Azmaiparashvili
Gori State University

FOR SUSTAINABLE TOURISM RECOVERY - UNWTO PRIORITIES

RESUME

The spread of the coronavirus has changed the global agenda significantly. Notably, the ability of the tourism sector to adapt to unexpected events, which is characterized by a positive trend. The role of the World Tourism Organization, which offers financial and political support to tourism-dependent countries for measures that contribute to the stability of the tourism sector, is clear. UNWTO will assist countries in international development and cooperation and coordination with donor organizations. The UN World Trade Organization Investment Forum was held in Georgia. The UNWTO Investment Forum (IF) is an open strategic high-level platform focused on attracting, promoting and facilitating investment to ensure practical measures, enhance coordination and cooperation between stakeholders, and encouraging foreign and domestic investment. Local corporations as well as innovators in the tourism sector should ensure that tourism is included in national priorities, creating jobs within its capabilities, promoting economic growth and integration, and promoting sustainability.

Keywords: Crisis, Covid-19, Sustainable, Priorities, Declaration.

ხათუნა ბებნაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კადრების დენადობის განსაზღვრის ორგანიზაცია

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ადამიანური კაპიტალი, პერსონალის მართვა, კომპანიები, ფულადი რესურსები, ხარჯები, პერსონალის მუშაობა, ბაზარი, საქმიანობა, კადრების დენადობა.

ორგანიზაციები ყოველთვის აწყდებიან პერსონალის შრომის რეგულირების პრობლემას, რომელიც ძირითადად ორ მოვლენაში ვლინდება. პირველი აღმოცენდება მაშინ, როდესაც პერსონალი დროებით აცდენს სამუშაოს. მეორე კი მაშინ, როცა მოსამსახურე სამუდამოდ ტოვებს სამუშაოს, რაც კადრების დენადობის სახელითაა ცნობილი. თუმცა უნდა განვსაზღვროთ კადრების დენადობის ბუნებრივი დონეც, რომელიც გულისხმობს 3-5 %-ს და საწარმოო კოლექტივების განახლების პროცესს ესადაგება. ეს პროცესი მუდმივად მიმდინარეობს და არ საჭიროებს კადრების პერსონალისა და ხელმძღვანელობის მხრიდან განსაკუთრებული ზომების მიღებას. მომუშავეთა გარკვეული ნაწილი გადის პენსიაზე, ზოგი ტოვებს სამუშაოს სხვადასხვა მიზეზით, მათ ადგილს იკავებენ ახალი თანამშრომლები და ასეთ რეჟიმში ცხოვრობს ყოველი კომპანია. სხვა ამბავია, როდესაც კადრების დენადობა მნიშვნელოვნად აღემატება მოცემულ ნიშნულს. ამ შემთხვევაში დანაკარგი მნიშვნელოვანი ხდება და სულ უფრო მატულობს კადრების გადინების ზრდასთან ერთად.

საქართველოში ადამიანები კარიერული ზრდის ერთადერთ გზას ხშირად მხოლოდ სამსახურის გამოცვლაში ხედავენ. ამისი ერთ-ერთი მიზეზი ის ფაქტი შეიძლება იყოს, რომ კომპანიებს დასაქმებულების განვითარების გრძელვადიანი გეგმები იშვიათად თუ აქვთ გაწერილი. ასეთი ორგანიზაციები ხშირად ვერაფერს სთავაზობენ ადამიანს, რომელიც თანახმა იქნებოდა კომპანიის შიგნითვე გაზრდაზე. შესაბამისად, ამ დროს ერთგულ თანამშრომლებს ერთადერთი არჩევანი აქვთ და ეს არჩევანი წასვლაა.

მნიშვნელოვანია, განვასხვაოთ სამუშაოს გაცდენის და კადრების დენადობის ორი ტიპი: ნებაყოფლობითი და იძულებითი. სამუშაოს ნებაყოფლობითი გაცდენა გულისხმობს მოსამსახურის მიერ წინასწარ გაუფრთხილებლად სამსახურში გამოუცხადებლობას. იძულებითი გაცდენა კი მოსამსახურისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხდება, მაგალითად, მისი ან მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების დროს. ნებაყოფობითი დენადობა და სამუშაოს გაცდენა აუცილებლად არის დამოკიდებული ორგანიზაციის ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკაზე, რაც პერსონალის შრომით კმაყოფილებაზე ახდენს გავლენას. სამუშაოს იძულებით გაცდენა ნაკლებად ექვემდებარება თვით პერსონალისა და ორგანიზაციის კონტროლს: იძულებითი დენადობა კი ხშირად არის დამოკიდებული პერსონალის შერჩევის ხარისხზე, შერჩევის პროცედურების შესატყვისობასა და ბაზრის ცვლილებებსა თუ მომხმარებელთა მოთხოვნებზე.

დენადობის რიცხვი იმ თანამშრომლების პროცენტულ წილს გვაჩვენებს ორგანიზაციაში, რომლებმაც რაღაც კონკრეტული პერიოდის განმავლობაში სამსახური დატოვეს. თავიანთი სურვილით წასული თანამშრომლების გარდა, ამ კატეგორიაში ისინიც მოიაზრებიან, ვინც სამსახურიდან გაუშვეს ან პენსიაზე გავიდნენ. იმავე კომპანიაში, მაგრამ სხვა პოზიციაზე გადასული თანამშრომლები დენადობის გამოთვლის დროს არ გაითვალისწინება. დენადობის კოეფიციენტი უმეტესწილად წლის ჭრილში იანგარიშება, თუმცა, უფრო დეტალური ანალიზისთვის მისი დაანგარიშება კვარტლის, ან თვის ჭრილშიცაა მიზანშეწონილი.

დენადობის კოეფიციენტი გვიჩვენებს თანამშრომლების რამდენი პროცენტი მიდის ორგანიზაციიდან დროის მოცემულ პერიოდში. საანგარიშო პერიოდი, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება იყოს თვე, კვარტალი, წელიწადი, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:

საანგარიშო პერიოდში გათავისუფლებული თანამშრომლების რაოდენობა / თანამშრომლების საშუალო რაოდენობა კომპანიაში საანგარიშო პერიოდში.

ზოგიერთი კომპანია დენადობის კოეფიციენტს ითვლის შემდეგნაირად:

საანგარიშო პერიოდში გათავისუფლებული თანამშრომლების რაოდენობა / თანამშრომლების რაოდენობა კომპანიაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მაგალითად, თუ ვითვლით დენადობის კოეფიციენტს კვარტალურად და გვაქვს შემდეგი მონაცემები: კვარტლის განმავლობაში გათავისუფლდა 20 თანამშრომელი, ხოლო თანამშრომლების რაოდენობა თვეების მიხედვით იყო 200, 190, 198, ამ კვარტალში კომპანიის დენადობის კოეფიციენტი პირველი ვარიანტის მიხედვით იქნება:

20/((200+190+198)/3)=10.2%,

ხოლო მეორე ვარიანტის მიხედვით:

20/198=10.1%

როგორც წესი, დათვლის ამ ორი მეთოდით მიღებული მონაცემები ხშირად დიდად არ განსხვავდება ხოლმე ერთმანეთისგან, თუმცა მიგვაჩნია, რომ უფრო სწორია პირველი ვარიანტი, ამიტომ დენადობის კოეფიციენტის ჩაშლილი ვარიანტების განხილვის დროს გამოვიყენებთ მას.

დენადობის კოეფიციენტი შეიძლება ჩაიშალოს მრავალნაირად, იმის მიხედვით, თუ რა მიზნით გვჭირდება ის. მისი ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ჩაშლაა: თანამშრომლის ინიციატივით და კომპანიის გადაწყვეტილებით გათავისუფლებულ თანამშრომლებად დაყოფა. ზემოთ მოცემული მაგალითის მიხედვით, თუ 20 გათავისუფლებული თანამშრომლიდან 5 საკუთარი სურვილით წავიდა, ხოლო 15 კომპანიის გადაწყვეტილებით, მაშინ კვარტალური საკუთარი ინიციატივით = **5/((200+190+198)/3)=2.55%,** ხოლო კომპანიის გადაწყვეტილებით = **15/((200+190+198)/3)=7.65%.**

დენადობის კოეფიციენტი შეგვიძლია ასევე ჩავშალოთ სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით (იმის გათვალისწინებით, თუ რა სიდიდის არის ორგანიზაცია და რა გვჭირდება ჩვენ). კერძოდ: თანამშრომლების გადინება (საკუთარი ინიციატივით და/ან კომპანიის გადაწყვეტილებით) სტრუქტურული ერთეულების, პოზიციების, მენეჯერული დონეების, გეოგრაფიული არეალის, ასაკის, კომპანიაში მუშაობის ხანგრძლივობის და ა.შ. მიხედვით. ასევე, ცალკე პარამეტრებად შეგვიძლია დავთვალოთ ახალი მიღებული თანამშრომლების დენადობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს ახალი მიღებული თანამშრომლების (6 თვის ან 1 წლის) გადინებას.

კადრების დენადობის მაღალი დონე შეიძლება გამოწვეული იყოს უშუალოდ საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე არასრულყოფილი მმართველობითი ფუნქციების განხორციელებით. პირველი შემთხვევა შეიძლება არ განვიხილოთ როგორც პრობლემა. მეორე შემთხვევა კი ქმნის სერიოზულ წინააღმდეგობას, რადგან მმართველობითი ფუნქციების განხორციელების დაბალი დონე ქმნის სერიოზულ პრობლემებს და საჭიროებს მიზეზთა დროულ გამოვლენას. საკუთარი სურვილით განთავისუფლებას შეიძლება ჰქონდეს უამრავი მიზეზი:

- შრომის ანაზღაურების დონით უკმაყოფილება;
- პირადი ხასიათის მიზეზები;
- მძიმე და საშიში სამუშაო პირობები;
- მიუღებელი სამუშაო რეჟიმი და სხვ.

არსებობს სტატისტიკური გამოკვლევები, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია დავადგინოთ რა მიზეზით შეიძლება შეიცვალოს მომუშავემ სამუშაო ადგილი (ბიჭიაშვილი, 2018, გვ. 66).

ცხრილი 1. მარტივი გამოკვლევის მაგალითი მომუშავეთა განთავისუფლებასთან დაკავშირებით

დაბალი ანაზღაურება	43%
ზრდის პერსპექტივის არარსებობა	24%
ურთიერთობები, რომლებიც ვერ ჩამოყალიბდა ხელმძღვანელობასთან	11%
მოუხერხებელი სამუშაო გრაფიკი	6%
სამსახურის მოუხერხებელი ადგილმდებარეობა	5%
სხვა	11%

თუ უფრო დეტალურად განვიხილავთ ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა: „პირადი ხასიათის მიზეზები“ ან „მიუღებელი სამუშაო რეჟიმი“ და შემდეგ მიღებული შედეგების ანალიზს მოვახდენთ, შესაძლოა შევიმუშაოთ რეალური და საფუძვლიანი რეკომენდაციები საწარმოთა საქმიანობის სრულყოფის მიზნით. მაგალითად, პირადი ხასიათის განთავისუფლებები შესაძლოა იყოს

კონფლიქტების მიზეზი - „ხელმძღვანელი-ხელქვეითი“. ამის შედეგად კი შეიძლება გამოვავლინოთ ხარვეზები საწარმოთა ორგანიზაციულ სტრუქტურაში და მივიღოთ გადაწყვეტილება საინფორმაციო ნაკადებში ცვლილებების შეტანის შესახებ და ა.შ.

რა თქმა უნდა, არაფერს არ მოგვცემს ამა თუ იმ კოეფიციენტის გამოთვლა, თუ ის არ გავაანალიზეთ და არ გამოვიყენეთ გადაწყვეტილებების მიღების დროს. იმისთვის, რომ დავინახოთ ამა თუ იმ მონაცემის ზრდის ან კლების ტენდენცია, შეიძლება დავეყრდნოთ წინა პერიოდის მონაცემებს კონკრეტულ კომპანიაში, საბაზრო კვლევის შედეგებს და ა.შ. იმის თქმა, რომ დენადობის მაღალი კოეფიციენტი არის ცუდი, ანდა პირიქით, სწორი არ არის. როგორც წესი, გადინება დაბალ პოზიციებზე უფრო მაღალი არის, ვიდრე მენეჯერულ პოზიციებზე. ასევე უფრო მაღალია ახალი მიღებული თანამშრომლების გადინება. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის დენადობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი წინა პერიოდის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით ან მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაზრო მონაცემისგან, აუცილებლად უნდა გაანალიზდეს აღნიშნული, დადგინდეს კონკრეტული მიზეზები და შემუშავდეს გაუმჯობესების გზები.

მთავარი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოსამსახურის მიერ სამუშაოს დატოვების სასურველობაზე, პერსონალის უკმაყოფილებაა. რაც უფრო მაღალია კმაყოფილების ხარისხი, მით უფრო დაბალია სამუშაოს დატოვების ალბათობა. ჩვეულებრივ, ადმინისტრაციას აინტერესებს, თუ როგორ იცვლება მოსამსახურეთა შრომითი კმაყოფილება სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით. ასევე, აინტერესებს, თუ როგორ არის შრომითი კმაყოფილება დაკავშირებული პერსონალის დასწრებასა და სამსახურის ხანგრძლივობასთან. დგინდება კმაყოფილების დონის მიმართება კადრების დენადობის დონესთან. მაღალი რგოლის მენეჯერისთვის აუცილებელია უკუკავშირის არსებობა ასეთი გამოკვლევების სახით, რადგან იგი პასუხს აგებს ორგანიზაციის პოლიტიკისა და შრომითი პირობების გაუმჯობესებისთვის დაგეგმილ სპეციალურ ღონისძიებებზე. ასეთი უკუკავშირით მართვის უმაღლესი რგოლი უჩვენებს თანამშრომლებს, რომ მისთვის გამოკვლევის შედეგები მნიშვნელოვანი და ღირებულია.

როდესაც ეკონომიკა დაქვეითებულია, ადამიანებს ნაკლები საშუალებები აქვთ ალტერნატიული სამსახურის მოსაძებნად. კომპანიები იშვიათად ზრუნავენ კადრების შენარჩუნებაზე, იმედოვნებენ რა, რომ მათ არსად არა აქვთ წასასვლელი. მაგრამ შრომის ბაზარზე სიტუაცია როგორც კი თანაბრდება, კადრების დენადობის პროცენტი ასეთ კომპანიებში მკვეთრად მატულობს 5%-დან 50%-მდე (Lari.ge). ძირითადი მიზეზები იმისა, რომ ადამიანები ტოვებენ თავის სამუშაო ადგილებს, არის უკმაყოფილება თავისი უშუალო უფროსების მიმართ. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია პატარა ბიზნესის საწარმოებისთვის. მსხვილ კომპანიებში თანამშრომლებს მეტი შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ შეიცვალონ დაკავებული თანამდებობა და გადავიდნენ სხვა ხელმძღვანელის განკარგულებაში, რისი შესაძლებლობაც პატარა ორგანიზაციებში არ არსებობს. ეს იწვევს კადრების დაკარგვას. ყოველი თანამშრომელი დროდადრო ხვდება უსიამოვნო სიტუაციებში, რაც აქვეითებს მათ მოტივაციას, ან უბიძგებს სამუშაო ადგილზე დარჩენისაკენ. ყოველი მათგანი განსხვავებულად რეაგირებს ასეთ მოვლენებზე, თუმცა ბევრი ხელმძღვანელი უშვებს შეცდომას, რომელიც ყურადღების კონცენტრაციას აკეთებს მოტივაციაზე და ყურადღებას არ აქცევს ნეგატიურ ფაქტორებს. პერსპექტიული კადრების მოსაზიდად და თავისი საქმის ერთგული თანამშრომლების შესანარჩუნებლად კომპანიათა ხელმძღვანელებმა უნდა შემოიღონ რიგი ღონისძიებები, როგორიცაა მაგალითად:

1. აიყვანოს ის კანდიდატები, რომლებიც ცხოვრობენ ოფისთან ახლოს, რადგან გრძელი გზა სახლიდან სამსახურამდე და უკან, უარყოფითად მოქმედებს თანამშრომელთა გუნება-განწყობაზე;

2. შვებულებების ჩვეულებრივი გრაფიკის ნაცვლად ხელმძღვანელებმა საშუალება მისცენ თანამშრომლებს ნებისმიერ დროს აიღონ შვებულება, თვითონ კი მხოლოდ თვალი ადევნონ, რომ მათმა საერთო დღეთა რაოდენობამ არ გადააჭარბოს წლიურ ლიმიტს. მსგავსი პრაქტიკა კომპანიებს კადრების შენარჩუნების პროცენტული ზრდის საშუალებას მისცემს.

თანამშრომელთა დონის დაკმაყოფილების ამაღლებაში მნიშვნელოვანია ასევე მათი ჩართულობა გუნდურ მუშაობაში, რაც ამცირებს კადრების დენადობას. დენადობას სრულად ვერ გავაქრობთ და ეს ნორმალურია, უბრალოდ, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ის შევამციროთ. პირველ რიგში, ეს კომპანიის წარმატებაა, რომელიც თანამშრომლების ერთგულებაზეა დამოკიდებული: ერთგული კადრები უფრო პროდუქტიულები არიან და პირად პასუხისმგებლობას მეტად გრძნობენ კომპანიის საერთო მიზნის მისაღწევად. ერთგულებას, დენადობასა და ორგანიზაციის წარმატებას შორის პირდაპირი კავშირია: არაერთგული თანამშრომლები ორგანიზაციაში მხოლოდ მცირე პერიოდით ჩერდებიან, რაც კომპანიებისთვის საკმაოდ ხარჯიანია. კიდევ რამდენიმე მიზეზი არსებობს, რატომაც უნდა მოვუფრთხილდეთ თანამშრომლებს: ის, ვინც დიდი ხანია მუშაობს ერთ კომპანიაში, იცნობს ორგანიზაციის კულტურას, ხელსაწყოებს, პროდუქტებსა და პროცესებს. ეს ოთხივე კომპონენტი

უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ თანამშრომელმა კარგად შეძლოს საკუთარი საქმის კეთება. კომპანიაში, სადაც კადრებს დიდხანს ვერ აჩერებენ, თანამშრომლები ვერ ასწრებენ ამ კომპონენტების კარგად შესწავლას და, საბოლოოდ, იშვიათად თუ ახერხებენ კარგად მუშაობას. თანამშრომლების მიერ საქმის კარგად კეთება კი კომპანიის გრძელვადიანი წარმატებისთვის არსებითია. გამოდის, რომ თანამშრომელთა შენარჩუნებას მარტივად არ უნდა მივუდგეთ და ვეცადოთ, მაქსიმალურად ავირიდოთ დენადობა. ამ მიზნის მისაღწევად რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი:

1. დაინიშნოს კონკურენტული ხელფასები;
2. თანამშრომლებს მიეცეთ მაქსიმალური თავისუფლება;
3. თანამშრომლებისთვის შეთავაზებული იქნას განვითარების გეგმა;
4. კომპანიაში იყოს სასიამოვნო ფიზიკური გარემო;
5. გაიცეს ბონუსები სწორად.

ბიბლიოგრაფია:

ბიჭიაშვილი, ლ. (2018). ადამიანური კაპიტალის მართვის ორგანიზაცია და კადრების დენადობის განსაზღვრა. *ეკონომიკა* (4-5).

მაჭავარიანი, შ. (2014). *მენეჯმენტის საფუძვლები.* თბილისი: მეგობრობა.

პაიჭაძე, ნ. (2018). *ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.* თბილისი. თსუ.

საჯარო სამსახურის ბიურო. ვებგვერდი: http://www.csb.gov.ge/

სინერჯი ჯგუფი. ვებგვერდი: http://www.synergy.ge/

ტოლიაშვილი, ი. (რედ.). (2012). *მენეჯერის ბრძოლა წარმატებისთვის.* თბილისი: პალიტრა L.

ტოლიაშვილი, ი., & მიხანაშვილი, ნ. (რედ.). (2012). *თანამედროვე ორგანიზაციების მართვა.* თბილისი: პალიტრა L.

შატიკიშვილი, ზ., იარაჯული, ს., & ზარიძე, მ. (2014). *ტრადიციული და თანამედროვე ადამიანური რესურსების მართვა.* თბილისი.

Bloomberg Businessweek. (n.d.). Retrieved from https://www.bloomberg.com/businessweek

Construction.ge. ვებგვერდი: http://construction.ge

Forbes Georgia. ვებგვერდი: https://forbes.ge/

Intermedia. ვებგვერდი: https://intermedia.ge/

International Public Relations Association. Retrieved from https://www.ipra.org/

European Confederation of Public Relations (CERP). Retrieved from http://www.praime-europe.org

Institute for Pablic Relations. Retrieved from http://www.instituteforpr.com

International Public Relations Association. Retrieved from https://www.ipra.org/

Lari.ge (თ.გ.). *როგორ შევინარჩუნოთ კადრები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.lari.ge/30-biznesis-administrireba/521-rogor-shevinarchunot-kadrebi.html

Longenecker, J. G., William Petty , J., Palich, L. E., & Moore, C. W. (2009). *Small Business Management: Launching & Growing Entrepreneurial Ventures.*

Khatuna Bebnadze

Gori State University

ORGANIZATION FOR DETERMINING THE FLOW OF PERSONNEL

RESUME

The most important part of the nowadays business is human capital. Also the notable and the really interesting subject, in these companies activities, is how to manage the staff. Therefore the modern companies devote the big part of their time and attention to that factor of production. At the first sight personnel alterations is a natural process; however, if it is of the intensive nature, personnel turnover may become a serious problem for an organization. At the present labor market where very many job seekers are proper staff employment constitutes a problem for companies as it takes much time and large monetary resources. However, expenditures are much larger when employed staff members work in a company for a short term and quit soon. Therefore, the most successful are the organizations which feel their mission, respect their employees, expend their time and energy and spend their money to create a pleasant and highly professional environment and conditions.

Keywords: Business, Human capital, Manage the staff, Companies, Monetary resources, Expenditures, Staff members work, Market, Activities, Personnel turnover.

დავით ბიძინაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პანდემიით (COVID-19) გამოწვეული პრობლემები და საგარეო ვალის ზრდის ტენდენციები საქართველოში

საკვანძო სიტყვები: პანდემია, ინფლაცია, კრიზისი, რესტრუქტურიზაცია, საგარეო ვალი.

შესავალი: ახალი ტიპის კორონავირუსის (Covid-19) პანდემია მსოფლიოსთვის მოულოდნელ გამოწვევად იქცა, რომლის მასშტაბიც უახლესი ისტორიის განმავლობაში უპრეცედენტოა. საქართველო, როგორც ღია მსოფლიოს ნაწილი, მთელი რიგი მიზეზების, მათ შორის, ეკონომიკური გამოწვევების გამო, რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. მოვლენების განვითარების პერსპექტივის, მოსალოდნელი ჰუმანიტარული და ეკონომიკური ზიანის მოცულობის სრულად განჭვრეტა, არსებული მონაცემებით, თითქმის შეუძლებელია.

ძირითადად, კრიზისულ სიტუაციებში, სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები, ხარჯების ზრდის პარალელურად, გადასახადებსა და რეფინანსირების განაკვეთს ამცირებენ, რათა კრიზისით გამოწვეული მოთხოვნის კლების დაბალანსება და ეკონომიკური სტიმულირება ისე მოხდეს, რომ ეკონომიკის რეალური სექტორი კრიზისის/რეცესიის განმავლობაში წონასწორულ მდგომარეობასთან ახლოს დარჩეს.

ბოლო კვლევებისა და პუბლიკაციების ანალიზი საკვლევი თემის დასამუშავებლად გამოყენებული იქნა ამ თემაზე არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურა, საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები, სტატისტიკური ინფორმაცია, ცალკეული კვლევების შედეგები.

კვლევა ჩატარებულია ანალიზის და სინთეზის, ინდუქციის და დედუქციის, ემპირიული დაკვირვების, სოციოლოგიური გამოკითხვის და მათემატიკური სტატისტიკის ***მეთოდების*** გამოყენებით.

კორონავირუსით გამოწვეული ფინანსური კრიზისის დაძლევის გზების პრობლემატიკა მრავალმხრივ არის შესწავლილი როგორც ქართველი, ისე არაქართველი მეცნიერების (რ. აბესაძე, ი. არჩვაძე, ნ. ჩიხლაძე, ვ. პაპავა, ვ. ჭარაია, პ. არუშიძე, მ. ჯიბუტი, ა. ნადარაია, Hadi A., Kadhom M., Hairunisa N., Yousif E., Casselman B., Roubini N., და ა.შ.) და პრაქტიკოსების მიერ. ჩვენი ძირითადი წვლილი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ფინანსური პრობლემათა კვლევაში სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ეს საკითხი დავამუშავეთ და შესაბამისი რეკომენდაციებიც შევიმუშავეთ რეგიონალურ ჭრილში, კერძოდ საქართველოს მაგალითზე.

<u>მიზანი.</u> ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების ფართო ანალიზი და მისი დაძლევის მიზნით ეფექტური ეკონომიკური აქტივობების მხარდამჭერი ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც მოსახლეობას შედარებით უმტკივნეულოდ გადაატანინებს ამ მძიმე პერიოდს.

ძირითადი ტექსტი (მსჯელობა): მსოფლიო ეკონომიკამ პანდემიის შედეგად მნიშვნელოვანი დარტყმა მიიღო და შემოსავლები გლობალურად შემცირდა. შესაბამისად, იკლო იმ შემოსავლებმა, რასაც საქართველოს მოქალაქეები უცხოეთში გამოიმუშავებდნენ (მაგალითად, იტალიაში ფაქტიურად ყველა აქტივობა შეზღუდული იყო, რაც საქართველოსთვის ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი წყაროა). ფულადი გზავნილების შემცირება მეორე მნიშვნელოვანი წყაროა, რამაც ქვეყანაში დოლარის მიწოდების შემცირება გამოიწვია.

ახალი ტიპის კორონავირუსის (Covid-19) პანდემია მსოფლიოსთვის მოულოდნელ გამოწვევად იქცა, რომლის მასშტაბიც უახლესი ისტორიის განმავლობაში უპრეცედენტოა. საქართველო, როგორც ღია მსოფლიოს ნაწილი, მთელი რიგი მიზეზების, მათ შორის, ეკონომიკური გამოწვევების გამო, რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. მოვლენების განვითარების პერსპექტივის, მოსალოდნელი ჰუმანიტარული და ეკონომიკური ზიანის მოცულობის სრულად განჭვრეტა, არსებული მონაცემებით, თითქმის შეუძლებელია.

პანდემიურ კრიზისს გრძელვადიან პერიოდში არსებითი ზიანის მოტანა შეუძლია, როგორც მიკრო, ასევე მაკრო-ეკონომიკურ დონეზე. ზოგადად, განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმის შესახებ, ამა თუ იმ მთავრობის, საპასუხო ქმედებები და ჩარევის მასშტაბები, როგორი ხასიათის და რა მოცულობის უნდა იყოს. აღნიშნული მოსაზრებები, ძირითადად, სხვადასხვა იდეოლოგიურ შეხედულებებზეა დამოკიდებული.

ძირითადად, კრიზისულ სიტუაციებში, სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები, ხარჯების ზრდის პარალელურად, გადასახადებსა და რეფინანსირების განაკვეთს ამცირებენ, რათა კრიზისით გამოწვეული მოთხოვნის კლების დაბალანსება და ეკონომიკური სტიმულირება ისე მოხდეს, რომ ეკონომიკის რეალური სექტორი კრიზისის/რეცესიის განმავლობაში წონასწორულ მდგომარეობასთან ახლოს დარჩეს.



საქართველოში კორონავირუსის შემთხვევების არსებული ტემპით ზრდის შემთხვევაში დაინფიცირებულთა რაოდენობა ერთ თვეში კიდევ 2.4-ჯერ გაიზრდება. Worldometer-ის მონაცემებით 22 ნოემბერს კორონავირუსის შემთხვევების რიცხვი 104,372-ს შეადგენს. არსებული ტენდენციის გათვალისწინებით ჩვენი პროგნოზით 22 დეკემბერს 244,084 შემთხვევამდე გაიზრდება. უკეთეს შემთხვევაში, თუ ზრდის ტემპმა შეადგინა საშუალოდ 2%, 3%-ის მაგივრად, მაშინ 22 დეკემბერს საქართველოში დაინფიცირებულთა რაოდენობა 190 ათასამდე გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ 22 ნოემბრის მდგომარეობით საქართველომ კორონავირუსის საერთო შემთხვევების რაოდენობით გადაუსწრო მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალ ქვეყანას ჩინეთს და ასევე სხვა მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებს: აზერბაიჯანს, საბერძნეთს, მიანმარს, ვენესუელას და ჰონდურასს, ხოლო ყოველ მილიონ მოსახლეზე შემთხვევების მიხედვით საქართველომ იტალიასაც გადაუსწრო.

როდესაც ქვეყანას ან მის რომელიმე სახელმწიფო ფინანსურ სტრუქტურას ამა თუ იმ ეკონომიკური მიზნის შესასრულებლად რესურსები არ ჰყოფნის, ის საგარეო ვალს იღებს. საგარეო ვალია როგორც უშუალოდ სახელმწიფოს, ისე ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო საწარმოების მიერ აღებული ვალიც.

საგარეო ვალი ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და ის ყველა ქვეყანას აქვს, თუმცა ამ ვალს სავალე ვალდებულებებიც ახლავს, რომელიც გადასახადების გადამხდელებს მძიმე ტვირთად აწვება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის საგარეო ვალი შესაბამისობაში არ მოდის მის საბიუჯეტო შემოსავლებთან, ეკონომიკური ზრდის ტემპთან, ექსპორტთან და მშპ-ის მოცულობასთან.

ასე რომ, ყველა ქვეყანა ცდილობს ვალის ოდენობა მისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე განსაზღვროს და ის ეკონომიკის სწორი სტიმულაციისთვის გამოიყენოს. იმაზე მეტი საგარეო ვალის ქონა, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკას შეუძლია, როგორც წესი, კრიზისის საფუძველი ხდება. რასაკვირველია, რაც უფრო დიდია ეკონომიკა, მით უფრო დიდი რესურსი აქვს მას, რომ სახელმწიფო კრედიტის ვალდებულებები შეასრულოს.

მეორე საკითხია ქვეყნები მცირე ეკონომიკებით, რომელთაც ვალი ყოველგვარი სტრატეგიის გარეშე უგროვდებათ და ამ ვალის მოხმარების ეკონომიკური შედეგები თითქმის შეუმჩნეველია.

ყველაფრის მიუხედავად, სახელმწიფო ვალის მოცულობის შემცირებაზე განვითარებული ქვეყნებიც ზრუნავენ. მაგალითად, ევროზონის ქვეყნებისთვის სახელმწიფო ვალთან მიმართებაში საკმაოდ ხისტი პოლიტიკა არსებობს: იმისთვის, რომ ქვეყანა ევროზონაში მოხვდეს, ქვეყნის საგარეო ვალი მისი მშპ-ის 60%-ს არ უნდა აჭარბებდეს.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ერთ თვეში (2020 წლის ივლისში) 1,490 მლრდ ლარით გაიზარდა.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2020 წლის ივლისში მთლიანი ვალის მოცულობამ 20 257 138 000 ლარი შეადგინა (6 594 335 000 დოლარი), ივნისში კი ეს მაჩვენებელი 18 766 661 000 ლარს შეადგენდა. 20 257 138 000 ლარიდან მთავრობის საგარეო ვალი 19 475 792 000 ლარია, ეროვნული ბანკის კი 781 346 000 ლარი.

საქართველოს სახელმწიფოს ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან: აზიის განვითარების ბანკი (ADB); მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD). კერძოდ, IDA-ს მიმართ ვალი 2,851 მლრდ ლარია, აზიის განვითარების ბანკის (ADB)-ის მიმართ ვალი - 2,080 მლრდ ლარია, მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ვალი (IBRD) - 2,494 მლრდ ლარია, ევროპის საინვესტიციო ბანკის ვალი კი 1,884 მლრდ ლარს აჭარბებს.

გარდა ამისა, მთავრობა საგარეო ვალის სახით 2021 წელს 3.4 მილიარდ ლარს, 2022 წელს კი 2.1 მილიარდს ლარს აიღებს.

მიმდინარე წელს მთავრობის ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან 58% იქნება, 2021 წლის პროგნოზით, აღნიშნული მაჩვენებელი 57.6% იქნება. ამასთან, საგარეო ვალის მომსახურება პროცენტულად ბიუჯეტის შემოსავლებთან 2020 წელს 12.5%-შეადგენს, ხოლო 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებლის საპროგნოზო მნიშვნელობა 21.9%-ია.

ეპიდემიის გამო აღებული ვალების მომსახურება კი ჯერ ძალიან ადრეა, თუმცა დიდი ტვირთი აწვება ბიუჯეტს ამ მომსახურების გამო და აზარალებს. შესაბამისად, ბიუჯეტის გეგმას რომ ჩავხედოთ, დაახლოებით მეათედი მიდის ვალის მომსახურებაზე, რაც შეშფოთების საფუძველს იძლევა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ბიუჯეტი არის ეკონომიკის დაახლოებით 30-32% და ამის მეათედი ვალის მოხმარებაზე მიდის, ეს უკვე ნიშნავს, რომ თითოეული ჩვენთაგანი, თითოეული მოქალაქე ვალის მომსახურებაში დიდ თანხას იხდის თავისი გამომუშავებული ფულიდან. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ცალსახაა ის მავნე პრაქტიკა, რასაც მთავრობა ახორციელებს. როგორც ვიცით, ვალი იყო მშპ-ს 30%-ის ფარგლებში და უცებ 55%-მდე ავარდა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტად დაგვაწვება.

აშშ-ის სენატის საბიუჯეტო კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული საგარეო ოპერაციების 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, საქართველო აშშ-სგან 132 მილიონ დოლარს მიიღებს. სენატის საბიუჯეტო კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტით, საქართველოსთვის განკუთვნილი 132 მილიონი დოლარი ასე განაწილდება: ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის გამოსაყოფი დახმარების ბიუჯეტიდან საქართველოსთვის მიიმართოს – 83 მილიონი აშშ დოლარი; საერთაშორისო ნარკოტიკული კონტროლისთვის – 5.7 მილიონი აშშ დოლარი; ანტიტერორისტული პროგრამების მხარდაჭერისთვის – 1.1 მილიონი აშშ დოლარი; საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და ტრეინინგისთვის – 2.2 მილიონი აშშ დოლარი; საერთაშორისო სამხედრო დაფინანსების პროგრამისთვის – 40 მილიონი აშშ დოლარი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მთავრობა საგარეო ვალს ზრდის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, არსებული მდგომარეობით სახელმწიფო ვალი მშპ-ის 58.65%-ს შეადგენს. ახალი ვალების მობილიზებით კი საქართველოს სახელმწიფო ვალი კანონით განსაზღვრულ 60%-იან ნიშნულს გადააჭარბებს, ხოლო 60%-ს ვალის დონე 2023 წლისთვის ჩამოსცდება.

„2021 დეფიციტი, რომელიც მშპ-ის 7.6 პროცენტზეა გათვლილი, ითვალისწინებს ჯანდაცვის მაღალ ხარჯებსა და შინამეურნეობებისა და ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებებს, რაც მომატებული გაურკვევლობის ფონზე ხელს შეუწყობს ეკონომიკის გაჯანსაღების გამტკიცებას. სსფ-ს მისია მიესალმება ხელისუფლების განზრახვას, შეინარჩუნოს ფისკალური მდგრადობა საშუალოვადიან პერიოდში, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს „ფისკალურ წესში“, რომლის მიხედვითაც 2023 წლისთვის ფისკალური დეფიციტი მშპ-ის 3 პროცენტს და სახელმწიფო ვალი მშპ-ის 60 პროცენტს უნდა შეადგენდეს“, – აღნიშნულია IMF-ის განცხადებაში.

2020 წლის სექტემბრის მონაცემებით, სახელმწიფო საგარეო ვალი 22 მილიარდ ლარზე მეტია, რაც შეეხება ვალის აბსოლუტურ მაჩვენებელს - 2020 წელს ქვეყნის ვალი 8 მილიარდი ლარით გაიზარდა და 29.26 მილიარდ ლარს მიაღწია. სავალუტო ფონდის შეფასებით, მთავრობის ვალის მოცულობა 2021 წლისთვის 31.75 მილიარდამდე გაიზრდება. ფინანსთა სამინისტროშიც ოფიციალურად აღიარებენ, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს დიდი რაოდენობით ვალის აღება მოუხდა.

როდის და რა მიზნით აიღო ეს ვალი ქართულმა სახელმწიფომ? შარშანდელი მდგომარეობით, საშინაო და საგარეო ვალის ჯამური სიდიდე მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) 45 პროცენტის ფარგლებში იყო, მაგრამ პანდემიამ ყველაფერი არია: მშპ შეგვიმცირდა, სამაგიეროდ, სახელმწიფოს მიერ სოციალური ხარჯების გაღების აუცილებლობა გაიზარდა. როცა შემოსავალი მცირდება და ხარჯები იზრდება, სახელმწიფო იძულებული ხდება, სესხი აიღოს.

კორონავირუსის გავრცელების შემდეგ, საქართველო პირველი ქვეყანა იყო, რომელსაც საერთაშორისო ინსტიტუტებმა, და მათ შორის სავალუტო ფონდმა, ხელი გაუმართეს.

მომავალ წელს ჩვენი ჯამური - ანუ საშინაო და საგარეო ვალი ერთად, 32 მილიარდ ლარს მიაღწევს. ცხადია, აქ წინა წლებში აღებული ვალებიც შედის. ეს ციფრი მეტია, ვიდრე საქართველოს 2014 წლის მთელი მშპ-ი. საგარეო ვალის მომსახურების სიმძიმე იმაზეა დამოკიდებული, თუ როდის იწყება აღებული ვალის მომსახურების დრო. ბევრი არსებული ვალის გადახდის დრო სწორედ 2021 წელს ემთხვევა, მაგალითად: გაზსაცავის მშენებლობისთვის აღებული სესხის გადახდის ვადა 2013 წელი იყო, მერე მთავრობამ მიაღწია შეთანხმებას და ეს თარიღი 2021 წლისთვის გადაიდო. მაშინ სესხად ავიღეთ 500 მილიონი დოლარი და ახლა 900 მილიონი დოლარი გვაქვს გასასტუმრებელი. ვალის გაზრდა დიდწილად დამოკიდებულია ლარის კურსზეც: როდესაც ლარი უცხოურ ვალუტასთან შედარებით უფასურდება, ჩვენ უფრო გვიმძიმდება ვალების მომსახურება, რადგან ისინი დოლარში გვაქვს აღებული. ამიტომ, გაისად ვალების მომსახურებისთვის 2 მილიარდ 640 მილიონი ლარის წარმართვა მოგვიწევს, რაც საბიუჯეტო შემოსავლების მეოთხედზე მეტია და სულაც არ არის ცოტა. არის თუ არა საგანგაშო ეს ციფრები? ცხადია, რაც უფრო მეტია ვალი, მით უფრო ძნელია მისი მომსახურება.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს დეფოლტის საფრთხე არ ემუქრება. ჩვენ გვაქვს საკმარისი პოტენციალი, რომლის გამო საქართველოს მომავალს ოპტიმისტურად უნდა შევხედოთ. მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ ტრაგიკული ჯერ კიდევ არ არის, რადგან ამ მდგომარეობიდან გამოსვლის გზები და პერსპექტივა ჩანს. ეკონომიკის ზრდა და ქვეყნის წინსვლა - აი, ეს არის უტყუარი გამოსავალი ამ სიტუაციიდან. თუ ყველაფერი კარგად იქნება, ეკონომისტები მომავალ წელს ეკონომიკის 5%-იან ზრდას ვარაუდობენ, მომდევნო წლებში - 5,5%. ეს იმხელა ციფრი არ არის, რომელსაც საქართველო ვერ შესწვდება.

ქვეყნის ეკონომიკა და ბიზნესი დიდად მაშინაც კი ვერ გამოცოცხლდა, როდესაც პანდემიის გამო დახურულმა სფეროებმა მუშაობა განაახლეს. პანდემიის გამო მიღებულმა შოკმა საქართველოს ეკონომიკა წლებით უკან დახია, ამიტომ მის აღდგენას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. კორონავირუსის პანდემიამ საქართველოს 2-წლიანი ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა შეიწირა. თუ წელს მართლაც 5%-იანი ვარდნა გვექნება (5%-იანი ზრდის ნაცვლად), უნდა ჩავთვალოთ, რომ ეკონომიკური ზრდის სკალიდან 2 წელი სრულად ამოვარდნილი იქნება. ესე იგი, კორონავირუსმა საქართველოს 2-წლიანი წინსვლის პერსპექტივა შეიწირა.

შესაბამისად, მოცემულ ვითარებაში, კურსის სტაბილურობის მნიშვნელოვან მდგენელად საგარეო დახმარებების/ვალდებულებების მოზიდვა შეიძლება მივიჩნიოთ. ცნობილია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი დამატებით დაფინანსებას გამოყოფს, თუმცა, ამ ეტაპზე ზუსტი მოცულობა უცნობია. ასევე დადასტურებულია, რომ დამატებით საგარეო რესურსს საქართველო ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის მხრიდანაც, 183 და 45 მლნ ევროს მოცულობით, მიიღებს. აღნიშნული მოცულობები, ბუნებრივია, არასაკმარისია და მნიშვნელოვანია ხელისუფლების ძალისხმევა აქტიურად იქნას მიმართული როგორც ახალი საგარეო ვალდებულებების აღების, ასევე მიმდინარე პერიოდში დასაფარი ძველი ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის თვალსაზრისით, რათა, ერთი მხრივ, მიმდინარე შემომავალი ნაკადები გაიზარდოს, მეორე მხრივ კი, გამავალი რესურსის გადინება გადავადდეს.

დასკვნა:

- გაათმაგებული ყურადღებაა საჭირო ადგილობრივი წარმოების, განსაკუთრებით იმპორტჩანაცვლებადი სფეროების განვითარებაზე. ამ მხრივ, იმედი მაქვს, რომ მთავრობა ამ გამოწვევას გაძლიერებული ძალისხმევით და გაზრდილი მიზნობრივი დაფინანსებით უპასუხებს. სახელმწიფომ ყველა შესაძლო ბერკეტი უნდა აამოქმედოს იმისთვის, რომ ადგილობრივი წარმოება იყოს დაცული, ადგილობრივი წარმოება განვითარდეს და მისი კონკურენტუნარიანობა ამაღლდეს. პირველ რიგში, საკუთარი ბაზარი რომ დავაკმაყოფილოთ და როგორც კი გლობალური ბაზრები მოგვცემს ამის საშუალებას, ექსპორტი მაქსიმალურად გავაფართოოთ და მხარი დავუჭიროთ;

- ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა უპირველესია და საგანგებო მდგომარეობა, კარანტინის რეჟიმში აუცილებლობას წარმოადგენს. თუმცა, მთავრობამაც და ეკონომისტებმაც უნდა დავძაბოთ ფანტაზია და მივაღწიოთ, რომ ეკონომიკის რაც შეიძლება მეტი სეგმენტი დარჩეს ფუნქციონირების რეჟიმში, რადგან სხვა შემთხვევაში, კოლაფსიდან ეკონომიკის „ამოძვრენა“ წარმოუდგენელი იქნება. ამ საგანგაშო და ურთულეს ვითარებაში სრულად უნდა იქნეს ამოქმედებული ყველა საჭირო შიდა რესურსი მთავრობის მიერ ადამიანთა გადასარჩენად. სრული პასუხისმგებლობა კრიზისის დაძლევაზე, მოქალაქეთა გადარჩენაზე და ეკონომიკის პოტენციალის შენარჩუნებასა და მომავალ განვითარებაზე ეკისრება მთავრობას. შესაბამისად, სწორედ მთავრობისა და სახელმწიფოს ვალდებულებაა ყველა საჭირო რესურსის (ფინანსური და არაფინანსური) მობილიზება ამ ამოცანების გადასაჭრელად;

- საქართველოს ეროვნული ბანკის რეაგირება პროცესებზე იყო დაგვიანებული, რომელიც თავიდანვე მოლოდინის რეჟიმზე იყო გადასული. მან მხოლოდ ბოლო დღეებში გამოიჩინა აქტიურობა, საჭირო იყო სავალუტო რეზერვების დროული გამოყენება (ხარჯვა) და ბევრად ნაკლები ზიანი მიადგებოდა ჩვენს სავალუტო ბაზარს და მთლიანად საქართველოს ეკონომიკას;

- უნდა ვიცოდეთ, დღეს ლარის გაუფასურება არის გარდაუვალი პროცესი. ლარი აუცილებლად უნდა გაუფასურდეს, სხვანაირად არ შეიძლება, მაგრამ ცუდია, როდესაც ადგილი აქვს დიდ ნახტომებს. ეს დიდი ნახტომები ანგრევს ჩვენს სავალუტო ბაზარს და ქმნის დამატებით სირთულეებს. ეს არის დღეს საქართველოს ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლი. ამას არ სჭირდება არანაირი პროგრამა, საჭიროა სავალუტო ბაზარზე ცეცხლის ჩაქრობა და არა უაზროდ რეზერვების ხარჯვა, არამედ გონივრული ხარჯვა;

- დღეს საჭიროა მინიმალური დანახარჯები, მინიმალური ზარალი ეკონომიკისთვის, ეპიდემიის დასრულება, ხოლო შემდეგ უკვე, ამ ზარალიდან გამომდინარე, უწინარეს ყოვლისა, იმ სექტორების სტიმულირება, რომელიც განავითარებენ ქვეყნის ეკონომიკას;

- ახალ კორონავირუსთან ბრძოლა აუცილებელია, თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები ნელ-ნელა ხვდებიან, რომ სახლში დარჩენით უფრო მძიმე შედეგამდე მივლენ, რადგან ეკონომიკის განადგურებით გამოწვეული პრობლემები გაცილებით უფრო სასტიკი იქნება, ვიდრე კორონავირუსია.

ვირუსთან ბრძოლა უნდა გაგრძელდეს, თუმცა ეფექტური და არა ეკონომიკის გამანადგურებელი მეთოდებით;

- მთავარია, რომ იმ პერიოდში, როდესაც კორონავირუსის გამო მინიმუმამდეა დასული ეკონომიკური აქტივობა, მთავრობამ უზრუნველყოს ის მინიმალური ფინანსური ინიექცია სოციალურ სფეროში, რომელიც მოსახლეობას შედარებით უმტკივნეულოდ გადაატანინებს ამ მძიმე პერიოდს;

- საკრედიტო რესურსის შოვნა არ იქნება რთული, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს რა მოცულობის თანხები უნდა ვისესხოთ და რა მიზნობრიობით. საამისოდ კი საჭიროა მეტ-ნაკლებად გამოიკვეთოს კორონავირუსის ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლენის მასშტაბი;

- კორონავირუსი დიდი საფრთხეა, მან უკვე მოგვიტანა დიდი ზიანი და გაცილებით მეტის გაფუჭება შეუძლია. მაგრამ მთავარი საფრთხე, ვფიქრობ, თავად კორონავირუსი არ არის. თუ ხატოვნად ვიტყვით ათასგზის მეტი ხიფათის და საფრთხის შემცველია ეკონომიკის კოლაფსი, რომელიც უეჭველი დადგება მთელ მსოფლიოში და მათ შორის, რაღა თქმა უნდა საქართველოში. ამის ნიშნები უკვე სახეზეა ფაქტობრივად ჩამოშლილი საფონდო ბირჟების სახით. კოლაფსის მასშტაბები დამოკიდებულია, რამდენ ხანს ვიქნებით ვირუსის მძვინვარების პირობებში;

- ამავე დროს, ჩვენ უნდა ვისწავლოთ ცხოვრება და მუშაობა კორონავირუსის არსებობის პირობებში, რადგან იგი უახლოეს მომავალში, ერთ მშვენიერ დღეს არ გაქრება.

ეს არის გლობალური გამოწვევა და როგორც კი ეს მოხდება, სხვა ქვეყნები და მათ შორის საქართველოც დაიწყებს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას და მთავარი კონკურენციის პროცესი სწორედ კრიზისიდან გამოსვლის პროცესში იქნება ქვეყნებს შორის და აქ მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ შეინარჩუნოს როგორც რეგიონალური, ასევე გლობალური კონკურენტუნარიანობა და სწორედ ამიტომ დაანონსდა, რომ საჭიროა ახლებური ხედვა, ახლებური მიდგომა იმ პოსტკრიზისულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც სახელმწიფომ უნდა გაატაროს იმისთვის, რომ სწრაფად მოახერხოს კერძო სექტორმა და ბიზნესმა ამ კრიზისიდან გამოსვლა, სწრაფად აკრიფოს გააქტიუროს ეკონომიკური საქმიანობა, გაზარდოს დასაქმება და მაქსიმალურად სწრაფად დავუბრუნდეთ იმ ძალიან მნიშვნელოვან და წარმატებულ საწყის მდგომარეობას, რაც კრიზისამდე გვქონდა.

ბიბლიოგრაფია:

ბიზნესპრესნიუსი (BusinessPressNews). ვებგვერდი: https://www.bpn.ge/

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). (2020 წლის 7 აპრილი). *პანდემია და კორუფციული რისკები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://idfi.ge/ge/pandemics_and_corruption_risks

მედიაჰოლდინგი „კვირა“. (2020 წლის 11 ნოემბერი). *საქართველო აშშ-სგან 132 მილიონ დოლარს მიიღებს.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://kvira.ge/609874

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვებგვერდი: http://www.economy.ge/

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). ვებგვერდი: https://www.geostat.ge.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ვებგვერდი: https://www.mof.ge/

ჯიჯავაძე, თ. (2020 წლის 3 აპრილი). *კორონავირუსის პანდემია მთელ მსოფლიოს შესაძლოა $4,1 ტრილიონი დაუჯდეს.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://forbes.ge/koronavirusis-pandemia-m/

Agora News. (2019 წლის 9 იანვარი). *რა არის საგარეო ვალი და როგორია ამ მხრივ საქართველოს მდგომარეობა სხვა ქვეყნებთან შედარებით.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://agora.ge/new/27750-ra-aris-sagareo-vali-da-rogoria-am-mkhriv-saqartvelos-mdgomareoba-skhva-qveynebtan-shedarebit

Agora News. (2020 წლის 23 ნოემბერი). *საქართველოში კორონავირუსის გავრცელების პროგნოზი (ნოემბერი-დეკემბერი).* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://agora.ge/new/32184-saqartveloshi-koronavirusis-gavrcelebis-prognozi-noemberidekemberi

UNDP საქართველო. (თ. გ.). *კაცობრიობას სჭირდება ლიდერობა და სოლიდარობა COVID-19-ის დასამარცხებლად.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/coronavirus.html

Davit Bidzinashvili
Gori State University

PROBLEMS CAUSED BY THE PANDEMIC (COVID-19) AND TRENDS IN FOREIGN DEBT GROWTH IN GEORGIA

RESUME

The pandemic of the new coronavirus (Covid-19) turned to be an unexpected challenge for the whole world. The scale of the disease is unprecedented. Georgia, the Country, as a part of the open world, due to the number of the reasons, the economical challenges among the others, turned to be in the complex situation. In the circumstances where we have the perspectives of the possible humanitarian and economic collapse, the detailed and thorough anticipation of the humanitarian as well as economical damages according the existing data is almost impossible.

As a rule, in the crisis situations, the governments of several countries, parallel to increasing expences reduce the taxes and the rates of refinancing in order to achieve balancing of the decreased demands which have resulted out of the crisis and to achieve economical stimulation in such way as the real sector of the economy during the process of crisis/recession could retain the position which is near to the balanced situation.

Keywords: Pandemic, Inflation, Crisis, Restructuring, Expenditure of reserves, Foreign debt.

გიული გიგუაშვილი, თამარ მაკასარაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ონლაინ სწავლების გამოწვევები საქართველოში COVID-19-ის პირობებში

საკვანძო სიტყვები: ონლაინ სწავლება, ონლაინ სასწავლო პლატფორმები, ციფრული რესურსები.

ნაშრომის შესავალი. საქართველო მცირე ეკონომიკის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, რომელიც შეუპოვრად მიიწევს წინ განვითარებისკენ. სამთავრობო პროგრამაში „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის უმთავრეს წინაპირობად განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა დასახელდა და დაიგეგმა მასშტაბური ინვესტიციები განათლების სფეროში. 2022 წლიდან განათლებაზე გაწეული ხარჯები ეტაპობრივად მშპ-ს 6%-მდე გაიზრდება ამჟამინდელი მშპ-ს 3.6%-ის ნაცვლად. (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა საქართველოს განათლების სისტემის ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას და საყოველთაოდ აღიარებული საგანმანათლებლო პრინციპების თანმიმდევრულ განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია ქვეყანაში ინტელექტუალური, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა და სრულყოფის შეუქცევად პროცესთან.

ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელი ხდება შემუშავებულ იქნას ახალი სტრატეგიები და განათლების ტრადიციული მეთოდები ჩანაცვლდეს თანამედროვე, განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომებით. გლობალური ინტერნეტ სივრცე და მოქმედი ონლაინ პლატფორმები ახალ შესაძლებლობებს ქმნის საგანმანათლებლო სივრცის საზღვრების გასაფართოებლად, მსოფლიო მიღწევების გასაზიარებლად და საერთაშორისო სტანდარტების განათლების მისაღებად; სხვადასხვა ქვეყნის, კულტურისა და რელიგიის მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტების ერთ საგანმანათლებლო სივრცეში მოსაქცევად და ტოლერანტული, ჰუმანური პრინციპების გასამტკიცებლად.

ლიტერატურის მიმოხილვა. არაერთ ქვეყანაში ტრადიციული განათლების მეთოდების პარალელურად წლებია წარმატებით ფუნქციონირებს ონლაინ სწავლება, რამაც განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა 2020 წლის დასაწყისში, როცა მოულოდნელად მსოფლიოს თავს დაატყდა მძვინვარე პანდემია COVID-19. ის გადაიქცა ყველაზე მძიმე გამოწვევად არა მარტო განვითარებადი, არამედ გიგანტი, განვითარებული ქვეყნებისთვის. ვერაგი, შეუცნობელი ვირუსის მიერ შეწირულმა მილიონობით სიცოცხლემ მსოფლიოს ჩაკეტილი ცხოვრების წესზე გადასვლა აიძულა. ადამიანურ

ურთიერთობებზე, პასუხისმგებლობებზე, თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ტრადიციული ცხოვრების რითმი ინტერნეტის დახმარებით ვირტუალურ სამყაროდ გარდაიქმნა. ამ პირობებში, ბუნებრივია, საჭირო გახდა განათლების სისტემის მთლიანად ონლაინ რეჟიმზე გადართვა, ციფრული სწავლების სერვისების დანერგვა, რაც რთული გამოწვევა აღმოჩნდა ჩვენი განვითარებადი, ღარიბი ქვეყნის განათლების სისტემისათვის, სადაც მიუხედავად ბოლო ათწლეულში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებისა, 2017 წლის მონაცემებით, შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 4.3%, მოსახლეობის 5.0%, ბავშვების 6.8% და პენსიონერების 3.7% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. (იუნისეფი (UNICEF), 2018)

გაეროს ბავშვთა ფონდისა და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში სასკოლო ასაკის ბავშვების 15 პროცენტს არ აქვს სახლში ინტერნეტზე წვდომა, რაც აბრკოლებს მათ დისტანციურ სწავლასა და ონლაინ შესაძლებლობებზე წვდომას. პრობლემა გლობალურია - არც საერთაშორისო მონაცემებია საიმედო, მსოფლიოში სასკოლო ასაკის ბავშვების ორ მესამედს ხელი არ მიუწვდება ინტერნეტზე. რთულია მდგომარეობა 15-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებშიც - 759 მილიონ ახალგაზრდას, ანუ 63 პროცენტს, ასევე არ აქვს სახლში ინტერნეტკავშირი. (United Nations Children's Fund (UNICEF) & International Telecommunication Union (ITU), 2020)

საქართველოში, კორონავირუსის პანდემიის გამო სკოლების დახურვა შეეხო დაახლოებით 661 500 ბავშვს, რომლებსაც მოუწიათ გადასვლა ონლაინ რეჟიმში სწავლაზე. შესაბამისად, ის ბავშვები, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტზე წვდომა, აღმოჩნდნენ განათლების ხელმისაწვდომობის გარეშე დარჩენის საშიშროების წინაშე. ონლაინ სწავლების რეჟიმზე გადავიდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც. მოსწავლეების მსგავსად, ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემების გამო, სტუდენტებსაც მნიშვნელოვნად შეეზღუდათ დასაქმებისთვის აუცილებელი სამეწარმეო უნარ-ჩვევების მიღების შესაძლებლობა, რაც გამოიწვევს მათი კონკურენტუნარიანობის დონის შემცირებას. (United Nations Children's Fund (UNICEF) & International Telecommunication Union (ITU), 2020) პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდების ონლაინ სწავლისათვის საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფაც. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემებით, კომპიუტერის მქონე ოჯახების რაოდენობა მოსახლეობის მხოლოდ 62 %-ს შეადგენს. ამდენად, პირველი რიგის ამოცანად იქცა სასწავლო რესურსების დისტანციური მიწოდების სისტემების შემუშავება. აღსანიშნავია, რომ პანდემიის დაწყებიდან რამდენიმე თვეში, მთელ მსოფლიოში, განათლების სამინისტროების 90 პროცენტზე მეტმა ოპერატიულად მოახერხა ადაპტირება და დანერგა დისტანციური სწავლების მიდგომები, რომლებიც მოიცავს რადიოს, ტელევიზიას ან ინტერნეტს. (ქურციკიძე, 2020)

აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ჩვენს ქვეყანაშიც: შეიქმნა სხვადასხვა სასწავლო ონლაინ პლატფორმა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ტელესკოლა - რომელმაც განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მოსწავლეებში, აბიტურიენტებისათვის ვებ-სკოლა და სხვ. ონლაინ განათლება გადაიქცა შესანიშნავ გამოსავლად COVID-19-ის პირობებში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის. დღის წესრიგში დადგა აღნიშნული პროცესის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა: ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული ტერმინების დაზუსტება და პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

შედეგები/დისკუსია. საქართველოს განათლების სისტემა დღეისათვის სასწავლო პროცესს ტრადიციული, დისტანციური და შერეული ფორმატით ახორციელებს. ტრადიციულ ფორმატს – დასწრებულს, შერეულს – ჰიბრიდულს და დისტანციურს - ონლაინს ან e-learning-ს უწოდებენ. სწავლების ტრადიციული მოდელის დროს მასწავლებელი მოსწავლეებთან პირადად ურთიერთობს და ციფრულ შესაძლებლობებს მხოლოდ დამხმარე საშუალებად იყენებს. დისტანციური სწავლება უკავშირდება ინტერნეტის ხელმისაწვდომის ზრდას საზოგადოების დიდი ნაწილისთვის. შერეული სწავლება მოიცავს სწავლების როგორც დასწრებულ ფორმატს, ასევე ონლაინ ფორმატს ციფრული რესურსების (ვიდეო/აუდიო კონფერენცია, პრეზენტაციები, სხვა ციფრული რესურსები) ინტენსიური გამოყენებით.

არაერთი საერთაშორისო კვლევის თანახმად, ყველაზე ეფექტურად შერეული ან ჰიბრიდული ტიპის სწავლება ითვლება. ამ დროს მოსწავლეები იძენენ უმნიშვნელოვანეს უნარებს: კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა, კომუნიკაციები და სხვა, რომლის დროსაც მოსწავლე ცოდნის მიმღებიდან, საგანმანათლებლო პროცესის აქტიურ მონაწილედ გვევლინება. კვლევებმა დაადასტურა, რომ შერეული სწავლება ამაღლებს მოსწავლეების ცოდნას, აუმჯობესებს მათ დისციპლინასა და სკოლისადმი დამოკიდებულებას. ასევე ის მომგებიანია ფინანსური თვალსაზრისითაც. (ინაშვილი, 2020)

საგანმანათლებლო დაწესებულებებში არატრადიციული, ალტერნატიული სწავლების ფორმებად მიიჩნევა: ელექტრონული სწავლება (e-learning), ონლაინ განათლება/სწავლება (online education/learning),

დისტანციური განათლება/სწავლება (distance education/distance learning), შერეული სწავლება (blended learning), ჰიბრიდული სწავლება (hybrid learning) და სხვ. ამასთან, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციამ (EUA) 2020 წლის სექტემბრის მიმოხილვაში - „ევროპული უმაღლესი განათლება Covid 19-კრიზისის პირობებში“ ("European higher education in the Covid-19 crisis") შემოგვთავაზა სრულიად ახალი ტერმინი - „დაშორებული სწავლა და სწავლება საგანგებო სიტუაციის დროს" (emergency remote learning and teaching). (ბაქრაძე, 2020, გვ. 3)

საერთაშორისო ორგანიზაციის OECD-ს დეფინიციით, „ელექტრონული სწავლება გულისხმობს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებას უმაღლეს განათლებაში სწავლების გასაუმჯობესებლად/გასაძლიერებლად ან/და მხარდასაჭერად. მიუხედავად იმისა, რომ მოწინავე აპლიკაციები არის ელექტრონული სწავლების უპირველესი ინტერესი, ის შეეხება როგორც მთლიანად ონლაინ სწავლებას, ასევე კამპუსში (ფიზიკურ გარემოში) სწავლებას ან სხვა სახის სწავლების დისტანციურ უზრუნველყოფას, რომელსაც გარკვეული ფორმით ემატება ICT-ი“. (Centre for Educational Research and Innovation (CERI), 2005)

ამრიგად, ელექტრონული სწავლების დეფინიციის დროს მთავარი აქცენტი კეთდება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე. რაც შეეხება ონლაინ სწავლებას, ის ელექტრონული სწავლების ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება მივიჩნიოთ. ონლაინ სწავლება გულისხმობს სწავლების მხარდასაჭერად ინტერნეტის და ციფრული მასალების გამოყენებას. აუცილებელი არაა, ის დისტანციურად განხორციელდეს. მისი გამოყენება შესაძლებელია სწავლების ტრადიციულ მეთოდებზე დამატებით, ამ შემთხვევაში მას უწოდებენ შერეულ სწავლებას.

ონლაინ განათლების დროს სასწავლო კურსების მთლიანი შინაარსი ან მისი 80%-ზე მეტი გადაიცემა ინტერნეტის მეშვეობით. სწავლება შეიძლება განხორციელდეს სინქრონულად ან ასინქრონულად. სინქრონული ონლაინ სწავლების პროცესში მოსწავლე/სტუდენტი და პედაგოგი ერთდროულად ღებულობენ მონაწილეობას, მაგრამ იმყოფებიან საგანმანათლებლო დაწესებულებისგან განსხვავებულ ლოკაციაზე. ამ კურსების ჩატარება შესაძლებელია ვიდეო კონფერენციით, ვებ კონფერენციით, აუდიო კონფერენციით და ა.შ. ასინქრონული კურსების შემთხვევაში მოსწავლეს/სტუდენტს არ მოეთხოვება სასწავლო სესიაში მონაწილეობა იმავე დროს, რა დროსაც მასწავლებელი მონაწილეობს. ონლაინ სწავლება გულისხმობს ქსელის საშუალებით სწავლებასა და სწავლას, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს/სტუდენტს გაზარდოს ინტერაქცია სასწავლო კურსის შინაარსთან, პედაგოგთან და სხვა მოსწავლეებთან/სტუდენტებთან“. (ბაქრაძე, 2020, გვ. 10, 13)

დისტანციური სწავლება ICT-ის გამოყენებასთან ერთად გულისხმობს სავალდებულო დაშორებას სივრცეში ან დროში. ტრადიციულად, ის მოიცავდა საკორესპონდენტო მიმოწერას პირდაპირი კავშირის გარეშე, როდესაც სტუდენტი მასწავლებელს ფოსტის მეშვეობით უკავშირდებოდა. დღეს, ის ძირითადად მოიცავს ონლაინ სწავლებას, როცა პედაგოგი დისტანციურად ატარებს ლექციებს და აძლევს დავალებებს. ამრიგად, ელექტრონული, დისტანციური და ონლაინ სწავლების ტერმინები ურთიერთდაკავშირებულია, მაგრამ არ წარმოადგენს სინონიმებს.

„საქართველოში დისტანციური სწავლების შესახებ ჩანაწერი კანონში პირველად 2016 წელს გაჩნდა და დისტანციურ სწავლებად მხოლოდ სინქრონული მეთოდი მოიაზრებოდა,“ (შვანგირაძე, 2020) ამჟამად, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესსა და პირობებს ამტკიცებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი. 2020 წლის 12 ივნისს შევიდა ცვლილება საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“, კანონს დაემატა მუხლი 47[7]-დისტანციური სწავლება. კანონის თანახმად:

- დისტანციური სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.
- დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით.
- დისტანციური სწავლების განხორციელების მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის შერჩევასა და გამართულად გამოყენებას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის ინტერაქტიულად წარმართვა. (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2020)

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 09 სექტემბრის ბრძანება №95/ნ-ით დამტკიცდა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი და პირობები. დაზუსტდა კანონში გამოყენებული ტერმინები: ელექტრონული სწავლება, სინქრონული და

ასინქრონული სწავლება, ჰიბრიდული სწავლება, ციფრული რესურსები, ელექტრონული პლატფორმა და ა.შ.

მინისტრის №95/ნ ბრძანებით **ელექტრონული სწავლება** განისაზღვრა, როგორც სწავლება ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით; **სინქრონული სწავლება** – დისტანციური სწავლების მოდელი, ელექტრონული სწავლების ფორმით, როცა მასწავლებელი და მოსწავლე(ები) მათი უნიკალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით, ერთდროულად იყენებენ რომელიმე ელექტრონულ პლატფორმას, რომელიც იძლევა აუდიო ან/და ვიდეოკომუნიკაციის შესაძლებლობას; **ასინქრონული სწავლება** – დისტანციური სწავლების მოდელი, ელექტრონული სწავლების ფორმით, როცა მასწავლებელი და მოსწავლე(ები) ერთდროულად ან სხვადასხვა დროს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი პროცესის შესაბამისად, დამოუკიდებლად სწავლობენ სხვადასხვა დროსა და ადგილას, რეალურ დროში კომუნიკაციის გარეშე, იყენებენ ან ციფრულ რესურსებს, ან აუდიო და/ან ან/და ვიდეო ფაილებს, ან ტელეეთერს; **ჰიბრიდული სწავლება** – დისტანციური სწავლების მოდელი, დასწრებით სწავლებისა და ელექტრონული სწავლების რომელიმე ფორმის კომბინაციით. (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2020)

ამავე ბრძანებით, რეკომენდებულია დღეში არაუმეტეს 3 გაკვეთილის ჩატარება, თუმცა რეალურად ონლაინ რეჟიმის დროს სკოლების უმრავლესობაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დასწრებული სწავლებისთვის შედგენილი ცხრილის მიხედვით და მოსწავლეებს უწევთ ხანგრძლივი დროის მანძილზე ონლაინ გაკვეთილებზე ჩართვა. კომპიუტერთან დიდი ხნით ჯდომა კი ბავშვებში ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემები წარმოშობს. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა ზოგჯერ პედაგოგის პირად გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული, როდის ჩატარდებოდა გაკვეთილი. ამის გამო მოსწავლეებს უწევდათ მთელი დღის განმავლობაში საგაკვეთილო რეჟიმში ყოფნა. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ინტერნეტის სიხშირე და გაკვეთილებზე ჩართვის ტექნიკური უზრუნველყოფა. გამოიკვეთა მასწავლებლების მხრიდან ახალ პლატფორმებზე ადაპტირებისა და მათი ტექნიკური მართვის პრობლემა. დისტანციური სწავლების დროს პედაგოგები იძულებულნი გახდნენ, უფრო მეტი დრო დაეთმოთ პროფესიული უნარების გაუმჯობესებისა და ციფრულ სამყაროში უკეთ ადაპტაციისთვის, რაც დადებით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, გაიზარდა მშობლების ჩართულობაც შვილების განათლების პროცესში და განმტკიცდა უკუკავშირი მოსწავლეებს, პედაგოგებს, მშობლებსა და სასკოლო ადმინისტრაციას შორის.

სკოლებისგან განსხვავებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ელ. სწავლების გარკვეული გამოცდილება პანდემიამდეც ჰქონდათ. საქართველოში ელ-სწავლების დანერგვა 2008 წლიდან დაიწყო პროექტ „ელექტრონული სწავლება კავკასიაში“ ფარგლებში. ამ პერიოდში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის 20-ზე მეტ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავდა და დაინერგა საპილოტე ელექტრონული სასწავლო კურსები. თუმცა პანდემიამდე ელ. სწავლება მხოლოდ რამდენიმე უნივერსიტეტში ხორციელდებოდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ტექნიკურ უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვ. ამ შემთხვევაში სწავლება წარმოდგენილია კომბინირებულად, ტრადიციული ფორმით ორგანიზებულ სწავლებასთან ერთად. პროფესორები ელექტრონულ სასწავლო კურსებს განათავსებენ საიტზე, რაც შესაძლებელს ხდის სხვადასხვა აქტივობები, დავალებები ონლაინ რეჟიმში აწარმოონ. ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს ვირტუალური ლაბორატორია, რომლის გამოყენებითაც ამ ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ ცდები ვირტუალურად ჩაატარონ. ბუნებრივია, ეს გამოცდილება საკმარისი არ აღმოჩნდა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ზოგიერთ ქვეყანაში დისტანციური უნივერსიტეტებიც კი ფუნქციონირებს. მაგალითად, „თურქეთში ასეთ უნივერსიტეტში ქვეყანაში დარეგისტრირებული სტუდენტების ნახევარზე მეტი სწავლობს, ხოლო აშშ-ს უმაღლესი სასწავლებლების 81% სტუდენტებს სულ ცოტა ერთ კურსს მაინც დისტანციური სწავლებით სთავაზობს“. (სარიშვილი, 2016)

ონლაინ სწავლების პროცესი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში რამდენიმე ციფრული პლატფორმის გამოყენებით ხორციელდება, ესენია: Moodle, ZOOM, Google Classroom და ა.შ. სტუდენტთა გარკვეული ნაწილის აზრით, ელექტონული ფორმით განათლების მიღება მოქნილი და კომფორტული საშუალებაა, რომელიც შესაძლებელს ხდის სტუდენტებმა განათლება სასურველ დროსა და ადგილას მიიღონ. თანაც, ისე, რომ სამუშაო პროცესს არ მოწყდნენ. ამასთან, ნაკლებ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე სააუდიტორიო სწავლება, რადგან იზოგება ყოველდღიური ხარჯები. მაგალითად, ბინის, გზის, კვების, სასწავლო კურსების ქსეროასლების ხარჯები და ა.შ.

ამრიგად, ონლაინ სწავლება სტრატეგიულად მნიშნელოვან მიმართულებად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ სერვისს მსოფლიოში უამრავი ადამიანი იყენებს, განსაკუთრებით სტუდენტთა ის ნაწილი, ვისაც არ შეუძლია სხვა ქვეყანაში გადაადგილება სასწავლებლად. ონლაინ უმაღლესი განათლება მათთვის შესანიშნავ გამოსავალს წარმოადგენს. ონლაინ განათლებას არ აქვს საზღვრები, არ იზღუდება

შეზღუდული შესაძლებლობებით, არის ეფექტიანი. დღეს, ონლაინ პლატფორმა არ არის უბრალოდ რესურსების საცავი, ეს არის სივრცე, სადაც სტუდენტები ურთიერთქმედებენ საკუთარ თავთან და მათ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად. მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ დებატებში და სინქრონულ ვებ კონფერენციებში სხვადასხვა პლატფორმის საშუალებით. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტი (AI) გვთავაზობს მძლავრ ინსტრუმენტებს, რომლებიც ზოგჯერ განათლების მიღების პრობლემის გადაჭრის გასაღებია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

სამომავლოდ, ციფრული რესურსების გამოყენების კომპონენტის გაძლიერება ხელს შეუწყობს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ერთობლივი პროექტების განხორციელებას, სასწავლო პროცესში უცხოელი პროფესორების დისტანციურად ჩართვის შესაძლებლობების გაძლიერებას. ვფიქრობთ, მომავალში განსაკუთრებულ დატვირთვას შეიძენს ინდივიდუალური ონლაინ კურსები, შემუშავდება ახალი ონლაინ სასწავლო პლატფორმები და ტრადიციულ სწავლებასთან ერთად ონლაინ განათლება ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს საგანმანათლებლო სივრცეში.

ბიბლიოგრაფია:

ბაქრაძე, ლ. (2020). *ახალი საგანმანათლებლო რეალობა ტერმინები, გამოწვევები, რეკომენდაციები.* Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://bit.ly/3lkUA02

ინაშვილი, თ. (2020 წლის 20 აგვისტო). *დისტანციური თუ ტრადიციული სწავლება – რომელი მოდელი აირჩიეს განვითარებულმა საგანმანათლებლო სისტემებმა და რატომ.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://edu.aris.ge/news/distanciuri-tu-tradiciuli-swavleba-romeli-modeli-airchies-ganvitarebulma-saganmanatleblo-sistemebma-da-ratom.html

იუნისეფი (UNICEF). (2018 წლის 22 ოქტომბერი). *საქართველოში ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის კვლევა: საქართველოში მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მეხუთე ეტაპი 2017 წ.* თბილისი: საქართველო, გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.unicef.org/georgia/media/1261/file/WMS%20-%20GEO%20-%202017.pdf

სარიშვილი, ს. (2016 წლის 22 ნოემბერი). *რა ეტაპზეა ელექტრონული სწავლება საქართველოში.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://edu.aris.ge/news/ra-etapzea-eleqtronuli-swavleba-saqartveloshi.html

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. (2020 წლის 9 სექტემბერი). *საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ.* (№95/ნ). თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/download/4988167/0/ge/pdf

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2020. (#6287-IIს). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4890864?publication=0

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. *ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2019-2022 წლებისათვის.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://mof.ge/5187

ქურციკიძე, მ. (2020 წლის 01 დეკემბერი). *საქართველოში სასკოლო ასაკის ბავშვების 15 პროცენტს არ აქვს სახლში ინტერნეტზე წვდომა, გაეროს ბავშვთა ფონდისა და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) ახალი ანგარიშის მიხედვით.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.unicef.org/georgia/

შვანგირაძე, თ. (2020 წლის 28 ოქტომბერი). *დისტანციური განათლების გამოწვევები და პერსპექტივა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://forbes.ge/blog/642/distanciuri-ganaTlebis-gamowvevebi-daperspeqtiva?fbclid=IwAR3cHsR1pAwKZL9G1lszumamSSLAyKITD05b7b8aphX7VkxL1_BpJolhHQM

Centre for Educational Research and Innovation (CERI). (2005). *E-learning in Tertiary Education: Where Do We Stand?* Organisation for Economic Co-operation and Development (OECD). Retrieved from https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264009219-en.pdf?expires=1638960111&id=id&accname=guest&checksum=C6EC70FDE3BD314CB3B4478958A626AF

United Nations Children's Fund (UNICEF) & International Telecommunication Union (ITU). (2020). *How manychildren and young people have internet access at home? Estimating digital connectivityduring the COVID-19 pandemic.* New York: UNICEF. Retrieved from https://www.unicef.org/georgia/media/5701/file/children%20and%20access%20to%20internet.pdf

Giuli Giguashvili, Tamar Makasarashvili
Gori State University

CHALLENGES OF ONLINE LEARNING IN GEORGIA UNDER COVID-19

RESUME

The main aim of the scientific paper - "Challenges of online learning in Georgia under COVID-19" is to outline the basic theories, terms, various online learning platforms that meet the needs of the digital environment and knowledge-based economy. The paper discusses non-traditional, alternative teaching models: electronic, online, remote (synchronous, asynchronous), hybrid and others. The paper presents the challenges of the online learning process under the COVID-19 pandemic, both at the basic education level and at the higher education level. Opinions are expressed on the full implementation of online learning in Georgia and the possibilities of strengthening the component of using digital resources. The results obtained in the paper may help educational institutions to plan quality teaching online.

Keywords: Online learning, Online learning platforms, Digital resources.

ნინო ლიპარტელიანი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომის კლუბი - მსოფლიო განვითარების განსხვავებული გზა

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა, ადამიანების კეთილდღეობა, ცხოვრების ხარისხი, მკვლევარი, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

შესავალი. რომის კლუბი, როგორც საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ანალიტიკური ცენტრი დაფუძნდა 1968 წლის 6-7 აპრილს იტალიელი მრეწველის, მეცნიერის, მენეჯერის და საზოგადო მოღვაწის აურელიო პეჩჩეის მიერ (იტალ. Aurelio Peccei), იგი ამ კლუბის პირველი პრეზიდენტია და კაცობრიობის განვითარების გლობალური მოდელის მკვლევარი. 1968 წლიდან მოყოლებული რომის კლუბის წევრები იყვნენ სახელმწიფოთა მმართველები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალჩინოსნები, ცნობილი პოლიტიკოსები, დიპლომატები, მკვლევრები, ეკონომისტები და ბიზნესმენები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. რომის კლუბი ორგანიზებას უწევს მსხვილმასშტაბიან კვლევებს, რომელიც მოიცავს საკითხთა ფართო წრეს, განსაკუთრებით კი სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს. რომის კლუბი ავტორიტეტული საერთაშორისო ანალიტიკური ცენტრია, რომელსაც შესწევს უნარი გაუმკლავდეს XXI საუკუნის გამოწვევებს. ბოლო პერიოდში კლუბმა გამოყო კვლევის მნიშვნელოვანი მიმართულებები, ესენია: კლიმატის ცვლილებები, ეკონომიკური პროცესების და ფინანსების განსხვავებულად გააზრება, ახალი ცივილიზაცია და ახალგაზრდა ლიდერები.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

რომის კლუბი, როგორც საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ანალიტიკური ცენტრი დაფუძნდა 1968 წლის 6-7 აპრილს იტალიელი მრეწველის, მეცნიერის, მენეჯერის და საზოგადო მოღვაწის **აურელიო პეჩჩეის** მიერ (იტალ. Aurelio Peccei), იგი ამ კლუბის პირველი პრეზიდენტია და კაცობრიობის განვითარების გლობალური მოდელის მკვლევარი. კლუბი დააფუძნა შოტლანდიელ მეცნიერთან, **ალექსანდრ კინგთან** (ინგლ. Alexander King) ერთად, რომელიც „მდგრადი განვითარების“ მოძრაობის პიონერი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გენერალური დირექტორი გახლდათ მეცნიერების საკითხებში. ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადამიანისა დ ბუნების ურთიერთობის ჰარმონიზაციის იდეის პოპულარიზაციაში.

რეალურად კლუბის ფორმირება მოხდა რომში, ფარნეზინის ვილაში, სადაც შეიკრიბა მეცნიერების, დიპლომატების, მრეწველების და საზოგადო მოღვაწეების მცირე ჯგუფი. აქედან აიღო კლუბმა დასახელებაც. როგორც რომის კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ ბევრი გავლენიანი ორგანიზაციის საქმიანობა მსოფლიოში რამდენიმე თანამოაზრის შეხვედრით დაიწყო. რომის კლუბის ფორმირების ცენტრალურ მომენტად იქცა აურელიო პეჩჩეის მიერ კონცეფციის წამოყენება, რამაც აღაფრთოვანა შოტლანდიელი მეცნიერი ალექსანდრ კინგი. მათი აზრით კაცობრიობის ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების განხილვა, როგორებიცაა გარემო პირობების გაუარესება, სიღარიბე, ენდემური ავადობები, ურბანული პრობლემები, სამართალდარღვევები და ა.შ., განწირულია წარუმატებლობისათვის. მისი აზრით სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია და ამ განზოგადებულ მეგა-პრობლემას ჩვენ მოვიხსენიებთ „ინდივიდუალურად“, რაც დამახასიათებელია ჩვენი სიტუაციისათვის.

საწყის ეტაპზე რომის კლუბის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მსოფლიო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა კლუბის მოხსენებების (ანგარიშების) მიმართ, სადაც საუბარი იყო გლობალურ პრობლემებზე. მოხსენებათა ავტორები, რომლებიც ასევე რომის კლუბის წევრებიც შესაძლოა იყვნენ, სარგებლობენ სრული თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით. მიღებულ მოხსენებას კვლევის შესახებ რომის კლუბი ყოველწლიურ კონფერენციაზე, ხშირად საკმაოდ ფართო აუდიტორიის წინაშე განიხილავს და ამტკიცებს, შემდეგ კი ახდენს კვლევის შედეგების გავრცელებას, აქვეყნებს და აწვდის დიდ აუდიტორიას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

1968 წლიდან მოყოლებული რომის კლუბის წევრები იყვნენ სახელმწიფოთა მმართველები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალჩინოსნები, ცნობილი პოლიტიკოსები, დიპლომატები, მკვლევრები, ეკონომისტები და ბიზნესმენები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

1970 წელს აურელიო პეჩჩეის შეხედულებები თავის მოხსენებაში გაიზიარა წარმოშობით თურქმა, ამერიკაში მოღვაწე მეცნიერმა, კიბერნეტიკოსმა და ფილოსოფოსმა **ჰასან ოზბეკხანმა** (ინგლ. Hasan Özbekhan), რომელიც პენსილვანიის უნივერსიტეტში უორტონის სკოლის მენეჯმენტის პროფესორი გახლდათ, ის ამავე დროს თანამშრომლობდა ავსტრიული წარმომავლობის ამერიკელ ასტროფიზიკოსთან, ინჟინერთან **ერიხ იანჩომთან** (ინგლ. Erich Jantsch) და ბერძნული წარმომავლობის ამერიკელ მკვლევართან სოციოლოგსა და კიბერნეტიკოსთან, **ალექსანდროს ხრისტაკისთან** (ინგლ. Alexander N. «Aleco» Christakis). **ჰასან ოზბეგხანის** მოხსენებამ სათაურით „კაცობრიობის გართულებული მდგომარეობა, სტრუქტურული პასუხების ძიება გლობალურ სირთულეებსა და გაურკვევლობებზე: შეთავაზებები“ (ინგლ. The Predicament of Mankind; Quest for Structured Responses to Growing Worldwide Complexities and Uncertainties: A PROPOSAL), ითამაშა გზამკვლევის როლი **აურელიო პეჩჩეის** პროექტისათვის „ზრდის საზღვრები“ (ინგლ. The Limits to Growth), რომელმაც 1972 წელს საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია.

რომის კლუბი ორგანიზებას უწევს მსხვილმასშტაბიან კვლევებს, რომელიც მოიცავს საკითხთა ფართო წრეს, განსაკუთრებით კი სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს. ესაა სამეცნიერო კვლევების კონკრეტული შედეგების ფართო სპექტრი, რომელიც ხშირად სამეცნიერო კვლევების ისეთი ახალი მიმართულებების აუცილებლობას წარმოშობს, როგორებიცაა გლობალური მოდელირება, გლობალური პრობლემები, საერთო ფილოსოფიური მსჯელობები თანამედროვე სამყაროში ადამიანის ყოფიერების შესახებ, კაცობრიობის განვითარების პერსპექტივები და ცხოვრებისეული ღირებულებები, საქმიანობა გლობალური მოდელირების სფეროში, მსოფლიოს პირველი კომპიუტერული მოდელის შექმნა, დასავლური ცივილიზაციის ნეგატიური ტენდენციების კრიტიკა, ეკონომიკური ზრდის ტექნოკრატიული მითის უარყოფა, ადამიანის და სამყაროს ჰუმანიზაციის გზების ძიება, შეიარაღებისაკენ სწრაფვის კრიტიკა, მსოფლიო საზოგადოებისათვის მოწოდება ძალის გაერთიანებისაკენ, ეთნიკური დაპირისპირებების შეწყვეტა, გარემოს დაცვა, ადამიანების კეთილდღეობის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება - ყველაფერი ეს რომის კლუბის საქმიანობის პოზიტიური მხარეა, რომელიც იზიდავს პროგრესულად მოაზროვნე მკვლევრების, პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების ინტერესებს.

რომის კლუბმა საფუძველი ჩაუყარა „გლობალურ პრობლემატიკასთან“ დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებს. კლუბის მიერ დასმულ შეკითხვებს ცნობილმა მკვლევრებმა მოხსენებების მთელი ციკლი მიუძღვნეს სახელწოდებით „კაცობრიობის სირთულეები“. სოციუმის განვითარების დინამიკის გლობალური მოდელირების სათავეებთან იდგნენ მეცნიერები **ჰასან ოზბეგხანი, ერიხ იანჩომი და ალექსანდროს ხრისტაკისი,** რომლებმაც **აურელიო პეჩჩეის და ალექსანდრ კინგის** დაკვეთით შეიმუშავეს ცივილიზაციის განვითარების მათემატიკური მოდელი.

1970-იანი წლების დასაწყისში რომის კლუბის შეთავაზებით ამერიკელმა ინჟინერმა, სისტემური დინამიკის თეორიის ავტორმა **ჯეი რაიტ ფორესტერმა** (ინგლ. Jay Wright Forrester) თავის მიერ შემუშავებული მოდელირების მეთოდიკა მოარგო მსოფლიო პრობლემატიკის კვლევას. როგორც რომის

კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, მკვლევართა ჯგუფმა ფორესტერის ხელმძღვანელობით მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან შეისწავლა ის ხუთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლებიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ „ზრდის საზღვრებზე“, ესენია: მოსახლეობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, ამოწურვადი რესურსები, სამრეწველო წარმოება და გარემოს დაბინძურება. კვლევის შედეგები წარმოდგენილ იქნა 1971 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „მსოფლიო დინამიკა“. წიგნში საუბარია იმის თაობაზე, რომ კაცობრიობის შემდგომი განვითარება ფიზიკურად საზღვრულ პლანეტაზე, დედამიწაზე 2020 წელს მიგვიყვანს ეკოლოგიურ კატასტროფამდე. **ჯეი რაიტ ფორესტერის** კვლევები დაასრულა სისტემური მართვის პროფესორმა, ნიუ-ჰემპშირის უნივერსიტეტის პოლიტიკური და სოციალური მიმართულებების ყოფილმა დირექტორმა, ინტერაქტიური განათლების ლაბორატორიის პრეზიდენტმა **დენის მედოუზმა** 1972 წელს შექმნილი ნაშრომით „ზრდის საზღვრები“, ეს იყო მისი პირველი მოხსენება რომის კლუბისათვის. მაგრამ მის მიერ შემოთავაზებულმა „სისტემური დინამიკის“ მეთოდმა მკაცრი კრიტიკა გამოიწვია. მიუხედავად ამისა ფორესტერ-მედოუზის შრომა შეფასდა, როგორც რომის კლუბის პირველი მოხსენება. ამ მოხსენებამ რომის კლუბის ანგარიშების დიდ რაოდენობას დაუდო საფუძველი, სადაც განიხილებოდა ეკონომიკურ ზრდასთან, განათლებასთან, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან, გლობალურ აზროვნებასთან დაკავშირებული საკითხები. 1972 წელს გამოქვეყნებული რომის კლუბის პირველმა ანგარიშმა - „ზრდის საზღვრები“ აჩვენა, რომ ეკონომიკური ზრდა არ შეიძლება გაგრძელდეს უსაზღვროდ რესურსების ამოწურვის გამო, ამის მაგალითად დასახელებული იყო 1973 წლის ნავთობკრიზისი. ეს ანგარიში 30 სხვადასხვა ენაზე ითარგმნა და 10 მილიონ ეგზემპლარად გაიყიდა, რამაც ის აქცია გარემოპირობებზე დაწერილ ყველაზე გაყიდვად წიგნად მსოფლიოში. რომის კლუბის ყველა იდეის საფუძველი **ნეომალთუსიანელობაა.**

1974 წელს გამოვიდა რომის კლუბის მეორე მოხსენება სახელწოდებით „კაცობრიობა გზაჯვარედინზე“, რომლის ავტორებიც იყვნენ რომის კლუბის წევრები სერბი მეცნიერი, მათემატიკოსი, სისტემური ინჟინერიის პროფესორი, Case Western Reserve University -ის თანამშრომელი **მიხაილ დ. მესაროვიჩი** და გერმანელი ეკონომისტი, სამრეწველო დიზაინერი, მექანიკის პროფესორი და პოლიტიკოსი **ედუარ კურტ ქრისტიან პესტელი.** ამ ნაშრომაა „ზრდის საზღვრებს“ შესთავაზა ახალი კონცეფცია, რომლის თანახმადაც მსოფლიოს თითოეულმა რეგიონმა უნდა შეასრულოს საკუთარი განსაკუთრებული ფუნქცია, ცოცხალი ორგანიზმის თითოეული უჯრედის მსგავსად. ეს კონცეფცია მიღებულ იქნა რომის კლუბის მიერ და დღემდე რჩება მათ ერთ-ერთ უმთავრეს იდეად. აღსანიშნავია, რომ მეცნიერებს გაცილებით ადრე ჰქონდათ დაწყებული მუშაობა, ვიდრე შრომა - „ზრდის საზღვრები“ გამოქვეყნდებოდა **მიხაილ დ. მესაროვიჩმა** და **ედუარ კურტ ქრისტიან პესტელმა** Case Western Reserve University-დან დაიწყეს მუშაობა გაცილებით რთულ მოდელზე (მასში ჩართული იყო მსოფლიოს ათი რეგიონი და მოიცავდა 200 000 განტოლებას). კვლევამ რომის კლუბის სრული მხარდაჭერა მოიპოვა და საბოლოოდ ნაშრომი სახელწოდებით „კაცობრიობა გზაჯვარედინზე“ აღიარებულ იქნა 1974 წელს რომის კლუბის ოფიციალურ „მეორე ანგარიშად“. რეგიონების მიხედვით მეტი კონკრეტიკისათვის **მიხაილ დ. მესაროვიჩმა** და **ედუარ კურტ ქრისტიან პესტელმა** შეძლეს სოციალური და ტექნიკური მონაცემების გაერთიანება. მეორე ანგარიშში გადამუშავებულ იქნა ზრდის საზღვრების პირველი სცენარი და მოცემულ იქნა ბევრად ოპტიმისტური სამომავლო პროგნოზი, რაც გულისხმობდა იმას, რომ გარემოში ბევრ ფაქტორს მართავს ადამიანი და შესაბამისად ეკოლოგიური და ეკონომიკური კატასტროფები შეგვიძლია შევაჩეროთ ან ავიცილოთ.

მედოუზ-ფორესტერის და მესაროვიჩ-პესტელის მოდელებმა საფუძველი ჩაუყარეს რესურსების მოხმარების შეზღუდვის იდეას ე.წ. ინდუსტრიულად დაბალგანვითარებული ქვეყნების ხარჯზე. მეცნიერების მიერ შემოთავაზებული მეთოდიკა მოთხოვნილ იქნა აშშ-ს მთავრობის მიერ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების პროგნოზირებისათვის.

რომის კლუბის შემდეგი ნაშრომი 1976 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „მსოფლიო წესრიგის გადახედვა“, რომლის ავტორიც გახლავთ ჰოლანდიელი ეკონომისტი **იან ტინბერგენი** (ინგლ. Jan Tinbergen). ნაშრომი ძირეულად განსხვავდება წინა კვლევებისაგან, ავტორმა წარმოადგინა მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის გარდაქმნის პროექტი, წამოაყენა კონკრეტული რეკომენდაციები ქცევისა და საქმიანობის პრინციპების, პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, ახალი ინსტიტუტების შექმნის ან ძველის რეორგანიზაციის შესახებ, რათა უზრუნველვყოთ მსოფლიო სისტემის მყარი განვითარება.

რომის კლუბის მოხსენებებს შორის უმნიშვნელოვანესია კლუბის პრეზიდენტის **აურელიო პეჩჩეის** მიერ 1980 წელს გამოქვეყნებული შრომა „ადამიანური თვისებები“, სადაც იგი გვთავაზობს ექვს „სასტარტო“ მიზანს, რომლებიც კავშირშია პლანეტის „შიდა საზღვრებსა“ და თვით ადამიანის „შიდა საზღვრებთან“, ერების კულტურულ მემკვიდრეობასთან, მსოფლიო საზოგადოების ფორმირებასთან, გარემოს დაცვასთან და სამეწარმეო სისტემის რეორგანიზაციასთან. ადამიანი თავისი საქმიანობის

პროცესში უნდა განისაზღვროს იმ შესაძლებლობებით, რომელსაც გარემოპირობები აძლევს და არ გადავიდეს ზღვარს. ამ მოხსენების ცენტრალური იდეა „შიდა საზღვრებშია“, ანუ ადამიანის სრულყოფილებისკენ სწრაფვაში. ავტორის აზრით უნდა გავაკეთოთ ისე, რომ რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა რეალურად გაიაზროს ეს.

რომის კლუბის მოხსენებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **ედუარ კურტ ქრისტიან პესტელის** 1987 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს „ზრდის საზღვრებს გარეთ“, რომელიც **აურელიო პეჩჩეის** ხსოვნას მიუძღვნა. მოხსენებაში განხილულია „ორგანული ზრდის“ აქტუალური პრობლემები და მათი გადაჭრის პერსპექტივები გლობალურ კონტექსტში, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს, ბიოტექნოლოგიას, ატომურ ენერგეტიკას და საერთაშორისო მდგომარეობას. ავტორის აზრით საჭიროა ამ ფუნდამენტურ საკითხებზე საერთო აზრის ჩამოყალიბება, რაც მდიდარმა და ძლიერმა ქვეყნებმა უნდა ითაონ, შესაძლებელია ორგანულ ზრდაზე გადასვლის სწორი სტრატეგიის პოვნა, რომელიც შემდგომ გადაეცემათ პარტნიორებს ქვესისტემურ დონეზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მსოფლიო სისტემის მართვა საიმედოდ. **ედუარ კურტ ქრისტიან პესტელის** მოხსენება აჯამებს თხუთმეტწლიან დებატებს ზრდის შეზღუდვების შესახებ და აკეთებს დასკვნას, რომ საქმე შეეხება არა ზრდას როგორც ასეთს, არამედ ზრდის ხარისხს.

1991 წელს პირველად გამოჩნდა თვით რომის კლუბის პრეზიდენტის **ალექსანდრ კინგის** და კლუბის გენერალური მდივნის, ფრანგი დიპლომატის **ბერტრან შნაიდერის** (ფრანგ. Bertrand Schneider) მოხსენება სახელწოდებით „პირველი გლობალური რევოლუცია“. ნაშრომში რომის კლუბის საბჭო აჯამებს თავის ოცდახუთწლიან საქმიანობას და ისევ და ისევ ყურადღებას ამახვილებს ბოლო პერიოდში მსოფლიოში მომხდარ ცვლილებებზე, იძლევა გლობალური პრობლემატიკის მიმდინარე მდგომარეობის დახასიათებას საერთაშორისო ურთიერთბებში განვითარებული ახალი სიტუაციების კონტექსტში, რომელიც მოიცავს ახალი პოლიტიკური ბლოკებით შექმნილ ახალ ეკონომიკურ სიტუაციებს, ახალი გეოსტრატეგიული ძალების არსებობას, საერთოგლობალურ პრობლემებში ისეთი ახალი პრიორიტეტების წარმოშობას, როგორიცაა მოსახლეობა, გარემო პირობები, რესურსები, ენერგეტიკა, ტექნოლოგიები, ფინანსები და ა.შ. მოხსენების ავტორებმა ჩაატარეს რომის კლუბის საქმიანობის სისტემური ანალიზი, გააანალიზეს რომის კლუბის წინა ანგარიშების მასალები, ჩაატარეს დიდი მოცულობის კვლევითი სამუშაო და ამის საფუძველზე ჩამოაყალიბეს მსოფლიო პრობლემების გადაჭრის მოქმედებათა სისტემა. შრომაში აღნიშნულია, რომ ისტორიულად სოციალური ან პოლიტიკური ერთიანობა მოტივირებული იყო საერთო მტრით, ანუ მტრების საჭიროება საერთო ისტორიული ფაქტორია. ზოგიერთი სახელმწიფო ცდილობდა შიდა წინააღმდეგობების და წარუმატებლობების გადალახვას ქვეყნის შიგნით მტრების დადანაშაულებით. განტევების ვაცის ძიება კაცობრიობასავით ძველთაძველია. ავტორების გვირჩევენ, როდესაც სახლში მდგომარეობა ძალიან რთულდება ყურადღება გადაიტანეთ უცხოურ თავგადასავლებზე. შეაგროვე დანაწევრებული ერი ერთად, რათა ამ მიზნით რეალურ ან გამოგონილ საგარეო მტერს შეხვდეთ. ტრადიციული მტრის გაუჩინარების შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ რელიგიური ან ეთნიკური უმრავლესობების ცდუნება, განსაკუთრებით მათი, რომლების გამოჩენაც საზოგადოებაში იწვევს შეშფოთებას. უკვე დიდი ხანია, როგორც წესი, თითოეულმა სახელმწიფომ მოახდინა თავისი მეზობლების კლასიფიცირება მეგობრებად და მტრებად, ამიტომ უცებ ტრადიციული მტრების გაუჩინარებამ ამ სახელმწიფოებს შეუქმნა უზარმაზარი სიცარიელე, რომელიც უნდა ამოივსოს. აუცილებელია ახალი მტრების ძიება, მათ წინააღმდეგ ახალი სტრატეგიების და ახალი იარაღის შემუშავება. იმ საერთო მტრის ძიების პროცესში, რომლის წინააღმდეგაც უნდა გავერთიანდეთ, ავტორები მივიდნენ იმ აზრამდე, რომ გარემოს დაბინძურება, გლობალური დათბობის საშიშროება, სასმელი წყლის დეფიციტი, შიმშილი და მსგავსი გლობალური პრობლემები დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას. თავისი ურთიერთქმედებით ეს მოვლენები იმ საერთო საფრთხეს წარმოადგენენ, რომელსაც შეეჯახა ყველა ერთად. მაგრამ ამ საფრთხეების მტრად გამოცხადების შემთხვევაში, ვარდებით ხაფანგში, რადგან ვუშვებთ შეცდომას, როდესაც სიმპტომებს ვარქმევთ მიზეზებს. ყველა ჩამოთვლილ საფრთხეს თვით ადამიანის ჩარევა იწვევს ბუნებრივი რესურსების არაგონიერი გამოყენებით და მხოლოდ გარესამყაროსთან დამოკიდებულების შეცვლით იქნება შესაძლებელი ამ პრობლემების დაძლევა. აქედან გამომდინარე ნამდვილი მტერი თავად კაცობრიობაა.

1997 წელს გამოვიდა რომის კლუბის შემდგომი მოხსენება სახელწოდებით „ოთხი ფაქტორი. ხარჯი-ნახევარი, უკუგება-ორმაგი“, რომელიც მოამზადა გერმანელმა მეცნიერმა ფიზიკოსმა და პოლიტიკოსმა **ერნს ულრიხ ვაიცზეკერმა** (გერმ. Ernst Ulrich von Weizsäcker), ამერიკელმა მეცნიერმა, ფიზიკოსმა, გამომგონებელმა, ეკოლოგიის მკვლევარმა, გარემოს დაცვის ერთ-ერთმა იდეოლოგმა **ემორი ბლოხ ლოვინსმა** (ინგლ. Amory Bloch Lovins) და 40 წლის განმავლობაში მდგრადი განვითარების პრომოუტერმა, Natural Capitalism Solutions-ის პრეზიდენტმა, პროექტ Madrone-ს სულის ჩამდგმელმა **ლ. ჰანტერ ლოვინსმა** (ინგლ. L. Hunter Lovins). წარმოდგენილი ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა იმ

კითხვებზე პასუხის გაცემა, რომელიც დასმული იყო რომის კლუბის წინა პერიოდის მოხსენებებში, კერძოდ „ზრდის საზღვრებში“. აღნიშნულმა მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მსოფლიო მასშტაბით. იდეის არსი იმაშია, რომ თანამედროვე ცივილიზაციამ მიაღწია განვითარების იმ დონეს, როდესაც პროგრესირებადი ეკონომიკის პირობებში, წარმოების ზრდა ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სექტორში შეძლებს განხორციელდეს დამატებითი რესურსებისა და ენერგიების მოზიდვის გარეშე. ავტორების აზრით კაცობრიობას შეუძლია იცხოვროს ორჯერ უფრო კარგად, დახარჯული რესურსების განახევრებით.

2001 წელს რომის კლუბის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა ანალიტიკური ცენტრი სახელწოდებით tt 30, რომელიც დაკომპლექტდა 30-მდე ახალგაზრდა თანამშრომლით. ცენტრის შექმნის მიზანს წარმოადგენდა მსოფლიო პრობლემების გადაჭრის გზების ძიება ახალგაზრობის თვალით.

2008 წელს ავსტრალიაში **გრემ ტერნერის** (ინგლ. Graham Turner) მიერ ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც წარმოადგენდა ავსტრალიის დამოუკიდებელ ფედრალურ სამთავრობო სააგენტოს „თანამეგობრობის სამეცნიერო და სამრეწველო კვლევების ორგანიზაცია“ (ინგლ. The Commonwealth Scientific and Industrial Research Organisation, CSIRO) გვიჩვენა, რომ 30 წლიანი ისტორიული კვლევები ძირეულად განსხვავდებიან ტიპიური სცენარის, სახელწოდებით „სტანდარტული გაშვება“, არსებითი თავისებურებებისაგან, ეს კი XXI საუკუნის შუა წლებში მიგვიყვანს გლობალური სისტემის დაშლამდე.

2008 წლის 1 ივლისიდან რომის კლუბის საერთაშორისო სამდივნო ჰამბურგიდან ვინტერტურში (ციურიხში, შვეიცარიის კონფედერაცია) გადავიდა. რომის კლუბის წევრობა განსაზღვრულია 100 ადამიანით. როგორც წესი, სახელმწიფოების მოქმედი ხელმძღვანელები რომის კლუბის წევრები ვერ ხდებიან. რომის კლუბის არცერთი მონაწილე არ წარმოადგენს რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაციას ან არ გამოხატავს რომელიმე კონკრეტულ იდეოლოგიას, პოლიტიკურ ან ნაციონალურ შეხედულებებს.

რომის კლუბი აგრძელებს მსოფლიოს თანამედროვე მდგომარეობის კვლევას, რომელშიც ფუნდამენტური ცვლილებები მოხდა, განსაკუთრებით გეოპოლიტიკაში. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ეკოლოგიური მდგომარეობა დედამიწაზე აგრძელებს გაუარესებას. რომის კლუბი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან. 2008 წელს შემუშავებულ იქნა ახალი სამწლიანი პროგრამა სახელწოდებით „მსოფლიო განვითარების ახალი გზა“ (ინგლ. A New Path for World Development), რომელშიც აღნიშნული იყო კლუბის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 2012 წლამდე.

1989 წელს ყოფილ სსრკ-ში შეიქმნა რომის კლუბის მხარდაჭერის ასოციაცია. 1991 წლის შემდეგ მოხდა მისი რეფორმირება რომის კლუბის მხარდაჭერის რუსეთის ასოციაციად და დღესაც ფუნქციონირებს მართვის პრობლემების საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეგიდით. 2003 წლამდე მისი პრეზიდენტი გახლდათ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი და სოციოლოგი, აკადემიკოსი **ჯერმენ მიხეილის ძე გვიშიანი.** სხვადასხვა დროს რომის კლუბის წევრები იყვნენ აკადემიკოსი დ. მ. გვიშიანი, მწერალი ჩ. აიტმატოვი, საპატიო წევრის სტატუსი ჰქონდა მ. გორბაჩოვს.

2000 წლის 29-30 მაისს რუსეთში პირველად ჩატარდა რომის კლუბის კონფერენცია თემაზე „რუსეთის მყარი მომავალი“, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ რომის კლუბის მხარდაჭერის ევროპული ცენტრი, რომელიც ვენაში, ავსტრიაში მდებარეობს, კლაუს შტაილმანის ინსტიტუტი, რომელიც გერმანიაში მდებარეობს და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შედეგები: რომის კლუბი ავტორიტეტული საერთაშორისო ანალიტიკური ცენტრია, რომელსაც შესწევს უნარი გაუმკლავდეს XXI საუკუნის გამოწვევებს. ბოლო პერიოდში კლუბმა გამოყო კვლევის მნიშვნელოვანი მიმართულებები, ესენია: კლიმატის ცვლილებები, ეკონომიკური პროცესების და ფინანსების განსხვავებულად გააზრება, ახალი ცივილიზაცია და ახალგაზრდა ლიდერები.

ბიბლიოგრაფია:

Club of Rome Reports and Bifurcations a 50-year overview. (2018, April 18). Retrieved from https://laetusinpraesens.org/links/clubrome.php

Declaration of The Club of Rome. (1996, April 25). Brussels. Retrieved from https://www.mega.nu/ampp/cor.html

King, A. (2013, July 18). *The Club of Rome – Reaffirmation of a Mission*. Retrieved from https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1179/isr.1986.11.1.13

Meadows, D. H., Meadows, D. L., Randers, J., & Behrens III, W. W. (1972). *The Limits to Growth: a report for the Club of Rome's project on the predicament of mankind.* New York: Universe Books. Retrieved from http://www.donellameadows.org/wp-content/userfiles/Limits-to-Growth-digital-scan-version.pdf

Mihailov, N., & Sakelarieva, L. (2016). Environmental Alarmism: the Club of Rome and Its Critics. *Studia Ecologiae et Bioethicae, 14*(4), 129-145. Retrieved from

https://www.researchgate.net/publication/317045766_Environmental_Alarmism_the_Club_of_Rome_and_Its_Critics
The Club of Rome. (1970). *The Predicament of Mankind. Quest for Structured Responses to Growing World-wide Complexities and Uncertainties. A Proposal.* Retrieved from https://demosophia.com/wp-content/uploads/Predicament-Club-of-Rome-1970-1.pdf
The Club of Rome. (n.d.). *About us*. Retrieved from https://www.clubofrome.org/about-us/

Nino Liparteliani
Gori State University

ROME CLUB - A DIFFERENT WAY OF WORLD DEVELOPMENT
RESUME

The Club of Rome, an international community organization and analytics center, was founded on April 6-7, 1968 by the Italian industrialist, scientist, manager and public figure Aurelio Peccei (Italian: Aurelio Peccei), he is the first president of this club and a researcher on the global model of human development. The Club of Rome is organizing large-scale research covering a wide range of issues, especially in the socio-economic field. The Club of Rome is an authoritative international analytics center capable of tackling the challenges of the 21st century. Recently, the club has highlighted important areas of research, including: climate change, different understandings of economic processes and finances, new civilizations and young leaders. We must also remember that the ecological condition of the earth is deteriorating. The Club of Rome works closely with a variety of scientific and educational organizations.

Keywords: Economic growth, Human well-being, Quality of life, Researcher, Politician, Public figure.

ნანა ნადირაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი ტენდენციები

საკვანძო სიტყვები: სტრატეგია, პრიორიტეტები, საქონელბრუნვა, კონკურენტული გარემო, საფინანსო ინსტიტუტები, გლობალიზაცია.

შესავალი. საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსი. ამ თვალსაზრისით საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ექსპორტის ისეთი ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს მის მიახლოებას მაინც იმპორტთან. საექსპორტო პოტენციალის ეფექტური გამოყენების სტიმულირების აუცილებელი პირობაა, არსებული ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური და გეგმაზომიერი გამოყენება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი სავაჭრო კავშირების დამყარება, ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა. საიმპორტო საქმიანობაში უნდა გამოიკვეთოს პრიორიტეტული მიმართულებები და მათთვის შეიქმნას ხელშემწყობი პირობები. საგარეო ვაჭრობის განვითარება და საქონელბრუნვის ზრდა, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სავალუტო შემოსავლების შევსება, ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების გაფართოებას და შესაბამისად მოსახლეობის დასაქმების ზრდას. მოახდინოს აუცილებელ იმპორტზე შიდა ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირება და ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, დააჩქაროს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრირების პროცესი.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

ნებისმიერი ქვეყნის მონაწილეობა გლობალიზაციაში მთელ რიგ აქტუალურ და სადისკუსიო საკითხების გარკვევასაც მოითხოვს. კერძოდ, არის თუ არა ქვეყანა მზად გლობალიზაციაში მონაწილეობის სანაცვლოდ ეროვნული სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის დასათმობად? როგორია თანაფარდობა სუვერენიტეტის ამ დათმობილ ნაწილსა და გლობალიზაციიდან მიღებულ სარგებელს შორის? რა გზებით შეიძლება უფრო ეფექტიანად ჩაერთოს ქვეყანა გლობალიზაციაში - დამოუკიდებლად თუ რომელიმე რეგიონალურ გაერთიანებაში მონაწილეობის გზით? „წლების მანძილზე საქართველო იყო ისეთი რეგიონული გაერთიანებების წევრი, როგორიცაა: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ე.წ. „BSEC“) და „სუამი“. ცნობილი მიზეზების გამო საქართველომ გამოაცხადა დსთ-დან გამოსვლის შესახებ, დანარჩენი ორი ორგანიზაციის საქმიანობა კი, არ არის ეფექტიანი და არ იძლევა გლობალიზაციაში ჩვენი ქვეყნის აქტიური ჩართვის შესაძლებლობას. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნება არცთუ ისე დიდია, თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე საკმაოდ დაბალია, ნათელი ხდება, რომ ისედაც შეზღუდული ტევადობის ბაზარი კიდევ უფრო მცირდება, ვიწროვდება.“ (გელაშვილი, 2017) ბაზარი შეიძლება გავაფართოვოთ მრავალი საშუალებით, მაგრამ თუ მას გავაფართოვებთ მხოლოდ შიდა ბაზრის დახმარებით, შედეგები საკმაოდ არასახარბიელო იქნება. გლობალიზაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოოს შიდა და გარე ბაზარი მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებით.

„დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ თავისი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს საკუთარი წარმოება და მოსახლეობა. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება რესურსების, სამომხმარებლო პროდუქციისა და მომსახურების იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი. საქართველო აგრარული ქვეყანაა. აქედან გამომდინარე ნებისმიერი სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხის განხილვის დროს აუცილებლად უნდა მოხდეს აგრარული ქვეყნისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინება. სწორედ საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში და განსაკუთრებით ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის რაციონალიზაციის საქმეში, მთავარი როლი თანამედროვე აგრარულმა ურთიერთობებმა უნდა ითამაშოს.“ (ბანკები და ფინანსები, 2017, გვ. 2)

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განხორციელებულმა ღონისძიებებმა გამოიწვია მოკრძალებული და მაინც დადებითი ტენდენციები: საქონელბრუნვის ზრდა, საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიის გაფართოება, იმპორტის სტრუქტურაში მანქანა-მოწყობილობების და ტექნოლოგიების წილის ზრდა, იმპორტის შემცირება იმ სასაქონლო პოზიციებში, რომელთა ადგილობრივი წარმოება ზრდის ტენდენციით და კონკურენტუნარიანი საქონლის გამოშვებით ხასიათდება, დსთ ბაზრის პარალელურად სხვა ქვეყნების ბაზრებზე ქართული პროდუქციის ექსპორტის მატება. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს.

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მოწინავე პოზიციები ბოლო პერიოდში სტაბილურად სამ ქვეყანას, თურქეთს, უკრაინასა და აზერბაიჯანს უკავია. სავაჭრო ურთიერთობები თურქეთთან საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, გასული საუკუნის 90-იან წლებში დაამყარა საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. შემდგომ პერიოდში ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა 120-ზე მეტ ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, რომელთაც ხელი შეუწყეს მეზობელ სახელმწიფოებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას. დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოს სავაჭრო და ეკონომიკურ თანამშრომლობას უკრაინასა და აზერბაიჯანთან. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღნიშნულ ქვეყნებთან ურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკების რანგში ხორციელდებოდა, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოების რანგში დამყარდა. ბოლო წლების განმავლობაში თურქეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი ათ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში პირველ-სამ ადგილს ინაწილებდა, გამონაკლისი იყო 2015 წელი, როდესაც უკრაინაში არსებული საომარი მდგომარეობის გამო მკვეთრად

შეირყა ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მდგომარეობა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია თურქეთი (1517 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (789 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (783 მლნ. აშშ დოლარი).

საგარეო სავაჭრო ურთიერთობების ტენდენციების უკეთ შეფასებისათვის უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტ-იმპორტი, უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები, უმსხვილესი საიმპორტო და საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები და სხვა მაჩვენებლები. 2000 წელს ქვეყანა მიიღეს მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში (მვო), რის შედეგადაც ქვეყანაში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სავაჭრო პოლიტიკის განვითარების თვალსაზრისით, რაც შემდეგში გამოიხატა: დაწესდა დაბალი საიმპორტო ტარიფები, ხშირ შემთხვევაში კი მთლიანად გაუქმდა იგი; 16 ტარიფიდან დარჩა მხოლოდ სამი (0%, 5%, 12%); გაუქმდა იმპორტისა და ექსპორტის კვოტები; დღგ და აქციზი ადგილობრივ და იმპორტირებულ საქონელზე გათანაბრებულია; შეიზღუდა საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიების რაოდენობა. ქვეყანაში მიღწეულ იქნა ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმები, რაც მას მსოფლიოს ბაზრებზე მიმზიდველს ხდის. ეს აისახა იმაში, რომ, ჯერ ერთი, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებთან ერთად შემუშავდა ტარიფების ერთიანი სისტემა, რომელიც დაბალია მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით; და მეორე, უპირატესი ვაჭრობის რეჟიმი დაწესდა აშშ-თან, კანადასთან, შვეიცარიასა და იაპონიასთან.

„საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გაზრდას ევროკავშირთან. ეს ბაზარი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში, მასზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 20%. საქართველოს ექსპორტს ევროკავშირში მზარდი ტენდენცია ახასიათებს, მაგრამ იმპორტის მოცულობასთან შედარებით უმნიშვნელოა, რაც მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ბალანსით ხასიათდება. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბების გაზრდას.“ (მიქელაძე, 2017, გვ. 8)

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

„სატარიფო პოლიტიკა იმპორტზე. საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0, 5 და 12%). საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე. აღარ არსებობს სეზონური ტარიფები. იმპორტირებულ საქონელზე ტარიფი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXVIII-ე თავის შესაბამისად.“ (სესიტაშვილი, 2016, გვ. 91-93)

სატარიფო პოლიტიკა ექსპორტზე. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გამომდინარე იქიდან, რომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან დღგ-თი არ იბეგრება.

ირიბი გადასახადები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია.

ლიცენზიები და ნებართვები. ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად კანონმდებლობით საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვები (ლიცენზირება, კვოტირება, აკრძალვები და სხვა) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის.

წარმოშობის სერტიფიკატები. საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს წარმოშობის სერტიფიკატები გაიცემა 2010 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №420 დადგენილებით, დამტკიცებული წესის შესაბამისად.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1, ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტებზე და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებულ საქონელზე საქართველოში წარმოშობის დამადასტურებელი შესაბამისი ფორმის სერტიფიკატი გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ.

სხვა დანარჩენ შემთხვევაში საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს წარმოშობის სერტიფიკატები გაიცემა როგორც შემოსავლების სამსახურის მიერ, ასევე საქართველოს

სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ თუ წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ, სერტიფიკატის გაცემისათვის განაცხადი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით.

„2017 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.7% შეადგინა. პირველ ადგილზეა თურქეთი (1 589 მლნ. აშშ დოლარი, წილი 14.8%), მეორე ადგილზეა რუსეთი (1 184 მლნ. აშშ დოლარი, წილი 11%), ხოლო მე-3 ადგილზე ჩინეთი (939.5 მლნ. აშშ დოლარი, წილი 8.8%). 2017 წელს, ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი ათეულის ჯამურმა ექსპორტმა საქართველოს მთლიანი ექსპორტის 68.8% დაიკავა. პირველ ადგილზეა რუსეთი 14.5% წილით, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი 10.0%-იანი წილით, ხოლო მესამე ადგილზეა თურქეთი 7.9%-იანი. 2017 წელს საექსპორტო ათეულში, პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები - 419.8 მლნ. აშშ დოლარით და 15.4%-იანი წილით, მეორე ადგილზე ფეროშენადნობები - 306.9 მლნ. აშშ დოლარი და 11.3%, ხოლო მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილები 234.9 მლნ. აშშ დოლარი და 8.6%." (საქსტატი, 2017)

2018 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.2% შეადგინა. პირველ ადგილზეა თურქეთი (1 702.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 13.6%), მეორე ადგილზეა რუსეთი (1 373 მლნ. აშშ დოლარი, წილი 11. %), ხოლო მე-3 აზერბაიჯანი (1 088.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 8.7%).

თურქეთი. სავაჭრო ბრუნვა თურქეთთან წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 7%-ით და 1 704.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი გაიზარდა 7%-ით და 232.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა; იმპორტი გაიზარდა 7%-ით და 1 472 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებულმა 10 უმსხვილესმა პოზიციამ 175 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და თურქეთში მთლიანი ექსპორტის 75.4% დაიკავა. ეს პოზიციებია: მაისურები, თბილი კვართები - 40.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 17.5%); ფეროშენადნობები - 32.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 14%); ნახშირბადიანი ფოლადის ნახევარფაბრიკატები - 22.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი 9.7%); სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 18.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 8%); ელექტროენერგია -13.8 მლნ. აშშ დოლარი (წილი 6%); მამაკაცის კოსტუმები, კომპლექტები - 11.0 მლნ. აშშ დოლარი (წილი 4.7%); თევზის ფქვილი - 9.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი 4.1%); ციანიდები, ოქსიდციანიდები - 7.8 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.4%); შავი ლითონის ნარჩენები და ჯართი - 7.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.1%); თევზის ცხიმები - 6.9 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.0%); დაუმუშავებელი ტყვია - 4.7 მლნ. აშშ დოლარი (წილი 2%). „თურქეთიდან იმპორტირებულმა 10 უმსხვილესმა პოზიციამ 353.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და თურქეთიდან მთლიანი იმპორტის 24% დაიკავა. ეს პოზიციებია: სამკურნალო საშუალებები - 60.3 მლნ. აშშ დოლარი (წილი 4.1%); მილები, მილაკები სხვა შავი ლითონისაგან - 49.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.3%); მსუბუქი ავტომობილები - 44.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3%); მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან -37 მლნ. აშშ დოლარი (წილი 2.5%); იზოლირებული მავთულები, კაბელები -31.2 მლნ. აშშ დოლარი (წილი 2.1%); ახალი საბურავები - 27.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.8%); სანჰიგიენური ნაწარმი, ბავშვის საფენები - 27.0 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.8%); ტანსაცმლის თარგები - 26.7 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.8%); პლასტმასის მილები, ფიტინგები - 25.4 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.7%); სარეცხი და საწმენდი საშუალებები - 25.2 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1,7%)." (საქსტატი), 2018)

აზერბაიჯანი. სავაჭრო ბრუნვა აზერბაიჯანთან წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 32%-ით და 1 088.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი გაიზარდა 85%-ით და 502,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტი გაიზარდა 6%-ით და 586,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოდან აზერბაიჯანში ექსპორტირებულმა 10 უმსხვილესმა პოზიციამ 383.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და აზერბაიჯანში მთლიანი ექსპორტის 76.5% დაიკავა. ეს პოზიციებია: მსუბუქი ავტომობილები - 190.3 მლნ. აშშ დოლარი (რეექსპორტი) (წილი 37.9%); თამბაქოს მზა ნაწარმი - 98.9 მლნ. აშშ დოლარი (რეექსპორტი) (წილი 19.7%); სამკურნალო საშუალებები - 32.8 მლნ. აშშ დოლარი (რეექსპორტი 88%) (წილი 6.5%); მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 15.2 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.0%); უალკოჰოლო გაზიანი სასმელი - 11.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 2.3%); არმატურა - 10.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 2%); ფეროშენადნობები - 8.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.6%); სატვირთო ავტომობილები - 6.4 (რეექსპორტი) (წილი 1.3%); პლასტმასის ნაწარმი საქონლის შესაფუთი - 5.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.1%); ამწე მანქანების ნაწილები - 5.0 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1%).

2019 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67% შეადგინა. პირველ ადგილზეა თურქეთი (1 293.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 14.1%), მეორე ადგილზეა რუსეთი (1 032.5 მლნ. აშშ დოლარი, წილი 11.2%), ხოლო მე-3 ადგილზე ჩინეთი (772.4 მლნ. აშშ დოლარი, წილი 8.4%). 2019 წლის იანვარ-სექტემბერი ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი ათეულის

ჯამურმა ექსპორტმა საქართველოს მთლიანი ექსპორტის 72.6% დაიკავა. პირველ ადგილზეა რუსეთი 371.1 მლნ. აშშ დოლარით და 13.6%-იანი წილით, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი 355.1 მლნ. აშშ დოლარით და 13.1% წილით, ხოლო მესამე ადგილზეა სომხეთი 261.3 მლნ. აშშ დოლარით და 9.6% წილით. 2019 წლის წლის იანვარ-სექტემბერი, საექსპორტო ათეულში, პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები - 476.4 მლნ. აშშ დოლარით და 17.5%-იანი წილით, მეორე ადგილზე მსუბუქი ავტომობილები - 454.3 მლნ. აშშ დოლარი და 16.7%, ხოლო მესამე ადგილზე ფეროშენადნობები 240.0 მლნ. აშშ დოლარი და 8.8%.

საქართველო-ყაზახეთის ეკონომიკური თანამშრომლობა. „ყაზახეთის და საქართველოს რესპუბლიკებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 23 ივლისს დამყარდა. ორ სახელმწიფოს შორის კავშირს ამყარებს ქვეყნებს შორის არსებული უვიზო რეჟიმი. ზემოთ აღნიშნული შეხვედრების შედეგად საქართველოში მოღვაწეობა დაიწყეს ისეთმა მსხვილმა ყაზახურმა კომპანიებმა, როგორიცაა: „ყაზტრანსგაზი“, „ყაზმუნაიგაზი“, „ყაზტრანსოილი“, „რომპეტროლი“, შვილობილი ბანკი „ხალიკ ბანკი“.“ (საქართველოს რესპუბლიკა, 2019) „2016 წელს ასტანაში შედგა ორმხრივი მთავრობათშორისი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის კომისიის მორიგი სხდომა. მხარეებმა შექმნეს სოლიდური სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა, რომელიც შეადგენს 72 სახელმწიფოთაშორისო, მთავრობათაშორისო და უწყებათაშორისო დოკუმენტს. 2012 წელს საქართველომ და ყაზახეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ტურიზმის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ. საბაჟო სტატისტიკის მონაცემებით, 2016 წლის საქონელბრუნვის მოცულობამ ყაზახეთის და საქართველოს რესპუბლიკებს შორის შეადგინა 62,1 მილიონი აშშ დოლარი. ყაზახეთის რესპუბლიკიდან საქართველოში ექსპორტის ძირითადი წყაროებია ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბრტყელი ნაგლინი, მაკარონის ნაწარმი, და საქართველოდან ყაზახეთის რესპუბლიკაში - თხილი, მინერალური წყალი, ღვინო, შავი ლითონის მილები, მედიკამენტები.

„საქართველოსა და ყაზახეთს შორის სავაჭრო ურთიერთთანამშრომლობა გრძელდება და ღრმავდება. განიხილება თანამშრომლობის მიმართულებები ინვესტიციების, ტრანსპორტის, ლოგისტიკის, მრეწველობის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და კავშირგაბმულობის სფეროებში. ყაზახეთი რეგიონში საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია, ის რეგიონში ერთ-ერთი უმსხვილესი ეკონომიკაა. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ დინამიკა პოზიტიური გვაქვს, ყაზახეთთან ვაჭრობისა და ინვესტიციების ციფრები საკმარისი არ არის. პრობლემას ქმნის ქართული კომპანიებისა და ქართული ექსპორტისთვის ყაზახეთის ტერიტორიაზე დღგ-თი დაბეგვრის საკითხი, რაც აძვირებს ქართულ ექსპორტს. ასევე პრობლემებია საქართველოში ყაზახური ხორბლის იმპორტის საკითხში - იმ შემთხვევაში, თუ ყაზახეთის მთავრობა ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირებას მოახდენს სიტუაცია გამოსწორდება. ასევე განვიხილეთ ტურისტული ტრაფიკების და ყაზახური კომპანიების ინვესტიციების თემა საქართველოში ტრანსპორტისა და ლოგისტიკის მიმართულებით.“ (საქართველოს რესპუბლიკა, 2019)

ყაზახეთისთვის საქართველო რეგიონში ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორია. მას საქართველოს ეკონომიკაში დიდი ინვესტიციები აქვს ჩადებული და მომავალშიც ასევე აპირებს გაგრძელებას. ბოლო წლების განმავლობაში დიდი ზრდაა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კუთხით. საქართველოს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, თითქმის 50%-იანი ზრდაა საქონელბრუნვაში. არსებობს ორმხრივი ინტერესი როგორ სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის მიმართულებით, ასევე ტრანსპორტის სფეროში. მოსალოდნელია ზრდა საქართველოს გავლით ყაზახური ტვირთების ტრანსპორტირების კუთხით. ყაზახეთს თავისი აქტივები აქვს ბათუმის პორტში, ანუ ისინი დაინტერესებული არიან საქართველოს ეკონომიკის წარმატებით განვითარებაში. 2019 წელს ხელი მოეწერა საქართველო-ყაზახეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-10 სხდომის ოქმს. განხილულ იქნა ბევრი სტრატეგიული საკითხი, მათ შორის, სატრანზიტო კორიდორის, ე.წ. „შუა კორიდორის“ კონცეფციის შემდგომი განვითარება, ასევე გამჭოლი ტარიფები, რომლებიც უფრო მარტივს გახდის სატვირთო გადაზიდვებს აღნიშნულ კორიდორში და უფრო მეტად წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნების სატრანზიტო ფუნქციას, ასევე საბორნე მიმოსვლის ინტენსიფიკაცია შავ და კასპიის ზღვებზე, რადგან აღნიშნულიც შუა კორიდორის შემადგენელი ნაწილია.

რუსეთი მსხვილი საექსპორტო ბაზარი. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოსთვის რუსეთი მსხვილი საექსპორტო ბაზარი იყო. ბოლო წლებში კი ექსპორტში პირველი ადგილი კვლავ რუსეთს უკავია. კერძოდ, „2019 წლის იანვარ–მაისის პერიოდში, მთლიანი ექსპორტის 14.9% სწორედ რუსეთზე მოდიოდა. 2005 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში, რუსეთში ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულება მკვეთრად შემცირდა. კერძოდ, 2005 წელს რუსეთში 153 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქცია გავიდა, 2012 წელს კი იგივე მაჩვენებელი 46 მილიონი დოლარი იყო. ამ პერიოდში ჯამური ექსპორტი იზრდებოდა, თუმცა მცირდებოდა მასში რუსეთის წილი. 2009 წელს

დაფიქსირდა ისტორიული მინიმუმიც, მაშინ რუსეთში განხორციელებული ჯამური ექსპორტი 21 მილიონი დოლარი გახდა. ვითარება 2013 წელს მას შემდეგ შეიცვალა, რაც ქართული პროდუქციისთვის რუსეთის ბაზარი კვლავ გაიხსნა. 2018 წელს საქართველომ ევროკავშირში 67%-ით (293 მლნ დოლარით) მეტი საქონლის ექსპორტი განახორციელა, ვიდრე რუსეთში. ევროკავშირში ექსპორტი მნიშვნელოვნად 2014 წლიდან გაიზარდა, რასაც ხელი ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებამ შეუწყო. 2006 წლის ემბარგომდე, ქართული ღვინისთვის მთავარი საექსპორტო ბაზარი მხოლოდ რუსეთი იყო. მიუხედავად, იმისა, რომ საექსპორტო ბაზრების რაოდენობა გაიზარდა და მსოფლიოს 55 ქვეყანას გადასცდა, დღესაც ქართული ღვინის მთავარი შემსყიდველი რუსეთია. რუსეთში დღეს მეტი ქართული ღვინო გადის, ვიდრე ერთად აღებული მთავარი საექსპორტო ქვეყნების ათეულში. ღვინის ექსპორტი 2018 წელს ტოპ 5 ქვეყნის მიხედვით: რუსეთი – 53 682 627 ბოთლი ღვინო, უკრაინა – 10 687 835 ბოთლი, ჩინეთი – 6 951 019 ბოთლი, ყაზახეთი – 3 599 143 ბოთლი, პოლონეთი – ბოთლი 3 508 122.“ (გვიდიანი, 2019, გვ. 7)

ბიბლიოგრაფია:

ბანკები და ფინანსები. (2017 წლის 6 თებერვალი). ქართულ ბრენდზე საექსპორტო ბაზრებზე მოთხოვნა იზრდება. (493), გვ. 2.

გელაშვილი, მ. (2017). გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები. *გლობალიზაცია და ბიზნესი* (3), 63-70. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.eugb.ge/uploads/content/N3/3-10.pdf

გვიდიანი, ა. (2019 წლის 30 ივლისი). ქართულ ეკონომიკაში რუსეთის წილი საგანგაშო არ არის. *ბანკები და ფინანსები* (543), გვ. 7.

მიქელაძე, ჯ. (2017 წლის 19 აპრილი). ექსპორტი იაზრდება, მთავარია ტემპის შენარჩუნება. *ბანკები და ფინანსები* (501), გვ. 8.

საქართველოს რესპუბლიკა. (2019 წლის 16 მაისი). ყაზახეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები ღრმავდება. (96 (8762)), გვ. 2. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/300572/1/Saqartvelos_Respublika_2019_N96.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2017). *საქართველოს საგარეო ვაჭრობა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2017_12_month_final_11.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). (2018). *საქართველოს საგარეო ვაჭრობა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2018_trade_turnover_2018_12.pdf

სესიტაშვილი, დ. (2016). ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდის პერსპექტივა ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის პირობებში. *ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციის მასალები*, (გვ. 91-93).

შემოსავლების სამსახური. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.rs.ge/5037

ჩვენი სოფელი. (2016 წლის ივნისი). (9). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/11

Nana Nadiradze

Gori State University

THE MAIN TRENDS OF GEORGIA'S FOREIGN TRADE

RESUME

The aim of our research is to show that one of the main indicators of the effectiveness of foreign trade is the foreign trade balance of the country. The subject of the research is the positive and negative characteristics of the state foreign trade, and the object of the research is the information, that is posted on the official websites of the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia and the National Statistics Office of Georgia. The main result of our research is that in many sectors, the country has significant production potential, the saturation of the domestic market with local goods and the reduction of imports directly depends on the volume and quality of production of substitute products. The novelty of our research is to show that in order to establish itself in the Western market, the quality, export potential and improvement of competitiveness of Georgian products must be considered as a priority. It is necessary to implement measures aimed at introducing modern technologies and machines in local production.

Keywords: Strategy, Priorities, Turnover, Competitive environment, Financial institutions, Globalization.

ნინო ორჯონიკიძე, მანანა ჯაფიაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინვესტიციები ქართული ზეთისხილის წარმოებაში

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, მონოპოლია, ხარისხი, ბარიერი, მობილურობა, ლიკვიდაცია.

შესავალი:

საქართველოში ზეთისხილის კულტურის წარმოებას კარგი პერსპექტივა აქვს. დიდია დაინტერესება ამ უნიკალური მცენარით, რომელიც კარგ შესაძლებლობას ქმნის ხეხილის ასორტიმენტის გამრავალფეროვნებისა და ქვეყნის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისთვის. დღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ახალი პლანტაციები, უცხოური, ძირითადად, თურქეთიდან შემოტანილი ნერგით არის გაშენებული. სამწუხაროდ, ძველი ჯიშები აღარ არსებობს, ან ცალკეული ხეების სახით არის შემორჩენილი. ამიტომ უპირველესი ამოცანა და საშური საქმეა ზეთისხილის ჯიშების („თბილისური“, „ახაშენი“, „ბუტკო“ და სხვ.), რომლებიც გამოირჩეოდა კარგი ადაპტაციის უნარითა და რეზისტენტობით, აღდგენა. ამისთვის საჭიროა მოძიებულ იქნეს ჯერ კიდევ შემორჩენილი ჯიშები, შეიქმნას სანერგე მეურნეობები, გამრავლდეს ქართული ჯიშები და დაინერგოს წარმოებაში.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

წლების წინ სხვადასხვა ქვეყნებში დიასპორების წარმომადგენლებს, რომლებსაც საქართველოსთან შეხება ჰქონდათ თურქეთიდან, ჰოლანდიიდან, გაუჩნდათ იდეა საქართველოში აეღორძინებინათ ზეთისხილის წარმოება. ამ საქმეს საქართველოს პატრიარქმა კურთხევა მისცა, ის ყოველთვის ამბობდა, რომ საქართველოში აუცილებლად გაიხარებდა ზეთისხილი. ამ ოჯახებმა საქართველოში ათამდე გამოცდილი ექსპერტი ჩამოიყვანა, რომლებმაც დაიწყეს საქართველოში ნიადაგისა და ტემპერატურის გამოკვლევა. შემოტანილ იქნა 250 000 ზეთისხილის ნერგი, ზეთისხილი თითქმის მთელს საქართველოში დაირგო: ბაღდადში, ოზურგეთში, კახეთში და ა.შ. ამ წამოწყებას ხელი შეუწყო ხელსაყრელმა საგადასახადო გარემომ, იგივე ჰოლანდიასა და თურქეთში ეს ფირმები დაახლოებით მოგების 50%-ს უხდიან სახელმწიფოს საგადასახადო სისტემას. საქართველოში კი დღევანდელი სახელმწიფოს ხელშეწყობა გამოიხატება იმაში, რომ თუ შენ მოგებას რეინვესტირებას უკეთებ მოგების გადასახადი თითქმის საერთოდ ნულდება, ეს არის უდიდესი ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. ყველაფერი დაიწყო 10 000 ნერგით, რომელსაც 5-6 წლის განმავლობაში უვლიდნენ, შემდეგ მიიღეს პირველი ქართული ზეთისხილი, ეტაპობრივად ირგვებოდა დამატებითი ნერგებიც, შენდებოდა პლანტაცია და საბოლოოდ, მიიღეს გადაწყვეტილება აეშენათ ზეთისხილის გადამამუშავებელი საწარმო. „საქართველოში ზეთისხილის ნერგები 10-12 სანტიმეტრით უფრო მაღალი იზრდება, ვიდრე თურქეთში. რაც შეეხება ნაყოფს, კანი უფრო თხელია, კურკა კი უფრო პატარა, რაც ზეთისხილის ხარისხზე მეტყველებს. საქართველომ დაანახა მსოფლიოს, რომ მას შეუძლია აწარმოოს უმაღლესი ხარისხის ზეთისხილი და ზეითუნის ზეთი. რაც შეეხება ზეთისხილს, როგორც ნედლეულს, მსოფლიოს მონაცემებით 4-5 კილოდან დაახლოებით 1ლიტრამდე ზეთი გამოდის და საქართველოში მოყვანილი 3 კილო ზეთისხილიდან კი 1ლიტრი. ეს საკმაოდ კარგი და შთამბეჭდავი შედეგია.“ (ჯინჭარაძე, 2018, გვ. 9)

საქართველოში წელიწადში 200 ტონა ზეითუნის ზეთი შემოდის და ეს არის მეორე ან მესამე ხარისხის ზეითუნის ზეთი. ქართული საწარმო აპირებს, რომ საკმაოდ დაბალ ფასად შეიტანოს პროდუქცია ბაზარზე და პროდუქტის ხარისხიც ბევრად მაღალია იმპორტულ პროდუქტთან შედარებით. ასევე მნიშვნელოვანია ბრენდის პოპულარიზაცია. ბაზარზე მოხდება ცოტა რაოდენობით პროდუქციის შეტანა, მაგრამ მაღალი ხარისხის. თურქული კომპანია ერთ ლიტრ ზეთს დაახლოებით 30 დოლარად ყიდის, საქართველოში დამზადებული კი 10 დოლარი ეღირება.

თბილისი (GBC) – საქართველოში ზეთისხილის გადამუშავება დაიწყო. კომპანიამ „ქართული ზეთისხილი“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ზეთისხილის გადამამუშავებელი პირველი საწარმო გახსნა. „ქართული ზეთისხილის კომპანიას“ ზეთისხილის ბაღები დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონებში 300 ჰექტარზე აქვს გაშენებული. საწარმო ჰოლანდიურ–თურქული ინვესტიციით და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან თანამშრომლობით, „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი და

შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების" (345 800 აშშ დოლარი) პროგრამის ფარგლებში აშენდა. პროექტის საერთო საინვესტიციო ღირებულება 5 მილიონ ლარამდეა.

„ზეთისხილის საწარმო ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი, რაც უმაღლესი ხარისხის კონკურენტუნარიანი ქართული პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა. ქარხნის წარმადობა სეზონზე რამდენიმე ასეული ტონა (საათში 10 ტონა) ზეთისხილის მარინადის და ექსტრა ვირჯინის უმაღლესი ხარისხის ზეითუნის ზეთის წარმოების შესაძლებლობას ქმნის. ნედლეულად საქართველოში მოყვანილი ზეთისხილი იქნება გამოყენებული. პროდუქცია განკუთვნილია, როგორც ადგილობრივი ბაზრისთვის, ასევე საექსპორტოდ. სამიზნე ბაზრები ამიერკავკასიის ქვეყნები, ამერიკა, ევროპისა და დსთ–ს სივრცეა. პროექტზე მუშაობა 7 წლის წინ, პატრიარქის და ქართული დიასპორის თანადგომით დაიწყო. პროექტში კომპანიებმა „ქართული ზეთისხილი“ და „ჯეო ოლივი“ რამდენიმე მილიონიანი ინვეტიცია განახორციელეს, შედეგად, 300 ჰექტარზე ზეთისხილის პლანტაცია, 250 ათასი ზეთისხილის ნერგი გაშენდა. ქართული ზეთისხილის პირველ მოსავალს კი კომპანია საკუთარი საწარმოში გადაამუშავებს. ეს არის უნიკალური შემთხვევა ქართული პროდუქტი შევთავაზოთ მომხმარებელს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გავიტანოთ ის ექსპორტზე.“ (გელაშვილი, 2018, გვ. 162)

ეს არის დიასპორული ინვესტიცია, საქართველოდან წასულმა ჩვენმა თანამემამულემ განახორციელა ინვესტიცია და გააშენა ზეთისხილის ბაღები, ჯამში არის 200 ჰექტარზე მეტი. აქ კახეთის რეგიონში გაიხსნა გადამამუშავებელი საწარმო. მან დაასაქმა 100 ადამიანზე მეტი და უშვებს ორგანულ, ბიოლოგიურად სუფთა ზეთისხილის ზეთს და ასევე დაფასოებულ ზეთისხილს. სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამებით, მათ არაერთი საინტერესო პროექტი დააფინანსეს რეგიონში.

საწარმოში ორი სახეობის ზეთისხილის ზეთი (შავი და თეთრი) 250, 500, 750 გრამიან მინის ქილებსა და 5, 10 და 18 ლიტრიან თუნუქის ყუთებში, უმაღლესი სტანდარტებით, ცივი დაწურვის ტექნოლოგიით ისხმება.

კომპანია 2019 წელს 30 ტონა ზეთისხილის ზეთის წარმოებას გეგმავს, რომელსაც პირველ ეტაპზე ადგილობრივ ბაზარზე გაყიდის და სამომავლოდ ექსპორტზე გატანასაც აპირებს.

250 გრამი ზეთისხილის ზეთი 8 ლარი, 500 გრამი 13 ლარი, ხოლო 750 გრამი 16 ლარი ღირს. ქართული ზეთისხილის ზეთს 5 ლიტრიანი თუნუქის ქილებით 95 ლარად, 10 ლიტრიანს 175 ლარად, 18 ლიტრიანს კი 300 ლარად გაყიდიან.

„პროდუქცია 2019 წლის 25 მაისს, პირველად შევიდა „კარფურის“ მაღაზიათა ქსელში, „აგროჰაბში“, „ნიკორაში“ და სხვა მაღაზიებში, სადაც ქართულ ნაწარმს ყიდიან. ზეთისხილის ზეთის გარდა ზეთისხილის მარინადსაც ვაწარმოებთ. ამ დროისთვის ბაზარზე მხოლოდ იმპორტირებული პროდუქცია იყიდება. ფასი იმპორტირებულთან შედარებით დაბალია, ხარისხი კი მაღალი. რაოდენობიდან გამომდინარე ზეთის რეალიზაცია მხოლოდ საქართველოში მოხდება. მომავალი წლის მოსავალს კი ექსპორტზე ამიერკავკასიაშიც გატანასაც გეგმავენ. ამ დროისთვის საწარმოში ზეთისხილის მარინადის დამზადება მიმდინარეობს, რომელიც ბაზარზე სარეალიზაციოდ ერთ თვეში გამოჩნდება.“ (ამერიკული ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში, 2007, გვ. 2)

ექსპორტი არის საწარმოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. მათი მიზანია: ამერიკის, ევროპის, რუსეთის და სხვა ქვეყნების ბაზარზე მოხვედრა. ისინი ასევე მუშაობენ მარკეტინგის და პიარის კუთხითაც და ცდილობენ კარგად შეისწავლონ ქვეყნების ბაზრის, საგადასახადო და სატრანსპორტო სისტემა იმ ქვეყნებში, სადაც აპირებენ პროდუქციის ექსპორტს.

2018 წელს ჩინეთში „საპარტნიორო ფონდის“ საქმიანი ვიზიტის ფარგლებში, ქართული ზეთისხილის ექსპორტთან დაკავშირებით, ოფიციალური შეთანხმება ჩინეთის უმსხვილეს საინვესტიციო კომპანიასთან შედგა. ძიანგსის პროვინციის საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის ფარგლებში გამართულ გამოფენაზე, რომელშიც „საპარტნიორო ფონდის“ მხარდაჭეროთ ქართველი მეწარმეები იღებდნენ მონაწილეობას ქართული ნატურალური პროდუქტების მიმართ ჩინეთის იმპორტიორი კომპანიების მხრიდან დიდი ინტერესი გაჩნდა. მათ შორის ქართულ ზეითუნის ზეთზე. ჩინეთის ბაზარზე გაჩნდა მოთხოვნა ქართული ზეთისხილის მიმართ - ეს ძალიან სასიხარულო მოვლენაა. ჩინელებთან მოლაპარაკებები კარგა ხანია მიმდინარეობს და ალბათ მალე პირველ საექსპორტო პროდუქციასაც გავიტანთ. ეს არის პირველი ქვეყანა, სადაც ქართული ზეთისხილი ექსპორტზე გავა. ამ ქვეყნიდან სერიოზული შეკვეთაა მიღებული და მათთან თანამშრომლობა ამ დარგის განვითარების სერიოზულ პერსპექტივას ქმნის. ქართულ ზეითუნის ზეთზე მოთხოვნა დიდია, საექპორტო პროდუციის რესურსი კი ამ ეტაპზე მცირე. სწორედ ამიტომ, კომპანია დამატებით პლანტაციების გაშენებას და წარმოების გაზრდას გეგმავს.

2019 წელს საქართველო ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი ქვეყანა გახდა. მადრიდში გამართული ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს მე-60 საიუბილეო შეხვედრის ფარგლებში, საქართველო ოფიციალურად დასახელდა ორგანიზაციის პრეზიდენტად. შეხვედრას საქართველოს

დელეგაცია ესწრებოდა, რომლის შემადგენლობაში „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი იყო. საქართველოს გაწევრიანება ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოში და საბჭოს პრეზიდენტ ქვეყნად არჩევა ნიშნავს ქვეყნისთვის ამ დარგის განვითარების ახალ შესაძლებლობებს, როგორც საბჭოს წევრი ქვეყნების მრავალწლიანი გამოცდილების გაზიარების, ასევე საქართველოში ზეთისხილის წარმოების მასშტაბებისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდის, ასევე ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. „საპარტნიორო ფონდი“ ქართული ზეთისხილის წარმოების გაფართოებისა და ექსპორტის ზრდისთვის აქტიურ ხელშეწყობას გეგმავს.“ (ჯინჭარაძე, 2015, გვ. 11)

იმედია ქართულ პროდუქტს სხვა ქვეყნებიც მოიწონებენ, გაიზრდება საქართველოს საექსპორტო პოტენციალი, და რაც ყველაზე მთავარია, საქართველო მსოფლიო რუკაზე ზეთისხილის მწარმოებელ ქვეყნად მოინიშნება. ქართული ზეთისხილი მაღალი ხარისხისა და დაბალი მჟავიანობის გამო, საექსპორტო ბაზრებისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2019 წელს მადრიდში გამართული ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს მე-60 საიუბილეო შეხვედრის ფარგლებში, საქართველო ოფიციალურად დასახელდა ორგანიზაციის პრეზიდენტად. ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს გააჩნია სამართალსუბიექტობა. კერძოდ, მას გააჩნია უფლებაუნარიანობა გააფორმოს ხელშეკრულებები, შეიძინოს და განკარგოს მოძრავი და უძრავი ქონება და შეიტანოს სარჩელი სასამართლოში. ის არ არის უფლებამოსილი ისესხოს ფულადი თანხა. ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს შეუძლია მიიღოს ზომები კონსულტაციების ჩატარებისა და თანამშრომლობის მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მის სპეციალიზებულ სააგენტოებთან, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციასთან, სხვა შესაბამის მთავრობათშორის ორგანიზაციებთან და საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან. ამგვარი ზომები შეიძლება მოიცავდეს ფინანსური ტიპის ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების გაფორმებას. წევრები კისრულობენ ვალდებულებას წარმოადგინონ და ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს გადასცენ ყველა სახის სტატისტიკური ინფორმაცია, მონაცემები და დოკუმენტაცია, რომელიც მას სჭირდება წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული თავისი ფუნქციების შესასრულებლად, და კერძოდ, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ის მოითხოვს ზეთისხილის ზეთების, ზეთისხილის ნაწნეხისგან მიღებული ზეთებისა და სუფრის ზეთისხილისთვის ბალანსის შედგენისა და ზეთისხილის პროდუქტებთან დაკავშირებით წევრების ეროვნული პოლიტიკის შესახებ წარმოდგენის შექმნის მიზნით.

„ხელისუფლების მიერ აგრარული დარგის სტიმულირების, განვითარების და ხელშეწყობისთვის არაერთი პროექტი განხორციელდა, მიმდინარეობს და სამომავლოდაც არის დაგეგმილი. 2013 წლიდან, მთავრობის ძალისხმევით, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და კერძო სექტორის ჩართულობით, აგრარული დარგის განვითარების მიმართულებით ხელშესახები პოზიტიური შედეგები დღეს სახეზეა. 2015 წლის 12 თებერვალს ძალაში შევიდა საქართველოს სამთავრობო ინიციატივა, სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“. პროექტი „დანერგე მომავალი“ ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით. პროექტის განხორციელებისთვის ორი წლის განმავლობაში 15 მილიონი ლარი დაიხარჯა.“ (ჭიპაშვილი, 2014, გვ. 130-138) პროექტის მიზანია სასოფლო სამეურნეო მიწების მიზნობრივი გამოყენების ზრდის მაქსიმალური ხელშეწყობა, მრავალწლოვანი ბაღების გაშენებისა და სანერგე მეურნეობების მოწყობის გზით. ახალი პროექტის განხორციელების შედეგად, მეწარმეები და ფერმერები შეძლებენ აწარმოონ მაღალი ხარისხის პროდუქტი, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებულ პროდუქციას გაუწევს კონკურენციას. ამავე დროს, გაიზრდება ქვეყნის აგრარული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი.

პროგრამის მიზნებს წარმოადგენს:

- საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ადგილობრივი მაღალხარისხიანი ფიტოსანიტარიულად სუფთა სარგავი მასალების (ნერგების) წარმოების მხარდაჭერა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების შეთავაზება. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისებრივ გაუმჯობესებას.

პროგრამის ამოცანებს წარმოადგენს:

- თანამედროვე სტანდარტების მაღალხარისხიანი სანერგე მეურნეობის შექმნა;
- მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღებისა და პლანტაციების გაშენება;
- სანერგე მეურნეობების შექმნის, მრავალწლიანი კულტურების ბაღებისა და პლანტაციების გაშენების სტიმულირება ფინანსური დახმარების საშუალებით;
- მეურნეობებისა და ბაღების შექმნის მსურველთათვის ტექნიკური დახმარების გაწევა.

პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს: ბაღის გაშენების შემთხვევაში - ნერგების ღირებულების 70%-ს და წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ს; სანერგე მეურნეობის შემთხვევაში - მეურნეობის შექმნის ღირებულების 50 %-ს. ბაღის გაშენების ან სანერგე მეურნეობის მოწყობის სრულად დაფინანსების მიზნით, სახელმწიფო თანადაფინანსებასთან ერთად, ბენეფიციარს შეუძლია ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით. გარდა სახელმწიფო თანადაფინანსებისა, პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები მიიღებენ დამატებით სარგებელს: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები საჩუქრად მიიღებენ შესაწამლ აპარატებს; ყველა ბენეფიციარს აუნაზღაურდება ნიადაგის ლაბორატორიული შემოწმების ღირებულება; კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ყველა ბენეფიციარი მიიღებს ტექნიკურ დახმარებას ბაღის სანერგე მეურნეობის მოვლის პრაქტიკული ტრეინინგისა და თეორიული კურსის სახით. პროგრამის წარმატებით განხორციელების შედეგად: 1 000-1 200 ჰა-ზე გაშენდება თანამედროვე ტიპის ბაღი და 30-40 ახალი, თანამედროვე სანერგე მეურნეობა, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ადგილობრივ ბაზარზე იმპორტჩანაცვლების, ხოლო, მეორე მხრივ, საექპორტო პოტენციალის ზრდის პროცესს. 1 ლარი სახელმწიფო გრანტის ინვესტირებით მოზიდულია 0.83 ლარი ინვესტიცია. 2015 წლიდან 2018 წლის 31 აგვისტომდე პერიოდში სულ გაშენებულია ან გაშენების პროცესშია 5,569 ჰა ფართობის 898 ბაღი. ერთი ლარი სახელმწიფო თანადაფინანსება ქმნის (ბაღების სრული მოსავლიანობის დაწყებიდან) ყოველწლიურად 2.05 კგ. აგროპროდუქციას და ფერმერებს უჩენს ყოველწლიურად 3.80 ლარ შემოსავალს.

თანადაფინანსების მოცულობა 1 ჰა-ზე არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს, თანადაფინანსების ზედა ზღვრის გაანგარიშებაში არ მოხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დამატებით გადასაცემი საწამლი აპარატების ღირებულების გათვალისწინება. ერთ ბენეფიციარზე გამოყოფილი თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს, თანადაფინანსების ზედა ზღვრის გაანგარიშებაში არ მოხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის დამატებით გადასაცემი საწამლი აპარატების ღირებულების გათვალისწინება. ბაღების კომპონენტის ფარგლებში, პირველ რიგში დაფინანსდება შესასყიდი ნერგების ღირებულების 70%, ხოლო თანხის დარჩენილი სხვაობიდან - წვეთოვანი სარწყავი სისტემა.

„კლიმატური პირობების თვალსაზრისით, კახეთი გამორჩეული რეგიონია ზეთისხილის წარმოებისთვის. ყოველწლიურად მატულობს ზეთისხილის ბაღების რიცხვი. მხოლოდ სახელმწიფო პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, კახეთის რეგიონში უკვე 350 ჰა-ზე მეტ ფართობზე დაფინანსდა ზეთისხილის ბაღების გაშენება. სიღნაღის რაიონში, ასევე დავაფინანსეთ საწარმოს მშენებლობა, რომელიც წელიწადში 35 ტონა ზეითუნის ზეთს და 30 ტონა ზეითუნის მარინადს აწარმოებს. ქართული ზეთისხილის ზეთი კონკურენტუნარიანია და მისი ნახევარი ლიტრის ფასი 13 ლარიდან 16 ლარამდე მერყეობს.“ (მიქავა, 2014, გვ. 202-206)

პროექტის დაწყებიდან (2015 წლის მარტი) დამტკიცებულია 691 პროექტი (613 ბენეფიციარი) ბაღების კომპონენტში და 2 პროექტი სანერგეების კომპონენტში. სააგენტოს დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 22,337,861 ლარი. ბაღების/სანერგე მეურნეობის უკვე გაშენებული და დაგეგმილი გასაშენებელი ფართობი შეადგენს 4,298 ჰა-ს. 2017 წელს დამტკიცდა 307 პროექტი ბაღების კომპონენტში, პროგრამის მხრიდან დაფინანსება ჯამურად განისაზღვრა 10,148,508 ლარით. ბაღების უკვე გაშენებული და დაგეგმილი გასაშენებელი ფართობი 1,783 ჰა-ს შეადგენს.

სახელმწიფო პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, კახეთის რეგიონში 354 ჰა ფართობზე დაფინანსდა ზეთისხილის ბაღების გაშენება, რადგან:

- კლიმატური პირობების თვალსაზრისით, კახეთი გამორჩეული რეგიონია ზეთისხილის წარმოებისთვის;
- სახელმწიფო პროექტის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, კახეთის რეგიონში 354 ჰა ფართობზე დაფინანსდა ზეთისხილის ბაღების გაშენება.
- სიღნაღის რაიონში, დაფინანსდა საწარმოს მშენებლობა, რომელიც წელიწადში 35 ტონა ზეითუნის ზეთს და 30 ტონა ზეითუნის მარინადს აწარმოებს;
- ქართული ზეთისხილის ზეთი კონკურენტუნარიანია და ერთი ლიტრის ფასი 26-დან 32 ლარამდე მერყეობს.

ბიბლიოგრაფია:

ამერიკული ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში. (2007 წლის 11-17 ივნისი). *კვირის პალიტრა*(24 (641)), გვ. 2.

გელაშვილი, მ. (2018). *ეკონომიკური ზრდა და ინვესტიციები.* თბილისი: უნივერსალი.

იობაშვილი, თ. (2015). 2014 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა. *აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები*(4), 33-37.

კასრაძე, თ. (2014). საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი. *ეკონომისტი*(5), 33-42.

მიქავა, ლ. (2014). მუნიციპალური საინვესტიციო პოლიტიკა. *სოციალური ეკონომიკა*(3), 202-206.

რეგინფო. (2017 წლის 23 მაისი). *სიღნაღში პირველი ქართული ზეთისხილის ზეთის წარმოება დაიწყო.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://reginfo.ge/economic/item/603-signagshi-pirveli-qartuli-zetisxilis-zetis-xarmoeba-daixybo

სოფლის განვითარების სააგენტო. ვებგვერდი: https://rda.gov.ge/main

სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია. ვებგვერდი: http://alsc.ge

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ვებგვერდი: https://srca.gov.ge/

ცერცვაძე, ა. (2015). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ფინანსური კაპიტალის შემოდინების უმნიშვნელოვანესი წყარო საქართველოში. *ახალი ეკონომისტი*, 44-46.

ჭიპაშვილი, მ. (2014). საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის. *სეუ*(1), 130-138.

ჯინჭარაძე, ბ. (2015 წლის 13 ივლისი). უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში. *ბანკები და ფინანსები*(415), გვ. 11.

ჯინჭარაძე, ბ. (2018 წლის 2 აპრილი). რატომ მცირდება სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები? *ბანკები და ფინანსები*(526), გვ. 9.

74 ახალი და 500-ზე მეტი არსებული საწარმოს განვითარება „შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით“. (2014 წლის 14-20 ივლისი). *კვირის პალიტრა*(29), გვ. 14.

Nino Orjonikidze, Manana Japiashvili

Gori State University

INVESTMENTS IN THE PRODUCTION OF GEORGIAN OIL FRUITS

RESUME

Local olive production in Georgia has been on the rise in recent years. The market is 100% saturated with imports. Olive nurseries have been developing in Georgia since 2009. One of the pioneers in this case was the company "Geolaive", which imported oil fruit seedlings to Georgia from Turkey, and the demand for oil fruit seedlings in the local market gradually increased. Small farmers started cultivating olive plantations, mainly in Kakheti. Olive plantations were planted on 10 hectares. Olives and olive oil are imported to the local market from Turkey, Greece, Spain and Armenia. Is implemented. M&S Group imports canned olives and olive oil from Greece to the local market. Demand for this product is growing in the local market, However, the product imported from Greece is of high quality and, consequently, the price is high: Greek olives and olive oil are targeted at the expensive segment and are mainly presented in online supermarkets.

Keywords: Competition, Monopoly, Quality, Threshold, Mobility, Liquidation.

ლალი ოსაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოფიო ცეცხლაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ტურიზმის მარკეტინგის როლი პანდემიის პირობებში

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის ინდუსტრია, ტურიზმის მარკეტინგი, ტურიზმის სტრატეგია, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა.

ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთი სწრაფად მზარდი და მნიშვნელოვანი ინდუსტრიაა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ტურისტული ბიზნესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის. როგორც ცნობილია, საქართველო გამოირჩევა თავისი უნიკალური ტურისტული პოტენციალითა და მრავალფეროვნებით. აქედან გამომდინარე, სწორად წარმოებულ ტურისტულ პოლიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარების და შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებისათვის. ტურიზმის პოლიტიკაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურიზმის მარკეტინგი.

ტურიზმი ადამიანთა თავისუფალი და ნებაყოფლობითი დროებითი გადაადგილებაა დასვენების, გართობის, ან სხვა მიზნით, რომელსაც თან ახლავს მრავალი სახის აუცილებელი მომსახურება. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმარტებით, „ტურიზმი არის ღონისძიებების, სერვისების, დარგების ნაკრები, რასაც თან ახლავს მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებები: ტრანსპორტირება, სასტუმროში განთავსება, საკვებისა და სასმელის დაგემოვნების კერები, მაღაზიები, გართობები... ეს ინდუსტრია მოიცავს ყველა იმ სერვისს, რაც სტუმრებს - ტურისტებს უკავშირდება... მათ შორის რეკლამის მსოფლიო ინდუსტრია, იგი ემსახურება მოგზაურების მოთხოვნილებებს...“ (გელდნერი & ბრენტ რითჩი, 2013). ტურიზმის სტრატეგიის განსაზღვრაში, მნიშვნელოვანია სწორი ტურისტული პოლიტიკა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ტურიზმის მარკეტინგის ამოცანაა, სწორად განსაზღვროს და შეისწავლოს ტურისტული პროდუქტის შემადგენლობა, საბაზრო სიტუაციის და მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად. ტურისტული მომსახურება ხორციელდება ტურიზმის ინდუსტრიის და სხვა მონათესავე დარგების საშუალებით, ამიტომ, ტურიზმის განვითარება თავისთავად დაკავშირებულია ეკონომიკის ამა თუ იმ დარგთან და ინფრასტრუქტურის მდგომარეობასთან. ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია, რომ ქვეყანაში იყოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა.

საქართველოს ტურიზმის განვითარებისა და მარკეტინგის სტრატეგია უნდა იყოს ორიენტირებული ისეთი მიზნობრივი ბაზრების დაინტერესებასა და მომსახურებაზე, რომლებიც ჩადებული ინვესტიციებიდან ყველაზე მეტ ამონაგებს მოიტანენ.

ტურიზმი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის საკმაოდ რენტაბელური დარგი, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის წარმატებული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. მისი როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე საზოგადოებაში მთლიანად. იგი საერთაშორისო ასპარეზზე მძაფრ კონკურენციას უწევს ნავთობმომპოვებელ და საავტომობილო დარგებს და სამომავლოდ უფრო რენტაბელურ დარგადაც მიიჩნევა. უცხოელი ექსპერტების აზრით, ტურისტული ინდუსტრია წარმოადგენს მსოფლიოს მრავალი, განსაკუთრებით მთიანი ქვეყნების, მათი ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს.

ტურიზმი შესაძლებლობას იძლევა მოახდინოს მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდა, ამასთანავე იქმნება სამუშაო ადგილები და უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას განსაკუთრებით ისეთი პროფესიის ადამიანებისათვის, როგორებიც არიან გიდები, თარჯიმნები, მზარეულები, მძღოლები, სასტუმროს მენეჯერები და მომსახურე პერსონალი და მომსახურების სფეროს სხვა წარმომადგენლები. ტურიზმი უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკის ისეთ მნიშვნელოვან დარგებზე, როგორიცაა ტრანსპორტი, ჯანდაცვა, მშენებლობა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები, სასურსათო საქონელის მწარმოებელი ფირმები, სასტუმროს და სარესტორნო ბიზნესი, კვების მრეწველობა, ვაჭრობა და სხვ.

უკანასკნელ პერიოდში ტურიზმის ინდუსტრია გამოდის, როგორც მარკეტინგის საგანი და საშუალება. სულ უფრო ახალი სტრატეგიები ინერგება ტურიზმის სფეროს მარკეტინგის პრობლემების მოგვარებისთვის და მათი განვითარებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტურიზმის განვითარების ზრდის ტემპები უკვე შეიმჩნევა, არსებობს რიგი საკითხები, რომლის გადაჭრაც ხელს შეუწყობს დარგის შემდგომ განვითარებას. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ტურიზმის დარგში არსებული ზოგადი და მარკეტინგული ხასიათის პრობლემების წარმოჩენა და ამ კუთხით მარკეტინგული შესაძლებლობებისა და საშუალებების გამოყენებისათვის შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა. (მამულაძე, 2018)

დღეს მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაშე დგას, პანდემიის გამო. განსაკუთრებით გაიზარდა მარკეტინგის როლი, გლობალური პანდემიის პირობებში. როგორც ვიცით, საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ში აღნიშნულია: „2025 წლისთვის საქართველო ცნობილი იქნება, როგორც მოწინავე, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული ქვეყანა, გამორჩეული თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო დონის მომსახურებითა და სტუმარმასპინძლობის უძველესი ტრადიციით. ინფრასტრუქტურაში განხორციელებული სტრატეგიული ინვესტიციების, განათლების უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და მსოფლიოს მასშტაბით მაღალგადახდისუნარიანი ტურისტებისათვის უნიკალური ქართული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით, საქართველო ტურიზმის დარგში არსებული კონკურენციის მოწინავე რიგებში წარმოჩინდება“. (საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025)

ტურიზმის სტრატეგიის მიზნების შესრულება სწორი მარკეტინგული სტრატეგიის გარეშე, შეუძლებელია. განვიხილოთ 2019 და 2020 წლების ერთი და იგივე პერიოდის მონაცემები საერთაშორისო ტურისტების ვიზიტების მიხედვით.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2019 წელს საქართველოში 9 მილიონი საერთაშორისო ვიზიტი განხორციელდა. ყველაზე მეტი სტუმარი ქვეყანას აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან და თურქეთიდან ეწვია. ასევე, მაღალია ვიზიტების რაოდენობა ისრაელიდან, უკრაინიდან, ირანიდან, ყაზახეთიდან. 2019 წლის მონაცემებით, ტურიზმის სექტორიდან შემოსავალმა 3 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ეს კი, მთლიანი შიდა პროდუქტის 11.5 პროცენტია. 2020 წლის ოთხი თვის მონაცემებს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ მნიშვნელოვნად არის შემცირებული ტურისტების რაოდენობა. დიაგრამაზე წარმოდგენილია, საქართველოში უცხოელი ტურისტების შემოსვლის დინამიკა:



დიაგრამა 1: *უცხოელ ტურისტთა შემოსვლის დინამიკა*
(ტურიზმი კორონავირუსის დროს, 2020)

მართალია, ასეთი დრამატული ცვლილება პანდემიით არის გამოწვეული, რაც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ გლობალურად აისახა ტურიზმის სექტორზე. თუმცა, ეს მონაცემები იმის საილუსტრაციოდაც გამოდგება, რამდენად დიდია ტურიზმის წილი საქართველოს ეკონომიკაზე, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის სფეროს ამოქმედებას და რამხელა გამოწვევების წინაშეა ტურიზმის სექტორი. თუმცა, ტურიზმის ამოქმედებისას გასათვალისწინებელია როგორც საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია, ასევე სხვა სახელმწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც. ამ ამოცანის შესრულება განსაკუთრებით რთულდება იმ ქვეყნების კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, საიდანაც ტურისტების ყველაზე დიდი ნაკადი შემოდიოდა გასულ წლებში.

სახელმწიფომ შეიმუშავა ანტიკრიზისული გეგმა, რომლის მიხედვითაც, გათვალისწინებულია სახელმწიფო სუბსიდიები ტურიზმის სფეროში დასაქმებულებისთვის, სესხების გადავადება, ქონების

გადასახადისგან გათავისუფლება, სასტუმროების, ტურისტულ კომპანიებისა და გიდების მხარდაჭერა, ამ ყველაფრისთვის სახელმწიფომ 200 მილიონი ლარი გამოყო. (ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა, 2020)

არ შეიძლება დადებითად არ შეფასდეს, სახელმწიფოს და ადგილობრივი ტურისტული ბიზნესით დაკავებული საწარმოების მიერ მიმართული სტრატეგია შიდა ტურიზმის გაძლიერებისაკენ. პანდემიის პერიოდში დიდი სასტუმროები გადაკეთდა საკარანტინე ზონებად, რამაც ხელი შეუწყო მათი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას. სპეციალურად გადამზადდა და გადანაწილდა მომსახურე პერსონალი. სასტუმრო ბიზნესში ჩართული სპეციალისტების გონივრული მიდგომის და რეგიონული კონცეფციების შეთავაზების შედეგად, სიცოცხლე შეინარჩუნა სასტუმრო ბიზნესმა. ბიზნესის კონსულტანტი გიორგი დოლიძე აღნიშნავს: „ტურისტული კომპანიებისთვის ერთადერთი გადარჩენის გზა იყო შიდა ტურიზმის ფარგლებში სასტუმროების გაყიდვა, რაშიც ჩვენ მაქსიმალურად ხელი შევუწყეთ და სპეციალურად იმისთვის, რომ ბაზარზე ოპერირებისა და სიცოცხლის შენარჩუნების საშუალება ჰქონოდათ, გავატარეთ მათთვის ისეთი საფასო პოლიტიკა, რომელიც სტანდარტული სიტუაციისგან, სასტუმროების გამოცხადებული ფასებისგან რადიკალურად განსხვავდებოდა და ამით, მივეცით საშუალება გამოეწვიათ პოტენციურ მოგზაურებში ინტერესი, ფასის დიდი სხვაობისა და დანაზოგის შესაძლებლობით. მიდგომამ გაამართლა – ტურისტულმა კომპანიებმა ძალიან იაქტიურეს, კარგი რეკლამაც გაგვიკეთეს მათ სოცმედიაში და საბოლოო ჯამში მივიღეთ კრიზისის დროს ერთმანეთის დახმარებით გარკვეული შედეგები, რომლებიც ორივე ბიზნესს წაადგა. პანდემიის დროს ტურიზმი საქართველოში რადიკალურად გადავიდა სხვა რელსებზე, რამაც, გარკვეულწილად, შეცვალა სტრატეგიები და მიდგომები. საზღვრების ჩაკეტვამ გამოიწვია ფასების ჩამოწევა და ხალხი, რომელმაც ქვეყანა ვერ დატოვა, მაგრამ ჰქონდა საშუალება, დასვენებაში თანხა გადაეხადა, გადაწყვიტა თავისივე ქვეყნის უკეთ მონახულება, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო სასტუმროების დატვირთულობაზე. ქართველი ტურისტების გაზრდილმა ნაკადმა ერთმნიშვნელოვნად გაზარდა სასტუმროებს შორის კონკურენცია, უშუალოდ მომსახურების ხარისხისა და სისუფთავის მიმართულებით, რაც არაბრენდული მცირე ზომის ობიექტების ხშირი ტკივილია. ამან დაანახა პატარა და საშუალო სასტუმროების/ რესტორნების მფლობელებს და მენეჯერებს, რომ აქამდე თუ გათვლა ჰქონდათ ისეთ უცხოელ ტურისტზე, რომელიც ერთჯერადად ჩავიდოდა და მათი განმეორებითი ვიზიტიც დიდად არ აღელვებდათ, ქართველის სახით უკვე იმდენად პრეტენზიული და „საშიში“ ტურისტების მიღება უწევდათ, რომ ასეთ კონკურენტულ გარემოში ხარისხის გაზრდაზე ზრუნვა თუ გადაარჩენდათ. ამ მომენტში დაფიქრდნენ, რომ ქართველს ყოველთვის მოყვება თავისი მეგობარი, გამოდის, რომ თითოეული ჩვენგანი, თითოეული გესთჰაუსისა თუ მცირე სასტუმროს მფლობელი და პერსონალი თამაშობს წამყვან როლს ქვეყნის პრესტიჟსა და პოპულარიზაციაში გლობალურ ბაზარზე. თუ ტურისტები წავლენ მოტყუებულები და უკმაყოფილოები, ბიუჯეტიდან გაღებული რეკლამის ხარჯი, ის ფულადი სახსრები, რომელიც ისევ ჩვენი ჯიბიდან მიდის, იქნება ფუჭი და ჰაერში გასროლილი“. (დოლიძე, 2020)

საერთაშორისო დახმარება ტურიზმს

ტურიზმის ამოქმედებაში საქართველოს მთავრობას არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია უწევს დახმარებას. მათ შორის დიდი წილი USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამაზე მოდის, რომელიც არაერთ ფართომასშტაბიან დახმარებას სთავაზობს ტურიზმის სექტორს, განსაკუთრებით გასტრონომიული, კულტურული, სამთო/სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულებით. ეს დახმარება რამდენიმე მიმართულებას მოიცავს: სხვადასხვა სახის სტრატეგიის შემუშავება; ინვესტირება და საგრანტო პროგრამები; მარკეტინგი; საერთაშორისო აუდიტორიისთვის მიმზიდველი მესიჯების შემუშავებაში მხარდაჭერა; ტურისტული პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება. ყველა ეს მიმართულება, ერთი მხრივ, COVID19-ის შედეგად დაზარალებული ტურიზმის სექტორის აღდგენას, დამატებითი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის შექმნას, ასევე, საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის სწორად პოზიციონირებას შეუწყობს ხელს. მნიშვნელოვანია, აგრო და ეკო ტურიზმის პერსპექტივაზე ყურადღების გამახვილება პანდემიის პირობებში.

ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ აგრო ტურისტულმა ობიექტებმა ელემენტარული სტანდარტები დააკმაყოფილონ და ტურისტებს მრავალფეროვანი სერვისები შესთავაზონ (ტურიზმი კორონავირუსის დროს, 2020). ტურიზმის სექტორში არსებული კრიზისის დასაძლევად, საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსი შეიქმნა, სადაც გაერთიანებულია 14 ასოციაცია ტურიზმის სხვადასხვა სექტორიდან. ალიანსმა COVID ეკონომიკური შედეგების დასაძლევად შეიმუშავა ხედვა, რომელიც ალიანსში შემავალი თითოეული სექტორის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს აერთიანებს. რეკომენდაციები თითოეულმა სექტორმა პანდემიამდე შემუშავებული კრიზისული სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმის და პანდემიის პირობებში შეძენილი ახალი ცოდნისა და

გამოცდილების გათვალისწინებით შეიმუშავა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ალიანსში შემავალი ასოციაციის წევრები იღებენ ვალდებულებას, რომ მიწოდებული სერვისები და პროდუქტები იქნება კონკურენტუნარიანი ფასისა და ხარისხის ჭრილში და რომ სახელმწიფოს გაუწევენ დახმარებას შესაძლო ახალი სტანდარტების და მიდგომების დანერგვისას ნებისმიერ ეტაპზე“ (ალიანსი ტურიზმის გადასარჩენად, 2020). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, პანდემიის პირობებში სწორი ფასწარმოქმნის სტრატეგიის შემუშავება. როგორც ცნობილია, ტურიზმში გამოიყენება „ფასწარმოქმნა პროდუქტის ნაკრებზე - რამდენიმე პროდუქციის ნაკრებზე შემცირებული ფასის დაწესება..“ (კოტლერი & არმსტრონგი, 2015).

ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულმა ტურისტულმა კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ სწორი მარკეტინგული სტრატეგია, ამისათვის საჭიროა:

- ტურისტული პროდუქტის სწორად შერჩევა (ახალი ტურისტული პროდუქტები);
- ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;
- სწორი ფასწარმოქმნა;
- რეკლამა და სხვა სახის კომუნიკაციები;
- კომპეტენტური კადრების მომზადება-გადამზადება ტურიზმის სფეროში.

ბიბლიოგრაფია:

ალიანსი ტურიზმის გადასარჩენად. (2020). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.throughthenews.com/ka/stories/turizmi-koronavirusis-dros

გელდნერი, ჩ. რ., & ბრენტ რითჩი, ჯ. რ. (2013). *ტურიზმი.* ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დოლიძე, გ. (2020 წლის 19 ოქტომბერი). *შიდა ტურიზმი Covid-19-ის პირობებში.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.entrepreneur.com/article/358005

კოტლერი, ფ., & არმსტრონგი, გ. (2015). *მარკეტინგის საფუძვლები.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

მამულაძე, გ. (2018). *მარკეტინგული პრობლემები ტურიზმის ბიზნესში და მისი გადაჭრის გზები.* (სამეცნიერო სემინარი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://bsu.ge/sub-56/page/9989/index.html

საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/turizmi-/sakartvelos%20turizmis%20strategia%202025.pdf

ტურიზმი კორონავირუსის დროს. (2020). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.throughthenews.com/ka/stories/turizmi-koronavirusis-dros

ტურიზმის ამოქმედების ანტიკრიზისული გეგმა. (2020). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.throughthenews.com/ka/stories/turizmi-koronavirusis-dros

Lali Osadze

Gori State University

Sophio Tsetskhladze

Caucasus International University

THE ROLE OF TOURISM MARKETING IN PANDEMIC CONDITIONS

RESUME

Tourism, as a fairly profitable sector of the world economy, is an important factor in the successful development of the country's national economy and business. Its role and importance is constantly growing, both in the country's economy and in society as a whole.

The world today is facing a great challenge due to the pandemic. The role of marketing has especially increased in these conditions. The growth rates of tourism development in Georgia are already observed, there are a number of issues that will be resolved to further develop the sector. It is necessary to present the general and marketing problems in the field of tourism and to make appropriate proposals for the use of marketing opportunities and tools in this regard. Tourism companies employed in the tourism industry must develop the right marketing strategy, which will include: new tourism products, information delivery, proper pricing, advertising and other communications, training of competent personnel in the field of tourism.

Keywords: Tourism industry, Tourism marketing, Tourism strategy, Political and economic stability.

მაკა სოსანიძე, ლეილა მამულაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოებასთან ურთიერთობის კონტექსტში

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, პოზიტიური იმიჯი, რეპუტაცია, პიარის ინოვაციური ინსტრუმენტი, ქველმოქმედება, სპონსორობა.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა 21-ე საუკუნის დასაწყისის ყველაზე უფრო აქტუალური საკითხია. თანამედროვე საზოგადოება ყველა ზომის კომპანიისგან მთელ მსოფლიოში მოითხოვს სოციალურ პასუხისმგებლობას. დღეისათვის წარმოუდგენელია მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანია, რომელიც არ აქტიურობს სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით. იგი გახლავთ ერთგვარი ინსტრუმენტი გაძლიერებული კონკურენციის პირობებში ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად, რადგან პროდუქცია იძენს დამატებით სოციალურ ღირებულებას. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგების თანახმად, ეფექტური კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა არის ნაბიჯი კომპანიის აღიარებისაკენ, იმიჯის დამკვიდრებისკენ არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს ბიზნესის ნებაყოფლობით არჩევანს: იმოქმედოს ეთიკურად, გაითვალისწინოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მოლოდინები, დადებითი გავლენა მოახდინოს სამუშაო, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე. წვლილი შეიტანოს სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში. ეს არის კომპანიის კეთილი ნების საფუძველზე აღებული პასუხისმგებლობა და არა სახელმწიფოს სამართლებრივი მექანიზმებით დაკისრებული ვალდებულება.

ბოლო ოციოდე წლის განმავლობაში სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და კერძო კომპანიების ურთიერთობაში, მთელ მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გლობალიზაციის პროცესების ფონზე წინა პლანზე წამოიწია საზოგადოებასთან ურთიერთობის სრულიად ახალმა ფორმებმა. სახელმწიფოთა მთავრობებს კერძო სექტორთან ურთიერთობისას, ნელ-ნელა აქცენტები, ნებაყოფლობითი თვითრეგულირებისაკენ გადააქვთ. კერძო სექტორი, თავის მხრივ, გადადის საზოგადოებასთან და სახელმწიფოსთან ურთიერთქმედების უფრო რთულ, სტრატეგიულ ფორმაზე – სოციალური პასუხისმგებლობის კორპორატიულ პროგრამებზე. საზოგადოებასთან ურთიერთობა არის დინამიურად განვითარებადი ინდუსტრია, რომელიც რეაგირებს საკომუნიკაციო გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე, რის შედეგადაც წარმოიქმნება ახალი პიარ ტექნოლოგიები. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა აფართოებს კორპორაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციური შესაძლებლობების სპექტრს.

ჯ. ჯეფკინსი და დ. იადინი საზოგადოებასთან ურთიერთობის ამგვარ განმარტებას წარმოადგენენ: „საზოგადოებასთან ურთიერთობა მოიცავს ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის სისტემატიურად ჩატარებული კომუნიკაციის (გარე და შიდა) ყველა ფორმას, მათ შორის ურთიერთგაგების მისაღწევად“. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა კი წარმოადგენს კორპორაციასა და მის სამიზნე აუდიტორიას შორის კომუნიკაციის ერთ-ერთ ფორმას, რაც ხელს უწყობს კორპორატიული პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობა ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მისი მიზანია კომპანიის დადებითი იმიჯის და რეპუტაციის შექმნა და შენარჩუნება სხვადასხვა წრეში. „საზოგადოებასთან ურთიერთობა ორგანიზაციის იმიჯის გასაძლიერებლად იყენებს მრავალ ინსტრუმენტს: სპეციალური პუბლიკაციები, საზოგადოებრივ ქმედებებში მონაწილეობა, ფონდებში თანხების მოზიდვა, სპეციალური ღონისძიებები, სოციალური პროექტები.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ტრადიციული საშუალებების გარდა, თანამედროვე, შედარებით ახალ სახელმძღვანელოებში დამატებით განიხილება ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის თანამედროვე საშუალება, რომელიც ხშირად გამოიყენება როგორც ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ძირითად საშუალებებთან ერთად, ისე დამოუკიდებლად. ესაა: სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე მარკეტერებისთვის. ფილიპ კოტლერი თავის ნაშრომში „მარკეტინგის საფუძვლები“ CSR პიარის ინოვაციურ ინსტრუმენტად განიხილავს.

მსხვილი კომპანიები აქტიურად იყენებენ სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორც იარაღს საკუთარი იმიჯის ფორმირებისთვის. ამ მიმართულებით აქტიურად გამოირჩევა ქართული კომერციული ბანკები, სადაზღვევო და სამშენებლო კომპანიები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ბიზნესსექტორი აქტიურად იყენებს სოციალურ პასუხისმგებლობას იმიჯის გაძლიერების მიზნით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიზანიც, ისევე როგორც PR-ისა, მდგომარეობს კომპანიის დადებით იმიჯისა და რეპუტაციის შექმნასა და შენარჩუნებაში. PR მჭიდროდ არის დაკავშირებული კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამებთან, სოციალურ პროექტებთან. დღეს სოციალური პროექტი ამავე დროს ძალიან პოპულარული პიარ ტექნოლოგიაა. სოციალურად მნიშვნელოვან მოვლენას მრავალი უპირატესობა აქვს - ის იზიდავს დიდი რაოდენობით მედიის ყურადღებას. შოუბიზნესის ვარსკვლავები და გავლენიანი ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ სოციალურ მოვლენებში. მაგალითად, Bosco di Ciliegi ახორციელებს ხეების დარგვის კამპანიას ყოველწლიურად. ეს მოვლენა საკმაოდ რეზონანსულია. მეორე მხრივ ესაა ის შემთხვევა, როდესაც ხეების დარგვა უფრო მომგებიანია, ვიდრე სადღესასწაულო ღონისძიება ღამის კლუბში ან რესტორანში, მეტწილად მისი სოციალური ტონის გამო.

მრავალი პროექტი, რომელსაც კორპორაციები წარმოადგენენ, როგორც მათ სოციალურ პასუხისმგებლობას, შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- ქველმოქმედება - ეს არის კომპანიის წვლილი საზოგადოების მდგრადი განვითარების საქმეში - ეკონომიკაში, სოციალურ სფეროსა და გარემოს დაცვაში. ქველმოქმედება, რა თქმა უნდა, ალტრუისტული ქმედებაა, სადაც კორპორაციები მნიშვნელოვან შემოწირულობებს აკეთებენ. მაგრამ, როგორც წესი, იგი ხორციელდება უღიმღამოდ, ემოციური ფაქტორებისა და პიროვნული სიმპათიების საფუძველზე, და არა დაინტერესებულ მხარეთა რეალური საჭიროებების და ინტერესების დასადგენად. ის მიზნად ისახავს მოკლევადიანი ეფექტების მიღწევას და არ გადაჭრის რთულ სოციალურ პრობლემებს.

- სოციალური მარკეტინგი - (ინგლისური Cause დაკავშირებული მარკეტინგი) - მისი მიზანია მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა პროდუქტის ახალი კონკურენტული უპირატესობებით. პროექტის განხორციელების მექანიზმი, როგორც წესი, არის ალიანსი არამოგებიან ორგანიზაციასთან და ერთობლივი მონაწილეობა სოციალური პრობლემების მოგვარებაში. სოციალური მარკეტინგის მთავარი გზავნილია „ჩვენი პროდუქტის შეძენით, თქვენ დაზოგავთ მსოფლიოს“.

- სპონსორობაც წარმოადგენს ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას. თუმცა ამავდროულად ის, ისევე როგორც ქველმოქმედება, ითვლება PR-ის განუყოფელ ნაწილად. სპონსორობა ძალზე პოპულარულია ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქტების (სიგარეტი, ალკოჰოლი) მწარმოებლებს შორის, რომელთა რეკლამა მნიშვნელოვნად შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, წამყვანი თამბაქოს ბრენდები აქტიურად აფინანსებენ კულტურულ ღონისძიებებს, მოდის სამყაროში მიმდინარე მოვლენებს და კულტურული ძეგლების რესტავრაციას - ეს მათ აძლევს არაპირდაპირი შესაძლებლობას, მიაღწიონ სამიზნე აუდიტორიას და დამატებით რეაბილიტაციას უკეთებენ მათ ფართო საზოგადოების თვალში.

- სტრატეგიული CSR (გავლენა დაინტერესებული მხარეების ქცევაზე) ემყარება იმ გაგებას, რომ კორპორაცია არ არსებობს გარემოდან იზოლირებულ სივრცეში, ის განუყოფლად არის დაკავშირებული გარემომცველ საზოგადოებასთან.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზანია კეთილსასურველი ურთიერთობების დამყარება ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რომელიც ემყარება ღიაობის, გამჭვირვალეობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს. CSR კი არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია წვლილი შეიტანოს ამაში.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა არის დისციპლინების ერთობლიობა (ეკონომიკა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საწარმოს მართვა და ა.შ.). CSR- სა და PR-ის მიზნები ერთმანეთს ემთხვევა, უფრო მეტიც. საზოგადოებასთან ურთიერთობის მიზანია ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რომელიც ემყარება ღიაობის, გამჭვირვალეობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს. CSR არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია წვლილი შეიტანოს ამაში. თანამედროვე მსოფლიოში წარმოუდგენელია ნორმალური რეპუტაციის მქონე კომპანია, რომელიც არ აქტიურობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით. ის უკვე იქცა ბიზნესის წარმოების თანამედროვე შემადგენლად და აქტიურ პიარ ინსტრუმენტად, გაძლიერებული კონკურენციის პირობებში ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად.

CSR-ის პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია PR-ის კონტექსტში იძლევა შესამჩნევ შედეგს: უმჯობესდება კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები, მისი რეპუტაცია, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებს და ამყარებს კომპანიის მდგომარეობას ბაზარზე.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ცნება სიახლეა საქართველოსთვის, თუმცა ნელ-ნელა ის თავის ადგილს იმკვიდრებს საზოგადოების სხვადასხვა სექტორის ცნობიერებასა და ბიზნეს

პრაქტიკაში. ბოლო დროისათვის საქართველოში ბევრი ბიზნეს კომპანია, თავის შესაძლებლობებთან შეფარდებით, საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავს ქველმოქმედებასა და სხვადასხვა საზოგადოებრივად სასიკეთო საქმიანობებზე. თუმცა, ამგვარი ინიციატივები ხშირად უსისტემო, სპონტანურ ხასიათს ატარებს.

კომპანია არის იმ საზოგადოების ნაწილი, სადაც ის მოღვაწეობს და თუ აქვს სურვილი, რომ ჰქონდეს მაღალი რეპუტაცია და ჰყავდეს ლოიალური მომხმარებლები, ამისათვის უნდა მოიპოვოს ხალხის ნდობა. ნდობა კი მხოლოდ ქმედებით მოიპოვება. სწორად დაგეგმილი და გრძელვადიანი CSR სტრატეგია არის PR-ის ის ინსტრუმენტი, რომელიც ამ ამოცანის გადაჭრაში დაეხმარება.

ბიბლიოგრაფია:

გიგაური, ი. (2012). *მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ვაშაყმაძე, დ. (2016). *ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების თავისებურებები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. დისერტაცია.* ბათუმი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_6784_1.pdf

კორპორაციული პასუხისმგებლობა და პიარი. (თ. გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.marketer.ge/csr-in-georgia/

ლექვინაძე, ი. (2014 წლის 19 ივნისი). *ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://forbes.ge/blog/33/biznesis-socialuri-pasuxismgebloba-saqarTveloSi

ლომინაძე, ს. (2013). *საზოგადოებასთან ურთიერთობის ტექნოლოგიები ბიზნესში.* თბილისი.

მამულაძე, გ. (2010). ფირმის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკული ასპექტები. *სამეცნიერო კონფერენციის მასალები.*

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. (2007). *თბილისის მსხვილი ბიზნესი და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.* თბილისი.

შენგელია, თ. (2008). *ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები.* თბილისი.

ჭანიშვილი, მ. (2014 წლის 9 დეკემბერი). *"კულა" - გულით ნაკეთები საქმე.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://forbes.ge/kula-gulith-nakethebi-saqm/

ხოფერია, ლ. (2012). *კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო.* თბილისი.

Maka Sosanidze, Leila Mamulashvili

Gori State University

SOCIAL RESPONSIBILITY OF BUSINESS IN THE CONTEXT OF PR

RESUME

Corporate social responsibility is the most pressing issue of the early 21st century. Modern society requires social responsibility from companies of all sizes around the world. Today it is unthinkable to have a company with a high reputation that does not show social responsibility. This is a kind of tool for gaining competitiveness in the market in conditions of increased competition, since products acquire additional social value.

Corporate Social Responsibility is a voluntary choice of business: to take into account the expectations of different groups of society, to have a positive impact on work, the social and natural environment, and to contribute to the solution of social, economic and environmental problems. This is an obligation made on the basis of the goodwill of the company, and not an obligation imposed by the legal mechanisms of the state.

In addition to the traditional means of integrated marketing communication, modern relatively new textbooks additionally consider modern means of integrated marketing communication, which are often used both in combination with the main means of marketing communication, and independently. This is what it is: social responsibility, which is becoming more and more relevant for modern marketers. Philip Kotler discusses CSR as an innovative PR tool for CSR in his article Marketing Fundamentals.

It should be noted that the goal of business social responsibility, like PR, is to create and maintain a positive image and reputation of the company. PR is closely connected with corporate social responsibility programs and social projects. Today, a social project is at the same time a very popular PR technology.

Corporate social responsibility is a set of disciplines (economics, public relations, enterprise management, etc.). Moreover, the goals of CSR and PR coincide. The purpose of public relations is to establish harmonious relations with all interested parties based on the principles of openness, transparency and mutual respect. CSR is one of the tools that can contribute to this. In today's world, it is inconceivable that a company with an abnormal reputation should not be

active in terms of corporate social responsibility. It has already become a modern component of business production and an active PR tool.

The company is part of the community in which it operates, and if it wants to have a high reputation and loyal customers, it must earn the trust of the people. Trust can only be won by action. A well-planned and long-term CSR strategy is the PR tool that will help solve this problem.

Keywords: Corporate Social Responsibility, Positive Image, Reputation, Innovative PR Tool, Charity, Sponsorship.

თამაზ ქობულაშვილი, გია ედიშერაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკოტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში (კასპის მუნიციპალიტეტი)

საკვანძო სიტყვები: ეკოტურიზმი, რეგიონი, მუნიციპალიტეტი, ტურიზმი, განვითარება.

შიდა ქართლი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს და გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებს მოიცავს.

რეგიონი უმთავრესად მაღალი, საშუალო და დაბალმთიანი ლანდშაფტებით არის წარმოდგენილი, რომელთა შორის შიდა ქართლის ვაკეა მოქცეული.

რეგიონის რბილი ჰავა და ულამაზესი ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების შეთანაწყობა ტურიზმის განვითარების კარგ პერსპექტივებს ქმნის.

სამეცნიერო კვლევების შედეგად მიღებული მასალის მოცულობის გამო ერთ ნაშრომში შედეგის გაშლა შეუძლებელია, ამიტომ შედეგებს მუნიციპალიტეტების მიხედვით ვიძლევით.

კასპის მუნიციპალიტეტი რეგიონის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ტერიტორია თბილისიდან 40 კილომეტრით, ხოლო რეგიონის ცენტრიდან, გორიდან, 30 კილომეტრით არის დაშორებული. დედაქალაქიდან ცენტრალური ავტომაგისტრალით მანძილის დაფარვა 35-40 წუთშია შესაძლებელი, გორიდან კი 25 წუთს არ აღემატება. ტერიტორიას ჩრდილოეთით ცხინვალის რეგიონი, ჩრდილო-აღმოსავლეთი დუშეთის და ახალგორის მუნიციპალიტეტები, დასავლეთით გორის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთით თეთრიწყაროს და წალკის მუნიციპალიტეტები ესაზღვრება. ტერიტორიის ფართობი 803,2 კმ^2 , ხოლო მოსახლეობა 51 829 კაცს არ აღემატება. აქედან 15 896 ქალაქის, ხოლო 35 993 სოფლის მაცხოვრებელია.

ტერიტორიის საშუალო წლიური ტემპერატურა 11,4^0. ზაფხულის ცხელ პერიოდში ტემპერატურამ 38^0 შეიძლება მიაღწიოს, ხოლო ზამთარში კი - 10-12^0 დაეცეს.

ტერიტორია უმთავრესად გორაკბორცვიან ლანდშაფტებშია მოქცეული, რომელსაც ცენტრალურ ნაწილში დასავლეთიდან აღმოსავლეთით კვერნაქების ქედის წლევ-თხოთის (თხოთი 845 მ.) სერი კვეთს. მუნიციპალიტეტის უმაღლესი წერტილი ობოლო კლდე (2022 მ.) თრიალეთის ქედზე მდებარეობს.

ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი გააჩნია, რომელიც ჯეროვნად ათვისებული არ არის. მუნიციპალიტეტში ტურიზმის სუსტად განვითარების ძირითად მიზეზებს არასწორი მოდგომები და დაგეგმვა წარმოადგენს.

სამეცნიერო კვლევებმა დაგვარწმუნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკოტურიზმის შემდგომი განვითარების მიზნით პერსპექტიული ობიექტების სრული ინვენტარიზაცია, ფოტო და ვიდეო მასალის მოპოვება, თითოეული ობიექტისთვის პასპორტის შექმნა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და ცნობადობის ამაღლებაა საჭირო.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პერსპექტიული ტურისტული ობიექტების სიუხვე კულტურული, ეკო და პილიგრიმული (მომლოცველობითი) ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა.

კვლევებმა ცხადყო, რომ მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ეკოტურიზმის განვითარებას უნდა მიექცეს, რაც სხვადასხვა ხანგრძლივობის და სირთულის საფეხმავლო, სამთო და საცხენოსნო მარშრუტების კვლევას, მარშრუტების შედგენას და მარკირებას მოიცავს. ამ მხრივ საყურადღებოა უსტარაულის, ნოსტეს, ცხავერის, შავწყალას და თავკავთას ჩანჩქერების მიდამოები.

კასპის მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკა. (სქემატური)

გამოვლენილი საფეხმავლო მარშრუტებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა:

1. ერთაწმინდას მონასტერი - უსტარაულის ჩანჩქერი - ცხირეთის ციხე - ცხავერის ჩანჩქერები;
2. მანგლისი - სოფელი კველთა - ცხირეთის ციხე - ჭყოპიანი. (წმინდა თევდორე კველთელის ნაკვალევზე);
3. სოფელი წინარეხი - მაღალაანთ კარის კომპლექსი (ეკლესია, კოშკი, აფთიაქი) - თავკავთას ჩანჩქერები - თავკავთას მონასტერი;
4. ერთწმინდა - შავწყალას ჩანჩქერები - რკონი;
5. გიორგი სააკაძის ნამოსახლარი - ნოსტეს ჩანჩქერი;

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ობიექტებიდან ზოგიერთს ადგილობრივი მოსახლეობა საპიკნიკედ ოდითგანვე ინტენსიურად იყენებს, სადაც მათ მიერ პრიმიტიული „ინფრასტრუქტურაა“ მოწყობილი. ტურისტების შემდგომი მოზიდვის მიზნით საჭიროა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც გულისხმობს:

1. უსტარაულის ჩანჩქერთან საჭიროა საფეხმავლო ბილიკის მარკირება, საპიკნიკე და დროებითი ღამის სათევი ველობის მოწყობა, ასევე საჭიროა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის გრუნტიანი გზის რეაბილიტაცია.
2. წმინდა თედორე კველთელის ნაკვალევის ორ დღიან მარშრუტზე საჭიროა ბილიკის მარკირება და მარშრუტის შუა მონაკვეთზე სასმელი წყაროს მიდამოებში დროებითი ღამის სათევი (საკარვე) ველობის მოწყობა.
3. წინარეხი - თავკავთას მონასტერის მარშრუტზე საჭიროა საფეხმავლო ბილიკის მარკირება და ქვემო ჩანჩქერთან საპიკნიკე და საკარავე ადგილის მოწყობა.
4. ერთაწმინდა - შავწყალას ჩანჩქერები - რკონის მარშრუტზე საჭიროა საფეხმავლო ბილიკის მარკირება.

5. გიორგი სააკაძის ნამოსახლარი - ნოსტეს ჩანჩქერის მარშრუტზე, საჭიროა საფეხმავლო ბილიკის მარკირება, ჩანჩქერთან საპიკნიკე და საკემპინგე ადგილების მოწყობა, ასევე საჭიროა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის მისასვლელი 200 მეტრიანი გზის რეაბილიტაცია.

აღნიშნული ობიექტების მიდამოებში სათანადო სამუშაოების ჩატარების შემდეგ მარშრუტების ცნობადობის ამაღლების რეკლამირების მიზნით საჭირო იქნება მათი მაღალი ხარისხის ფოტო და ვიდეო მასალის ინტერნეტ სივრცეში განთავსება.

გარდა საფეხმავლო მარშრუტებისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბერდვოჩინგის განვითარებაც არის შესაძლებელი. ბერდვოჩერული მარშრუტების განვითარების ერთ-ერთ საყურადღებო ადგილს წლევთ-თხოთის სერი წარმოადგენს, რომელიც შედის „მნიშვნელოვანი ორნითოლოგიური ადგილსამყოფელის - კვერნაქის ქედი GE 020“ საიტის შემადგენლობაში. წლის სხვადასხვა პერიოდში აქ შეიძლება 200 მდე სახეობის ფრინველის ნახვა (ედიშერაშვილი, 2009). ბერდვოჩერებს შეუძლიათ დააკვირდნენ ისეთ სახეობებს, როგორიცაა საქართველოს და საერთაშორისო წითელ ნუსხებში შეტანილი ფასკუნჯი (*Niophron percnopterus*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*), უიშვიათესი ქორისებრი არწივი (*Hieraaetus fasciatus*), რომლის მხოლოდ ორი ბუდეა საქართველოში მიკვლეული და ორივე კვერნაქის ქედზე (Абуладзе, 2008) და მრავალი სხვა. კარგად არის გამოხატული სეზონური მიგრაციები. განსაკუთრებით საინტერესოა საბერდვოჩერო მარშრუტები კასპი-ქსანი და კასპი-მეტეხის მიმართულებით ქედის თხემური ნაწილის გავლით.

ბიბლიოგრაფია:

ედიშერაშვილი, გ. (2009). კვერნაქის ქედის ორნითოფაუნა და ბერდვოჩინგის განვითარების პერსპექტივა. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. მეორე საერთაშორისო კონფერენცია*, (გვ. 452-456). გორი.

მენაბდიშვილი, ხ., ბეჟანიშვილი, ა., მამისთვალაშვილი, ე., ქობულაშვილი, თ., & სამნიაშვილი, ბ. (2006). *ტურისტული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში.* გორი.

მენაბდიშვილი, ხ., ბეჟანიშვილი, ა., მამისთვალაშვილი, ე., ქობულაშვილი, თ., & სამნიაშვილი, ბ. (2007). *ტურიზმის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლში.* გორი.

Абуладзе, А. В. (2008). Ястребинный орел (Hieraaetus fasciatus) в Грузии и на сопредельных территориях. *Материалы III международной научной конференции „Хищные птицы Украины* (стр. 5-10). Кривой Рог.

Tamaz Kobulashvili, Gia Edisherashvili

Gori State University

ECOTOURISM DEVELOPMENT PERSPECTIVES IN SHIDA KARTLI (KASPI MUNICIPALITY)

RESUME

Sida Kartli ecotourism has a great potential whish only partially developed and further development requires full scientific researches. New routes heed to be identified, researched and introduced for furter development of ecotourism.

The file routes presented in this paper are particulay noteworty from the many ecotourism routes we have exsplored in Kaspi municipalitites.

Birdwaching in Sida Kartli municipality in not well – developed and its development should be counted as a priority.

Keywords: Ecotourism, Region, Municipality, Tourism, Development**.**

დავით ჭიოტაშვილი, ხალიანა ჩიტაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კოვიდ პანდემია და ტურიზმი საქართველოში

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი საქართველოში, ტურისტული პოტენციალი, კოვიდ პანდემია, ტურიზმი და ეკონომიკა.

შესავალი:

ეკონომიკის განვითარების მყარ საფუძველს საქართველოში ტურიზმის განვითარება და ტერიტორიული გაფართოება წარმოადგენს. საქართველოს ტურისტულ სექტორს გააჩნია უდიდესი პოტენციალი, საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოში ეკონომიკის განვითარების და ქვეყნისთვის ფინანსური შემოსავლების ფორმირების კუთხით. მაგრამ, ერთი წლის წინ, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ არსაიდან გაჩნდებოდა უდიდესი პრობლემა, რომელიც თითქმის სრულად შეცვლიდა არსებულ რეალობას დედამიწაზე ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური კუთხით.

განსაკუთრებით გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ტურისტულ სფეროზე და იმ პრობლემებზე, რომლებიც საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) ტურისტული სექტორის წინაშე პირველ რიგში დგას.

- შესაძლებელია, თუ არა საერთოდ შევინარჩუნოთ ტურისტული სექტორი კოვიდ პანდემიის პირობებში?
- დღეს უკვე არსებული ცნობილი პრობლემების გარდა, ჯერ კიდევ უცნობია რა დამატებითი საფრთხეების შემცველია კოვიდ პანდემია და კიდევ რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ამ შემთხვევაში ტურისტული სექტორი?
- შესაძლებელია, თუ არა შევინარჩუნოთ ტურიზმის ზრდა ერთდროულად კოვიდ პანდემიის პირობებში?

საქართველო წარმოადგენს უნიკალურ ადგილს, სადაც ტურისტებს და ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ ეზიარონ უძველეს კულტურას და დატკბნენ ველური, თითქმის ხელშეუხებელი ბუნების სანახაობებით. საქართველო ცნობილია არა მარტო სტანდარტული ტურისტული შესაძლებლობებით, არამედ თავისი საინტერესო ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული ფასეულობებით, რომელთაგან საკმარისია აღვნიშნოთ ის, რომ ეს არის უძველესი მითოლოგიური ქვეყანა, უძველესი კოლხეთი და ოქროს საწმისის ქვეყანა, რომელსაც ათასობით წლის ისტორია აქვს. იგი დღესაც გამოირჩევა ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით და უნიკალური ენდემური ჯიშებით. გარდა ბუნებრივი სიმდიდრეებისა, საქართველოში მრავლადაა უნიკალური ისტორიულ-კულტურული ფასეულობები, რომელთა ილუსტრირებასაც ახდენს დღემდე შემორჩენილი უძველესი ნაგებობები, არტეფაქტები და უნიკალური სამზარეულო, რომელიც სოფლის მეურნეობის უძველეს ტრადიციებზეა დაფუძნებული. აღნიშნულ საკითხებს „CNN Travel“ - მა, “National Geographic”-მა, “Yahoo travel”-მა და სხვა ავტორიტეტულმა გამოცემებმა მიუძღვნეს სპეციალური რუბრიკები.

მეთოდოლოგია

ნაშრომი მოიცავს ახალი და უცნობი კოვიდ პანდემიის გავლენას საქართველოს ტურისტული სფეროზე. მათ ურთიერთდამოკიდებულებას და ურთიერთგავლენას.

კვლევაში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მიდგომები არსებული პრობლემატური რეალობის დასადგენად. იგი ეფუძნება სტატისტიკურ მასალებს, სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციებიდან, არასამთავრობო უწყებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებულ მონაცემებს. სამთავრობო უწყებების და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოტივაციას და ქმედებებს არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. გამოყენებულია ვერბალური ინტერვიუები საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. დასკვნა და რეკომენდაციები ემყარება არსებული და მიღებული მონაცემების რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზს არსებული მდგომარეობის შესახებ და საერთაშორისო გამოცდილებას.

საქართველოს ტურისტული პოტენციალი და მიმოხილვა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დიდი პრობლემების წინაშე დადგა ტურიზმის სექტორი, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით. ყურადღება არ ექცეოდა და არ გამოიყენებოდა კომპლექსური და

სისტემური მიდგომა ტურიზმთან მიმართებაში. ახალი რეალობიდან გამომდინარე არასწორად იყო იდენტიფიცირებული ტურიზმის ჩამოყალიბების მიზნები და ასევე არ არსებობდა ჩამოყალიბებული სამართლებრივი ბაზა. აღნიშნულის გამო საქართველოს ტურიზმის სფერო დაბალი ეფექტიანობით ხასიათდებოდა.

ბოლო წლების განმავლობაში, ტურიზმის სფერო საქართველოში განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს იღებდა და ხასიათდებოდა მზარდი და დინამიური განვითარებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს ოთხივე სეზონის ქვეყანა ყოველმხრივ მდიდარია სამთო, საზღვაო, ბარის, დაცული ტერიტორიების, თვითმყოფადი ეროვნულ-ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის და უნიკალური ეკოსისტემების ტურისტული პოტენციალით, რომელთა გამოყენებისა და განვითარების შესაძლებლობების შესწავლა და კვლევა უმნიშვნელოვანესია.

სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებამ ტურიზმის სექტორისადმი გამოიწვია ბევრი დადებითი ფაქტორი და ტურიზმის შემდგომი განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივების დასახვა. დადებითი ფაქტორებიდან აღსანიშნავია ის, რომ შედარებით განვითარდა ტურისტული ინფრასტრუქტურა; გაიზარდა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობა; საშუალო, მცირე, წვრილი და მიკრო ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა; დასაქმდა მეტი ადამიანი და ადამიანების ჩართულობამ რეკორდულ ზღვარს მიაღწია და შეადგინა დაახლოებით 150000 ადამიანი, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ჩართულობა; გაიზარდა ტურისტული შემოსავლები და ასევე სახელმწიფოს ფინანსური კუთხით შემოსავლები; ბევრად უფრო ცნობადი და მიმზიდველი გახდა საქართველო და მისი ტურისტული პოტენციალი, რასაც მოწმობს სხვა ქვეყნების მთავრობის მხარდაჭერები, საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორი ორგანიზაციების, სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების, ფონდების და სააგენტოების დიდი დაინტერესება და ჩართულობა.

სტატისტიკური მონაცემები და შედეგები.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით აღსანიშნავია ვიზიტორთა რაოდენობის ყოველწლიური ზრდა, რომლებმაც საქართველოს ტერიტორიებზე იმოგზაურეს. ზრდა საგრძნობია, თუმცა საქართველოს ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე, მოკრძალებული. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა საქართველოში 2014-2019 წლებში ასე გამოიყურება:

ცხრილი 1 უცხო ქვეყნის მოქალაქეების ვიზიტების რაოდენობის შედარებითი გრაფიკები და ზრდის პროცენტული მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით

წელი	*2010*	*2011*	*2012*	*2013*	*2014*	*2015*	*2016*	*2017*	*2018*	*2019*
საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა საქართველოში	2031717	2822363	4428221	2797910	5004331	5255999	5392816	6482830	7203350	7725774
პროცენტული ზრდა	35,5%	38,9%	56,9%	-	5%	2,6%	2,2%	11,1%	9,8%	7,3%

თუ გადავხედავთ საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის პარალელურად გაზრდილია ტურისტული სერვისებიდან მიღებული ფინანსური შემოსავლებიც. 2010-2019 წლებში, საქართველოს ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა ფინანსურმა შემოსავლებმა შემოსავლები 1,3 მილიარდი ლარიდან 3,5 მილიარდ ლარზე მეტი შეადგინა. ასევე საგრძნობია ტურიზმის წილის ზრდა მშპ-ში და მან 2019 წლის მდგომარეობით 8,1% შეადგინა. სქემაზე ნათლად ჩანს აღნიშნული მონაცემების ზრდის დინამიკა.

ცხრილი 2 . ტურისტული სერვისებიდან მიღებული ფინანსური შემოსავლები და ტურიზმის წილი მშპ-ში წლების მიხედვით 2010-2019 წწ

ტურიზმის წილი მშპ-ში (მლნ ლარი)	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019*
სულ	**1 370**	**1 579**	**1 683**	**1 660**	**1 737**	**1 956**	**1 968**	**2 597**	**3 016**	**3 527**
მათ შორის:	↓	↓	↓	↓	↓	↓	↓	↓	↓	↓
საქართველოს მშპ საბაზისო ფასებში	**19 286**	**22 622**	**24 252**	**25 538**	**27 661**	**30 197**	**31 556**	**35 348**	**38 779**	**43 320**
ტურიზმის წილი მშპ-ში	7,1%	7,0%	6,9%	6,5%	6,3%	6,5%	6,2%	7,3%	7,8%	8,1%

სტატისტიკური მონაცემები ნათლად ცხადყოფს, თუ რა მასშტაბური სამუშაოებია ჩატარებული წლების მანძილზე საქართველოს მიერ.

დისკუსია:

საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებს შორის მიმდინარეობს მწვავე დისკუსიები ტურისტული ინდუსტრიის და კოვიდ პანდემიის შესაბამისობის პრობლემის შესახებ.

ყველა პროექტი ემსახურება ტურისტების მასიურად მოზიდვას საქართველოს ტერიტორიებზე, რაც, თავის მხრივ, ქვეყნისთვის ფინანსური შემოსავლების ზრდის პირდაპირპროპორციულია, რაც საქართველოს მიერ წლების მანძილზე გაწეული კოლოსალური სამუშაოს შედეგია. კოვიდ პანდემიამ უკვე შეძლო გამოუსწორებელი და კატასტროფული ზემოქმედება მოეხდინა როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეებზე. აღსანიშნავია ის, რომ კოვიდ პანდემიის პირობებში არსებული ტურისტული პოტენციალი არა თუ იკლებს, არამედ მისი სიცოცხლის უნარიანობა ნულს უახლოვდება, რაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური უსაფრთხოების შენარჩუნების პრობლემის წინაშე აყენებს ქვეყანას.

კოვიდ პანდემიამ უკვე შეძლო საქართველოსთვის სერიოზული ზიანი მიყენება როგორც ტურიზმის სფეროსთვის, ასევე სრულიად ეკონომიკისათვის. 100000 ადამიანი ტურიზმის სექტორში დარჩა უმუშევარი და ყოველგვარი შემოსავლის გარეშე. ამავე დროს მძიმდება გლობალური ეკონომიკური პროგნოზი, რომლის მიხედვითაც ეკონომიკას დააკლდება 1,9 მილიარდი ლარი, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ეკონომიკის ვარდნას 4-5,5%-ით.

პრობლემა იმაში კი აღარაა, როგორ განვავითაროთ ტურიზმი და შემდგომი ზრდის და განვითარების გზების ძიება ვიზრუნოთ, არამედ საერთოდ როგორ უზრუნველვყოთ საერთოდ რამის შენარჩუნება. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ უარყოფითი ზემოქმედების ცოდნა, რაც მასობრივი პანდემიისათვის არის დამახასიათებელი და რაც შესაძლოა მის შემდგომ განვითარებას მოჰყვეს, ასევე შესაბამისი ქმედებები და კონკრეტული გზების მოძიება.

მიუხედავად მსოფლიოში არსებული უმძიმესი სიტუაციისა და კიდევ უფრო მძიმე შედეგებისა, საქართველომ პირველ ეტაპზე წარმატებულად შეძლო გამკლავებოდა აღნიშნულ მასშტაბურ პრობლემას და იგი საერთაშორისო გამოცემების მიხედვით, შვეიცარიის და სინგაპურის გვერდით საერთაშორისოდ აღიარებული წარმატებული ქვეყნების სამეულში იყო. საქართველოს მთავრობამ, კოვიდ პანდემიასთან წარმატებული ბრძოლის პარალელურად, უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ტურისტული სექტორის გადარჩენის და შემდგომი განვითარების კუთხით, რომელიც სამ ეტაპად განხორციელდა.

პირველ ეტაპზე განხორციელებული გადაუდებელი შეღავათების და დახმარების პაკეტი ასე გამოიყურება: ტურიზმთან დაკავშირებულ ბიზნეს სუბიექტებს 4 თვის ქონებისა და საშემოსავლო გადასახადი 2020 წლის პირველ ნოემბრამდე გადაუვადდათ, რომელმაც მოიცვა 6,118 ბიზნეს სუბიექტი, ხოლო ბიუჯეტმა შეადგინა 113 მლნ ლარი.

მცირე სასტუმროებს სახელმწიფო უსუბსიდირებს საბანკო სესხის 6 თვის პროცენტის 80%-ს, რომლითაც ისარგებლა 2,200 სასტუმრომ და ბიუჯეტმა შეადგინა 10 მლნ. ლარი. ამავე დროს დამატებით გაჩნდა სესხის რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობაც.

მეორე ეტაპზე განხორციელებული შეღავათების და დახმარების პაკეტი, რომელიც ეხება ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულებს, ასე გამოიყურება: დაქირავებით დასაქმებული პირები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან გაუშვეს უხელფასო შვებულებაში მიიღებენ 1200 ლარს 6 თვის

განმავლობაში. თვითდასაქმებულები კი, რომლებმაც დაკარგეს შემოსავალი მიიღებენ ერთჯერად დახმარებას - 300 ლარის ოდენობით.

ტურიზმის ინდუსტრიის დამსაქმებელი ყოველ შენარჩუნებულ სამუშაო ადგილზე მიიღებს სახელმწიფო სუბსიდიას: 6 თვის განმავლობაში 750 ლარის ოდენობის ხელფასი სრულად გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. ხოლო 1500 ლარამდე 750 ლარის ოდენობის ხელფასი გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან.

მესამე ეტაპზე განხორციელებული შეღავათების და დახმარების პაკეტი ეხება განთავსების ობიექტებს, კვების ობიექტებს, ტურისტულ კომპანიებს და გიდებს, ბიუჯეტმა კი შეადგინა:

1. ტურისტული ინდუსტრიისთვის 2020 წლის ქონების გადასახადის გაუქმება - 45 მლნ. ლარი;
2. ტურისტული ინდუსტრიის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება და გადავადება - 90 მლნ. ლარი;
3. სასტუმროების სესხების სუბსიდირება - 60 მლნ. ლარი (3 000 სასტუმრო);
4. ტურისტული კომპანიების და გიდების მხარდაჭერა - 5 მლნ. ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჯერ არ არის ეკონომიკურად და ფინანსურად ძლიერი ქვეყანა, მის მიერ ჩატარებული და დაანონსებული გეგმა, საკმაოდ შთამბეჭდავია. ხელისუფლებამ შეძლო როგორც კოვიდ პანდემიის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა და სერიოზული შედეგის დადება, ასევე მდგრადი ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის მასშტაბური ნაბიჯების გადადგმა. პანდემიის საწყის ეტაპზე გამოვლინდა საქართველო, როგორც უსაფრთხო დანიშნულების ადგილი: ახალი კონკურენტული უპირატესობებით, ინფრასტრუქტურის მზაობით, ახალი შესაძლებლობებით და, რაც ყველაზე მთავარია, პანდემიასთან ბრძოლაში საერთაშორისოდ აღიარებული წარმატებული ქვეყანის სტატუსით. უკვე დასახული იყო ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც ტურიზმის ამოქმედების 3 ეტაპი, რაზეც დიდი აზრთა სხვადასხვაობა იყო სამთავრობო, არასამთავრობო და სხვადასხვა უწყებებს და თვით საზოგადოებას შორის. აღნიშნულმა პროცესმა უარყოფითად იმოქმედა და საკმაოდ რთულ შედეგებამდე მიიყვანა ქვეყანა, თუ პანდემიის დასაწყისში კოვიდ ინფიცირებულთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს არ სცდებოდა, ახლა ეს ციფრი 100 000-ს ბევრად აჭარბებს.

ქვეყნისთვის მდგრადი ტურიზმის და ტურისტული სფეროს წარმატების მიღწევა საქართველოსთვის პრიორიტეტულ, უმნიშვნელოვანეს და პერსპექტიულ საკითხად განიხილება და ქვეყნისთვის ეროვნული უსაფრთხოების ტოლფასი და სასიცოცხლო ინტერესის მატარებელია, ასევე საქართველოს ტურისტული პოტენციალის შემდგომი ზრდა სერიოზულ დადებით გავლენას ახდენს მოქალაქეთა კეთილდღეობაზე. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რა გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მიადგეს ქვეყანას დაუფიქრებელი და არათანმიმდევრული ნაბიჯებით მსოფლიო პანდემიის პირობებში, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ და გამოსავლის ძებნაზე ვიფიქროთ. სახელმწიფომ უნდა დაიცვას მისი მოსახლეობა და განვითარებულ მსოფლიოსაც აჩვენოს, რომ ეს მისთვის პრიორიტეტულია. ამავე დროს, ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებაზეც იზრუნოს.

საქართველოში ტურიზმის განვითარებისა და ფინანსურად მომგებიანი ტურისტული პროექტების განვითარების კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა განვითარებული ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებას, ჩართულობას და მათი დიდი გამოცდილების გაზიარებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების ჩართულობა და მხარდაჭერა აღნიშნულ საკითხებში.

„მადლობას ვუხდი ევროკავშირს იმ დახმარებისთვის, რომელსაც დღეს, ამ უხილავ მტერთან ბრძოლაში გვიწევენ, რაც გამოიხატება, როგორც მატერიალური, ასევე ფინანსური კუთხით. ევროკავშირი იყო პირველი ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს შორის, რომელმაც გამოთქვა სურვილი და კონკრეტული ნაბიჯებით დაეხმარა საქართველოს როგორც ფინანსური, ასევე სამედიცინო თვალსაზრისით, ინფორმაციის გაცვლის და კიდევ ბევრი სხვადასხვა მიმართულებით - აცხადებს საქართველოს პრემიერმინისტრი გიორგი გახარია. ევროკავშირის, შეერთებული შტატების და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდება საქართველოს დახმარება 3,5 მილიარდი ლარის ოდენობით, რაც საქართველოს ტურისტულ სექტორს და საერთოდ ეკონომიკას დაეხმარება და გარკვეულად შეუმსუბუქებს კოვიდ პანდემიის მიერ გამოწვეულ უარყოფით შედეგებს.

დასკვნა:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მყარ საფუძველს ტურიზმის განვითარება და ტერიტორიული გაფართოება წარმოადგენს. საქართველოს ტურისტულ სექტორს გააჩნია უდიდესი პოტენციალი, საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოში ეკონომიკის განვითარების და ქვეყნისთვის ფინანსური შემოსავლების ფორმირების კუთხით. დღეს, როგორც მთელი მსოფლიო, ისე საქართველოც ებრძვის კოვიდ პანდემიას და მისგან გამოწვეულ კატასტროფულ შედეგებს, რომელიც მსოფლიო

კაცობრიობას ემუქრება არა მარტო სიცოცხლის მოსპობით, არამედ სრული ეკონომიკური რეცესიით და ეკონომიკური კოლაფსით, რაც პირველ რიგში ეხება ტურიზმის სექტორს ყველა მასში ჩართულ ეკონომიკურ სუბიექტებს.

ნათლად ჩანს, თუ რა პრობლემის წინაშე ვდგავართ და ცხადია, ჩვენ არ ვართ ტურიზმის შემდგომი განვითარების წინააღმდეგი კოვიდ პანდემიის პირობებშიც, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ, თუ რა გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მიადგეს ქვეყანას დაუფიქრებელი და არათანმიმდევრული ნაბიჯებით მსოფლიო პანდემიის პირობებში, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ და გამოსავლის ძებნაზე ვიფიქროთ. აუცილებელია ოქროს შუალედის პოვნა და უნდა დაისახოს ის თანმიმდევრული, ლოგიკური და კონკრეტული სტრატეგია და ღონისძიებების მთელი კომპლექსი, რაც საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის, მოსახლეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების შედარებით ჰარმონიულ შერწყმას უზრუნველყოფს. სახელმწიფომ უნდა დაიცვას მისი მოსახლეობა და განვითარებულ მსოფლიოსაც აჩვენოს, რომ ეს მისთვის პრიორიტეტულია. ამავე დროს, ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებაზეც იზრუნოს კოვიდ პანდემიის გარეშე, ან მასთან ერთად.

ბიბლიოგრაფია:

კორონავირუსის საქართველოში გავრცელების პრევენცია. ვებგვერდი: https://stopcov.ge/

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვებგვერდი: http://www.economy.ge/

საქართველოს მთავრობა. ვებგვერდი: www.gov.ge

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. ვებგვერდი: https://gnta.ge/ge/

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ვებგვერდი: https://www.mof.ge/

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ვებგვერდი: https://www.moh.gov.ge/

David Tchitotashvili, Khaliana Chitadze

Gori State University

COVID PANDEMIC AND TOURISM IN GEORGIA

RESUME

Georgia is not famous for its energy resources, oil, natural gas and other natural resources, but it is one of the most unique tourist destinations in the world for visitors and a new discovery with its great tourism potential and diversity.

In the last ten-fifteen years, the field of tourism in Georgia has become particularly large and characterized by growing and dynamic development. It is especially noteworthy that these four seasons are rich in mining, marine, plain, protected areas, unique national-historical and cultural heritage, natural-cultural environment and unique ecosystem tourism potential, the use and research of which is important. Because the development of sustainable tourism and the position of Georgia as a unique tourist country in the international tourism market is directly proportional to the development of the country's economy.

Today's reality is that both the whole world and Georgia are struggling with the spread of the Covid infection and the catastrophic consequences caused by it. With a complete economic recession and economic collapse, which primarily concerns the tourism sector, all the economic entities involved in it.

The main goal of the paper is to study and analyze the growing opportunities for tourism development in Georgia and to analyze the catastrophic results caused and revealed by the invisible enemy, the recently identified enemy, Covid Pandemia, and to set further prospects. The statistics of tourism growth and financial income in Georgia are analyzed, the perspective of tourism development in Georgia and the relevance and impact of the Covent pandemic, which can cause irreparable damage, or at best, to the viability of tourism in the long run. As well as the opportunity for vital economic development for the development of the country.

Keywords: Tourism in Georgia, Tourism Potential, Covid Pandemic, Tourism and Economy.

თეა ხორგუაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნათია ხორგუაშვილი
ევროპის უნივერსიტეტი
ლია ნადირაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დონორების ფინანსური ჩართულობა და კოორდინაცია საქართველოში კოვიდ 19-ის პირობებში

საკვანძო სიტყვები: ფინანსური კრიზისი, დაფინანსების სქემა, ინვესტიციები, უცხოური რეზერვები, კორონა ვირუსის ეკონომიკური ეფექტი.

COVID-19–ის პანდემია და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური კრიზისი უპრეცედენტო სისწრაფით ღრმავდება და მსოფლიოს ეკონომიკას რეცესიისკენ უბიძგებს. მოსალოდნელია, რომ მისი გავლენა მსოფლიო ფინანსურ კრიზისზე უარესი იქნება, ხოლო ეკონომიკური ზარალი ყველა ქვეყანაში გაიზრდება. საქართველო, როგორც ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, რომელიც ტურიზმზე, ვაჭრობაზე და საზღვარგარეთიდან შემოსულ ფინანსურ გზავნილებზეა დამოკიდებული, განსაკუთრებული რისკის ქვეშ დგას. პანდემია, სავარაუდოდ, ჩვენს ეკონომიკაზე მნიშვნელოვან კვალს დატოვებს, რაც წინა წლებში ეკონომიკური ზრდის პოზიტიურ ტენდენციას შეაფერხებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც პანდემიის პირობებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან გაზრდილი დაფინანსება მიიღო (მიმდინარე პროგრამის ფარგლებში). სავალუტო ფონდთან წარმატებულმა მოლაპარაკებებმა, საშუალება მისცა ქვეყანას სხვა დონორებისგანაც მოეზიდა მნიშვნელოვანი ფულადი რესურსები. შედეგად, ჯამში მოზიდულ იქნა 1.5 მლრდ. აშშ დოლარი საბიუჯეტო დახმარება.

ძირითადი ნაწილი, მსჯელობა:

საქართველოს ხელისუფლება, საჯარო და კერძო სექტორი და ქართველი ხალხი პანდემიას ძალზე მედგრად და თანამშრომლობაზე დამყარებული მიდგომით დახვდნენ. ვირუსის გავრცელებისთანავე განხორციელებულმა სწრაფმა და გადამწყვეტმა ქმედებამ აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის შემდგომი გავრცელების შესაჩერებლად და დაიმსახურა საერთაშორისო შექება. დაიწყო დახმარების სქემების შემუშავება ბიზნესისა და მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად და მიმდინარეობს მათი მხარდაჭერის გეგმების შემუშავება.

ორგანიზაც. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	წლიური ასიგნება	კვარტალური გეგმა (ნაზარდი ჯამი)	წლიური ვალდებულება	გადახდა
27 02 06 03 02	ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქება (ფულადი დახმარება/კომპენსაცია ინდ.მეწარმეებისა და გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირებისათვის)				
00	ჯამური	92,767,000.00	78,267,000.00	87,767,000.00	51,538,700.00
2	ხარჯები	92,767,000.00	78,267,000.00	87,767,000.00	51,538,700.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	92,767,000.00	78,267,000.00	87,767,000.00	51,538,700.00
2.7.2	სოციალური დახმარება			87,767,000.00	51,538,700.00
2.7.2.1	სოციალური დახმარება - ფულადი ფორმით			87,767,000.00	51,538,700.00

COVID-19-ის პანდემიამ საქართველოს ეკონომიკას მძიმე დარტყმა მიაყენა. საგარეო მოთხოვნის და ტურიზმის შემცირებამ გამოიწვია საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის ზრდა, ლარის გაუფასურება და ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი კლება. ხელისუფლებამ სწრაფად აამოქმედა შეკავების ღონისძიებები, ამასთან შინამეურნეობებს და ყველაზე მეტად დაზარალებულ სექტორებს მიზნობრივი დახმარება შესთავაზა.

ფისკალური რესურსების გონივრულმა გამოყენებამ და ბოლო წლების განმავლობაში რეზერვების დაგროვებამ საქართველოს ეკონომიკა უკეთესად მოამზადა კრიზისის ეკონომიკურ შედეგებთან გასამკლავებლად. წარმატებით გატარებული სტრუქტურული რეფორმების შედეგების გათვალისწინებით, შესაძლებელია კრიზისზე მტკიცე რეაგირება, ქვეყნის მომავლის საფრთხის ქვეშ დაყენების გარეშე. მიუხედავად ამისა, კრიზისის უპრეცედენტო ხასიათის გათვალისწინებით, საჭიროა დიდი მოცულობის ინვესტიციები და ფინანსური დახმარება ჯანდაცვის სექტორის სათანადოდ აღჭურვისთვის მომავალ გამოწვევებთან გასამკლავებლად. არავინ უნდა გამოგვრჩეს. საჭიროა დაუცველი ბიზნესისა და მოსახლეობის მხარდაჭერა, რომ შოკს გაუძლონ. უნდა გაგრძელდეს ინვესტიციები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურაში, მოხდეს გარღვევის შემცირება ქვეყნის ფინანსებში და ქვეყანა ეკონომიკური მედეგობის აღდგენისთვის უნდა მოემზადოს.

პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა როგორც კერძო სექტორზე, ისე მოქალაქეების მდგომარეობაზე. შესაბამისად, აუცილებელი გახდა დამატებითი რესურსების მოძიება როგორც ბიზნესის, ისე მოქალაქეების პირდაპირი დახმარებებისთვის, ასევე ეპიდემიის გავრცელების პრევენციისა და დაავადებულთა მკურნალობისთვის.

აღნიშნული მიზნებისათვის დამატებით საჭირო ხარჯები 3 მლრდ. ლარზე მეტს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია გლობალურად ზუსტი პროგნოზის გაკეთება

პანდემიის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, დიდია გაურკვევლობა ეკონომიკაზე მისი გავლენების შესახებ. შესაბამისად, აუცილებელია ბიუჯეტში გარკვეული რეზერვების შექმნა იმისათვის, რომ უფრო პესიმისტური და მძიმე სცენარების განვითარების შემთხვევაშიც არ წარმოიქმნას ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსების პრობლემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ აქტიური მოლაპარაკებები აწარმოა საერთაშორისო პარტნიორებთან. აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც პანდემიის პირობებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან გაზრდილი დაფინანსება მიიღო (მიმდინარე პროგრამის ფარგლებში). სავალუტო ფონდთან წარმატებულმა მოლაპარაკებებმა საშუალება მისცა ქვეყანას სხვა დონორებისგანაც მოეზიდა მნიშვნელოვანი ფულადი რესურსები. შედეგად, ჯამში მოზიდულ იქნა, 1.5 მლრდ. აშშ დოლარი საბიუჯეტო დახმარება, მათ შორის: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF); აზიის განვითარების ბანკი (ADB); მსოფლიო ბანკი (WB); საფრანგეთის რესპუბლიკა – განვითარების სააგენტო (AFD); გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა – რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW); ევროკავშირი (EU); აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB).

გარდა ამისა, 1.5 მლრდ. აშშ დოლარის ფინანსური რესურსი ხელმისაწვდომი გახდა კერძო სექტორისთვის. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული რეფორმები და ფისკალური დისციპლინა იყო ის აუცილებელი წინაპირობა, რომელიც საჭირო იყო პანდემიის უარყოფითი შედეგების მინიმიზაციის მიზნით საერთაშორისო პარტნიორებისგან სათანადო რესურსების მოსაზიდად.

ევროკავშირმა და ევროპის გუნდმა (Team Europe) COVID-19 პანდემიასთან ბრძოლაში საქართველოს დასახმარებლად უზრუნველყვეს 1.5 მილიარდი ლარის მობილიზება, ახალი სახსრების მოზიდვისა და არსებულის გადანაწილების გზით. ამ თანხის თითქმის 2/3 გრანტის სახითაა წარმოდგენილი, დანარჩენი კი შეღავათიანი სესხის სახით. ეს ევროკავშირის მიერ მსოფლიოს ნებისმიერი უცხო ქვეყნისთვის ერთ სულ მოსახლეზე გაწეული დახმარების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, რაც უპრეცედენტო კრიზისის დროს ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოხატულ მტკიცე სოლიდარობას ადასტურებს.

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კრიზისის დაწყებიდან მობილიზებული მხარდაჭერა სხვადასხვა ქმედებებს მოიცავს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეებისთვის დახმარებას პანდემიის შედეგების დაძლევასა და ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. იგი ასევე ითვალისწინებს სამედიცინო აღჭურვილობით უზრუნველყოფას, დაუცველი ჯგუფების სოციალურ დახმარებას, ბიზნესებისთვის და ფერმერებისთვის ქვეყნის მასშტაბით სესხებისა და გრანტების გაცემას, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის პირდაპირ ფინანსურ მხარდაჭერას.

დაფინანსების ორი შეთანხმება, რომელსაც 2020 წლის 29 სექტემბერს ხელი მოეწერა ევროკავშირის საქართველოსთვის Covid-19-თან გამკლავებაში დახმარების პაკეტის ფარგლებში, მხარდაჭერას ძირითად სფეროებში გააძლიერებს:

„ხელშეკრულება COVID-19 მიმართ საქართველოს მედეგობისთვის“

75 მილიონი ევროს ოდენობის გრანტის საშუალებით ევროკავშირი მხარს დაუჭერს ქვეყნის ანტიკრიზისულ ეკონომიკურ გეგმას, რომლის მიზანია დაეხმაროს საქართველოს მოქალაქეებს პანდემიის შედეგებთან გამკლავებაში. გათვალისწინებული ზომები მოიცავს სოციალურ დახმარებას დაუცველი ოჯახებისთვის და ბიზნესების მხარდაჭერას, რომლებმაც რთულ პერიოდში სამუშაო ადგილების შენარჩუნება შეძლეს. ეს კომპონენტი ასევე ითვალისწინებს ინფიცირების პოტენციური მატებისთვის მოსამზადებლად ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში საწოლების რაოდენობის გაზრდას.

პროგრამა „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის“

ევროკავშირი ამ გეგმას 54 მილიონი ევროს ოდენობის გრანტების საშუალებით დაეხმარება, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას. იმისათვის, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ ეკონომიკური განვითარებით ისარგებლოს, პროგრამა გაამახვილებს ყურადღებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე და კონკრეტულ ქმედებებზე მოქალაქეებისთვის, როგორიცაა ურბანული ზონების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ან მშენებლობა, ტურიზმის განვითარების წახალისება, ასევე მცირე და საშუალო კომპანიების და ინოვაციების მხარდაჭერა. პროგრამა ასევე მოიცავს ზომებს, რომელიც დეცენტრალიზაციას და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას უჭერს მხარს. ეს ორი შეთანხმება „ევროპის გუნდის“ ინიციატივის ფარგლებში ევროკავშირის COVID-19-ზე რეაგირების შემადგენელი ნაწილია და ხელი მოეწერა პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტის კონტექსტში.

2020 წლის 2 მაისს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაასრულა საქართველოში მიმდინარე „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი სამწლიანი პროგრამის მეექვსე მიმოხილვა. სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ ასევე დაამტკიცა საქართველოსთვის ხელმისაწვდომი თანხის ქვოტის 130 პროცენტით ზრდა, ამით საქართველოსთვის ხელმისაწვდომი მთლიანი თანხა SDR 484 მილიონს (ქვოტის 230 პროცენტს) გაუტოლდება.

ამ მიმოხილვის დასრულებისას საქართველოსთვის ხელმისაწვდომი ხდება SDR147 მილიონი (დაახლოებით $200 მილიონი დოლარი) საბიუჯეტო დახმარების სახით, რაც საქართველოს მოეხმარება COVID-19 პანდემიის გამო შექმნილი საბიუჯეტო და საგადამხდელო ბალანსის მყისიერი საჭიროებების მოგვარებაში, მათ შორის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაზრდილი ხარჯების დაფინანსებაში. ამ ჩამორიცხვის შემდეგ, საქართველოს მთლიანი ჩამორიცხვები გაუტოლდება SDR 327 მილიონს (დაახლოებით $448 მილიონ დოლარს).

მიმოხილვის მსვლელობისას სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ ასევე დააკმაყოფილა ქვეყნის ხელისუფლების თხოვნა პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტის დეფიციტზე დაწესებული კრიტერიუმის დაუცველობის უგულებელყოფის შესახებ.

პანდემია, სავარაუდოდ, საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვან კვალს დატოვებს, რაც წინა წლებში ეკონომიკური ზრდის პოზიტიურ ტენდენციას შეაფერხებს. შესუსტებულმა მაკროეკონომიკურმა მდგომარეობამ და ფისკალურმა ვითარებამ, შექმნა საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის და ბიუჯეტის დაფინანსების მყისიერი საჭიროება. სსფ-ს მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაზრდილი ხარჯის დაფინანსებაში.

მსოფლიო ბანკმა საქართველოს 80 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის ფინანსური მხარდაჭერის პაკეტი გამოუყო, რათა დაეხმაროს მთავრობას ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროში COVID-19-ით გამოწვეული შედეგების შერბილებასა და მათზე რეაგირებაში. აღნიშნული დაფინანსება მსოფლიო ბანკის COVID-19-ზე სწრაფი რეაგირების პაკეტის ნაწილია (FTCF). მსოფლიო ბანკი, ასევე, თანამშრომლობს აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან თანადაფინანსების ხელშეკრულებით დამატებით 100 მლნ. აშშ დოლარის მოსაზიდად.

პროექტის მიზანია იმ ღონისძიებების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული საფრთხის პრევენციას, გამოვლენას და მასზე რეაგირებას, ასევე, დაუყოვნებელი სოციალური დახმარების უზრუნველყოფას ყველაზე მოწყვლადი ფენისთვის. მოსალოდნელია, რომ პროექტი სარგებელს მოუტანს მოსახლეობის ფართო სპექტრს, კერძოდ კი მოსახლეობის ინფიცირებულ და რისკის ქვეშ მყოფ იმ ნაწილს, როგორებიც არიან მოხუცები, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები და, ასევე, საგანგებო სიტუაციებზე მომუშავე და სამედიცინო პერსონალი. ჯანდაცვის მიმართულებით COVID-19-ზე რეაგირების საგანგებო ღონისძიებები მოიცავს დაავადების შემთხვევების გამოვლენას და დადასტურებას, ტესტირების ზრდას, ისევე როგორც შემთხვევების სამართავად ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებას.

ამასთან ერთად, პროექტი გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევს ღარიბ და მოწყვლად შინამეურნეობებს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გაფართოებით და დროებითი ფულადი ტრანსფერების უზრუნველყოფით იმ პირებისთვის, რომელთაც პანდემიის გამო სამუშაო დაკარგეს.

„სწრაფი დახმარების მექანიზმის საშუალებით ჩვენ ხელს ვუწყობთ ადამიანების სიცოცხლის გადარჩენას და ამ რთულ პერიოდში პანდემიის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების საარსებო სახსრების დაცვას“, აღნიშნა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსმა. „საქართველოსთვის მსოფლიო ბანკის დაფინანსების პაკეტი COVID-19-ზე რეაგირების ღონისძიებებისთვის, ჩვენი შეფასებით, დაახლოებით 200 მლნ. აშშ დოლარი იქნება, რასაც ემატება 300 მლნ. აშშ დოლარის დაფინანსებაც, რომლის გამოყოფაც დაგეგმილი იყო 2020-2021 წლებში ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო ისეთი მნიშვნელოვანი პროექტებისთვის, როგორებიცაა ციფრული კავშირი და ინფრასტრუქტურა“.

დაბოლოს, მსოფლიო ბანკი აქტიურად განაგრძობს საქართველოს მთავრობისთვის დროული საკონსულტაციო დახმარების გაწევას ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და ეკონომიკური მიმართულებით საუკეთესო გლობალური პრაქტიკის გაზიარების საშუალებით, არსებული კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბანკი ასევე ასრულებს შესყიდვის აგენტის როლს (კლიენტი ქვეყნების სახელით), რაც გულისხმობს გლობალურ მომწოდებლებთან პირდაპირი ოპერაციების წარმოებას სამედიცინო ტექნიკისა და მარაგების შესაძენად.

დასკვნები და წინადადებები:

კოვიდ-19-ის პანდემიამ საქართველოს ეკონომიკას მძიმე დარტყმა მიაყენა. საგარეო მოთხოვნისა და ტურიზმის შემცირებამ გამოიწვია საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის ზრდა, ლარის გაუფასურება

და ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი კლება. პრაქტიკულად გაჩერებული ტურიზმის სექტორის და შემცირებული საგარეო ინვესტიციების ფონზე, აუცილებელია ეკონომიკის სექტორული რეფორმირება. პოსტ-პანდემიური კრიზისის დასაძლევად, სახელმწიფოს მხრიდან, აქტიური პოლიტიკის გატარება არის საჭირო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე საქართველოს მიერ მოზიდულ იქნა 1.5 მლრდ. აშშ დოლარი საბიუჯეტო დახმარება, რაც საქართველოს მოეხმარება COVID-19 პანდემიის გამო შექმნილი საბიუჯეტო და საგადამხდელო ბალანსის მყისიერი საჭიროებების მოგვარებაში, მათ შორის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაზრდილი ხარჯების დაფინანსებაში.

ბიბლიოგრაფია:

საქართველოს ეროვნული ბანკი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3928&fbclid=IwAR1aLvVLoAaeh09AJheLaODiwbgTRF-Zi9ZK-5yW36chqdRn9ixPyLwQpyk

საქართველოს მთავრობა. (თ. გ.). *Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (თ. გ.). *საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.mof.ge/5355

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2020 წლის 29 აპრილი). *მსოფლიო ბანკი COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირებისთვის საქართველოს დასახმარებლად 80 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://mof.ge/News/9392

Delegation of the European Union to Georgia. (2020, 09 29). *EU and Georgia sign Financing Agreements for COVID-19 Recovery worth €129 million.* Retrieved from https://eeas.europa.eu/delegations/georgia/85998/eu-and-georgia-sign-financing-agreements-covid-19-recovery-worth-%E2%82%AC129-million_en

Tea Khorguashvili
Gori State University
Natia Khorguashvili
European University
Lia Nadiradze
Gori State University

DONOR FINANCIAL INVOLVEMENT AND COORDINATION IN GEORGIA UNDER COVID 19

RESUME

The Kovid-19 pandemic has hit the Georgian economy hard. The decline in foreign demand and tourism has led to an increase in the balance of payments deficit, a depreciation of the lari and a significant decline in economic activity. The Georgian side has a strong experience in implementing sound macroeconomic policies, which has significantly contributed to the creation of foreign reserves and fiscal reserves. Their use may be part of a political response to combat the economic impact and impact of the coronavirus on the Georgian economy. Asian Development Bank, Asian Infrastructure Investment Bank, European Bank for Reconstruction and Development, European Union and European Investment Bank, Federal Republic of Germany - through the Reconstruction Credit Bank (KfW), the French Republic - through the Development Agency (AFD), the International Monetary Fund and the World Bank Group The coordination provided rapid support to Georgia**.**

Keywords: Financial crisis, Funding scheme, Investments, Foreign reserves, Economic effects of coronavirus.

ნუგზარ აბრამიშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლოგიკური პოზიტივიზმი და ტრადიციული ფილოსოფია

საკვანძო სიტყვები: მეტაფიზიკა, ჭეშმარიტება, ფსევდოდებულება, ვერიფიცირება, ლოგიკური ანალიზი.

ფილოსოფიის შესახებ ლოგიკურ პოზიტივისტური თვალსაზრისი სათავეს იღებს ლუდვიგ ვიტგენშტაინის „ლოგიკურ ფილოსოფიური ტრაქტატიდან“, რომლის მიხედვითაც არანაირი ფილოსოფიური პრობლემები არ არსებობს და რომ ყველა ჭეშმარიტი პრობლემა არის მეცნიერული. რასაც ფილოსოფიის პრობლემებს უწოდებენ, სინამდვილეში ფსევდოპრობლემებია, ხოლო ფილოსოფიის დებულებები და თეორიები - ფსევდოდებულებები და ფსევდოთეორიები; რომ ისინი მცდარნი კი არ არიან, არამედ წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ სიტყვების უაზრო კომბინაციებს, რომლებიც იმ ბავშვის უაზრო ტიტინივით უშინაარსოა, რომელსაც ლაპარაკი ჯერ ხეირიანად არ უსწავლია.

ვიტგენშტაინი „ტრაქტატში“ იმის ჩვენებას ცდილობს, რომ ე.წ. ფილოსოფიური ანუ მეტაფიზიკური დებულებები სინამდვილეში არ არიან დებულებები ან ფსევდოდებულებები არიან. მათ არა აქვთ საზრისი, უაზრონი არიან. ყველა ნამდვილი (საზრისიანი) დებულება წარმოადგენს ან დაიყვანება იმ „ატომარული ფაქტების“ აღმწერ ელემენტარულ ან ატომარულ დებულებებზე, რომელთა დადგენა პრინციპულად შესაძლებელია დაკვირვებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზრისიანი დებულებები მთლიანად დაიყვანება ელემენტარულ ანუ ატომურ დებულებებზე, რომლებიც ფაქტიურ ვითარებათა აღმწერი მარტივი მტკიცებებია და რომელთა მიღება ან უკუგდება დაკვირვებითაა შესაძლებელი. თუ ჩვენ მტკიცებას „დაკვირვების მტკიცებას“ ვუწოდებთ არა მხოლოდ მაშინ, როცა მასში ჩამოყალიბებულია აქტუალური დაკვირვება, არამედ მაშინაც, როცა ადგენს რაიმეს, რასაც შეიძლება დავაკვირდეთ, უნდა ვთქვათ, რომ ყოველი ნამდვილი დებულება უნდა იყოს დაკვირვების მტკიცებათა ჭეშმარიტების ფუნქცია და ამიტომ მათგან გამოყვანადი. ყველა სხვა გამონათქვამი, რომელსაც დებულების სახე აქვს, უსაზრისო ფსევდო დებულებაა და ისინი სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა უაზრო ბლუკუნს.

ამ იდეას ვიტგენშტაინი მეცნიერების, როგორც ფილოსოფიის საპირისპიროს, დასახასიათებლად იყენებს. „ტრაქტატში“, როცა ის ბუნების მეცნიერებას ფილოსოფიას უპირისპირებს, ვკითხულობთ: „ჭეშმარიტ დებულებათა მთელი ერთობლიობა არის მთელი ბუნების მეტყველება ანუ ბუნების მეცნიერებათა მთელი ერთობლიობა“ (Витгенштейн, 1958, стр. 97). ეს ნიშნავს, რომ მეცნიერების დებულებები ისინია, რომლებიც გამოყვანადია დაკვირვების ჭეშმარიტი მტკიცებებიდან; ეს არის დაკვირვების ჭეშმარიტი მტკიცებებით ვერიფიცირებადი დებულებები. თუკი გვეცოდინება დაკვირვების ყველა ჭეშმარიტი მტკიცება, გვეცოდინება ყველაფერი, რისი მტკიცებაც ბუნების მეტყველებას ძალუძს. ეს არის ვიტგენშტაინისეული მეცნიერებისა და ფილოსოფიის გამიჯვნის ცნობილი ვერიფიკაციის კრიტერიუმი, რომელიც „ტრაქტატში“ ასეა ფორმირებული: „მტკიცებები, რომლებსაც მეცნიერებას მივაკუთვნებთ, ისეთები იყვნენ, რომ შეიძლებოდეს მათი ვერიფიცირება დაკვირვების მტკიცებებით; ყველა ეს მტკიცება ერთად ყველა ნამდვილი ან საზრისიანი მტკიცებების კლასს ემთხვევა“ (Витгенштейн, 1958, стр. 99). ამ თვალსაზრისით, ვერიფიცირებადობა, საზრისიანობა და მეცნიერულობა ერთმანეთს ემთხვევა.

ვიტგენშტაინის თვალსაზრისიდან გამომდინარე, შეუძლებელია არსებობდეს ნამდვილი ფილოსოფიური პრობლემები. ყველაფერი, რაც მიჩნეულია ფილოსოფიურ პრობლემად, შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად:

1. წმინდა ლოგიკური ან მათემატიკური საკითხები, რომლებზე პასუხებიც წარმოადგენს ლოგიკურ ან მათემატიკურ დებულებებს და რომლებსაც არა აქვთ ფილოსოფიური ხასიათი;

2. ფაქტობრივი საკითხები, რომლებზეც პასუხები ემპირიულ მეცნიერებათა გარკვეული დებულებებია და რომლებსაც ასევე არა აქვთ ფილოსოფიური ხასიათი;

3. საკითხები, რომლებიც წარმოადგენს პირველისა და მეორის კომბინაციებს და კვლავ არ არიან ფილოსოფიური პრობლემები;

4. უაზრო (უსაზრისო) ფსევდოპრობლემები, რომლებიც ფილოსოფიური პრობლემების სახელითაა ცნობილი.

ფილოსოფიის ამოძირკვის ვიტგენშტაინისეული იდეა რუდოლფ კარნაპის შთაგონების წყარო გახდა, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო რწმენა, რომ არ არსებობს ნამდვილი ფილოსოფიური პრობლემები და ყველაფერი, რისი გაკეთებაც ფილოსოფოსს ძალუძს, არის ტრადიციული ფილოსოფიის მიერ წამოყენებული ენობრივი თავსატეხების ნათელყოფა და გადაჭრა.

მეტაფიზიკის უარყოფას განსაკუთრებული ადგილი უკავია კარნაპის ნააზრევში. სპეციალურად ამ პრობლემას ეძღვნება მისი ნაშრომი - „მეტაფიზიკის გადალახვა ენის ლოგიკური ანალიზის მეშვეობით“.

კარნაპი წერს, ფილოსოფიის ისტორიაში ფილოსოფიას ბევრი მოაზროვნე უარყოფდა. ზოგი მას უარყოფდა იმის გამო, რომ მისი პრობლემები აღემატება ადამიანის შემეცნების შესაძლებლობებს; ზოგი კი ფილოსოფიას უსაზრისოდ მიიჩნევს, მაგრამ ვერავინ მოახერხა ფილოსოფიის უსაზრისობის დასაბუთება. კარნაპი მიიჩნევს, რომ ეს შესაძლებელია ლოგიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ენის ლოგიკური ანალიზით დგინდება, რომ ფილოსოფიური დებულებები არ არიან ნამდვილი წინადადებები; ისინი არ შეიძლება დახასიათდნენ ჭეშმარიტება-მცდარობის ნიშნით. ისინი უსაზრისონი არიან და საერთოდ არ გამოთქვამენ არაფერს.

„ჩვენი თეზისი ამტკიცებს, რომ მეტაფიზიკის ვითომდა წინადადებები ლოგიკური ანალიზის მეშვეობით შიშვლდებიან როგორც მოჩვენებითი წინადადებები“. (Carnap, 1931, p. 224).

კარნაპი თავდაპირველად იზიარებდა ვიტგენშტაინის „ტრაქტატში“ განვითარებულ უსაზრისობის თეორიას. ამ თეორიის თანახმად, ყოველ ენობრივ გამოსახულებას, რომელიც მტკიცება უნდა იყოს, აქვს საზრისი ან უსაზრისოა, მაგრამ არა შეთანხმებით, არა შეთანხმებით დადგენილი წესების შედეგად, არამედ რეალურად, თავისი ბუნების გამო ზუსტად ისე, როგორც მცენარე არის ან არ არის მწვანე რეალურად და არა დადგენილი წესების გამო.

სიტყვათა მიმდევრობების შინაგანი საზრისიანობისა თუ უსაზრისობის კარნაპის თეორიამ მალე იცვალა სახე. ის შეცვალა თეორიამ, რომლის თანახმად, სწორადაა აგებული ენობრივი გამოსახულება თუ არა, დამოკიდებულია იმ ენის წესებზე, რომელსაც ეს გამოსახულება მიეკუთვნება: მას მხარს უბამდა თეორია, რომლის მიხედვითაც, ენის წესები ხშირად არ არის საკმარისად ზუსტი ამ საკითხის გადასაწყვეტად, ასე რომ, დგება საჭიროება უფრო ზუსტი წესების შემოტანისა, ხოლო მათთან ერთად ხელოვნური ენობრივი სისტემის შემოტანისა. სხვანაირად რომ გამოვხატოთ ეს აზრი, საზრისიანობის გულუბრყვილო თეორია შეიცვალა წესიერად აგებული ფორმულების თეორიით და იმ ხელოვნური ენების თეორიით, რომლებიც გარკვეულ წესებს ემორჩილებიან. კარნაპი პრობლემის გადაწყვეტას „მეცნიერების“ ენის აგებით ცდილობს, ენისა, რომელშიც მეცნიერების ყველა კანონიერი დებულება იქნებოდა წესიერად აგებული ფორმულა, მეტაფიზიკური თეორიების ამ ენაზე გამოთქმა კი შეუძლებელი იქნებოდა ან იმის გამო, რომ ტერმინოლოგია არ იქნებოდა მისაწვდომი, ან იმისა, რომ არ იარსებებდა მისი გამომთქმელი წესიერად აგებული ფორმულა. ეს იყო მეცნიერების ენისათვის ხელოვნური სანიმუშო ენების აგების მცდელობა მოტივირებული ფილოსოფიის მოსპობის ამოცანით.

„აგებულებაში“ კარნაპი ავითარებს თვალსაზრისს, რასაც იგი მეთოდოლოგიურ სოლიფსიზმს უწოდებს და რაც ცდას მიიჩნევს იმ საფუძვლად, რომელზეც უნდა აიგოს როგორც მეცნიერების ცნებები, ისე მეცნიერების ენა. შემდეგ კარნაპმა ხელი აიღო ამ აზრზე და გაიზიარა ფიზიკალიზმის თეზისი: ამ თეზისის თანახმად, არსებობს ერთი უნიფიცირებული ენა, რომელიც ლაპარაკობს ფიზიკურ საგნებზე და სივრცესა და დროში მათ მოძრაობაზე. ამ ენაში შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ყველაფრის გამოსახვა ან მასზე თარგმნა, განსაკუთრებით ფსიქოლოგიისა, რამდენადაც ის მეცნიერულია. ფსიქოლოგია უკიდურესად ბიჰევიორისტული უნდა გამხდარიყო, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მისი ნებისმიერი დებულების თარგმნა დებულებად ფიზიკური სხეულების რიცხვით-დროითი მოძრაობის შესახებ. პროტოკოლური წინადადებები, რომლებიც შეადგენს ყოველი შემოწმების საფუძველს, უნდა გვაძლევდეს მონაცემებს ჩვენი საკუთარი დაკვირვებისეული ცდის შესახებ, ოღონდ გამოხატულს ფიზიკური ენით, ე.ი. მონაცემებს ჩვენი საკუთარი სხეულის შესახებ. ეს იყო დამკვირვებლის საკუთარი სუბიექტური ცდის შემოტანის მცდელობა, ე.ი. „მეთოდოლოგიური სოლიფსიზმი“.

ფიზიკალიზმთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული თვალსაზრისი, რომ ფიზიკალისტური ენა უნივერსალურია, რომლითაც შესაძლებელია ითქვას ყველაფერი, რაც საზრისის მქონეა.

„ფიზიკური ენა უნივერსალურია“, - წერდა კარნაპი. თუ მისი, როგორც უნივერსალური ენის ხასიათის გამო ფიზიკის ენას მეცნიერების ენად ჩავთვლით, მაშინ მეცნიერება მთლიანად ფიზიკად გადაიქცევა, მეტაფიზიკა კი გამოირიცხება, როგორც უსაზრისო, ხოლო სხვადასხვა მეცნიერებები ერთი უნიფიცირებული მეცნიერების ნაწილებად გადაიქცევა.

ნათელია, რომ ერთი უნიფიცირებული მეცნიერების უნივერსალური ენის შემოღება მიზნად ისახავს მეტაფიზიკის განდევნას. შესაძლებელი რომ იყოს ყველაფრის ერთ ენაზე გამოხატვა, რის თქმაც სურს ანტიმეტაფიზიკოს მეცნიერს, ენაზე, რომელიც თავისი წესებით შეუძლებლად ხდის მეტაფიზიკური ცნებების გამოხატვას, მაშინ მეტაფიზიკა ვეღარ იარსებებდა.

„ენის ლოგიკურ სინტაქსში" კარნაპი ცვლის თავის თვალსაზრისს და შესაძლებლად მიიჩნევს ფიზიკის ან საერთოდ მეცნიერების ენაში ახალ საწყისი ცნებების და საწყისი წინადადებების თავისუფლად შემოტანას, თუმცა, ამავე დროს ინარჩუნებს ნამდვილი მეცნიერული ცნებებისა და წინადადებებისგან მეტაფიზიკური ფსევდოცნებებისა და ფსევდოწინადადებების განსხვავებისა და ამ უკანასკნელთა თავიდან აცილების აუცილებლობას. „სინტაქსში" კარნაპი კვლავ მეტაფიზიკის უსაზრისობის თეზისს იცავს, თუმცა ის ოდნავ შერბილებულია. მეტაფიზიკურ ცნებათა და წინადადებათა უკუგდება რომ არც ისე ადვილია, ვიდრე ეს ადრინდელ მოსაზრებათა საფუძველზე ჩანდა, „სინტაქსში" აღიარებულია. აღიარებულია ვერიფიცირებადობის კრიტერიუმთან დაკავშირებული სიძნელეები; ასევე საზრისიანობის თეორიის არაადეკვატურობა, მაგრამ იმის რწმენა, რომ შეიძლება დავამკვიდროთ ერთი ენა, რომელიც შესაძლებელს გახდის მეტაფიზიკური ცნებებისა და წინადადებების უსაზრისოდ ქცევას, შენარჩუნებულია.

„სინტაქსში" მეტაფიზიკის უსაზრისობის თვალსაზრისი ასეთი ფორმით არის გამოთქმული:

„ყველა აზრიანი წინადადება ან მიეკუთვნება მეცნიერების ენას, ან (თუ ფილოსოფიურია) შეიძლება გამოიხატოს ამ ენის სინტაქსით. ეს სინტაქსი მოიცავს მეცნიერების მთელ ფილოსოფიას და ლოგიკას იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია მათი თარგმნა „მეტყველების ფორმალურ მოდუსში"; მეტიც, თუ გვინდა, შესაძლებელია ამ სინტაქსის ფორმულირება იმავე უნივერსალური „საობიექტო" ენით, რომლითაც ყველა მეცნიერების ფორმულირებაა შესაძლებელი. ე.ი. ფილოსოფია შესაძლებელია იყოს მხოლოდ, როგორც ლინგვისტური ანალიზი" (Carnap, 1934, p. 210).

კარნაპი სტატიაში - „შემოწმებადობა და მნიშვნელობა", რომელშიც ეხება ჩვენს მთავარ პრობლემას, ცდილობს მეტაფიზიკა გამორიცხოს მეცნიერების ენიდან: შევეცდებით უფრო ზუსტად ჩამოვაყალიბოთ ემპირიზმის პრინციპი იმით, რომ დავადგენთ დადასტურებადობის ანუ შემოწმებადობის მოთხოვნას, როგორც მნიშვნელობის კრიტერიუმს. როგორც ემპირისტები, ჩვენ მოვითხოვთ, რომ მეცნიერების ენა გარკვეულად შეზღუდული იყოს, მოვითხოვთ, რომ დესკრიფციული პრედიკატები და ამიტომ სინთეზური წინადადებები არ უნდა იყოს დაშვებული, თუ კი მათ არა აქვთ რაიმე კავშირი შესაძლო დაკვირვებებთან. რაც არ უნდა იყოს დაშვებული, რა თქმა უნდა არის მეტაფიზიკა. რომც არსებობდეს ყველა მეცნიერებისთვის ადეკვატური ენა, არ მოვისურვებდით მასში გვქონოდა წინადადებები, რომლებიც შეესაბამებიან მეტაფიზიკოსთა წიგნებში ჩამოყალიბებულ ბევრ და შესაძლო უმრავლეს წინადადებას.

ასე რომ, ლ. ვიტგენშტაინისა და რ. კარნაპის თვალსაზრისი მეტაფიზიკაზე ისაა, რომ მეტაფიზიკა აბსოლუტურად უსაზრიოა, რომ ის წმინდა წყლის აბდაუბდაა და მეტი არაფერი. ის იმავე თვისების მქონეა, რაც ოხვრას, კვნესას, ცრემლებს ან პოეზიას ახასიათებს, მაგრამ არა მკაფიო მეტყველებას, რომ შეუძლებელია მეტაფიზიკის გამოხატვა იმ ენებით, რომლებიც მეცნიერების მიზნებისთვისაა საჭირო.

მეტაფიზიკის განადგურებისა და განდევნის ლოგიკურ პოზიტივისტური მცდელობა წარმადგენს ყველაზე რადიკალურს ფილოსოფიის ისტორიაში არსებულ ანტიმეტაფიზიკურ თვალსაზრისებს შორის.

ასეთი შემეცნებითი პოზიციიდან ამოსული ლოგიკური პოზიტივიზმი გარკვეულ მსოფლმხედველობას წარმოადგენს. ის ივიწყებს იმას, რომ ადამიანი არსებითად თავისუფალი და შემოქმედი არსებაა. ადამიანს ფიზიკური საგნის ანალოგიურად განიხილავს და უდგენს ცხოვრების შესატყვის წესს, შესატყვის მსოფლმხედველობრივ ორიენტაციას.

ზურაბ კაკაბაძე შემდეგნაირად ახასიათებს პოზიტივისტურ მსოფლმხედველობას: „ადამიანმა უნდა შეიცნოს მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და იხელმძღვანელოს ამ კავშირების ცოდნით. ეს ხელმძღვანელობა ნიშნავს იმას, რომ ხელოვნურად შევქმნათ პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანისთვის საჭირო შედეგებს. ასეთებად კი, პირველ ყოვლისა, წარმოსდგებიან სხეულებრივ-ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები. ადამიანისთვის ერთადერთი მნიშვნელოვანია სხეულებრივი კეთილდღეობა, კომფორტი: სმა-ჭამა, სქესობრივი აქტი, სივრცეში გადაადგილება და ა.შ. ადამიანმა მხოლოდ ამ კეთილდღეობაზე უნდა იზრუნოს. ამის ერთადერთი გზაა სხეულებრივი სამყაროს კანონების აღმოჩენა, ადამიანის სხეულებრივი ორგანიზმისა და გარეპირობების ურთიერთობის კანონების დადგენა და ამ ცოდნის საფუძველზე სხეულისათვის სასარგებლო და მოხერხებული ნივთების შექმნა. ადამიანის ყველა გასაჭირი, წუხილი, უბედურება სხვა არაფერია, თუ არა სხეულებრივი კეთილდღეობის ნაკლი. ასეთი კეთილდღეობის დამყარების ერთადერთი გზაა ბუნების კანონებზე დაყრდნობილი ტექნიკური საქმიანობა. ტექნიკური საქმიანობა არის სწორედ კომფორტის ნივთების ხელოვნური ქმნა.

ადამიანის ყველა სასიცოცხლო პრობლემა დაიყვანება კომფორტის პრობლემაზე.“ (კაკაბაძე, 1985, გვ. 24).

ფილოსოფიამ, რომელიც უძველესი დროიდან აცხადებდა პრეტენზიას, რომ მოიცავდა ყველა შესაძლო პრობლემას, ე.ი. დააფუძნებდა წარმოდგენებს ყოფიერების ყველა შესაძლო სახეზე, პოზიტივიზმის წყალობით, შეწყვიტა თავისი თავდაპირველი პრეტენზიის გამართლება და ბუნებისმეცნიერების ცალმხრივ დაფუძნებად გადაიქცა.

ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობა არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება ანდა გარკვეულ პრაქტიკულ უტილიტარულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალება. ის უნდა ემსახურებოდეს ადამიანის ყოფიერების ისეთ ფუნდამენტურ ინტერესებს, როგორიცაა მისი არსებისა და საზრისის რეალიზაცია. პოზიტივისტურად დაფუძნებული ბუნებისმეცნიერებები კი კარგავენ ყოველგვარ კავშირს ადამიანის ფუნდამენტურ ინტერესებთან და როგორც კირკეგორი შენიშნავს „არაადამიანური ცნობისმოყვარეობის სახედ იქცევიან“.

პოზიტივიზმი სწორედ გონივრულობის, ეთიკურობისა და გონითობის პრობლემებს გამორიცხავს ფილოსოფიური აზროვნების სფეროდან, ის გამორიცხავს იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ადამიანისთვის, ის გამორიცხავს საკითხებს მთელი ადამიანური არსებობის აზრიანობასა და უაზრობაზე. ადამიანს კი, როგორც თავისუფალ არსებას, პირველ რიგში, სწორედ ამ საკითხებში ორიენტირება ესაჭიროება, ადამიანს განსაკუთრებით სჭირდება გარკვევა გონივრულ-თავისუფალი ამორჩევის შესაძლებლობებში პოზიტივიზმს კი არაფრის თქმა არ შეუძლია ამ საკითხებზე. ამ მსოფლმხედველობით ორიენტირებული ადამიანი თავის ძირითად საქმიანობად ტექნიკურ საქმიანობას მიიჩნევს და ავითარებს მას როგორც სწორედ ძირითად საქმიანობას. ადამიანი ძირითადად ტექნიკის განვითარებით ხდება დაკავებული, მიაჩნია რა, რომ ყველა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ტექნიკის საფუძველზე, რომ ტექნიკა არის საკმაო საფუძველი და გარანტია ადამიანის ბედნიერებისა, ხდება ტექნიკური საქმიანობის აბსოლუტიზაცია, რაც შედეგად იწვევს ადამიანური არსებობის იმ კრიზისს, რომლის სახელიცაა „ტექნიკური გაუცხოება“.

ბიბლიოგრაფია:

კაკაბაძე, ზ. (1985). *„ექსისტენციური კრიზისის“ პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია.* თბილისი: მეცნიერება.

Carnap, R. (1931). Überwindung der Metaphysik durch logische Analyse der Sprache. *Erkenntnis, 2*, 219–241.

Carnap, R. (1934). *Logische Syntax der Sprache*. Wien.

Витгенштейн, Л. (1958). *Логико-философский трактат*. Москва.

Nugzar Abramishvili

Gori State University

LOGICAL POSITIVISM AND TRADITIONAL PHILOSOPHY

RESUME

The logical positivism denies metaphysics as having no sense at all. The logic-positivistical denial of Metaphysics is more radical among those antimetaphysical views in the history of philosophy. By the denial of metaphysics one denies the spiritualness, the thing that makes a man, the result of it is the crisis of the man’s existence, which is called ”technical estrangement”.

Keywords: Metaphysics, Truth, Pseudo-regulations, Verification, Logical analysis.

კლარა ელჩიბეგაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადამიანის პრობლემა ფილოსოფიაში

საკვანძო სიტყვები: მოაზროვნე, ჰიპოთეზა, შემეცნება, მსოფლმხედველობა, ზნეობა, იმპერატივი, მრწამსი, ინტელექტი.

შესავალი. ტრადიციულად მიღებულია, რომ ადამიანის პრობლემის შესახებ პირველად მსჯელობა ძველ საბერძნეთში დაიწყეს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ძველინდური და ძველჩინური მოძღვრებები. ციცერონის აზრით, სოკრატე იყო პირველი მოაზროვნე, რომელმაც ფილოსოფია კოსმოსური პრობლემატიკით ციდან დედამიწაზე ჩამოიყვანა და ადამიანები აიძულა ეფიქრათ ზნეობის, სიკეთისა და ბოროტების შესახებ. სოკრატე ყურადღებას ამახვილებდა ადამიანის შინაგან სამყაროზე, შემეცნების პროცესზე. პირველი შეხედულებები ადამიანზე გაცილებით ძველია, ვიდრე თვით ფილოსოფია. ისტორიის საწყის ეტაპზე ადამიანებს ახასიათებთ მითოლოგიური და რელიგიური თვითშემეცნების ფორმები, უძველეს ლეგენდებში და მითებში მოთხრობილია ადამიანის ყოფის, აზროვნების, დანიშნულების და ბუნების შესახებ. ადამიანის ფილოსოფიური გაგების კრისტალიზაცია ხდება მოგვიანებით ამ უძველეს ლეგენდებსა და მითებში ჩადებულ წარმოდგენებზე, იდეებზე, სახეებზე, გააზრებებსა და დიალოგებზე დაყრდნობით. სწორედ ასე წარმოიქმნა პირველი სწავლებები ადამიანის შესახებ. ადამიანის შესახებ ძველაღმოსავლური ფილოსოფიაში მთავარი ორიენტირი პიროვნული განვითარებაა როგორც სოციალურ, ისე ბუნებრივ გარემოში, უმთავრესია ადამიანის შინაგანი სამყაროს სრულყოფა. ყოველი კონკრეტული ადამიანი დამოუკიდებლად განსაზღვრავს სრულყოფილების მიმართულებას და წარმოადგენს თავისი თავის ღმერთს და გადამრჩენელს.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

პირველი შეხედულებები ადამიანზე გაცილებით ძველია, ვიდრე თვით ფილოსოფია. ისტორიის საწყის ეტაპზე ადამიანებს ახასიათებთ მითოლოგიური და რელიგიური თვითშემეცნების ფორმები, უძველეს ლეგენდებში და მითებში მოთხრობილია ადამიანის ყოფის, აზროვნების, დანიშნულების და ბუნების შესახებ. ადამიანის ფილოსოფიური გაგების კრისტალიზაცია ხდება მოგვიანებით ამ უძველეს ლეგენდებსა და მითებში ჩადებულ წარმოდგენებზე, იდეებზე, სახეებზე, გააზრებებსა და დიალოგებზე დაყრდნობით. სწორედ ასე წარმოიქმნა პირველი სწავლებები ადამიანის შესახებ.

„ტრადიციულად მიღებულია, რომ ადამიანის პრობლემის შესახებ პირველად მსჯელობა ძველ საბერძნეთში დაიწყეს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ძველინდური და ძველჩინური მოძღვრებები. ციცერონის აზრით, სოკრატე იყო პირველი მოაზროვნე, რომელმაც ფილოსოფია კოსმოსური პრობლემატიკით ციდან დედამიწაზე ჩამოიყვანა და ადამიანები აიძულა ეფიქრათ ზნეობის, სიკეთისა და ბოროტების შესახებ. სოკრატე ყურადღებას ამახვილებდა ადამიანის შინაგან სამყაროზე, შემეცნების პროცესზე.“ (აბაშიძე, 2018, გვ. 85-90)

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი შეკითხვაზე „რა არის ადამიანი?“ პასუხობდა, რომ „ადამიანი ესაა ორფეხა ცხოველი ფრთების გარეშე“, მეორე უდიდესი მოაზროვნე არისტოტელე ადამიანს პოლიტიკურ ცხოველს უწოდებდა. ძველი საბერძნეთის უდიდესი მოაზროვნის სოკრატეს მიერ (469-399 ჩვ. წ.აღ.მდე) ადამიანი გახსნილი იქნა, როგორც სუბიექტი, რომელსაც როგორც პასუხისმგებელ პირს, როგორც მორალურ სუბიექტს, შესწევს უნარი პასუხი გასცეს საკუთარ თავსაც და სხვასაც, ის მოაზროვნე არსებაა, ის შეიმეცნებს. სოკრატე ადამიანის სხეულს უწოდებს ინსტრუმენტს, ხოლო სულს - სუბიექტს, რომელიც ამ სხეულით სარგებლობს. კაცი, ამბობს სოკრატე, არქიტექტორია საკუთარი ბედნიერებისა და უიღბლობის, ბედნიერების წყარო სულია.

სოკრატეს მოსწავლე პლატონი (427-347 ჩვ. წ.აღ.მდე) ამტკიცებს, რომ თუ ადამიანის არსი მისი სულია, სხეულს სულაც არ სჭირდება განსაკუთრებული ზრუნვა და აღმზრდელის მთავარი ამოცანაა სწორად გამოძერწოს მოწაფის სული. პლატონმა ხაზი გაუსვა სულის უკვდავების პრობლემას, წამოაყენა სულის მიგრაციის ჰიპოთეზა ერთი სხეულიდან მეორეში გადასვლის მომენტში. მისი აზრით ადამიანის დაბადებამდე მისი სული სუფთა აზროვნების და სილამაზის სამეფოშია, შემდეგ ის ხვდება ცოდვილ

დედამიწაზე, სადაც დროებით იმყოფება ადამიანის სხეულში, როგორც ციხეში მყოფი პატიმარი. დაბადების შემდეგ სულმა უკვე იცის ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს. სული უკვდავია, აქტიურია აზროვნების პროცესში, ადამიანის გარდაცვალების შემდეგ სული ჯერ კიდევ დედამიწაზე ირჩევს თავის მომავალს. პლატონი „სახელმწიფოში“ წერს, რომ ის, ვინც ამ ცხოვრებაში სწორად აზროვნებს და სწორია მისი ცხოვრებისეული ფილოსოფია, შეძლებს ბედნიერი იყოს არამიწიერ ცხოვრებაშიც, შეუფერხებლად გადავა სამოთხეში.

არისტოტელე იყო პლატონის მოწაფე (384-322 ჩვ. წ.აღ.მდე), მაგრამ მთელ რიგ საკითხებში არ ეთანხმებოდა მას. მისი აზრით სამყაროს მთავარი მამოძრავებელია ღმერთი, როგორც მრწამსის მწვერვალი. მხოლოდ არისტოტელესთან ღმერთი არ არის ყველგან და არ განსაღვრავს მოვლენებს. ადამიანს აქვს სამყაროს შემეცნების უნარიც და გონებაც, ამიტომ დამოუკიდებლად უნდა მოძებნოს თავისი ცხოვრების აზრი. რაც შეეხება ადამიანის სულის კვლევას, მან ამ თემას სპეციალური ტრაქტატი მიუძღვნა სახელწოდებით „სულის შესახებ“.

„არისტოტელეს აზრით ადამიანს აქვს სამი სახის სული: ვეგეტატიური, გრძნობადი და რაციონალური, რომელიც არის მხოლოდ ადამიანისათვის მახასიათებელი აქტიური ინტელექტი. არისტოტელეს აზრით ეს სული, ეს ინტელექტი გარედან მოდის და ღვთიურია. ეს შორიდან მოსული ინტელექტი ადამიანთან რჩება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სიცოცხლე იოლი არაა, მცენარეებიც ცოცხლობენ, ასევ იოლი არაა გრძნობდე, ცხოველებიც მგრძნობიარეები არიან. გონების აქტივობა - ესაა ადამიანის ყველაზე ღირსეული მიზანი, არისტოტელეს აზრით ადამიანად ყოფნის მთავარი გამოხატულება ინტელექტია.“ (ბროუგანი, 1998, გვ.171-178)

სოკრატეს აზრით ბრძენის საქმიანობის უმაღლესი ხარისხია შესწავლა იმისა, თუ რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს ადამიანს საკუთარ მესთან. მისი აზრით თუ მისი წინამორბედი მოაზროვნეები, ე.წ. ბუნების ფილოსოფოსები, ცდილობდნენ ეპოვათ პასუხები კითხვებზე: რა არის საგნების ბუნება და რეალობა, მისთვის უმთავრესია პასუხი შეკითხვაზე: რა არის ადამიანის არსი, როგორია ადამიანის ბუნება და რეალობა.

ძველინდური ფილოსოფია ადამიანის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, წარმოდგენილია უძველეს ინდურ ლიტერატურულ ძეგლებში, რომლებშიც წარმოდგენილია ამ ეპოქის მითოლოგიური, რელიგიური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. ამ წყაროების თანახმად რაც უფრო მეტად განთავისუფლდება ადამიანი ყოფითი ლტოლვებისაგან, მით მეტად სრულყოფილი და მორალურია. ეს პროცესი ხორციელდება ინდივიდუალური სულის მსოფლიო სულში შერწყმის გზით, რადგან ესაა სამყაროს უნივერსალური პრინციპი.

„ძველ ინდურ ფილოსოფიაში ადამიანი განიხილება, როგორც მსოფლიო სულის ნაწილი. სულების გადასახლების შესახებ სწავლებებში საუბარია იმის შესახებ, რომ ზღვარი ცოცხალ არსებებსა (მცენარეები, ცხოველები, ადამიანები...) და ღმერთებს შორის დაძლევადი და მოძრავია. ყველა სხვა ცოცხალი არსებებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ადამიანს შესწევს უნარი თავი დააღწიოს მიწიერ ლტოლვებს.“ (ვივეკანანდა, 2012)

ძველმა ჩინურმა ფილოსოფიამაც ასევე შექმნა ძალიან თავისებური სწავლება ადამიანის შესახებ. ჩინური ფილოსოფიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა კონფუციმ ჩამოაყალიბა „ცის“ კონცეფცია, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ბუნებას, ასევე უმაღლეს სულიერ ძალას, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიოს და ადამიანის განვითარებას. კონფუცის ფილოსოფიის ცენტრში არ არის მხოლოდ ცა, ან ბუნება, არამედ ადამიანი, მისი მიწიერი ცხოვრება და არსებობა, ანუ ის ატარებს ანთროპოცენტრულ ხასიათს.

საზოგადოების უზნეობით შეშფოთებული კონფუცი უპირველეს ყოვლისა ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ზნეობრივ მხარეზე. ის წერდა, რომ ადამიანი ვალდებულია იმოქმედოს დაოს მორალური კანონებით და შემდგომი სწავლების პროცესში მოახდინოს ამ თვისებების სრულყოფა. სწავლების მთავარი მიზანია „იდეალური ადამიანის“ დონემდე მიღწევა, ეს არის კონცეფცია, რომელიც პირველად კონფუციმ შეიმუშავა. იმისათვის, რომ „იდეალურ ადამიანს“ მივუახლოვდეთ, თითოეულმა ადამიანმა უნდა დავიცვათ მთელი რიგი ეთიკური პრინციპები, რომელიც გულისხმობს: ადამიანურობას, ჰუმანურობას, კაცთმოყვარეობას და ფორმულირდება შემდეგნაირად - არ გაუკეთო ადამიანებს ის, რასაც შენ თავს არ უსურვებ. სხვადასხვა ვარიანტით ეს წესი, როგორც ზნეობრივი იმპერატივი შემდეგ გვხვდება ძველ საბერძნეთში, ბიბლიაში, კანტთან და სხვა ფილოსოფოსებთან.

კონფუცის სწავლებების კვალდაკვალ ყურადღება უნდა გავამახვილოთ დაოსიზმზე, რომლის ფუძემდებელიცაა ლაო-ძი, ესაა უხილავი, ყველგანარსებული, ჭეშმარიტი და ბუნების, საზოგადოების, ქცევის და ცალკეული ადამიანების აზროვნების სპონტანური კანონი. მოძღვრების თანახმდ ადამიანის ქცევა თანხვედრაში უნდა იყოს ადამიანის და სამყაროს ბუნებასთან.

ადამიანის შესახებ ძველაღმოსავლური ფილოსოფიაში მთავარი ორიენტირი პიროვნული განვითარებაა როგორც სოციალურ, ისე ბუნებრივ გარემოში, უმთავრესია ადამიანის შინაგანი სამყაროს სრულყოფა. ყოველი კონკრეტული ადამიანი დამოუკიდებლად განსაზღვრავს სრულყოფილების მიმართულებას და წარმოადგენს თავისი თავის ღმერთს და გადამრჩენელს.

ბუდიზმის თანახმად, ადამიანს დედამიწაზე გადაეცემა შვიდი მატერიალური სიცოცხლე, რომლის განმავლობაშიც მან უნდა მიაღწიოს სულის მაქსიმალურ სრულყოფას. ამ შვიდი სასიცოცხლო წრის გავლის შემდეგ ადამიანი უბრუნდება ქვედა მატერიის სამყაროს - ბუნებას და ამ დროს თუ მისი სული არ იქნება მაქსიმალურად სრულყოფილი, ის ადის ასტრალურ სამყაროში.

„Homo Sapiens (გონიერი ადამიანი) ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე გამოეყო ცოცხალ სამყაროს, დროის რა მონაკვეთში მიმდინარეობდა ეს პროცესი, ან რა მექანიზმით მოხდა ეს ცვლილება, ამ შეკითხვაზე პასუხი მეცნიერებას ჯერ კიდევ არ აქვს. საინტერესოა ფრანგი ფილოსოფოსის, ეკზისტენციალისტის ალბერ კამიურს (1913-1960) შეხედულებები ადამიანის შესახებ, იგი მიიჩნევს, რომ ცხოვრება ირაციონალური აბსურდული პროცესია, რომელსაც არანაირი კანონზომიერება არ გააჩნია. მთავარი როლი ამ პროცესში აქვს შემთხვევითობას. ადამიანი, წერს კამიუ, ეჯახება სამყაროს ირაციონალობას და გრძნობს, რომ უნდა იყოს გონიერი. აბსურდი წარმოიშობა ადამიანის შესაძლებლობებსა და სამყაროს არაგონივრულ სიჩუმეს შორის შეჯახებაშიო.“ (ბროუგანი, 1998, გვ. 171-178)

„ადამიანის შესახებ მსჯელობა რთულია, მას აქვს მრავალმხრივი ბუნება: კოსმიური, ბუნებრივი, სოციალური და სულიერი. ანთროპოლოგია, როგორც ადამიანის შემსწავლელი მეცნიერება მხოლოდ XX საუკუნიდანაა ფილოსოფიის შემადგენლობაში და გამოყოფილია, როგორც დამოუკიდებელი მიმართულება, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის სახელწოდებით. ადამიანის არსებობის მრავალმხრივობა აისახება სხეულისა და სულის არსებობაში. სხეული გამოხატავს ადამიანის ბუნებრივ ხასიათს, სული კი არის ადამიანის ინდივიდუალური შინაგანი სამყარო. ადამიანის არსის გაგებისას გამოიყენება ტერმინები: ინდივიდი, ინდივიდუალობა და პიროვნების ცნება. ინდივიდი ადამიანთა მოდგმის განცალკევებული წარმომადგენელია, რომელსაც გააჩნია აზროვნების უნარი. ინდივიდუალობა არის ინდივიდის განმასხვავებელი სხეულებრივი და სულიერი მახასიათებლების ერთიანობა, პიროვნება კი წარმოადგენს ადამიანს მთელი თავისი ბუნებით, ფსიქოლოგიური და სოციალური შტრიხებით.“ (აბაშიძე, 2018, გვ. 85-90)

ქრისტიანულ მოძღვრებაში ადამიანი გააზრებულია, როგორც „ღვთის ხატი და მსგავსება“, რომელშიც შერწყმულია ღვთიური და ადამიანური ბუნება. შუასაუკუნეების ფილოსოფიაში ადამიანი გაიაზრება ფსიქოფიზიკური ინდივიდუალობით. XIV საუკუნეში კარტეზიანული (დეკარტისეული) დუალიზმი აყალიბებს იდეას: სხეული ეს არის ავტომატი, მანქანა, რომელიც ადამიანს საერთო აქვს ცხოველებთან, სული კი არის ცნობიერებასთან იდენტობა.

XVIII-XIX საუკუნის დასაწყისში გერმანული კლასიკური ფილოსოფია დაუბრუნდა ადამიანის, როგორც ცოცხალი მთლიანობის (ჰერდერი, გოეთე) გაგებას, მათი აზრით ადამიანი არის ბუნების პირველი განთავისუფლებული, მან დამოუკიდებლად უნდა მოახდინოს საკუთარი თავის ფორმირება, შექმნას კულტურა, ანუ ადამიანი სულიერი ქმედების სუბიექტია, უნივერსალური ცნობიერების და გონიერების მატარებელია, არ ეგუება სამყაროს, ადაპტირებს ან გარდაქმნის მას თავისი საჭიროებების შესაბამისად, ქმნის მატერიალურ და სულიერ კულტურას.

თანამედროვე ადამიანის იმიჯი ანთროპოცენტრულია, ღმერთი ერევა ადამიანის ცხოვრების სიღრმეებში, ადამიანი კი ნელ-ნელა შორდება ღმერთს, სჯერა მხოლოდ საკუთარი თავის. ძველიდან ახალ ეტაპზე გადასვლის ეტაპები კარგადაა გააზრებული რ. დეკარტის ფილოსოფიაში. მისი აზრით ადამიანი მოაზროვნე საგანია, თვალები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იმზირებოდა ცისკენ, მიბრუნდა ადამიანის შინაგანი სამყაროსაკენ, ამ მიდგომამ საფუძველი ჩაუყარა დოქტრინას - ვაზროვნებ ე.ი. ვარსებობ.

„ადამიანის შეიმეცნებს სამყაროს, შემეცნების ძირითადი მეთოდია რეფლექსია. თეოდორ დოსტოევსკი აღნიშნავდა, რომ ადამიანის გაგება ბოლომდე შეუძლებელია, რადგან ადამიანი დიდი საიდუმლოაო. იგი მთელი ცხოვრება იკვლევდა ადამიანს და ბოლომდე მისი გახსნა ვერ შეძლო, ამით დაადასტურა ის ფაქტი, რომ უდიდეს მოაზროვნეებსაც არ ძალუძთ ყველაფერი. თითქმის იგივე აზრს ავითარებდა უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსი ერნესტ კასირერი (1874-1945), რომელიც აღნიშნავდა, რომ ადამიანზე არ შეიძლება იმსჯელო მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებებით, ამისათვის გაცილებით მეტია საჭიროო.“ (ქუთელია, 1971, გვ. 138-147)

ადამიანის ბუნებასთან დაკავშირებული პრობლემები განიხილება ონტოლოგიისა და გნოსეოლოგიის სწავლებაში და წარმოადგენს ფუნდამენტურ ფილოსოფიურ საკითხებს. ადამიანი, მისი არსი, სოციალური პოტენციალი, ცხოვრების წესი, ჯანმრთელობა და ა.შ. უამრავი კვლევის ყველაზე

ღირებული ორიენტირია, რადგან ისინი ფორმირდებიან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე. საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა მიდგომები ადამიანის არსის გაგების მიმართ, ადამიანის წარმოშობის, ბუნების, ინდივიდუალობის შესახებ კვლევები წარმოადგენდა მსოფლიოს უდიდეს მოზროვნეთა საფიქრალს. განიხილავდნენ რა ადამიანის ბუნებას, ფილოსოფოსთა უდიდესი ნაწილი სვამდა შეკითხვას: რა არის ადამიანი? როგორია ადამიანური სიცოცხლის ფასი? რა არის სიკვდილი? და იქნება სიკვდილის შემდეგ? ამ შეკითხვებზე პასუხის პოვნაა სწორედ ადამიანის აზროვნების განვითარების მამოძრავებელი ძალა.

ბიბლიოგრაფია:

აბაშიძე, რ. (2018). ადამიანის აღზრდისა და დანიშნულების რაობისათვის ეგზისტენციალურ ფილოსოფიაში. *საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე* (17), 85-90.

ბალანჩივაძე, რ. (1970). ადამიანის პრობლემა ნატურალისტურ ფილოსოფიაში. *ფილოსოფიის ანთროპოლოგიური საკითხები: კრებული, ნაწ. 1*, 70-94.

ბროუგანი, უ. (1998). ჰაიდეგერი და არისტოტელე: [მუნყოფიერება და პრაქტიკული ცხოვრების საკითხი]. (გ. ზედანია, მთარგმნ.) *აფრა* (6), 171-178.

ვივეკანანდა, ს. (2012). *ძველი ინდური ფილოსოფია: (1894-1897 წლებში ჩიკაგოსა და ლონდონში წაკითხული ლექციები).* თბილისი: დანი.

მშვენიერაძე, ნ. (2008). ადამიანი ნიცშეს ფილოსოფიაში: ფილოსოფიური ანთროპოლოგია. *სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის მაცნე ფილოსოფიის სერია* (1), 75-80.

რატიანი, ს. (2001). *ადამიანის პრობლემა ს. კირკეგორის ფილოსოფიაში.* დისერტაცია. თბილისი: თსუ.

რუსია, გ. (1974). ადამიანის ცხოვრების საზრისის პრობლემა ანტიკურ ფილოსოფიაში. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები სერია B - ჰუმანიტარული მეცნიერებანი* (8-9), 3-13.

ტალახაძე, გიორგი. (2017). *ადამიანის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობასა და ფილოსოფიაში: (უძველესი ხანიდან XIV საუკუნემდე).* თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.

ქუთელია, ა. (1971). დოსტოევსკი და ჰეგელი. *მნათობი* (12), 138-147.

ქუმსიშვილი, მ. (1990). ყოფიერება, დრო, სივრცე და ადამიანი ჰაიდეგერის ფილოსოფიაში. *მნათობი*(8), 144-148.

ცინცაძე, გ. (1970). ადამიანის პრობლემა ტრასცენდენტალურ ფილოსოფიაში (ერნსტ კასირერი). *ფილოსოფიის ანთროპოლოგიური საკითხები: კრებული, ნაწ. 1*, 128-183.

Klara Elchibegashvili

Gori State University

THE HUMAN PROBLEM IN PHILOSOPHY

RESUME

The first views on man are much older than philosophy itself. In the early stages of history, people were characterized by forms of mythological and religious self-knowledge, narrated in ancient legends and myths about human existence, thought, purpose and nature. The crystallization of human philosophical understanding takes place later based on the ideas, ideas, faces, understandings and dialogues embedded in these ancient legends and myths. This is how the first teachings about man came about. Problems related to human nature are discussed in the study of ontology and epistemology and represent fundamental philosophical questions. Man, its essence, social potential, lifestyle, health, etc. Lots of research is the most valuable focus as they are formed throughout a person's lifetime. Approaches to understanding the essence of man have changed over the centuries, and studies of human origin, nature, and individuality have been the thinking of some of the world's greatest thinkers. Discussing the Nature of Man Most philosophers have asked the question: What is man? What is the price of human life? What is death? And will it be after death? Finding the answers to these questions is the driving force behind the development of human thinking.

Keywords: Thinker, Hypothesis, Cognition, Worldview, Morality, Imperative, Belief, Intellect.

ანა იმნაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კომუნიკაციის იდეებიდან კომუნიკაციის თეორიამდე

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაციის თეორიები, პიარის თეორიები, საზოგადოებრივი ურთიერთობები.

ტერმინი - კომუნიკაციის თეორია, ეხება თეორიების ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ჩვენს გაგებას კომუნიკაციის პროცესის შესახებ (Littlejohn, 1983). თეორიები წარმოადგენენ სხვადასხვა გზებს, რომლითაც დამკვირვებლები ხედავენ თავიანთ გარემოს და როგორც ლიტლჯონი ამტკიცებს, რადგან თეორიები აბსტრაქციებია, თითოეული თეორია ნაწილობრივია. ყველა თეორია აღწერს ხედვის გზას და, შესაბამისად, მისი ჭეშმარიტება შეიძლება შეფასდეს მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგად არის იგი აგებული. სწორედ ამ მიზეზით არის უთანხმოება იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს კომუნიკაციის ადეკვატური თეორია. ძიება, თუ ვინ რას აკეთებს კომუნიკაციის პროცესში და რა ეფექტებით, ლასველის (1948) პერიფრაზით რომ ვთქვათ, არის ცენტრალური საკითხი კომუნიკაციის ნებისმიერ თეორიაში, თუმცა მისი შესწავლა შესაძლებელია სხვადასხვა თვალსაზრისით ან სხვადასხვა კუთხით.

არასოდეს ყოფილა კონსენსუსი იმაზე, თუ რას ნიშნავს „ზიარება“ ან „კომუნიკაცია“. კლასიკურ ლათინურშიც კი communicare ნიშნავდა „გაზიარებას“, „გასაჯაროებას“ ან „ერთად განხილვას“ (Glare, 1968). როზენგენი (2000) ვარაუდობს, რომ კომუნიკაცია, უპირველეს ყოვლისა, აზრის ფორმირების პროცესია: იბადება კითხვები, ადამიანებს როგორ უყალიბდებათ აზრი ფსიქოლოგიურად, სოციალურად და კულტურულად; როგორ ხდება მესიჯების გაგება ინტელექტუალურად; და როგორ წარმოიქმნება და წყდება გაურკვევლობა. ლიტლჯონისთვის „კომუნიკაცია არ ხდება მნიშვნელობის გარეშე და ადამიანები ქმნიან და იყენებენ მნიშვნელობას მოვლენების ინტერპრეტაციაში“ (Littlejohn, 1992). ამგვარად, გადამწყვეტი კითხვა ეხება „მნიშვნელობის“ ჩვენს გაგებას და როგორ მუშაობს მნიშვნელობის შექმნის პროცესი (მნიშვნელობის ცნების მიმოხილვისთვის (Littlejohn, 1983).

კომუნიკაციის თეორიაში სულ მცირე სამი განსხვავებული პერსპექტივაა, რომლითაც ეს პროცესი მუშაობს: კომუნიკაცია, როგორც მნიშვნელობის აგების ცალმხრივი პროცესი, რომელშიც გამგზავნი ცდილობს მიმღების მიერ შემუშავებული მნიშვნელობის აგებას ან რეკონსტრუქციას; კომუნიკაცია, როგორც მნიშვნელობების აგების ორმხრივი პროცესი, რომელშიც ორი ან მეტი ადამიანი ერთად აშენებს ახალ მნიშვნელობას; და კომუნიკაცია, როგორც მნიშვნელობის აგების ყოვლისმომცველი დიაქრონული პროცესი, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია თავად მნიშვნელობის უწყვეტ განვითარებაზე.

შესაბამისად, კომუნიკაციის, გამოყენებითი ხასიათის გათვალისწინებით, ისეთ დისციპლინას, როგორიცაა „საზოგადოებრივი ურთიერთობები“, გასაკვირი არ არის, რომ თეორიას საფუძველი ჩაუყარეს სწორედაც რომ გამოჩენილმა პრაქტიკოსებმა და არა თეორეტიკოსებმა, რა თქმა უნდა, შეერთებულ შტატებში.

თეორიული საფუძვლის შექმნაში უდიდესი წვლილი შეიტანა თავად პიარის პროფესიის ფუძემდებლად მიჩნეულმა აივი ლედბეტერ ლიმ (1877-1934). უკვე 1906 წელს, გახდა პრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ქვანახშირის კომპანიების ჯგუფის წარმომადგენელი, მან შეიმუშავა და გაავრცელა პრესაში „პრინციპების დეკლარაცია“, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში პირველი პროფესიული ქცევის კოდექსია.

დეკლარაციაში ასახული ძირითადი პრინციპები: კომპანიის ღიაობა, პრესისა და საზოგადოების სისტემატური ინფორმირება, ყოველგვარი საიდუმლოების აღკვეთა (რასაც ადრე პრესის ბიუროები განიცდიდნენ), ჟურნალისტების თხოვნებზე სწრაფი რეაგირება. ასევე, ამერიკელი მკვლევრების აზრით, სწორედ ლიმ შეძლო პრესისა და ახალი ამბების რელიზების მომზადება და გავრცელება ჩვეულებრივ პრაქტიკად. სამომავლოდ ა. ლიმ დაწერა არაერთი ნაშრომი, კერძოდ, სერიოზული კვლევა „Publicity“ (1925), რომელშიც განაგრძობდა ისეთი პიარის ამოცანის პრიორიტეტის დაცვას, როგორიცაა საზოგადოების ინფორმირება. არაერთი დასავლელი ექსპერტის აზრით, ტერმინის „საზოგადოებრივი ურთიერთობების“ პოპულარიზაცია ეკუთვნის ა. ლის (ინგლისელი ავტორი ს. ბლეკი ამ პოზიციას იცავს). ამრიგად, ლი იყო კლასიკური (შეიძლება ითქვას, სტერეოტიპული) ამერიკული მიდგომის -

ცალმხრივი კომუნიკაციის აპოლოგეტი, რომელშიც საზოგადოების პასუხი პრაქტიკულად არ იყო გათვალისწინებული.

1922 წელს გამოჩნდა ცნობილი ამერიკელი სოციოლოგისა და ფსიქოლოგის უ. ლიპმანის (W. Lippman) წიგნი „საზოგადოებრივი აზრი“. ზოგადად, 1900 წლიდან 1925 წლამდე, შეერთებულ შტატებში გამოიცა 46 წიგნი, რომელიც მიეძღვნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტს, მათგან 28 - 1917-1925 წლებში.

პიარის თეორიაში, ალბათ, ყველაზე საკულტო ფიგურა იყო ედვარდ ლ. ბერეიესი (1891-1995), რომლის სახელს ხშირად უკავშირებენ პიარის პროფესიად ჩამოყალიბებას. სოციალური მეცნიერებების სფეროში ფართო პრაქტიკული გამოცდილებისა და ფუნდამენტური ცოდნის უნიკალურმა კომბინაციამ საშუალება მისცა ბერნეისს ჩამოეყალიბებინა PR თეორიის საფუძველი, რომელიც დღესაც აქტუალურია. მან დაწერა მრავალი ნაშრომი, რომელთაგან ყველაზე ცნობილია საზოგადოებრივი აზრის კრისტალიზება (1923), საზოგადოებასთან ურთიერთობა (1952) და თანხმობის ინჟინერია (1955). პიარ-სპეციალისტებისთვის ასევე დიდი ინტერესია წიგნი „იდეის ბიოგრაფია“ და ბერნეისის მოგონებები, რომელსაც მოკრძალებულად უწოდა „ჩემი პირველი ასი წელი“. ითვლება, რომ სწორედ ბერნეისმა განსაზღვრა პიარის ფუნქციები და თავის ნაშრომში „თანხმობის ინჟინერია“ შემოიტანა „იმიჯის“ ცნება, როგორც ხელოვნურად შექმნილი რეპუტაცია. ა. ლისგან განსხვავებით, რომელიც უფრო პრაქტიკოსი იყო, ბერნეისი აქტიური იყო სწავლებაში: 1923 წელს მან წაიკითხა პირველი კურსი პიარის პრაქტიკისა და ეთიკის შესახებ ნიუ-იორკის უნივერსიტეტში, შემდეგ კი მუდმივად აერთიანებდა პრაქტიკულ საქმიანობას, კვლევასა და სწავლებას. ლიპმანთან და ე. ბერნეისთან კამათმა საფუძველი ჩაუყარა ორმხრივ სიმეტრიულ კომუნიკაციას.

ამერიკელ „დამფუძნებლებს“ შორის ასევე შეიძლება განვიხილოთ რექს ფ. ჰარლოუ, რომელიც პრაქტიკიდან წასვლის შემდეგ (პუბლიცისტურ სფეროში 20 წელზე მეტი მოღვაწეობის შემდეგ), 1930-იანი წლებიდან, ასწავლიდა PR-ს სტენფორდის უნივერსიტეტში და 1945 წელს დაიწყო „საზოგადოებასთან ურთიერთობის ჟურნალის“ გამოცემა, რომელიც დღეს ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი პროფესიული გამომცემლობაა. PR თეორიის ფუძემდებელთა შორისაა არტურ პეიჯი (1883-1960), რომელიც, როგორც American Telephone & Telegraph Company-ის ვიცე-პრეზიდენტი, ფართოდ იყენებდა საჯაროობის მეთოდებს კორპორაციის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობისას. მან ჩამოაყალიბა წარმატებული კორპორატიული პიარის პრინციპები, რომლებიც დღესაც ფართოდ გამოიყენება სპეციალისტების მომზადებასა და პრაქტიკაში; მათი პოპულარობის დიდი ნაწილი Arthur Page Society-ს დამსახურებაა, რომელიც დაარსდა 1983 წელს და სადაც გაერთიანდნენ უმაღლესი დონის კორპორატიული მენეჯერები და პიარის წამყვანი სპეციალისტები.

აქვე უნდა აღინიშნოს გ. ლასველის (1902-1978) ნაშრომები, რომელიც მასობრივი კომუნიკაციების თეორიის კლასიკად ითვლება. მის მრავალ ნამუშევარს შორის პიარის სპეციალისტებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა კვლევა „კომუნიკაციის სტრუქტურა და ფუნქციები“ (1948 წ.). ლასველის ნამუშევარი მით უფრო საინტერესოა, რომ გარდა კვლევისა, იგი აქტიურად იყო ჩართული პრაქტიკულ მუშაობაშიც: მეორე მსოფლიო ომის დროს, ფ. დ. რუზველტის პრეზიდენტობის პერიოდში, მონაწილეობდა ომის ინფორმაციის კომიტეტის მუშაობაში.

პიარის თეორიის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია მომიჯნავე დისციპლინებმა, პირველ რიგში, რეკლამის თეორიამ. ამრიგად, აშშ-ს ერთ-ერთმა უმსხვილესმა რეკლამის მომწოდებელმა, W. D. Scott-მა 1903 წელს დაწერა რეკლამის თეორია და პრაქტიკა, ხოლო 1908 წელს - რეკლამის ფსიქოლოგია. ნაშრომი ცხადყოფს, რომ ამ დროისთვის სარეკლამო მეცნიერებამ უკვე მიაღწია იმ დონეს, სადაც კვლევები ტარდებოდა არა მხოლოდ თავად დისციპლინის ფარგლებში, არამედ სხვა მეცნიერებებთან კავშირში.

PR ფარგლებში ასევე განხორციელდა ინტერდისციპლინური კვლევის ინდივიდუალური მცდელობები. ამ მიმართულებით ყველაზე აქტიური იყო ე. ბერნეისი, რომელზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ზიძის ზ. ფროიდის, ასევე ფრანგი ფსიქოლოგის გ. ლე ბონისა და რიგი სხვა სპეციალისტების შრომებმა. გასაკვირი არ არის, რომ მის ნაშრომში პიარის თეორიასა და პრაქტიკაზე შესამჩნევია ფსიქოანალიზის გავლენა. გარდა ამისა, პრაქტიკულ საქმიანობაშიც კი ბერეისი რეგულარულად იყენებდა ცნობილი ამერიკელი ფსიქოანალიტიკოსის ა. ბრილის რჩევებს. გასათვალისწინებელია, რომ სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და სხვა მეცნიერებების ევროპელი კლასიკოსების სწავლებები აშშ-ში გავრცელდა ექსკლუზიურად ამერიკელი მკვლევრების მიერ.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკული პიარის თეორია აქტიურად განაგრძობდა განვითარებას. ამ პერიოდის შეერთებულ შტატებში პიარის თეორიის ყველაზე გამორჩეული სპეციალისტები იყვნენ, ს. კატლი, ჯ. გრუნიგი, გ. ბრუმი, ე. ტოტი და სხვა მრავალი. თუმცა, თეორეტიკოსთა უმრავლესობა მაინც ეყრდნობოდა ადრე ჩამოთვლილ კლასიკოსთა და ამერიკული პიარის სხვა დამფუძნებლების ნაშრომებს.

ამერიკული კვლევების მიხედვით, მე-20 საუკუნის ბოლოსთვის. აშშ-ში 300-ზე მეტმა უნივერსიტეტმა და კოლეჯმა ჩაატარა ტრენინგები PR სპეციალისტებისთვის. გარდა ამისა, პროფესიული ასოციაციები PRSA, IBSA (ბიზნეს კომუნიკატორების საერთაშორისო ასოციაცია), Arthur Page Society და სხვებმა მოაწყვეს სპეციალური ტრენინგები, სემინარები და გადამზადების კურსები სპეციალისტებისთვის.

ომისშემდგომ პერიოდში, პრაქტიკის პარალელურად ევროპაში დაიწყო PR თეორიის განვითარება. უკვე 1950-იან წლებში ფორმირება დაიწყო ფრანგულმა სკოლამ „des relationship publiques", რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ლ. ფ. ლაპრევოტი, მ. კროზიერი, დ. ვისმანი, ჯ. ჩაუმელი და სხვები. ინგლისში იმ დროისთვის საზოგადოებრივი კომუნიკაციის ყველაზე ცნობილი თეორეტიკოსი იყო დ. გრიერსონი, რომელმაც დატოვა არაერთი პუბლიკაცია, ასევე ვრცელი მიმოწერა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა მისი იდეების რეკონსტრუქცია (მისი პირველი კვლევები თარიღდება 1920-იანი წლებით). შემდგომი დროის პიარის ბრიტანული თეორიის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ ფ. ჯეფკინსი, ს. ბლექი, ფ. ქითჩენი და მრავალი სხვა. გერმანიაში ცნობილია ისეთი ავტორების ნაწარმოებები, როგორებიც არიან კ. ჰუნდჰაუზერი, ე. ფოგელი, ა. შმიდტი, ა. ეკლ.

ევროპელი სპეციალისტების კვლევები იყო როგორც გამოყენებითი, ისე თეორიული ხასიათის. ბუნებრივია, ავტორთა უმეტესობამ შექმნა სახელმძღვანელოები პიარის სფეროში მომავალი და არსებული პრაქტიკოსებისთვის. ამასთან ერთად, გამოჩნდა პერიოდული გამოცემებიც, რომლებსაც ასევე დიდი თეორიული მნიშვნელობა ჰქონდათ. მაგალითად, ფ. კიტჩენის ნაშრომში „საზოგადოებასთან ურთიერთობა. პრინციპები და პრაქტიკა" დიდ ყურადღებას უთმობს პიარის როლს საზოგადოების ცხოვრებაში, კომპანიის საქმიანობაში, პიარსა და მარკეტინგს შორის განსხვავებას და ა.შ.

ევროპელი პიარის თეორეტიკოსები, საზოგადოებასთან მუშაობისას, ამერიკელ კოლეგებთან შედარებით, მეტ ყურადღებას უკუკავშირს აქცევდნენ. ამასთან, ა. ლისა და მისი მიმდევრების მიერ დაწინაურებული ამერიკული მიდგომა ძალიან მწვავედ გააკრიტიკეს ევროპელმა ავტორებმა. ასე რომ, მ. კროზიე და ე. მორინი ლ. ფ. ლაპრევოს მოუწოდებდნენ, სიფრთხილით მოკიდებოდა ამერიკულ მოდელს, რადგან ის გულისხმობს ადამიანების მანიპულირებას, მათზე მსხვილი კორპორაციებისა და ძალაუფლების სტრუქტურების იდეოლოგიის დაკისრებას.

პიარის სფეროში ევროპული მიდგომა აისახა ეთიკის კოდექსში. მაგალითად, 1978 წლის ლისაბონის კოდექსში ასეთი ჩანაწერია: „აკრძალულია საზოგადოებრივი აზრის ან მისი წარმომადგენლების მოტყუების ნებისმიერი მცდელობა". შესაბამისად, ევროპული პიარის თეორიასა და პრაქტიკაში გაცილებით დიდი ადგილი უჭირავს სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკას, PR სპეციალისტების საქმიანობის ეთიკურ კომპონენტს და სხვა სოციალურად მნიშვნელოვან ასპექტებს.

პიარის თეორიამ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საბოლოოდ მიაღწია მონათესავე მეცნიერებების მიღწევების დონეს, როგორებიცაა: ფსიქოლოგია, სოციოლოგია, კომუნიკაციის თეორია. იმ დროიდან მოყოლებული, მეტად აქტუალური გახდა მ. ვებერის იდეები და კვლევები კომუნიკაციის სფეროში. ასევე, ფ. ტეილორის მენეჯმენტის თეორია (რომლის ერთ-ერთ ფუნქციად ტრადიციულად განიხილება PR), სოციოლოგები და ფსიქოლოგები გ. ლე ბონი, ლ. ფ. უორდი, უ.სამნერი (W. Samner), ფ. გ. გიდენსი (F. G. Giddens), ხ. ორტეგა ი გასეტი (X. Ortega y Gasset), პ. სოროკინი (P. Sorokin) და სხვები, რომლებიც გამოიყენებენ მარკეტინგულ საშუალებებს, შეისწავლიან მომხმარებელთა მოთხოვნებს და პრეფერენციებს. ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელი PR თეორეტიკოსები მონათესავე მეცნიერებების შედეგებს გაეცვნენ ე. ბერნეისისადმი პატივისცემის გამო, რომლის ნაშრომებმა გააცნო ევროპული მიღწევები სოციალურ სფეროში; ის, პიარის ამერიკელ თეორეტიკოსებში, პოპულარიზაციას უწევდა სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიას. მეორე მხრივ, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის და სხვა მონათესავე დისციპლინების საფუძვლების დაუფლება იყო პასუხი PR სპეციალისტების მომზადების გაზრდილ მოთხოვნებზე მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები დაინტერესდნენ PR-ს განმარტების საკითხით და ისინი არაერთხელ ეცადნენ ამ ტერმინის ახსნას. საზოგადოებასთან ურთიერთობის კვლევისა და განათლების ფონდის მიერ 1975 წელს ჩატარებულ კვლევაში გაანალიზდა 472 (!) განსხვავებული განმარტება. 65 მკვლევარი მეცნიერის მუშაობის შედეგი იყო ახალი განმარტება: „საზოგადოებასთან ურთიერთობა არის სპეციალური მენეჯმენტის ფუნქცია, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციასა და მის საზოგადოებას შორის კომუნიკაციის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის დამყარებასა და შენარჩუნებას; ხელს უწყობს სხვადასხვა პრობლემისა და ამოცანების გადაჭრას; ეხმარება ორგანიზაციის მენეჯმენტს ინფორმირებული იყოს საზოგადოებრივი აზრის შესახებ და დროულად უპასუხოს მას; განსაზღვრავს და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს კომპანიის მენეჯმენტის მთავარ ამოცანაზე – ემსახუროს საზოგადოების ინტერესებს; ეხმარება მენეჯმენტს იყოს მზად ნებისმიერი ცვლილებისთვის და გამოიყენოს ისინი რაც შეიძლება ეფექტურად, მოქმედებს როგორც „ადრეული გაფრთხილების სისტემა"

საფრთხის შესახებ და ეხმარება გაუმკლავდეს არასასურველ ტენდენციებს; და იყენებს კვლევას და ღია, ეთიკურ კომუნიკაციას, როგორც მოქმედების ძირითად საშუალებას". კიდევ ერთი განმარტება იქნა მიცემული მეხიკოში პიარ ასოციაციების პირველ მსოფლიო ასამბლეაზე: „საზოგადოებრივ ურთიერთობების პრაქტიკა არის ხელოვნება და სოციალური მეცნიერება, რომელიც საშუალებას გაძლევთ გაანალიზოთ ტენდენციები, იწინასწარმეტყველოთ მათი შედეგები, ურჩიოთ ორგანიზაციების მენეჯმენტი და განახორციელოთ დაგეგმილი სამოქმედო პროგრამები. წინასწარ, რომლებიც ემსახურება ორივე, ორგანიზაციის და საზოგადოების ინტერესებს" („მექსიკური განცხადება") (Векслер, 1998).

ბიბლიოგრაფია:
Glare, P. G. W. (Ed.). (1968). *Oxford latin dictionary.* London. UK: Oxford University Press.
Littlejohn, S. W. (1983). *Theories of human communication.* Belmont. CA: Wadsworth.
Littlejohn, S. W. (1992). *Theories of human communication.* Belmont. CA: Wadsworth.
Векслер, А. (1998). История Public Relations: Попытка хронологии. *Советник* (№9).

Ana Imnadze
Gori State University

FROM COMMUNICATION IDEAS TO COMMUNICATION THEORY
RESUME

In communication theory, there are at least three different perspectives on which this process works: communication, as a one-way process of meaning-building in which the sender seeks to construct or reconstruct the meaning developed by the receiver; Communication as a two-way process of meaning building in which two or more people together build new meaning; And communication as a comprehensive diachronic process of meaning-building in which the focus is on the continuous development of meaning itself.

Consequently, given the practical nature of communication, such as "public relations", it is not surprising that the theory was founded by prominent practitioners, not theorists, of course, in the United States.

Keywords: Communication theories, PR theories, Public relations.

მალხაზ ლომსაძე
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედ საერთაშორისო და სამამულო კანონმდებლობაში [1]

საკვანძო სიტყვები: უდანაშაულობის პრეზუმფცია, კანონმდებლობა, კონსტიტუცია, სისხლის სამართალი, გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა.

უდანაშაულობის პრეზუმფცია ყოველთვის წარმოადგენდა მეცნიერ-იურისტების ინტერესის საგანს. ამ საკითხზე მრავალი ათეული სტატია თუ მონოგრაფიაა შექმნილი, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე. უდანაშაულობის პრეზუმფცია დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას, მაშინ როდესაც, საკითხი ეხება ადამიანის უფლებების დაცვას. თითქმის არ არსებობს მსოფლიოში ქვეყანა, რომლის კონსტიტუციაშიც არაა ეს მეტად მნიშვნელოვანი პრინციპი ჩადებული. ნაშრომში შევეცდებით მეცნიერულად ჩამოვაყალიბოთ უდანაშაულობის პრეზუმფციის ნამდვილი შინაარსი, როგორ უნდა გატარდეს ამ პრინციპის მოთხოვნები საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში.

[1] 2020 წელს ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციას შეუსრულდა მიღებიდან 72 წლისთავი. ეს სტატია ამ ღირსშესანიშნავ დღეს ეძღვნება.

პრეზუმფცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ვარაუდზე დამყარებულ მოსაზრებას, რაიმე ფაქტის აღიარებას სარწმუნოდ, სანამ არ დამტკიცდება მისი მცდარობა. (ჭაბაშვილი, 1973, გვ. 329)

უდანაშაულობის პრეზუმფცია პირველად იყო გამოცხადებული საფრანგეთის რევოლუციის მიერ 1789 წელს ადამიანთა და მოქალაქეთა უფლებათა დეკლარაციაში. (Международное право в документах, 1982, стр. 304) იგი აისახა აგრეთვე გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში. (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1948) შემდგომში გაერო-ს გენერალური ასამბლეის XXI სესიამ 1966 19 დეკემბერს მიიღო საერთაშორისო პაქტი მოქალაქეთა და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, რომლის მე-14 მუხლში ჩამოყალიბდა უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი, რომლის შინაარსი გადმოცემულია შემდეგნაირად: „ყოველ ბრალდებულს, რომელსაც ერაცხება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ჩათვალოს თავი უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად.“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1966)

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოყალიბებულია უდანაშაულობის პრეზუმფციის დებულება, რომლის ძალითაც „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“ (საქართველოს კონსტიტუცია, 1995) ეს დებულება ეხება ყველა მოქალაქეს, არის ზოგადი ხასიათის, მაგრამ ამავე დროს შეიცავს უდანაშაულობის პრეზუმფციის ძირითად ნიშნებს, როგორც კონსტიტუციური, ისე პროცესუალური გაგებით. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა არა ყველა ადამიანი, არამედ ის პირი, რომელიც ან დაკავებულია ან რომლის მიმართ გამოტანილია დადგენილება ბრალდების შესახებ.

ამრიგად, უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესში ვრცელდება მხოლოდ ბრალდებულზე. ის ფაქტი, რომ უკვე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, დაკავებულია პირი, გამოტანილია დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, მიმდინარეობს გამოძიება, მტკიცებულებები შეკრებილია ბრალდებულის მიმართ, პროკურორმა სასამართლოში წარმოთქვა ბრალდების შესავალი და დასკვნითი სიტყვები, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, მისი ბრალეულობის საკითხი დადგენილი და გადაწყვეტილია. ყოველივე ეს მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ გამოძიების ორგანოებმა გამოიტანეს წინასწარი დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ, რომელიც სავალდებულო არ არის შესასრულებლად სასამართლოსათვის. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტში ნათლადაა გადმოცემული, რომ „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს.“ (საქართველოს კონსტიტუცია, 1995)

სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან საერთოდ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი ე.ი. გააქარწყლოს გამოძიების ორგანოების წინასწარი დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ. საკითხი ბრალეულობის შესახებ წყდება, როგორც წესი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. სასამართლო განაჩენი საბოლოო შეფასებას აძლევს მტკიცებულებებს, ბრალდებულის ქმედებასა და ყველა სხვა გარემოებებს, რაც ამხელს პირს დანაშაულის ჩადენაში.

აქედან გამომდინარე, გამოძიების დროს პრესაში არ უნდა გამოქვეყნდეს, რადიოთი და ტელევიზიით არ უნდა გადაიცეს, სოციალურ ქსელებსა და სხვა ელექტრონულ საშუალებებში არ უნდა აისახოს ის ფაქტები და გარემოებანი, რომლებმაც თავისი შეფასება უნდა პოვოს სასამართლოს განაჩენში, არ უნდა შეფასდეს საქმეზე შეგროვილი მტკიცებულებანი, გამოითქვას მოსაზრება ბრალდებულის მკაცრად დასჯის შესახებ, სანამ სასამართლოს მიერ არ არის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. „ამას მოითხოვს მოქალაქეთა სახელის და რეპუტაციის ინტერესები, კონსტიტუციური პრინციპი - უდანაშაულობის პრეზუმფცია.“ (Ларин, 1982, стр. 43-44)

უდანაშაულობის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ ბრალდებული მოვალე არ არის ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ეს დავალებული აქვთ ბრალდების ორგანოებს (გამომძიებელსა და პროკურორს). საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად „არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.“ (საქართველოს კონსტიტუცია, 1995) ბრალდებულს უფლება აქვს მისცეს ჩვენება, უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე ან მისცეს მცდარი ჩვენება, თუ იგი მიიჩნევს, რომ ეს არის თავის დაცვის საშუალება. გამომძიებელს და პროკურორს უფლება არა აქვთ მტკიცების მოვალეობა ბრალდებულს დააკისრონ. მხოლოდ ეს პირები არიან მოვალენი ამხილონ ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენით გადაწყვიტოს პირის დამნაშავედ ცნობის საკითხი.

უდანაშაულობის პრეზუმფცია იმას გულისხმობს, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ემყარებოდეს სავარაუდო მოსაზრებებს. ყოველი ვარაუდი ნიშნავს ობიექტურად დაუდგენელ გარემოებას, სხვანაირად რომ ვთქვათ საეჭვო ხდება ამა თუ იმ ფაქტის არსებობა თუ არარსებობა. ამიტომ ყოველგვარი ეჭვი და ვარაუდი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს კონსტიტუციის 31-

ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“ (საქართველოს კონსტიტუცია, 1995)

უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებულია სისხლის სამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა.

იმისათვის, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტა ამ საფუძვლით არ ეწინააღმდეგებოდეს სისხლის სამართლის კონსტიტუციურ პრინციპს - უდანაშაულობის პრეზუმფციას, პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებები: „გაუქმდეს არასარეაბილიტაციო მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა და გადაწყდეს ეს საკითხი სასამართლო განაჩენით“ (Савицкий, 1978, стр. 12), „დაწესდეს სასამართლო კონტროლი აღნიშნული მოტივით საქმის შეწყვეტისადმი.“ (Лабус, 1981, стр. 194)

ყველა ეს წინადადება იმსახურებს ყურადღებას. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების დროს საქმის წარმოების შეწყვეტას სარეაბილიტაციო მოტივით (თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება და თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო).

ამ დროს გამოძიების ორგანოები თვლიან, რომ პირი უდანაშაულოა და ამიტომ საერთოდ არ ისმის საკითხი მათი ბრალეულობის თაობაზე.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება სარეაბილიტაციო მოტივით შეიძლება დამთავრდეს გამოძიების დროს იმიტომ, რომ არ წყდება პირის ბრალეულობის საკითხი, არამედ დგინდება მისი უდანაშაულობა. ამ შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობაში არ არის საჭირო რაიმე ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტას გამოძიების დროს არასარეაბილიტაციო მოტივით. აქ ცალკე ჯგუფად უნდა გამოვყოთ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის, ამნისტიის აქტის, ვითარების შეცვლის და სხვა გარემოებების გამო. ყველა ამ შემთხვევაში გამოძიების დროს წყდება პირის ბრალეულობის საკითხი, სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არასარეაბილიტაციო მოტივით გამოძიების დროს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტისადმი დაწესდეს სასამართლო კონტროლი და მასალები საქმის შეწყვეტის შესახებ განიხილოს სასამართლომ სხდომაზე პროკურორის მონაწილეობით და საკითხი გადაწყდეს საქმეზე განჩინების გამოტანის გზით გამოძიების ორგანოს დადგენილების ძალაში დატოვების ან მისი გაუქმების შესახებ. (Лабус, 1981, стр. 194-195)

ამის შემოღება ზედმეტია, შემდეგ გარემოებათა გამო:

1) ამ შემთხვევაში ვერ იქნება დაცული დებულება, რომ პირის ბრალეულობის საკითხს წყვეტს სასამართლო თავისი განაჩენით;

2) კონტროლი სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტისადმი კანონით ისედაც არის გათვალისწინებული. კანონით გარანტირებულია მოცემული გადაწყვეტილება გაასაჩივროს დაზარალებულმა.

არასარეაბილიტაციო მოტივით განაჩენის გამოტანის ინსტიტუტს ცნობს საქართველოს მოქმედი სისხლის საპროცესო კანონმდებლობა. ასეთებია: 1) გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით და 2) გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად.

გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით მხოლოდ მაშინ დგინდება თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის:

ა) გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან;

ბ) გასულია ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;

გ) ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას;

დ) პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი;

ე) პირმა განახორციელა ქმედითი მონანიება;

ვ) „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა“ ან „ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება“ ჩადენილია პირის მიერ „ადამიანით ვაჭრობის“ ან/და „არასრულწლოვნით ვაჭრობის“ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო.

გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად დგინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ბრალდებული გარდაიცვალა.

თუ დაიწყო გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა, ეს ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ საქმეზე აუცილებლად გამოტანილი იქნება განაჩენი. საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებულია

გარემოებები, რომლებიც საფუძველი გახდება გამოძიებისა ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებისა. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები ჩამოყალიბებულია საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში. „გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები ძირითადად იყოფა ორ ჯგუფად: მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურად." (სისხლის სამართლის პროცესი: კერძო ნაწილი, 2008, გვ. 102)

როგორც ზემოთ აღინიშნა, საპროცესო კანონმდებლობით მტკიცედაა განსაზღვრული გარემოებები, რომელთა არსებობისას გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს. ასეთი საფუძვლები გადმოცემული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში. განვიხილოთ ეს საფუძვლები ცალ-ცალკე.

ა) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება; „ეს იმას ნიშნავს, რომ პირს ბრალად ედება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, მაგრამ გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ქმედებას ადგილი არ ჰქონია. მაგალითად, სახელმწიფო მოხელეს ბრალად ედება, რომ ქრთამი აიღო, მაგრამ აღმოჩნდება, რომ თურმე მისთვის ვალი დაუბრუნებიათ. ცხადია, ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება უნდა შეწყდეს". (ლომსაძე, 2018, გვ. 183)

ბ) თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო; ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ ჩადენილია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებაში. „მართლწინააღმდეგობის დადგენა აქ ხდება გამორიცხვის მეთოდით, -წერს პროფ. ოთარ გამყრელიძე, - ნეგატიურად და არა პოზიტიურად. ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონით დადგენილი ქმედების შემადგენლობა მართლსაწინააღმდეგოა ყველა შემთხვევაში, თუ არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება". (გამყრელიძე, 2008, გვ. 84-85) მაგალითად, აბულაძემ მოკლა მეზობლის - ბერიძის ძვირადღირებული ძაღლი, რომელიც ცდილობდა ბავშვის დაკბენას (უკიდურესი აუცილებლობა); მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. „მეტყევე პირი შევიდა ანი-ს ეზოში, რომ შეემოწმებინა, ჰქონდა მას თუ არა ნებართვა ხე-ტყის დასამზადებლად. აღმოჩნდა, რომ ან-ს ამის უფლება არ ჰქონია, მაშინ პარ-მა გადაწყვიტა სათანადო აქტი შეედგინა, ხოლო უკანონოდ დამზადებული ხე-ტყე სათანადო დაწესებულებაში გადაეტანა. ან-მა წინააღმდეგობა გაუწია, ხოლო დედამისმა პარ-ს თავში ჯოხი დაჰკრა. თავის დასაცავად პარ-ი შეეცადა დარტყმა თოფის კონდახით აეცდინა, მაგრამ ჯოხს აცდენილი კონდახი ან-ის დედას მოხვდა და იდაყვის ძვალი გაუტეხა." (შავგულიძე & სურგულაძე, 1988, გვ. 104) ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო (აუცილებელი მოგერიება).

გ) თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას; ეს იმას ნიშნავს, რომ პირის მიერ განხორციელებული ქმედება დანაშაულს წარმოადგენდა, მაგრამ გამოვიდა ახალი კანონი, რომელმაც ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა გააუქმა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. „ასეთი ქმედების დასჯა - წერდა თ. წერეთელი - მხოლოდ იმიტომ, რომ მას ძველი კანონი სჯიდა, არა მარტო ეწინააღმდეგება სამართლიანობის იდეას, არამედ მიზანშეწონილიც არის მართლმსაჯულების ერთიანობის თვალსაზრისით." (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, გვ. 32)

დ) თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი; ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სცნო არაკონსტიტუციურად.

ე) თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა; ხანდაზმულობა ნიშნავს კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლას, რომლის შემდეგ დანაშაულის ჩამდენი არ შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში. ხანდაზმულობის ვადები, დანაშაულის კატეგორიების მიხედვით დადგენილია. საქართველოს სსკ-ის 366-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დადგენილია სასჯელის სახით ჯარიმა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით 1 წლამდე. ამ დანაშაულის ჩადენისათვის პირი რომ გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ამ დანაშაულის ჩადენიდან სსკ-ის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად უნდა გავიდეს 2 წელი.

„ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენიდან პირის ბრალდების წაყენებამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის". (ლომსაძე, 2011, გვ. 150)

ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

ვ) თუ გაცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან; ამნისტია ბერძნული სიტყვაა ნიშნავს დავიწყებას. (ჭაბაშვილი, 1973, გვ. 21) ამნისტიას ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 77-ე მუხლი, რომელსაც აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ. თუ ამნისტიის აქტი ათავისუფლებს დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება უნდა შეწყდეს.

ზ) თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე; ამ გარემოებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის პირი არ შეიძლება ორჯერ იქნეს დასჯილი.

თ) თუ არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ;

ი) თუ პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

კ) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი); დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გულისხმობს რამდენიმე პირობას: ა) აცდენილ უნდა იქნეს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება; ბ) დანაშაული ბოლომდე არ უნდა იქნეს მიყვანილი თვით იმ პირის ნებასურვილით, ვინც დანაშაულის მომზადება ან მცდელობა ჩაიდინა; (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, გვ. 125) გ) დანაშაულის ჩადენაზე პირმა საბოლოოდ უნდა აიღოს ხელი, დ) პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ბოლომდე მიიყვანს დანაშაულს და აქვს ამის შესაძლებლობა; ე) პირის მიერ განხორციელებული ქმედება არ უნდა შეიცავდეს სხვა დანაშაულის ნიშნებს. (ლომსაძე, 2011, გვ. 66) მაგალითი მოვიყვანოთ სასამართლო პრაქტიკიდან. 2007 წლის 6 სექტემბერს მ.პ-მ და მ.მ-მ ერთად გადაწყვიტა ნ.ბ-ს გაუპატიურება და საკუთარი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მ.პ-მ იარაღი მიაბჯინა ნ.ბ-ს, მ.მ-ს დახმარებით იძულებით გამოიყვანა 4-5 მეტრის მოცილებით ტყის მასივისკენ, წააქცია მიწაზე და დაუწყო შარვლის გახდა და შეეცადა გაუპატიურებას. ნ.ბ-მ გაუწია წინააღმდეგობა, ატეხა ყვირილი, რის შედეგადაც მ.პ-მ და მ.მ-მ მიატოვეს შემთხვევის ადგილი და მიიმალნენ.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენით მ.პ და მ.მ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკი-ს მე-19, 137 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ე.ი იმაში, რომ ჩაიდინა გაუპატიურების ჩადენის მცდელობა ჯგუფურად.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატაში გასაჩივრდა, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საკასაციო წესით.

საკასაციო პალატამ შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

... საკასაციო პალატა ვერ გაიაზრებს ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენში მოყვანილ მსჯავრდებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში, გაუპატიურების მცდელობის სტადიაზე, მსჯავრდებულებს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელი არ აუღიათ, რადგან მსჯავრდებულთა მხრიდან დანაშაულის შეწყვეტა გამოწვეულია არა ნებაყოფლობით, არამედ დაზარალებულის აქტიური წინააღმდეგობით, რაც ასევე გაზიარებული იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საქართველოს სსკ-ის 21 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად პირს არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. საქმის ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, დაზარალებულ ნ.ბ-ს მხრიდან გაწეული ფიზიკური წინააღმდეგობა და ყვირილი არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურ ხელისშემშლელ გარემოებად, რომელთა არსებობის შემთხვევაში ბრალდებულები თავიანთ განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანდნენ.

საკასაციო პალატა თვლის რომ მოცემულ შემთხვევაში მოხდა დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებდა, რაც საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულებს მ.პ-ს და მ.მ-ს გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოერიცხოთ საქართველოს სსკ-ის მე-19, 137-ე მუხლის მე-3

ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და ბრალდების ამ ნაწილში მათ მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2009, გვ. 39-47)

ლ) ქმედითი მონანიების გამო (საქართველოს სსკ-ის 68-ე, 322-ე, 1641-ე, 203-ე, 221-ე, 223-ე, 236-ე, 260-ე, 323-3, 339-ე, 370-ე, 371-ე, 375-ე, 388-ე და 389-ე მუხლების შენიშვნებით გათვალისწინებული შემთხვევებში);

მ) თუ ვითარება შეიცვალა; ამ გარემოების გამოვლენისას დანაშაულის ჩამდენი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დადგინდა, რომ ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია ვითარების შეცვლის გამო. ვითარების შეცვლა ნიშნავს გარეგანი პირობების ისეთ შეცვლას, რის გამოც ისპობა ქმედების სოციალური საშიშროება.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები ეხება როგორც გამოძიების, ისე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილია ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობა იწვევს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ამ შემთხვევაში დაკავშირებულია ქმედების სუბიექტთან.

სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ:

ა) პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი დაწესებულია საქართველოს სსკ-ის 33-ე მუხლით, რომლის თანახმად, ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია 14 წელი.

მაგალითად, ბინაში შეღწევით ქურდობა ჩაიდინა 13 წლის აბესაძემ. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, ვინაიდან პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ბ) პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით; მაგალითად, შიზოფრენიით დაავადებულმა პირმა სიცოცხლე მოუსპო სხვა პირს.

გ) ბრალდებული გარდაიცვალა; ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება. არ არის გამორიცხული, ისეთი შემთხვევა, როდესაც დანაშაული ჯგუფურადაა ჩადენილი და ერთი ბრალდებული გარდაიცვლება. ასეთ შემთხვევაში გარდაცვლილი ბრალდებულის მიმართ წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო სხვა დანარჩენი ბრალდებულების მიმართ გრძელდება სისხლისსამართლებრივი დევნა. თუ დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად და ერთი პირია ბრალდებული, ხოლო დანარჩენი პირები დადგენილი არ არის და ბრალდებული გარდაიცვლება, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდება გარდაცვლილი ბრალდებულის მიმართ, ხოლო საქმეზე გამოძიება გრძელდება.

ამრიგად, გამოძიების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ყოველთვის არ არის გამოძიების შეწყვეტის საფუძველი.

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 3221-ე, 344-ე და 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სსკ-ის 1431-ე ან/და 1432-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო, ეს იმას ნიშნავს, რომ პირზე, რომელიც არის ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ გადაკვეთა, ასევე ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება ჩაიდინა, არ ვრცელდება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედება მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლად ყოფნის გამო.

მოცემულ შემთხვევაში პირს არა აქვს სხვაგვარად მოქმედების საშუალება, რაც გამორიცხავს ბრალს.

როგორც ვხედავთ, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილია ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ ბრალს და შესაბამისად იწვევენ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

ჩვენი აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი უნდა გახდეს შეცდომა, ბრძანების ან განკარგულების შესრულება და ბრალის გამომრიცხველი სხვა კანონიკური გარემოებანი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს თუ

ა) სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ბრალის გამომრიცხველ გარემოებებში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე - 38-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები);

ბ) ბრალდებული გარდაიცვალა.“

სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ეს ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, და დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მას არ შესრულებია 18 წელი, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ საჯარო ინტერესის არარსებობის გამო.

ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან მედიაციის შესახებ, რომლის პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადაა 1 წელი.

თუ არასრულწლოვანი არაჯეროვნად ასრულებს მასთან გაფორმებული განრიდების ან მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს, პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტა უნდა მოხდეს გამოძიების სტადიაზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა როგორც გამოძიებით, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე.

თუ გამოძიების სტადიაზე გამოვლინდა გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას დადგენილებით გამოძიებისა ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. თუ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა შეურაცხადმა პირმა, ასეთი გადაწყვეტილება არ მიიღება. ამ დადგენილების ასლს პროკურორი უგზავნის დაზარალებულს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს შეატყობინოს ამის შესახებ და კანონით დადგენილი წესით შეადგინოს ოქმი. ასეთი დადგენილების გამოტანის უფლება გამომძიებელს მინიჭებული არა აქვს. მისი გასაჩივრების ერთჯერადი უფლებით სარგებლობს დაზარალებული. მოცემული დადგენილება უნდა გასაჩივრდეს მისი გამომტანი პროკურორის ზემდგომ პროკურორთან. აქვე არ შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ თუ საქმეზე გამოძიებას ატარებს პროკურორი, იგი სარგებლობს გამომძიებლის უფლებამოსილებით და არ აქვს უფლება გამოიტანოს დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. ასეთ გადაწყვეტილებას იღებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

თუ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება იმის გამო, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება შეურაცხმა ჩაიდინა, პროკურორი ვალდებულია მიმართოს განსჯადობის მიხედვით შესაბამის სასამართლოს შუამდგომლობით მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

თუ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სასამართლოში, მას გამოაქვს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რომელიც შეიძლება გაასაჩივროს პროკურორმა. საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს - სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატაში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

სასამართლო უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. თუ საჩივარი განხილული იყო ზეპირი მოსმენით, ასეთ შემთხვევაში მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ცხადდება.

სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების საჩივართან დაკავშირებით გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება.

პროკურორის გამოტანილი დადგენილება გამოძიებისა ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს.

დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი:

უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესში ვრცელდება მხოლოდ ბრალდებულზე. ის ფაქტი, რომ უკვე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, დაკავებულია პირი, გამოტანილია დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, მიმდინარეობს გამოძიება, მტკიცებულებები შეკრებილია ბრალდებულის მიმართ, პროკურორმა სასამართლოში წარმოთქვა ბრალდების შესავალი და დასკვნითი სიტყვები, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, მისი ბრალეულობის საკითხი დადგენილი და გადაწყვეტილია. ყოველივე ეს მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ გამოძიების ორგანოებმა გამოიტანეს წინასწარი დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ, რომელიც სავალდებულო არ არის შესასრულებლად სასამართლოსათვის;

გამოძიების დროს პრესაში არ უნდა გამოქვეყნდეს, რადიოთი და ტელევიზიით არ უნდა გადაიცეს, სოციალურ ქსელებსა და სხვა ელექტრონულ საშუალებებში არ უნდა აისახოს ის ფაქტები და გარემოებანი, რომლებმაც თავისი შეფასება უნდა ჰპოვოს სასამართლოს განაჩენში, არ უნდა შეფასდეს საქმეზე შეგროვილი მტკიცებულებანი, გამოითქვას მოსაზრება ბრალდებულის მკაცრად დასჯის შესახებ, სანამ სასამართლოს მიერ არ არის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი;

საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს თუ

ა) სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ბრალის გამომრიცხველ გარემოებებში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე - 38-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები);

ბ) ბრალდებული გარდაიცვალა.“;

უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც კონსტიტუციური პრინციპის, საკითხის სწორი გარკვევა ხელს შეუწყობს პროცესუალური კანონმდებლობის დახვეწას, უზრუნველყოფს საგამოძიებო შეცდომების გამოსწორებას, მართლმსაჯულების სწორ განხორციელებას და ბრალდებულის უფლებათა გარანტიის განმტკიცებას.

ბიბლიოგრაფია:

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. (1948 წლის 10 დეკემბერი). *ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია.*

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. (1966 წლის 19 დეკემბერი). *საერთაშორისო პაქტი მოქალაქეთა და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ.*

გამყრელიძე, ო. (2008). *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება.* თბილისი.

ლომსაძე, მ. (2011). *სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი.* თბილისი: უნივერსალი.

ლომსაძე, მ. (2018). *სისხლის სამართლის პროცესი.* თბილისი: ბონა კაუზა.

საქართველოს კონსტიტუცია 1995. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. (1976). თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე (№10). (2009).

სისხლის სამართლის პროცესი: კერძო ნაწილი. (2008). თბილისი.

შავგულიძე, თ., & სურგულაძე, ლ. (1988). *საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.* თბილისი.

ჭაბაშვილი, მ. (1973). *უცხო სიტყვათა ლექსიკონი.* თბილისი: განათლება.

Лабус, И. (1981). *Презумпция невиновности.* Москва.

Ларин, А. (1982). *Презумпция невиновности.* Москва.

Международное право в документах. (1982). Москва.

Савицкий, В. М. (1978). *Проблеми презумпция невиновности.* Москва.

Malkhaz Lomsadze
Samtskhe-javakheti State University
Gori State University

PRESUMPTION OF INNOCENCE IN INTERNATIONAL AND NATIONAL LEGISLATION [1]

RESUME

Law scientists were always interested in presumption of innocence. Tens of articles can be found about this topic in Georgian and foreign languages. Even today presumption of innocence does not lose its meaning when we talk about human rights. It's hard to find country whose constitution does not include this principle. With this article we try to put real scientific content of presumption of innocence, how should it be used during investigation and trial. This principle is referred only to accused person. The fact that person is arrested, decree has been adopted about charge, investigation continues, statement of prosecution has been heard during trial still does not mean, that person is guilty and his criminality was confirmed. All these means, that prosecutors have their version, which is not mandatory for trial. Presumption of innocence means, that court decision especially incriminating cannot be based on guess. Any guess objectively means, that some circumstances are unidentified, so some facts are and some ; do not. This is why are suppositions goes in favor of accused. The right consideration of presumption of innocence as constitutional principle will help develop procedural legislations, minimization of mistakes during investigation, fair trial and protection of human rights.

***Keywords*:** Presumption of innocence, Legislation, Constitution, Criminal law, Investigation, Criminal prosecution.

ნიკოლოზ მიდოდაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დემოკრატია და XXI საუკუნის გამოწვევები

საკვანძო სიტყვები: დემოკრატია, TOPSIS, შეფასების რანჟირება.

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ერთადერთ მყარ საფუძველს ქვეყანაში ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული მაღალი სტანდარტების დამკვიდრება, დემოკრატიის განმტკიცებასა და ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებული, ეფექტიანი რეფორმების განხორციელება და შესაბამისი პროცესების მხარდაჭერა საქართველოს სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქვეყნის დემოკრატიული განვითარება წარმოადგენს, ასევე, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებული მისწრაფებების რეალიზაციის წინაპირობას. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებების გამო საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში დემოკრატიული რეფორმების ლიდერ სახელმწიფოდ არის აღიარებული. გარკვეული წარმატებების მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული განვითარების წინაშე დგას მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია საარჩევნო სისტემის სრულყოფასთან, სასამართლო სისტემის განვითარებასთან, ადამიანის უფლებების დაცვასთან, ადგილობრივი მმართველობის ეფექტიანობასთან და სხვ.

ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია პერიოდულად აწარმოებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დემოკრატიის მშენებლობისა და განვითარების საკვანძო საკითხების კვლევას და ყველა

[1] 2020 is 72 anniversary of the Universal Declaration of Human Rights. This article is dedicated to this remarkable date.

დაინტერესებული მხარისათვის, მათ შორის, პოლიტიკოსებისათვის, მკვლევრებისათვის, ჟურნალისტებისათვის, სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის აქვეყნებს ანგარიშებს კვლევის შედეგებისა და გამოვლენილი ტენდენციების თაობაზე. ერთერთ ამგვარ საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტი (International Institute for Democracy and Electoral Assistance), რომლის მიზანია მდგრადი დემოკრატიის ხელშეწყობა და მხარდაჭერა მთელ მსოფლიოში. აღნიშნული ორგანიზაციის კვლევის ანგარიშებში დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია მსოფლიოს 166 ქვეყანაში ჩატარებული კვლევების ფარგლებში მოპოვებული მონაცემების, იდენტიფიცირებული პრობლემების, აგრეთვე, დემოკრატიის სხვადასხვა ასპექტების 116 ინდიკატორის გამოყენებით განხორციელებული შეფასებების თაობაზე (Skaaning, 2019). ორგანიზაციის მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის განსაზღვრის მიზნით ფასდება დემოკრატიის 28 ასპექტი (ანუ ქვეატრიბუტი), რომლებიც წარმოდგენილია ხუთი ძირითადი ჯგუფის - ატრიბუტის სახით: წარმომადგენლობითი მმართველობა, ფუნდამენტური უფლებები, აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანი კონტროლი, მიუკერძოებელი მმართველობა (სამართლიანი და პროგნოზირებადი საჯარო მმართველობა), მმართველობაში სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობა. თითოეული ქვეატრიბუტის შეფასება ხდება 0-დან 1-მდე ქულით, სადაც 1 შეესაბამება საუკეთესო მიღწევას. კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ატრიბუტში გაერთიანებული ქვეატრიბუტების შეფასებების საფუძველზე, მითითებული ხუთი ატრიბუტიდან პირველი ოთხისათვის, ხდება აგრეთვე ატრიბუტის შეფასების ფორმირება, რომელიც ასევე წარმოადგენს 0-დან 1 ქულამდე სიდიდეს. შესაბამისად, ქვეყნის დემოკრატიის ხარისხის შეფასების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მითითებული ოთხი ატრიბუტისათვის მიღებული შეფასებები ან ქვეატრიბუტების შეფასებები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად, არ ხორციელდება ერთი, ინტეგრირებული შეფასების ფორმირება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხზე მსჯელობა და რომელიც, ამავდროულად, გაითვალისწინებდა მითითებული ატრიბუტების და ქვეატრიბუტების შეფასებებს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დემოკრატიის ხარისხის შეფასების მიზნით ინტეგრირებული ინდექსის შემოტანა/განსაზღვრა და, მისი გამოყენებით, უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში დემოკრატიის ხარისხის დინამიკის კვლევა დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტის (International IDEA) სათანადო მონაცემების საფუძველზე. კვლევის მეთოდოლოგიის სახით გამოყენებულია ინფორმაციული სისტემების თეორიაში კარგად ცნობილი მრავალ კრიტერიუმიანი გადაწყვეტილების ანალიზის მეთოდი (შემდგომში - TOPSIS - Technique for Order of Preference by Similarity to Ideal Solution) (Hwang & Yoon, 1981; Yoon, 1987; Hwang, Lai, & Liu, 1993). აღნიშნული მეთოდი ეფუძნება კონცეფციას, რომელიც გულისხმობს, რომ არსებულ ალტერნატივებს შორის საუკეთესო გადაწყვეტილება მინიმალურადაა დაშორებული დადებითი იდეალური გადაწყვეტილებიდან და მაქსიმალურადაა დაშორებული უარყოფითი იდეალური გადაწყვეტილებიდან.

ნაშრომში TOPSIS მეთოდის გამოყენებით განხორციელებულია საქართველოს დემოკრატიის ხარისხის შეფასების ინტეგრირებული ინდექსის განსაზღვრა 2000, 2005, 2010, 2015 და 2020 წლებში International IDEA-ის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე. დემოკრატიის ხარისხის რანჟირება ხდება ოთხი კრიტერიუმის საშუალებით, რომელთა სახით განიხილება დემოკრატიის ისეთი გამოწვევები, როგორიცაა წარმომადგენლობითი მმართველობა (C1), ფუნდამენტური უფლებები (C2), აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანი კონტროლი (C3) და მიუკერძოებელი მმართველობა (C4). აღნიშნული კვლევის ანგარიშებში ასახული შესაბამისი მონაცემები წარმოდგენილია ცხრილი 1-ით.

ცხრილი 1

დემოკრატიის ხარისხის კვლევები	**კრიტერიუმი**			
	C1	**C2**	**C3**	**C4**
2000 წელი	0,42	0,53	0,48	0,27
2005 წელი	0,61	0,57	0,53	0,61
2010 წელი	0,59	0,57	0,53	0,65
2015 წელი	0,66	0,60	0,64	0,63
2020 წელი	0,69	0,64	0,62	0,61

ცხრილის მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია ცალსახად ითქვას, რომ 2000 წელს დემოკრატიის ხარისხი იყო ყველაზე დაბალი, ვინაიდან ყველა კრიტერიუმის მიხედვით შეფასებები არის მინიმალური. თუმცა, დანარჩენი კვლევების თაობაზე ამ მონაცემების საფუძველზე ცალსახად მსჯელობა დემოკრატიის ხარისხის ამაღლების თაობაზე არ იქნებოდა კორექტული, ვინაიდან მომდევნო კვლევების

ფარგლებში გაუმჯობესებულ შეფასებებთან ერთად გვაქვს მიღწევების გაუარესების შემთხვევებიც. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმგვარი მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომის აქტუალობას, რომელიც ერთიანი ინტეგრირებული ინდექსის საშუალებით უზრუნველყოფს დემოკრატიის ხარისხის შეფასების შედეგების რანჟირებას.

ნაშრომში იგულისხმება, რომ დემოკრატიის ხარისხის განსაზღვრისათვის ოთხივე კრიტერიუმი თანაბრად მნიშვნელოვანია და ამიტომ დემოკრატიის ხარისხის შეფასების ინტეგრირებულ ინდექსში მათი გათვალისწინება ტოლი პროპორციით უნდა განხორციელდეს. ცხრილი 1-ში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, TOPSIS მეთოდის გამოყენებით, განისაზღვრა ე.წ. ნორმირებული გადაწყვეტილების მატრიცა, დადებითი იდეალური და უარყოფითი იდეალური გადაწყვეტილებები და 2000, 2005, 2010, 2015 და 2020 წელს დემოკრატიის ხარისხის შეფასების მიზნით ჩატარებული თითოეული კვლევისათვის განხორციელდა დადებით იდეალურ გადაწყვეტილებამდე ფარდობითი სიახლოვის გამოთვლა. სწორედ ეს სიდიდე წარმოადგენს დემოკრატიის ხარისხის შეფასების ინტეგრირებულ ინდექსს. შესაბამისი შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 2-ში.

ცხრილი 2

დემოკრატიის ხარისხის კვლევები	**დემოკრატიის ინტეგრირებული ინდექსი**
2000 წელი	0
2005 წელი	0,7
2010 წელი	0,73
2015 წელი	0,89
2020 წელი	0,91

დემოკრატიის ინტეგრირებული ინდექსის მნიშვნელობის დინამიკა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად საქართველოს დემოკრატიის წინაშე არსებული რიგი გამოწვევებისა, დემოკრატიის ხარისხი 2000 წლიდან მუდმივად იზრდება.

ბიბლიოგრაფია:

Hwang, C. L., & Yoon, K. (1981). *Multiple Attribute Decision Making: Methods and Applications.* New York: Springer-Verlag.

Hwang, C. L., Lai, Y. J., & Liu, T. Y. (1993). A new approach for multiple objective decision making. *Computers and Operational Research, 20*(8), 889–899.

Skaaning, S.-E. (2019). *The Global State of Democracy Indices Methodology* . Stockholm: International Institute for Democracy and Electoral Assistance.

Yoon, K. (1987). A reconciliation among discrete compromise situations. *Journal of the Operational Research Society, 38*(3), 277–286.

Nikoloz Midodashvili

Gori State University

DEMOCRACY AND THE CHALLENGES OF THE XXI CENTURY

RESUME

In order to assess the degree of democracy in Georgia, an integrated index of the degree of democracy has been determined on the basis of data from a study conducted by International IDEA in 2000-2020. By TOPSIS method (Technique for Order of Preference by Similarity to Ideal Solution), using the existing challenges of democracy as a criterion, the degree of democracy of Georgia is ranked on the basis of an integrated index.

Keywords: Democracy, TOPSIS, Evaluation ranking.

ნანული (ნანა) ცხვედაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქეთევან ლომსაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოსწავლის შიში და განწყობის სტრუქტურის კომპონენტები: ემპირიული კვლევა და შედეგები

საკვანძო სიტყვები: აფექტური სოციალური განწყობა, კოგნიტური სოციალური განწყობა, ემოციური განწყობა, ობიექტური სტრესორი, სოციალური განწყობა.

შესავალი: საკითხის დასმა და მისი აქტუალობა

მოსწავლის შიში ძალზე გავრცელებულია მოზარდობისა და ჭაბუკობის ასაკში, ამიტომ დიდი ხანია იგი სპეციალისტების საგანგებო შესწავლის საგანს წარმოადგენს იქიდან გამომდინარე, რასაც შიშის ემოცია ასრულებს მოსწავლის სასწავლო ქცევის ორგანიზაციასა და პიროვნების ფორმირებაში.

წარმატება-მარცხის ცნობილ მოტივაციურ მოდელებში ქცევის მოტივაციურ საფუძვლად მოსწავლის შიშის (ან შფოთვის) ემოციური მდგომარეობა მიიჩნევა. ითვლება, რომ ზომიერი შფოთვა ქცევის მაორგანიზებელი და მამოტივირებელი მდგომარეობაა და მოსწავლეს საშუალებას აძლევს პრობლემურ სიტუაციაში მოახდინოს ფსიქო-ფიზიკური ძალების მობილიზება და მისი მომართვა სტრესოგენური სიტუაციის დაძლევისკენ (Хекхаузен, 1986). დამკვიდრებული აზრის თანახმად, მოსწავლეებში შიშის გამომწვევი სამი სახის ობიექტური სტრესორი (შიშის აქტივატორი) არსებობს. ესენია: ოჯახი და ოჯახიდან მომდინარე სტრესორები, მეგობრები და მათთან დაკავშირებული სტრესორები და სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული სტრესორები. ის, თუ როგორი რეაქცია ექნება მოზარდს შიშის აღმძვრელ ამ პოტენციურ აქტივატორზე, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საალმზრდელო და კულტურული გარემოს თავისებურებებზე, იმდენად რამდენადაც გარემო ახდენს ამა თუ იმ რეაქციის ტიპის კონსტრუირებას თავისი მხარდაჭერით ან დასჯის ინსტრუმენტით (ცხვედაძე & ლომსაძე, 2018). ამიტომ, ითვლება, რომ ობიექტურ სტრესორზე შიშის ემოციით რეაგირების ინტენსივობა დასწავლილი ქცევითი პატერნია. ის ინდივიდუალური განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული და განმტკიცებული რეაგირების ფორმაა.

სკოლა ადგილია, რომელიც მოსწავლის შიშის ზემოაღნიშნულ სამივე აქტივატორს კრებს და თავისთავში აზოგადებს (მაყაშვილი & ცხვედაძე, 2010). თუ მოსწავლის შიში ობიექტურ სტრესორებზე რეაგირების დასწავლილი რეაქციაა, მაშინ მან, პირველ რიგში, მოსწავლის სკოლისადმი დამოკიდებულებაში, სოციალურ განწყობაში უნდა იჩინოს თავი.

განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, სოციალური განწყობა განწყობის ერთ-ერთი სახეა, ამიტომ ისიც ქცევის მზაობის მდგომარეობაა; იქმნება მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი გარემო პირობების და ქცევისთვის საჭირო ოპერაციული შესაძლებლობების ერთდროული მოცემულობის პირობებში და საფუძვლად ედება სუბიექტის მიზანშეწონილ ქცევას. წარმატებულად რეალიზებული განწყობები ფიქსირდებიან, მტკიცდებიან და იძენენ დისპოზიციურ ხასიათს. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმოადგენენ გარკვეული ტიპის ქცევებისადმი სუბიექტის მიდრეკილებას. თუ სინამდვილის საგნები და მოვლენები დაუკავშირდა წარმატებას, ყალიბდება პოზიტიური განწყობა, წინააღმდეგ შემთხვევაში - ნეგატიური სოციალური განწყობა (ნადირაშვილი, 2014). სოციალურ განწყობებს აქვთ სტრუქტურა, რომელიც სამი კომპონენტით იქმნება. ესენია: აფექტური, კოგნიტური და აქტივობის ტენცენციის კომპონენტები. ყველა მათგანს აქვთ ვალენტური ნიშანი (პოზიტიურობა-ნეგატიურობა) და ვალენტობის ხარისხი (პოზიტიურობა-ნეგატიურობის ინტენსივობა). ე. არონსონი თვლის, რომ სოციალური განწყობების ჩამოყალიბების გზა განსხვავებულია; ზოგიერთი განწყობა გარემოს სარგებლიანობის აღქმას და ამ თვალსაზრისით შეფასებას უკავშირდება. ასეთ განწყობებს ის კოგნიტურ განწყობებს უწოდებს, ზოგიერთი, სიამოვნების მიღების შესაძლებლობის ალბათობას. უკანასკნელს არონსონმა ემოციური სოციალური ატიტუდები უწოდა.

გერმანელი ფსიქოლოგების ალბერტ ნიუენისა და ალექსანდრე ცინკის[1] თანახმად, ემოციური სფეროს განვითარება ემოციური მდგომარეობების ონტოგენეტური ტრანსფორმაციის ოთხ თანმიმდევრულ სტადიას გადის:

1. ემოციონამდელი მდგომარეობები - ეს „არაფოკუსირებული ექსპრესიული ემოციებია". ისინი გამოხატავენ ჩვილის მოვლენებისა და ობიექტების პოზიტიურ / ნეგატიურად დიფერენცირების მზაობას და ხასიათდებიან ემოციური რეაქციების ყველა ძირითადი ნიშნების არსებობით;
2. საბაზო ემოციები, ან საბაზისო აფექტური პროგრამები: სიხარული, რისხვა, შიში, მწუხარება/დარდი (რომლებიც თანდათან, ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებიან 2-3, 4-6, 7-9 და 3-7 თვის ასაკებში); არ საჭიროებენ კოგნიტური პროცესების აუცილებლობას და გარემოს გამოწვევებზე სპონტანურ ადაპტურ რეაქციებს წარმოადგენენ;
3. პირველადი კოგნიტური ემოციები - საბაზო აფექტური პროგრამების განვითარება, ემოციური გამოცდილების გართულება, აფექტური მდგომარეობების გარდაქმნა „კოგნიტურად გამართლებულ ემოციურ გამოვლინებებად".
4. მეორადი კოგნიტური ემოციები - უმაღლესი დონის განვითარებისა და გართულებული ემოციური მდგომარეობების ფართო სპექტრი, რომელიც შეიცავს „მინი თეორიებს". უკანასკნელი გულისხმობს მე-კონცეფციების აგებას, კოგნიტური ჩვევების ფლობას, რწმენისა და ცოდნის არსებობას, როგორც მის წარმოდგენას ამა თუ იმ სიტუაციაში სოციალური ურთიერთქმედების პრინციპების შესახებ, ასევე სიტუაციის სამომავლო პერსპექტივასთან დაკავშირებულ მოლოდინებსა და იმედს.

ბოლო კვლევებით, დადგენილია, რომ შიშის ემოცია, ერთადერთი აფექტური მდგომარეობაა, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში წარმატების/მიღწევის პროგნოზზეა დაფუძნებული (Изард, 2000). ის შედეგის მიღწევის სუბიექტური ალბათობაა. ამიტომ ლოგიკურია დაშვება, რომ თუ მოსწავლეს სკოლისადმი აქვს კოგნიტური სოციალური განწყობა ე.ი. ამ განწყობის ფორმირების მოტივაციური კონტექსტი სკოლის სარგებლიანობის შეფასებაზეა დაფუძნებული, შესაბამისად, კოგნიტური სოციალური განწყობის მქონე მოსწავლის სკოლის შიშის ინტენსივობა იქნება ზომიერების საზღვრებში მოქცეული. ხოლო მოსწავლეებს, ვისი სკოლისადმი სოციალური განწყობაც იქნება ემოციური, მათი სკოლისადმი შიშის ინტენსივობაც იქნება ან ზომაზე დაბალი ან ზომაზე მაღალი (რადგან ორივე შემთხვევაში ემოციის საფუძველი არაადეკვატური შეფასებაა). ამ ლოგიკური კონსტრუქციიდან გამომდინარეობს ნაშრომის მიზანიც, კვლევის საგანიც, ამოცანებიც და ბუნებრივია, ემპირიული ჰიპოთეზაც.

შესაბამისად **კვლევის მიზნად ვაქციეთ:** უფროსი სასკოლო ასაკის მქონე მოსწავლეების სკოლასთან დაკავშირებული აფექტურ-კოგნიტური სფეროს შესწავლა, ხოლო, **კვლევის ამოცანებია:** სკოლისადმი სოციალური განწყობების შესწავლა, მათი კოგნიტურ და აფექტურ ტიპებად დაჯგუფება და ამ ნიშნით მათი შედარება და ანალიზი;

კვლევის **ემპირიულ ჰიპოთეზას** წარმოადგენს დაშვება, რომ თუ სკოლის შიში ინდივიდუალური განვითარების პროცესში შეძენილი რეაგირების ფორმაა, მაშინ სკოლისადმი კოგნიტურ შფოთვაზე დაფუძნებული სოციალური განწყობის მქონე ცდისპირები ობიექტურ სტრესორებზე უნდა რეაგირებდნენ ზომიერ საზღვრებში მოქცეული სკოლის შიშით. აფექტური განწყობის მქონე ცდისპირები კი - შიშის ნორმაზე მაღალი ან ნორმაზე დაბალი ინტენსივობით.

ნაშრომის აქტუალობა, განისაზღვრა მიღწევის მოტივაციაში სკოლის შიშის მაღალი ფუნქციური დატვირთვით. **ნაშრომის სიახლეა** სოციალური განწყობებისა და მოსწავლის შიშის, როგორც მე-კონცეფციის განმსაზღვრელი ორი ცვლადის ურთიერთმიმართების ძიება და მათი დაკავშირება ორი განსხვავებული თეორიული პერსპექტივიდან.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება კი განისაზღვრა მოსწავლის სასწავლო კარიერაში და მოსწავლის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობაში შიშის ემოციის პოზიტიური ფუნქციის მართვით.

კვლევის დიზაინი: მეთოდი და მეთოდოლოგია, ცდისპირები და პროცედურა.

კვლევის ჰიპოთეზის შესამოწმებლად დაიგეგმა და განხორციელდა ემპირიული კვლევა.

<u>კვლევაში დამოუკიდებელ ცვლადებს</u> წარმოადგენს: სკოლისადმი აფექტური სოციალური განწყობა და კოგნიტური სოციალური განწყობა.

<u>დამოკიდებულ ცვლადებს</u> - შიშის მიზეზების პერცეფციები, სკოლის შიშის ინტენსივობა. *<u>საკვლევ ჯგუფებს</u>* - მე-9-12 კლასის მოსწავლეების ჯგუფები.

[1] ცნობა, აღებულია: (ცხვედაძე, 2018).

კვლევაში გამოყენებულია როგორც რადენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები. ცდისპირები შეირჩნენ კლასტერული შერჩევის წესით - 30 გოგონა და 30 ვაჟი (ჯამში 60 ცდისპირი), ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრა 15-19 წელი.

კვლევაში გამოყენებულია ტესტირებისა და გამოკითხვის მეთოდები:

სკოლისადმი მოსწავლეების აფექტური და კოგნიტური განწყობის იდენტიფიცირებისათვის გამოყენებულია კრიტის, ფაბრიგანისა და პეტის (Crites, Fabrigar & Petty, 1994) ატიტუდების კვლევის ინსტრუმენტი - განწყობის ემოციური და კოგნიტური კომპონენტების შესაფასებელი ბიპოლარული სკალები. საკვლევი ინსტრუმენტი ანტონიმურ სკალათა ორი ჯგუფის სახით არის წარმოდგენილი. სკალები ზედსართავი სახელების წყვილებით არის შედგენილი, ბიპოლარულია და შედგება 7 საფეხურისგან (-3-დან 0-ის გავლით + 3-მდე). სკალათა პირველი კომპლექტი შედგება 8 ქვესკალისგან და ზომავს სკოლისადმი მოსწავლის ემოციურ სოციალურ ატიტუდს. სკალათა მეორე კომპლექტი 7 ქვესკალისგან შედგება და განკუთვნილია მოსწავლის სკოლისადმი კოგნიტური ატიტუდის შესაფასებლად.

ინსტრუქციის თანახმად, სკალათა პირველი კომპლექტისთვის ცდისპირს ვთხოვთ თითოეულ სტრიქონში შემოხაზოს ციფრი, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მის გრძნობას სკოლისადმი. სკალათა მეორე კომპლექტისთვის კი ც.პ.-ს ევალება შემოხაზოს ციფრი, რომელიც ყველაზე უკეთ ახასიათებს სკოლას. სკალებით შესაძლებელია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რას ეფუძნება, ან რა გზით არის ფორმირებული კონკრეტული განწყობა. თუ ემოციური სკალების ჯამი აღემატება კოგნიტური სკალების მონაცემთა ჯამს, სოციალური განწყობა ემოციურ განწყობად არის მიჩნეული. იმ შემთხვევაში, თუ კოგნიტური სკალების ქულათა ჯამი აღემატება ემოციურს, მაშინ განწყობა კოგნიტურია.

სკოლის შიშის სადიაგნოსტიკოდ გამოყენებულია ფილიპსის მოსწავლის შიშის საკვლევი ტესტ-კითხვარის ჩვენ მიერ მოდიფიცირებული ვარიანტი. როგორც ცნობილია ფილიპსის სადიაგნოსტიკო მეთოდიკა 58 კითხვისგან შედგება და შეიცავს 7 სკალას:

1. სკოლასთან დაკავშირებით საერთო შფოთვის დონეს;
2. სოციალური სტრესის განცდას;
3. წარმატების მოთხოვნილების ფრუსტრაციას;
4. თვითგამოხატვის შიშს;
5. ცოდნის შემოწმების სიტუაციურ შიშს;
6. გარშემომყოფთა მოლოდინების გაცრუების შიშის;
7. სტრესისადმი დაბალი ფიზიოლოგიური წინააღმდეგობის უნარს.

აღნიშნული სკალებიდან, ჩვენ მიერ მოდიფიცირებულ ვერსიაში ვსარგებლობთ მხოლოდ საერთო შფოთვის სკალით, რომელიც თავისთავში აერთიანებს როგორც საკუთრივ შფოთვას, ისე სიტუაციური შიშის სკალას სრულად. ასევე ნაწილობრივად - წარმატების მოთხოვნილების ფრუსტრაციის სკალის 1 შეკითხვას და სტრესისადმი დაბალი ფიზიოლოგიური წინააღმდეგობის უნარის სუბსკალის 2 შეკითხვას.

სკოლის შიშის აქტივატორთა პერცეფციის შესასწავლად გამოყენებულია ლუშერის ფერების ტესტის - პროექციული მეთოდიკა. რაც შეეხება მოსწავლის შიშს, იგი, ჰუსლაინის აზრით, ხუთი განსხვავებული დიმენსიის (განზომილების) მქონე კონსტრუალია (Husslein, 1978). ეს დიმენსიები შემდეგია: შიშის ფენომენოლოგია (განცდადი ასპექტი); შიშის სხეულებრივი ნიშნების ასპექტი; „მე“-ს გაუფასურების (დევალვაცია) ასპექტი; სოციალური შიშის ასპექტი; სამომავლო მუქარა ან წინასწარგანჭვრეტილი საფრთხის ასპექტი. ტესტირება ხდებოდა ონლაინ რეჟიმში, დისტანციურად ზოომ პლატფორმის გამოყენებით, თითოეულ ცდისპირთან ინდივიდუალურად. კვლევა განხორციელებულია ავტორების მიერ. მოზარდების ექსპერიმენტში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. ტესტირება გრძელდებოდა 10-15 წუთი. ტესტის პასუხები სტატისტიკურად დამუშავდა SPSS-ის საშუალებით, განსხვავების სანდოობები შემოწმდა t ტესტ - ის საშუალებით.

კვლევის მონაცემების აღწერა და ანალიზი

კვლევის შედეგად მთლიანი შერჩევის ჯგუფი სამ ქვეჯგუფად დაიყო. პირველ ჯგუფში (32 ც.პ) გავაერთიანეთ ცდისპირები, ვისთანაც დომინანტური აღმოჩნდა სკოლისადმი განწყობის ემოციური კომპონენტი. ამ ც.პ.-ს პირობითად ვუწოდებთ ემოციურებს. მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ ცდისპირები, ვისთანაც სკოლისადმი დამოკიდებულებაში დომინანტი აღმოჩნდა კოგნიტური კომპონენტი (25 ც.პ.). მათ პირობითად კოგნიტურებად მოვიხსენიებთ. ხოლო, მესამე ჯგუფში შევიყვანეთ ცდისპირები, ვისაც სკოლისადმი თანაბრად აქვს წარმოდგენილი კოგნიტური და ემოციური კომპონენტები (4 ც.პ). მათ პირობითად არადიფერენცირებული ვუწოდეთ.

კვლევის მონაცემთა ანალიზი და განხილვა ამ სამი ჯგუფის შედარების საფუძველზე მოხდა. საკვლევი ჯგუფების მონაცემთა შედარებამდე, ჯერ განვიხილავთ შერჩევის მთლიან ჯგუფში საკვლევ ცვლადებთან მიმართებაში გამოვლენილ ტენდენციებს. შერჩევის მთლიან ჯგუფში:

1. **სკოლისადმი სოციალური განწყობის** გაზომვის შედეგები წარმოდგენილია დიაგრამა #1 და დიაგრამა #2 სახით.



დიაგრამა#1

როგორც დიაგრამიდან ჩანს, სკოლისადმი ცდისპირების უმრავლესობას აქვს ემოციური სოციალური განწყობის ტიპი (52,45%), ცდისპირთა 40,98% - ს კოგნიტური ტიპის განწყობა და 7 % - დიფუზური (df=1, X^2=6,28 p=0,05).



დიაგრამა#2

დიაგრამა #2 ში ასახულია სკოლისადმი ემოციური და კოგნიტური განწყობის ტიპებში **განწყობის ვალენტური** ნიშნით ცდისპირთა გადანაწილების პროცენტული მაჩვენებლები.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, სკოლისადმი პოზიტიური ემოციური განწყობა აღმოაჩნდა ცდისპირთა 26%-ს; უარყოფითი ემოციური განწყობა - ცდისპირთა 30 %-ს; დადებითი კოგნიტური განწყობის მქონე აღმოჩნდა ცდაში მონაწილეთა 28%, ხოლო უარყოფითი კოგნიტური განწყობა აღმოაჩნდა ცდისპირთა 16 % (df=1, X^2=6,28 p=0,05).

მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას შემდეგი:

- ✓ ჩვენი ცდისპირების უმრავლესობას სკოლისადმი ემოციური სოციალური განწყობის ტიპი ახასიათებს;
- ✓ განწყობის ვალენტური ნიშნის მიხედვით, სკოლისადმი სოციალური განწყობა ცდისპირთა უმარავლესობაში დადებითია;
- ✓ უარყოფითი სოციალური განწყობა ყველაზე ხშირად სკოლისადმი ემოციური განწყობის მატარებლებისთვის არის დამახასიათებელი;
- ✓ დადებითი სოციალური განწყობა - სკოლისადმი კოგნიტური განწყობის მქონეებისთვის.

სკოლის შიშის მაჩვენებლები მთლიან შერჩევაში.

სკოლის შიშის როგორც ზოგადი, ისე მისი ცალკეული ფაქტორების ინტენსივობის მაჩვენებლები წარმოდგენილია დიაგრამა #3 სახით.

დიაგრამა #3 სკოლის შიშის მონაცემები



როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, ტესტით გათვალისწინებული ინდიკატორების მხოლოდ 28%-ში დადასტურდა სკოლის შიში. ფილიპსის ტესტის ნორმატიული მაჩვენებლების თანახმად, ინდიკატორთა 50%-ზე დაბალი მაჩვენებელი, სკოლის შიშის/შფოთვის არ ქონის, ან შფოთვის სუსტ გამოხატულებად ითვლება. 50%-ის ტოლი და მასზე (75 %-მდე) მეტი - შფოთვის ზომიერ მაჩვენებლად; 75% და მასზე მეტი პროცენტული მაჩვენებლები კი, შიშის (ნორმაზე) მაღალ მაჩვენებლად. იგივე ნორმატიული მაჩვენებლები მოქმედებს მოსწავლის შიშის კონსტრუალში შემავალი ცალკეული სინდრომებისთვისაც (ფაქტორისთვის/ან დიმენსიისთვის).

ტესტის შედეგების მიხედვით ცდაში მონაწილე მოსწავლეების შიში უნდა შეფასდეს ნორმაზე დაბალ შიშად. ნორმაზე დაბალია შიშის ცალკეული ფაქტორების მაჩვენებლებიც (იხ. დიაგრამა #3). თუმცა სინდრომების შედარება აჩვენებს, რომ შესწავლილი ოთხი ფაქტორიდან, წარმატების მოთხოვნილების ფრუსტრაციის და სტრესისადმი დაბალი ფიზიოლოგიური მედეგობის მაჩვენებლები უფრო მაღალია (38%-38%) და ეს განსხვავება სტატისტიკურად სანდოა (df=1, X^2=6,28 p=0,05).

ადაპტაციის თვალსაზრისით, შიშის ემოცია მაშინ ასრულებს თავის ადაპტურ ფუნქციას, როცა ის ზომიერების საზღვრებშია მოქცეული, დაბალი და მაღალი შიში დეზადაპტაციის მაჩვენებელია. კვლევაში მონაწილე პირების შიშის მაჩვენებლები ნორმაზე დაბალია. შესაბამისად შერჩევის მთლიანი ჯგუფი დეზადაპტურად უნდა შეფასდეს განსაკუთრებით სკოლის ცხოვრებაში ჩართულობისა და მიღწევათა შემოწმების სფეროში.

2. **სკოლის შიშის აქტივატორების/მიზეზების პერცეფციის კვლევის შედეგები** ცხრილი #1-ის სახით არის წარმოდგენილი. შიშის აქტივატორების შეფასება ფერთა გამის გამოყენებით მოხდა.

ცხრილი #1

%	სკოლა	გაკვეთილი	კლასი	მასწავლებელი	გამოცდა	საკუთარი „მე“	საკუთარი ცხოვრება	მომავალი
წითელი	3	9	11	10	19	17	10	21
შავი	10	5	3	18	48	6	3	7
მწვანე	19	7	13	10	2	19	20	10
ყავისფერი	12	15	20	29	10	7	7	0
ლურჯი	6	13	11	11	9	17	19	14
იისფერი	5	7	20	11	2	18	21	16
ნაცრისფერი	29	28	12	10	5	6	7	3
ყვითელი	12	18	12	5	4	9	11	2

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცდისპირები წითელ ფერს უპირატესად საკუთარ მომავალსა და გამოცდასთან აკავშირებენ.

შავი ფერი ასოცირდა გამოცდასთან;

მწვანე - საკუთარ ცხოვრებასთან, საკუთარ თავთან და სკოლასთან;

ყავისფერი - მასწავლებელს და კლასს დაუკავშირდა;

ლურჯი - საკუთარ ცხოვრებას;

იისფერი - საკუთარ ცხოვრებასა და კლასთან;

ნაცრისფერი - სკოლასა და გაკვეთილს;

ყვითელი კი - გაკვეთილს.

<u>სკოლისადმი სოციალური განწყობის ტიპებში შიშის კონსტრუქტის კვლევის შედეგები</u>

განწყობის ტიპების მიხედვით სკოლის შიში და ამ უკანასკნელის განმსაზღვრელი ცალკეული სინდრომების მაჩვენებლები წარმოდგენილია დიაგრამა #4 სახით.



როგორც დიაგრამიდან ჩანს კოგნიტური განწყობის მქონეთა ჯგუფს **შიშის ზოგადი** მაჩვენებელი დანარჩენ ორ ჯგუფთან შედარებით მაღალი აქვს, თუმცა ნორმაზე დაბალი (33 %). შიშის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სკოლისადმი არადიფერენცირებული სოციალური განწყობის მქონეებს აღენიშნებათ. ამიტომ, საკოლო ცხოვრებასთან ყველაზე ცუდად ადაპტირებულებადაც არადიფერენცირებული განწყობის მქონენი უნდა მივიჩნიოთ. ამ ჯგუფის მაჩვენებლები სტატისტიკურად სანდოდ განსხვავდება ორივე ჯგუფის მაჩვენებლებისგან ($df = 32$; $t= 2.024$; $p<0.05$) ($df = 32$; $t= 2.024$; $p<0.05$).

კვლევის ძირითადი შედეგები

კვლევის მონაცემების თანახმად: მოსწავლეებს აღმოაჩნდათ სკოლისადმი განსხვავებული სოციალური განწყობის ტიპები. სკოლისადმი ემოციური და კოგნიტური განწყობის მქონე მოზარდების რიცხვი თითქმის თანაბარია; თვითონ ერთი ტიპის განწყობაშიც აღმოჩნდა მისი ქვეტიპები: დადებითი და უარყოფითი ემოციური განწყობის მატარებლები და დადებითი და უარყოფითი კოგნიტური განწყობის მქონენი.

სკოლისადმი სოციალური განწყობის ტიპის უგულებელყოფით, თუ მხოლოდ განწყობის ვალენტური ნიშნით ვიმსჯელებთ, კვლევაში მონაწილე მოსწავლეების უმრავლესობას სკოლისადმი ნეგატიური განწყობა აქვს; როგორც კოგნიტური, ისე ემოციური განწყობის მქონე ჯგუფები სკოლის შიშის ნორმაზე დაბალი მაჩვენებლების მქონენი არიან, რაც ორივე საკვლევ ჯგუფს სასკოლო ცხოვრებასთან მიმართებაში ნაკლებ ადაპტურად ახასიათებს.

დასკვნა

კვლევის ემპირიული ჰიპოთეზა, რომ სკოლისადმი კოგნიტურ შეფასებაზე დაფუძნებული სოციალური განწყობის მქონე პირები, სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ ობიექტურ სტრესორებზე ზომიერების საზღვრებში მოქცეული შიშით უნდა რეაგირებდნენ, კვლევის შედეგებით ნაწილობრივად დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ. როგორც აღმოჩნდა, მართალია მათ ემოციური განწყობის მქონე ტიპებთან შედარებით მართლაც განსხვავებული შიშით რეაგირება ახასიათებთ, მაგრამ რეაგირების ეს ფორმა ზომიერების საზღვრებში არ აღმოჩნდა მოქცეული, ის ნორმაზე დაბალია.

კვლევაში მოულოდნელი და ამავე დროს, საინტერესო შედეგიც მივიღეთ. ეს ეხება განწყობის ვალენტურ ნიშანს. ჩვენი კვლევის მონაცემების მიხედვით, შიშით რეაგირებასთან მიმართებაში სოციალური განწყობის ტიპთან შედარებით, თვითონ სოციალური განწყობის ვალენტობას აღმოაჩნდა უფრო მაღალი მადიფერენცირებელი ღირებულება.

ბიბლიოგრაფია:

იმედაძე, ნ. (1978). ბავშვის ემოციური განვითარება. ბავშვის ფსიქოლოგია. *ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები.*

ლომსაძე, ქ., & ცხვედაძე, ნ. (2017). ასაკობრივი გარემოს ფაქტორი ბავშვის აზროვნების განვითარებაში. *საერთაშორისო კონფერენცია.* ქუთაისი.

მაყაშვილი, ქ., & ცხვედაძე, ნ. (2010). ეკოსისტემის პარადოქსები მარგინალობის რისკის მქონე მოზარდების სკოლასთან დაკავშირებული შიშსა და შფოთვაში. *საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, I*, 50-65.

ნადირაშვილი, შ. (2014). *განწყობის ანთროპული თეორია.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

უზნაძე, დ. (1988). შენიშვნების რვეული. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 2*, გვ. 72-91.

ცხვედაძე, ნ. (2018). *ემოციის ფსიქოლოგია. რიდერი.* თბილისი: სეუ.

ცხვედაძე, ნ., & ბერეკაშვილი, დ. (2009). იძულებით ადგილნაცვალ მოზარდებთან სასკოლო შიშებისა და შფოთვის თავისებურებების კვლევა უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები. ტ. XXI . *საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე* (1), 135-148.

ცხვედაძე, ნ., & ლომსაძე, ქ. (2018). აღზრდის სტილი და სასწავლო მოტივაცია. *სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. სამეცნიერო კვლევების ჟურნალი, I* (1), 68-75.

Florio, E., Caso, L., & Castelli, I. (2020). The Black Pedagogy Scale: A New Task to Explore Educational Practices for Children's Well-Being. *Europe's Journal of Psychology, 16* (2), 331-351.

Husslein, E. (1978). *Schulangst-Test (SAT).* Göttingen. Toronto. Zürich.

Tskhvedadze, N., & Mirtskhulava, R. (2011). Study of Georgian Student's Anxiety in the Process of the Educational Reform. *London International Conference on Education-2011 (LICE).* 2011: www.iiedu.org.

Аронсон, Э., Уилсон, Т., & Эйкерт, Р. (Москва). *Социальная психология.* 2002.

Изард, К. Э. (2000). *Психология эмоций.* Санкт-Петербург.

Хекхаузен, Х. (1986). *Мотивация и деятельность* (Т. 1). Москва.

Nanuli (Nana) Tskhvedadze
Sokhumi State University
Ketevan Lomsadze
Gori State University

A STUDENT'S FEAR AND MOOD STRUCTURE COMPONENTS: EMPIRICAL RESEARCH AND OUTCOMES

RESUME

The paper deals with the student's fear, which is also referred to in the literature as school fear, and its relationship to the school's social attitudes, in particular its affective and cognitive components. The study is empirical and consists of two parts: the first part discusses the dominant theoretical views on school fear in psychology, the history of case research and its current state . The second part is related to the already conducted research and its outcomes.

The research was conducted on 60 students aged 15-18 of Georgian nationality. The results of the study showed that individuals with a cognitive social attitude towards school are more prone to engage in school life. An important result of the study is that in characterizing the structure of school fear, more value was found in the valence sign of mood than the type of social attitude towards school, , which gives a new perspective for research in this regard.

Keywords: Affective social mood, Cognitive social mood, Emotional mood, Objective stressor, Social mood.